

ბ. შიშოძე

გ ა ბ ა ა ს ე ბ ა
ძველ ქართულ ლიტერატურაში



აკარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა
ბ ა თ უ მ ი
1952

შ ე ს ა გ ა ლ ი

მდიდარ და მრავალფეროვან ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც ჩვენს წინაპრებს XIX საუკუნემდის შეუქმნიათ, გვხვდება ყველა ჟანრის სხვადასხვა სახის თხზულებები. თანამედროვე მკითხველს ხიბლავს შორეულ წარსულში შექმნილი როგორც დიდი ეპიკური ხასიათის ძეგლები, ისე მცირე მოცულობის ლირიკული ლექსები. როგორც ჩანს, ქართველ ხალხს ადრევე ჰქონია გამომუშავებული კარგი ლიტერატურული გამოგონება და შესაფერის ლიტერატურულ ჟანრებში თავისი ნაფიქრ-ნაზრევის ჩამოყალიბების უნარი.

მრავალფეროვან ჟანრებს შორის ძველ ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით XVI—XVII საუკუნეებში, ძლიერ პოპულარული იყო გაბაასების ჟანრი.¹ მას ხშირად იყენებდნენ ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები. წინამდებარე შრომაში განხილულია 17-მდე დიდი თუ პატარა მოცულობის გაბაასება, რომლებიც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა თემასა და საკითხს ეხება. მართალია, ამ თხზულებების უმეტესობა გამოქვეყნებულია და ავტორების შემოქმედებასთან ერთად მოკლედ განხილულიც არის, მაგრამ დღემდე გაბაასების ჟანრის თხზულებების სრული იდეურ-მხატვრული ანალიზი არაუის უწარმოებია. არ არის დადგენილი გაბაასების თავისებურებანი და სპეციფიკური ნიშნები. გარდა ამისა, საცილობელი გამხდარა ქართულ ლიტერატურაში გაბაასების შემოღების მიზეზები და გზები.

ჩვენს შრომაში მიზნად ვისახავთ გავარკვიოთ შემდეგი საკითხები:

1. გაბაასებათა შესწავლის საფუძველზე. დაეადგინოთ საერთოდ გაბაასების სპეციფიკური ნიშნები. 2. გამოვარკვიოთ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში გაბაასების აღმოცენების მიზე-

¹ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბაასება ჯერად არის აღიარებული ა) კ. კაკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, თბ. 1941 წ. გვ. 517. ბ) ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1940 წ. გვ. 153. გ) მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ. 1949, გვ. 106-117. დ) ლ. ასათიანი. ქართული მწერლობა, თბ. 1949 წ. გვ. 29. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში (გვულისხმობთ ლიტერატურისმცოდნეობას) ჟანრებს ან მის სახეებს შორის გაბაასება საერთოდ არ არის დასახელებული. ამიტომ აქ და შრომის სხვა ნაწილებშიაც გაბაასებას პირობითად ვახსენებ ვუწოდებთ. საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ზები და საწყისები. 3. აღენუსხოთ და სისტემაში მოვიყვანოთ როგორც გამოქვეყნებული, ისე ხელნაწერების სახით დღემდე მოღწეული ქართული გაბაასებანი. 4. მოვახდინოთ ამ თხზულებათა იდეურ-მხატვრული ანალიზი. 5. ჩამოვაყალიბოთ ქართული გაბაასების ის თავისებურებანი, რომლებითაც ის განსხვავდება სხვა მისი მონათესავე ჟანრებისა თუ სახეებისაგან.

შრომა შემდეგი თავებისაგან შედგება: 1. გაბაასების თავისებურებანი. მისი აღმოცენების მიზეზები და საწყისები ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ძველ ქართულ ლიტერატურაში. 2. გაბაასება შუა საუკუნეების უცხოურ ლიტერატურაში (მოკლე ექსკურსი). 3. გაბაასება XVI — XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში. 4. დასკვნა.

შრომის პირველ თავში დადგენილი გვაქვს საერთოდ გაბაასების ჟანრის თხზულებების დამახასიათებლო ნიშან-თვისებები და თავისებურებანი. აქვე ვარკვევთ გაბაასების აღმოცენების მიზეზებსა და საწყისებს ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ძველ ქართულ ლიტერატურაში. მეორე თავში მოკლედ მოცემული გვაქვს შუა საუკუნეების როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხალხთა ლიტერატურაში ცნობილი ქართული გაბაასების მსგავსი ლიტერატურული ჟანრების მოკლე მიმოხილვა. ვთქვამთ, ამ თავში განხილული საკითხი კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს ცოდნას საერთოდ გაბაასების შესახებ და გვიადვილებს ქართული გაბაასების თავისებურებათა დადგენას. მესამე თავი რვა ქვეთავისაგან შედგება და მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილულია გაბაასების ჟანრის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ქართული თხზულებები. დასკვნაში ჩამოყალიბებულია ქართული გაბაასების ძირითადი ნიშან-თვისებები.

თხზულებების განხილვის დროს პირველ რიგში მიზნად ვისახავთ გამოვავლინოთ გაბაასების თავისებურებანი, ამიტომ ზოგჯერ ვაწარმოებთ თხზულების შინაარსის მოკლე, სქემატურ გადმოცემას და შემდეგ მის იდეურ-მხატვრულ ანალიზს.

შრომაში ჩვენ არ ვიძლევით ავტორთა შემოქმედების სრულ ანალიზს და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან შრომაში განხილულია მხოლოდ და მხოლოდ გაბაასების ჟანრის თხზულებანი.

თ ა ვ ი 1.

გაბაასეზის თავისებურებანი, მისი აღმოსვენების მიჯნულები და საწინებრი ძართულ ხალხურ ზვიკირსიტყვიერებასა და ძველ ძართულ ლიტერატურაში

(გაბაასეზა მიღებულია სიტყვა ბაასიდან, რომელიც დავ. ჩუბინაშვილის თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ასე აქვს განმარტებული: ბაასი—ს. ცილობა, პაექრობა, ლაპარაკში შებმა, *прение, диспут*¹, ზოლო გაბაასეზა, მისივე განმარტებით, ნიშნავს — დისპუტში ჩაბმას *вступать в диспут*.²)

როგორც ჩანს. გაბაასეზის სინონიმებად იხმარებოდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა შედარება (თეიმურაზ პირველი, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“), შელაპარაკება, ცილობა, ბჭობა (დავ. გურამიშვილი, „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“; „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“), გაბრჭობა (ვ. ქაბუჯაშვილი, „ხილთა გაბრჭობა“):

(გაბაასეზის სახელწოდებით ცნობილ თხზულებებს სხვა ჟანრის თხზულებებისაგან განსხვავებით აქვს მთელი რიგი თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი, რომელიც ჩვენი დაკვირვებით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: ① გაბაასეზის ჟანრის ყველა თხზულება დაწერილია დიალოგის ფორმით, მასში მონაწილე მხარეები ან აღამიანები არიან, ან უსულო საგნები, ან ცხოველები, ან გაპიროვნებული ბუნების ძალები, ან კიდევ განყენებული, აბსტრაქტული ცნებები. ② გაბაასეზაში აუცილებლად ასახულია დისპუტი, კამათი ერთმანეთის საწინააღმდეგო რწმენის ან შეხედულებების მქონე ორ, ან, იშვიათ შემთხვევაში, ორზე მეტ პიროვნებას ან საგანს შორის. ③ გაბაასეზაში უმეტესწილად კამათი წარმოებს უპირატესობის დამტკიცების მიზნით, ამიტომ გაბაასეზის მოწინააღმდეგის თითოეული მხარე პირველ რიგში მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის მიერ დასახელებული არგუმენტების გაბათილებას და მისი უარყოფითი თვისებების გამოამჟღავნებებს. შემდეგ კი ასახელებს თავის ღირსშესანიშნავ დადებით თვისებებს და ცდილობს მობაასესთან შედარებით თავისი უპირატესობისა და წარჩინების დამტკიცებას. გარდა ამისა, არის ისეთი გაბაასეზაც,

1) დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1887, გვ. 89. სულხან-საბა ორბელიანს კი ეს სიტყვები არ აქვს განმარტებული.

2) იქვე, გვ. 131.

რომელშიაც კამათი წარმოებს არა უპირატესობის დამტკიცების მიზნით, არამედ ერთი რომელიმე საცილობელი საკითხის შესახებ. 4. გაბაასებაში, როგორც წესი, ამჟამად არ ჩანს, ბაასში ჩაბმული მხარეებიდან ვისკენ არის მიმართული ავტორის სიმპათია და თანაგრძნობა. პოეტი ცდილობს ნეიტრალიტეტი დაიცვას, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი აუცილებლად შენიშნავს, ვის ანიჭებს ავტორი უპირატესობას.

რასაკვირველია, ჩვენ მიერ დასახელებული ნიშნები საერთო, ზოგადი ხასიათისაა; ის მეტ-ნაკლებად ახასიათებს ამა თუ იმ თხზულებას, ან კიდევ ერთ-ერთი ნიშანი ნაკლები სიზუსტით არის წარმოდგენილი. მაგალითად: ზოგიერთ გაბაასებაში ერთ-ერთი მოკამათე მხარე ვერ ახერხებს თავისი უპირატესობის დამტკიცებას, მაშინ ის მხოლოდ თავდაცვით კმაყოფილდება და მოწინააღმდეგეს კამათს არ უმართავს. არის აგრეთვე ისეთი გაბაასებაც, სადაც ავტორის მიზანია არა რომელიმე მხარისადმი უპირატესობის მინიჭება, არამედ მოკამათე მხარეების კარგი და ცუდი თვისებების გამომწვეურება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩამოთვლილი დამახასიათებელი ნიშნებიდან ზოგიერთი ნიშანი ახასიათებს არა მხოლოდ გაბაასების ჟანრის ნაწარმოებებს, არამედ სხვა ჟანრის თხზულებებსაც. მაგრამ ყველა ნიშანი, ერთად აღებული, დამახასიათებელია მხოლოდ გაბაასების ჟანრის ნაწარმოებთათვის.

როგორც აღვნიშნეთ, გაბაასების ჟანრი ძლიერ გავრცელებული იყო XVI—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში. ამ ეპოქის ყველა თვალსაჩინო პოეტი წერს ერთ ან რამდენიმე გაბაასებას. მაგალითად: თეიმურაზ პირველის (1589—1663) კალამს ეკუთვნის „შედარება გაზაფხულსა და შემოდგომისა“, „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“, ირანულიდან გადმოკეთებული „ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“. თეიმურაზის შემდეგ გაბაასება გაბატონებულ ჟანრად იქცევა და მას იყენებენ: არჩილი (1647—1713)—„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“; თეიმურაზ ძეგრი (1700—1762)—„სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, „გაბაასება რუსთველთან“; „ხილთა ბაასი“; დავით გურამიშვილი (1705—1792)—„სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პქობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“; პოეტი ქალი მანანა—„მანანასაგან ცილების ბაასი“; გარ. ჩოლოყაშვილი—„ხილთა ქება“, იგივე „ხილთა ბაასი“; გიორგი ქაბუკაშვილი—„ხილთა გაბრკობა“; გოჩა დადიანი—„გოჩასა და სოფლის გაბაასება“; ანონიმი პოეტი—„გაბაასება ბროწეულისა და ჯაშლისა“.

გაბაასების ასეთი დიდი პოპულარობის მიზეზი ის თავისებურება უნდა იყოს, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მართლაც, გაბაასებებს პირველი ნიშანი—დილოგური ფორმა—ორ პირთა ბაასს ნიშნავს და ორი ან რამდენიმე პირის შეხედულებათა

დაპირისპირების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, დიალოგი ხელს უწყობს მკვერმეტყველების განვითარებას, ამიტომ ძველი და ახალი დროის მწერლები ხშირად თავიანთ ფილოსოფიურ, პუბლიცისტურ თუ ბელეტრისტულ თხზულებებს დიალოგურ ფორმაში აყალიბებდნენ.¹ დიალოგს დიდ მნიშვნელობას აძლევდა ა. ლუნაჩარსკი, რომელიც თავისი შრომის „Диалог об искусстве“-ს წინასიტყვაობაში წერდა: „დიალოგი საშუალებას გვაძლევს ობიექტურად გამოვთქვათ მთელი რიგი მოსაზრებები, რომლებიც ერთმანეთს ამაღლებენ და აკსებენ, ავაგოთ შეხედულებათა კიბე და მივიყვანოთ დასრულებულ იდეამდე“. მისივე აზრით, დიალოგის საშუალებით შეიძლება პიროვნებისა და შეხედულებების დახასიათება.² გაბაასების უფრო მეტ პოპულარობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ გაბაასებაში ადვილად ხერხდებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებისა და აზრების დაპირისპირება, ხოლო „დაპირისპირებული აზრების შეჯახება წარმოადგენს კეშმარიტების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებას“.³ კეშმარიტების აღმოჩენა ან მასთან დაახლოება ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის უახლოეს მიზანს. ამას თუ დაეკმატებოდა იმ გარემოებას, რომ გაბაასება იძლეოდა საშუალებას პოეტებს მკვეთრ და მკაფიო ფორმებში გამოეხატათ თავიანთი დიალექტიკური და პოლემიკური შეხედულებები და განწყობილებები,⁴ მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, თუ რატომ მოიპოვა გაბაასებამ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჩვენს ლიტერატურაში გაბატონებული ადგილი.

პირველ რიგში გაბაასებისათვის დამახასიათებელია ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა შეჯახება, რომელიც კეშმარიტების აღმოჩენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, ამიტომ გაბაასებაში უფრო ხშირად მოკამათე მხარეებად გამოყვანილი არიან ისეთი პირები, საგნები ან მოვლენები, რომლებიც ერთმანეთისადმი სრულ კონტრასტს წარმოადგენენ. მაგ., ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში გვხვდება ასეთი გაბაასებები: „ღლე და ღამე“, „ცა და დედამიწა“, „სიკვდილი და სიცოცხლე“, „წყალი და ღვინო“, „კალამი და ხმალი“, „ზამთარი და ზაფხული“ და სხვ. ასეთი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული თვისებების მქონე საგნების ან მოვლენების გასაუბრება და მათი შეხედულებების დაპირისპირება, რა თქმა უნდა, უფრო ეფექტიანია და კეშმარიტებასთან მიახლოების მეტ შესაძლებლობას იძლევა.

1) Литературная энциклопедия, т. III, 1930 г. стр. 267—270.

2) А. В. Луначарский, «Диалог об искусстве», Москва, 1919 г. стр. 1—2.

3) საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია, მოკლე კურსი. თბილისი, 1949, გვ. 129.

4) H. Iantzen, Geschichte des deutschen Streitgedichtes im MA, Breslau, 1896. გვ. 97.

გაბაასების ზემოაღნიშნულ დამახასიათებელ ნიშნებს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადია, ყველა დიალოგური თხზულება ან კითხვა—მიგების სახით დამუშავებული სასულიერო თუ საერო ძეგლი! გაბაასება არ არის, ამიტომ ასეთ თხზულებებს ჩვენს შრომაში არ განვიხილავთ.

ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება,² თითქოს გაბაასება ქართულ ლიტერატურაში მომდინარეობდეს ირანული ლიტერატურიდან და წარმოადგენდეს ახალ ირანულ ლიტერატურაში ცნობილ მუნაზარეს მსგავს ლიტერატურულ ჟანრს. მართალია, ჩვენს გაბაასებასა და ირანულ მუნაზარეს შორის ერთგვარი მსგავსება შეინიშნება, მაგრამ კვლევა-ძიებით არ დასტურდება, რომ გაბაასება ჩვენში ირანული ლიტერატურის გავლენით იყოს შემოღებული.

გაბაასება საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი, განსაკუთრებით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. მართლაც, დღემდე მოღწეულია ბევრი ისეთი ხალხური წარმოშობის ლექსი, რომელიც გაბაასებას წარმოადგენს. ამ მასალების შესწავლა გვარწმუნებს, რომ გაბაასება საქართველოში უფრო ადრე ყოფილა ცნობილი. ვიდრე ის განსაკუთრებულ პოპულარობას ირანულ ლიტერატურაში მოიპოვებდა.

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გაბაასების შესწავლის მიზნით ჩვენ შევამოწმეთ დღემდე გამოცემული თითქმის ყველა ხალხური ლექსების კრებული. ამის შედეგად ვიპოვეთ 20 სახელწოდების დიდი თუ პატარა მოცულობის ხალხური გაბაასება.

როგორც ჩანს, ჩვენს წინაპრებს ძლიერ მოსწონდათ გაბაასება, როგორც თავიანთი დიალექტიკური აზროვნების გამოხატვისა და მსჯელობაში ჭეშმარიტების მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. გაბაასების ჟანრის ხალხური ლექსების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ამ ლექსებიდან ზოგიერთი უძველეს ხანაშია შექმნილი, სახელდობრ იმ დროს, როცა ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი მაგიისა ან ანიმიზმისაგან და ბუნების ძალებს ბრძადა აღმერთებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ასეთი ჟანრის ხალხური ლექსები შინაარსობლივად ძლიერ ემსგავსება იმ ლიტერატურულ ნიმუშებს, რომლებიც „აღორძინების“ ხანაში შეიქმნა და გაბაასებას წარმოადგენს.³ ჩვენ მიერ აღწუსხული ლექსებიდან ზოგიერთი თავისი ფორმითა და შინაარსით უცილობლად გაბაასებას წარმოადგენს. ზოგიერთს, მართალია, გაბაასების დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები არ აქვს, მაგრამ ჩვენ

1) ასეთი ძეგლები ხელნაწერების სახით დიდი რაოდენობით ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში

2) ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი. ქართული მწერლობა, თბილისი, 1949, გვ. 29.

3) ამათი მსგავსება-განსხვავების შესახებ მსჯელობა გვაქვს ქვემოთ, სათანადო ლიტერატურული ნიმუშების განხილვისას.

ეფიქრობთ, ეს ლექსები წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს დიალოგიდან გაბაასებისაკენ.

ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა „სიკვდილისა და სიცოცხლის გაბაასება“. ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი არსებობს და ის გამოქვეყნებულიც არის ხალხური ლექსების სხვადასხვა კრებულში.¹ ამათგან უფრო ვრცელოა ის ვარიანტი, რომელიც პ. უმიკაშვილს აქვს ჩაწერილი. სამწუხაროდ, წიგნზე დართულ შენიშვნებში არ არის ნაჩვენები, სად და როდის არის ჩაწერილი ეს ლექსი. ჩვენთვის საინტერესო იყო გამოგვერკვია ამ ლექსის შექმნის დრო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან თვით ლექსში არ არის მოცემული ისეთი რეალიები, რომლებიც ლექსის დაახლოებით დათარიღების საშუალებას იძლეოდეს. შინაარსობლივად ამ ლექსსა და სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში ამავე თემაზე არსებულ ლექსებს შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს. ჩვენი წინაპრებიც დაინტერესებული იყვნენ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობით და შეუქმნიათ დამოუკიდებელი შინაარსის ლექსი.

პ. უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ლექსი „სიკვდილი და სიცოცხლე“ გაბაასებას წარმოადგენს. ლექსი დიალოგური ფორმისაა და კამათში ჩაბმული მხარეები, სიკვდილი და სიცოცხლე, ცდილობენ თავიანთი სიძლიერის დამტკიცებას და მოწინააღმდეგის დამარცხებას. კამათს სიკვდილი იწყებს. მისი აზრით, სიცოცხლე მისი ყმაა, თვით მას კი არც ბატონი გააჩნია და არც ხელმწიფე. შემდეგ სიკვდილი აღწერს ავადმყოფობის მსუღბლოებას და სიკვდილს, რომელსაც ის თითქოს სიცოცხლეს მოუკლენს.

შემდეგ პასუხს აძლევს სიცოცხლე. მაგრამ სიცოცხლის პასუხი უფრო მოკრძალებულაა. სიცოცხლეს თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად ღვთის დახმარება მიაჩნია.

სიკვდილი მის მიერ წარმოთქმულ მომდევნო პასუხში ყურადღებას არ აქცევს სიცოცხლის პასუხს და კადნიერად ამბობს:

„... ხელს არ მოგცემს ჩემი ბრძოლა,
ათასი რომ რაც გინდა ქნა, ვერ გამოხვალ ჩემი წონა,

წაგაწვენ, ამტენ გაკვნისებ, მოგაწყინოს გვერდზე წოლა“.

სიცოცხლის მომდევნო პასუხში, მართალია, ლაპარაკი აღარ არის სიცოცხლის სიძლიერეზე, მაგრამ სამაგიეროდ გამოძვლავნებულია სიკვდილის დიდი ვერაგობა და გაუტანლობა:

„ღვთისგან წყეულო სიკვდილო, ხორციელობის ლახვარო,
ბებრებ ძალიან ინახამ, ყმაწვილებ გაგვილახამო,

1) პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. 227—228.

ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბილისი, 1931, გვ. 209—210

ს. მაკალათია, თუშური ლექსები, თბილისი, 1937, გვ. 87.

თ. რაზიკაშვილი, ხალხური ლექსები: ქველი საქართველო. ტ. III, 1913—1914, განყოფილება II, გვ. 40.

დროულსა და ახალგაზრდას რატო არ დაინახამო,
მოგვიშლი ახალგაზრდასა, ბებრებ კი შეინახამო.“¹

აკად. აკ. შანიძის „ქართულ ხალხურ პოეზიაში“ გამოქვეყნებული „სიკვდილთან გაბაასება“ ნათქვამია გოგოთურ ქინკარაულის და ჩაწერილია პროფ. გ. წერეთლის მიერ ბარისახო. ში 1925 წ. 2 ამ ლექსში სიკვდილთან გასაუბრებას, როგორც ჩანს, თვით მთქმელი აწარმოებს. ესეც დიალოგური ხასიათისაა, მაგრამ გაბაასების ნიშნები მას ნაკლებად ახასიათებს.

რაც შეეხება ს. მაკალათიას ჩაწერილ თუშურ ლექსს „სიკვდილ-სიცოცხლე“, ის, ჩვენი აზრით, პ. უმიკაშვილის მიერ გამოქვეყნებული ლექსის შემოკლებული ვარიანტია. საყურადღებოა აგრეთვე თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი რვასტრიქონიანი ლექსი „სიკვდილ-სიცოცხლე“.

სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის საკითხს უკაჟშირდება „სულისა და ხორცის ბაასი.“³ სული საყვედურით სავეს სიტყვებით მიმართავს სხეულს და თავი ბედნიერად მიაჩნია, რომ მყრალ სხეულს მოშორდა. უკანასკნელ პასუხში ხორცი თავს დამნაშავედ თვლის სიცოცხლეში ჩადენილი ცოდვებისათვის, მაგრამ სულს სთხოვს იესო ქრისტესთან უშუამდგომლოს, რათა სიკვდილის შემდეგ ის ეშმაკს არ ემსახუროს.

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება ისეთი მითები, რომლებიც ბუნების მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავენ. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ლექსები „შემოდგომა და გაზაფხული“, „ცა და დედამიწა“, „დღე და ღამე“, „მზე და მთვარე“. განსაკუთრებით კი პირველი ორი. ამ მითებს პროფ. მ. ჩიქოვანი უძველესად თვლის.⁴ ჩვენი აზრით ეს მითები უნდა შექმნილიყო იმ ხანაში, როცა ჩვენი წინაპრები ჭერ კბდევ არ იყვნენ განთავისუფლებულნი ანიმიზმისაგან და ბუნების ძალებს გასულიერებულად წარმოიდგენდნენ.

უდავოა, რომ ქართულ მითოლოგიას ქართული კულტურისა და მწერლობის ზოგიერთი საკითხის გარკვევისათვის იგივე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რასაც კ. მარქსი ბერძნულ მითოლოგიას აკუთვნებდა ბერძნული ხელოვნებისადმი, როცა წერდა: „...ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც.“⁵

1) პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937, გვ. 227.

2) ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული. თბილისი, 1931, გვ. 565.

3) თ. რაზიკაშვილი, ხალხური ლექსები. ძველი საქართველო, ტ. III, 1913—1914, განყოფილება II. გვ. 24.

4) მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1946, გვ. 279.

5) კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1932, გვ. 35.

როგორც პროფ. მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, „წლის დროთა ბრუნვა და ჭირანახულის მოწვევა ხალხური პოეზიის მნიშვნელოვან თემას შეადგენს. ლექსადაა ჩაწერილი შემოდგომისა და ზაფხულის გაბაასება.“¹ ამ ხალხურ ლექსში² ერთმანეთს ეკამათებიან წელიწადის ორი უმშვენიერესი დრო შემოდგომა და ზაფხული. კამათს იწყებს შემოდგომა, რომელიც ამაყობს თავისი სიმდიდრითა და უხვი დოვლათით. მართალია, ზაფხული თავის პასუხში ვერ ასახელებს ისეთ ფაქტებს, რომლებითაც ის შემოდგომის დაძლევის მოახერხებს, სამაგიეროდ მას ღრმად სწამს, რომ შემოდგომას ზამთარი შეცვლის და შემოდგომის ნამაგარს ცივი ზამთარი შეიქცევა. აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ ლექსებში არ არის ზამთრისა და ზაფხულის გაბაასება, რომელიც ძლიერ გავრცელებული თემაა სხვადასხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ ჩვენი ქვეყნის კლიმატური პირობების გამო უხვი მოსავლის მიღებისათვის მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ზაფხულსა და შემოდგომას.

გაბაასების საწყისების შესწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია „ცა და ქვეყნის ბაასი“,³ რომელსაც ახასიათებს გაბაასების ყველა სპეციფიკური ნიშანი. ლექსიდან ჩანს, რომ მთქმელს ლექსის შეთხზვის დროს გაუთვალისწინებია ცისა და ქვეყნისათვის (ქვეყნად იგულისხმება დედამიწა. ბ. ქ.) დამახასიათებელი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. მართლაც, ლექსში მოკამათე მხარეები ცდილობენ თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას და მოწინააღმდეგის დამარცხებას. კამათში გამარჯვებული გამოდის დედამიწა, რომელიც მთქმელის მიერ აღიარებულია უხვი მოსავლის მიღების საფუძვლად. მთქმელი ასკვნის:

„ცამ ველარაფერი უთხრა,
ველარ გაწვდა იმის განსა,
შვიდი ჩარეკით დასქარბა
დედამიწამ მალა ცასა“.

ამავე ლექსის ცოტაოდენი სახეცვლილებაა აგრეთვე ის ლექსი, რომელიც გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ „ცა და დედამიწის“ სახელწოდებით.⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ლექსებს არაკეთილარი ურთიერთობა არა აქვს ასადი ტუსელისა და არიფის ამავე სახელწოდების მუნაზარეებთან.

კიდევ უფრო საყურადღებოა „მზე და მთვარე“.⁵ ეს ლექსი, მართალია ჩამოყალიბებული სახის გაბაასებას არ წარმოადგენს, მაგრამ მასში უდავოდ მოცემულია გაბაასების დამახასიათებ-

1) მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი. თბილისი, 1946. გვ. 199.

2) ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934. გვ. 185—186.

3) იქვე, გვ. 186—187.

4) პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937 წ., გვ. 232.

5) ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934. გვ. 143.

ბელი ნიშნები—კამათი და ამავე დროს ბრძოლა უპირატესობის დამტკიცების მიზნით. ლექსი უძველესი წარმოშობისაა, ის მითოლოგიური ხანიდან უნდა მომდინარეობდეს. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ქართული ტომების უძველეს და მთავარ ღვთაებად მთავარე ითვლებოდა.¹ მთვარე ძველთაგანვე ქართველი ხალხის წარმოდგენით მამაკაცია, მზე კი—დედაკაცი. ამ ლექსში ჩანს. რომ მთვარეს პირველობაში მზე ეცილება. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, ქვემარტივებასთან ახლოს უნდა იყოს დოკ. თ. ბეგიაშვილის მოსაზრება, როცა „მზე და მთვარის“ ჩამოყალიბებას ის მიაწერს იმ პერიოდს, როცა ჩვენი წინაპრები გადადიოდნენ მეჯოგეობიდან მიწათმოქმედებაზე.²

გაბაასების ჟანრისაა აგრეთვე შრომის ლექსები, როგორცაა „აჩჩამ უთხრა გუთანსა“³ და „ორხელა და გუთანი“.⁴ ამ ლექსებში, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. კამათში ჩაბმული არის არა ორი მოკამათე მხარე, არამედ რამდენიმე, სახელდობრ აჩჩა, საკვეთელი, სახნისი, გუთანი, ჯამბარა, ხარი და სხვ. ეს ლექსი XII საუკუნეზე უფრო ადრე არ შეიძლება შიქმნილიყო, ვინაიდან გუთანი, რომელიც ლექსში ერთ-ერთ მოპასუხედ არის დასახელებული, ჩვენში შემოღებულაა XII საუკუნეში.⁵ ჩვენ ვფიქრობთ, ეს ლექსი უფრო ახალი დროისაა, რადგანაც მასში დასახელებულია ზარბაზანი, როგორც შედარების ობიექტი, აჩჩა ამბობს: „მოვეკიდ ხის ძირებსა, ზარბაზანისვით დავეკებე“.

ზოგიერთ ხალხურ ლექსში, როგორც ეს შრომის ლექსებშია მოცემული, ბაასში მონაწილეობას იღებს არა ორი, არამედ რამდენიმე მოკამათე მხარე. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი ხალხური ლექსები:

1. „სახსრების ლექსი“⁶ სადაც თავიანთი დიდი ღირსების დამტკიცების მიზნით კამათში ჩაბმული არიან ფრჩხილები, ტერფები, კოკები, მუხლები. ტანადობა, ენა, კბილები, თავი.

2. „ლოგინის გაბაასება“⁷—კამათობენ ფარდაგი, ლეიბი, მუთაქა, საბანი და ბალიში.

3. „ნახშირმა თქვა“⁸—უპირატესობის დამტკიცების მიზნით კამათობენ ნახშირი, ბამბა, პარკის ქია, ფუტკარი, პური და ცხვარი.

1) ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1951, გვ. 59—60.

2) თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1941, გვ. 18.

3) პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937, გვ. 260.

4) თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1941, გვ. 32.

5) ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეთნომიური ისტორია, ტ. I, თბილისი, 1930, გვ. 159.

6) პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937, გვ. 185.

7) საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, აკ. კყონიას რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1936, გვ. 161.

8) ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 162.

ზემოთ დასახელებული ორი უკანასკნელი ლექსი გაბაასების კარგი ნიმუშია.

აგრეთვე საყურადღებოა „ციების ლექსი“¹ და „ხილთა ქება.“² ორივე ლექსი, უდავოდ, გაბაასებაა. ცნობილია, რომ ასეთივე სახელწოდების ლექსები მხატვრულ ლიტერატურაში მოიპოვება. პირველი ეკლეთვის მწერალ ქალ მანანას, მეორე კი—თეიმურაზ II-ს. ამიტომ ზემოთ დასახელებულ ხალხურ ლექსებს ლიტერატურულ ნიმუშებთან ერთად ქვემოთ განვიხილავთ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ძლიერ ბევრია დიალოგიური ლექსი, მაგრამ დიალოგიური ფორმით შეთხზული ყველა ლექსი გაბაასება არ არის. მრავალრიცხოვანი დიალოგიური ლექსებიდან გაბაასებას შეიძლება დავუკავშიროთ შემდეგი ლექსები: „ქალ-ვაჟის გასაუბრება“,³ „ცოლისა და ქმრის გასაუბრება“,⁴ „თოფი და პატრონი“,⁵ „ცხენი“ და ირემი“,⁶ „ვაჟიკა და ხვარამზე“,⁷ ეს ლექსები, ჩვენი აზრით, ჩვეულებრივი დიალოგიდან გაბაასებაზე გარდამავალ საფეხურზე დგას. გაბაასების უმარტივეს სახეს წარმოადგენს ფშავ-ხევსურეთში ფართოდ გავრცელებული კათობა. პროფ. მ. ჩიქოვანის განმარტებით, კათია დიალოგის შედეგად მიღებული მოკლე ლექსია, იგი ლირიკის განვითარებული სახეა. როცა ორი მთქმელი ერთმანეთს შეხედება, მათ შორის სწირად ექსპრომტული დიალოგი იწყება: პირველი ლექსის დასაწყისს იტყვის, მეორემ—გაგრძელება უნდა შეუწყოს. იგი მაშინ დასრულდება, როცა ერთ-ერთი სიტყვას მოუჭრის“. ⁸ ჩვენი შეხედულებით, გაბაასებას ძლიერ უახლოვდება „ფშაველისა და ხევსურის შეჯიბრი“,⁹ „ლეკვა თვარელაშვილისაგან მწარიას“¹⁰ და სხვ.

ამ პატარა მიმოხილვის შემდეგ ვფიქრობთ არ შევცდებითო თუ დაეასკვნით, რომ გაბაასება ჩვენში თავდაპირველად უნდა შემუშავებულიყო ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში - და შემდეგ უნდა ვადასულიყო იგი ლიტერატურაში.

ამ მოსაზრების წამოყენებას უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ხალხური გაბაასების ზოგიერთი ლექსი, განსაკუთრებით

¹) ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 244. ამ ლექსის სხვა ვარიანტი გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ გვ. 224.

²) პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937.

³) საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, აკ. ქვონიას რედაქციით. ტ. II, გვ. 110.

⁴) თ. რახიკაშვილი, ხალხური ლექსები, ძველი საქართველო, ტ. III გვ. 70.

⁵) იქვე, გვ. 49.

⁶) ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 198.

⁷) იქვე გვ. 13.

⁸) მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი. თბილისი, 1946, გვ. 45.

⁹) ვ. ზორნაული, ფშაური მილექსებიანი. თბილისი, 1939, გვ. 19.

¹⁰) იქვე, გვ. 30.

„მზე და შთვარე“, „ცისა და ქვეყნის ბაასი“, „თვეებში“, უდავოდ, უფრო აღრეა შექმნილი, ვიდრე ეს ჟანრი მხატვრულ ლიტერატურაში იქნებოდა გამოყენებული, ამ შემთხვევაში გვულისხმობთ XVII—XVIII საუკუნეებს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მოსაზრება ჩვენზე უფრო აღრე იყო გამოთქმული. მაგალითად, პროფ. მ. ჩიქოვანი წერს: „ფოლკლორში შემუშავებული პოეტური პაექრობის ფორმა ლიტერატურაშიც შევიდა. აღორძინების ხანის ქართველი მწერლები ხშირად თხზავდნენ სხვადასხვა „გაბაასებას“ ასეთი, მაგალითად, თეიმურაზ პირველის „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“, თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა. ანუ გაბაასება ღვინისა და ღამისა“.¹

პროფ. მ. ჩიქოვანი ზემოთ მოყვანილ თავის მოსაზრებას იმეორებს შემდეგ გამოქვეყნებულ შრომაშიც, სადაც აღნიშნავს: „გაბაასების ჟანრის საწყისები ფოლკლორში პირველყოფილი სინკრეტიზმის დაშლის პერიოდისაა ცნობილი და იგი ისტორიულად წინ უსწრებს ანალოგიური ჟანრის ჩამოყალიბებას მწერლობაში“.² (ხაზი ჩვენია ბ. ქ.).

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში გაბაასების შემოღებასა და მის დამკვიდრებას, ხალხური ნიმუშების გარდა, ხელი შეუწყობს მრავალრიცხოვანმა სასულიერო ხასიათის ლიტერატურამ, რომელიც დიალოგის ან კითხვა-მიგების სახით არის წარმოდგენილი. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი სახის თხზულებები გაბაასებას არ წარმოადგენს, მაგრამ ამ ძეგლების დიალოგიური ფორმა და ზოგჯერ მათში ასახული მწვავე ხასიათის კამათი რომელიმე საცილობელი საკითხის შესახებ, ხალხურ ზეპირსიტყვიერ ნიმუშებთან ერთად, ერთ-ერთი წყარო გამხდარა მხატვრულ ლიტერატურაში გაბაასების ჩამოყალიბებისათვის.

ამ აზრის ნათელსაყოფად ქვემოთ მოკლე გვექნება საუბარი ზოგიერთი ასეთი ძეგლის შესახებ.

დიალოგიური ხასიათის თხზულებები ქართულ ენაზე ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ პერიოდში. პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნას ძველი ალექსანდრის წიგნებიდან „იობის წიგნი“.

ჩვენ არ ვიცით, აღნიშნული წიგნი ქართულ ენაზე როდის ითარგმნა, მხოლოდ ცნობილია, რომ ის შეტანილია ათონის ბიბლიაში, რომელიც გადაწერილია ოშკის მონასტერში 978 წელს. „იობის წიგნი“³ აღწერილია ცნობილი ბიბლიური იობის თავგადასავალი, რომლის შინაარსს აქ არ მოვიყვანთ. ჩვენთვის საინტერესოა ამ თხზულების ის ნაწილი, სადაც მოცემულია მრავალტანჯულ იობსა და მის სამ ამხანაგს შორის გამართული კამათი.

1) მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1946, გვ. 46.

2) მისივე, ფოლკლორული ეტიუდები: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1949, გვ. 117.

3) წიგნი ძველისა ალექსანდრისა, ტ. 1. ნაკვეთი II, გამოცემა ა. შანიძისა, თბილისი, 1948. გვ. 145—174.

დაბადება, ნაწილი მეორე, თბილისი, 1884, გვ. 3-58.

პირველად კამათში ებმებინან იობი და მისი ამხანაგები: „ელიფას თემანელთა მეფე, ბალდად სავექელთა მთავარი, სოფარ მინეველთა მეფე“. იობის აზრით, ღმერთი ზოგჯერ, გამოცდის მიზნით, მართალ ადამიანსაც ჰირსა და მწუხარებას მიუვლენს. მისი სამი ძეგობარი კი ამტკიცებს, რომ უტოდველ ადამიანს ღმერთი ჰირს არ შეყრისო. დასასრულ კამათში ებმება ელიუს ვარქილსა ვუზიტელი და ბოლოს თვით უფალი.

ელიუსი, წინა მოკამათების მსგავსად, იობის გამტყუნებას ცდილობს. უფალი პირველ რიგში თავის ყოვლის შემძლეობის შესახებ ლაპარაკობს, ხოლო შემდეგ ის ამართლებს იობს და ელიუსს თემანიტელს ასე მიმართავს: „სცოდე შენ და ორთა მეგობართა შენთა, რამეთუ არა სთქუთ წინაშე ჩემსა არა რაივე ჰეშვარიტი, ვითარცა მონამან ჩემმან იობ“.¹

სასტიკი გამოცდის შემდეგ ღმერთმა ისევ დაუბრუნა იობს ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება. ამის შემდეგ მან იცოცხლა 170 წელი და მოესწრო თავისი შთამომავლობის ოთხ თაობას.

მართალია, ეს თხზულება გაბაასებას არ წარმოადგენს, მაგრამ გაბაასებისათვის დამახასიათებელი ელემენტები აქაც შეინიშნება. თხზულება დიალოგის ფორმითაა წარმოდგენილი. გაბაასების მსგავსად, კამათში ჩაბმული პირები ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებს გამოთქვამენ. ერთ-ერთი მოკამათე (უფალი) თავისი უპირატესობის დამტკიცების მიზნით მრავალ არგუმენტს ასახელებს, რაც ძლიერ დამახასიათებელია გაბაასებისათვის.

როგორც ჩანს, ქართული მკითხველი საზოგადოებისათვის გაბაასების მსგავსი თხზულებანი ცნობილი ყოფილა, თუ უფრო ადრე არა, X საუკუნიდან მაინც.

გარდა ამისა, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში დაცულია საკმაო რაოდენობის პოლემიკური ხასიათის თარგმნილი თხზულებები, როგორცაა მაგალითად: VIII—IX საუკუნეების მოლქაწის პარანელი ეპისკოპოსის თეოდორე აბუქურას თხზულებები:

1. სიტყვისგება იაკობიტთა მიმართ, (A 691, გვ. 152—155.)
2. სიტყვისგება ორიგენიანესა მიმართ, (S 312, გვ. 20—24.)
3. სიტყვისგება ნესტორიანთა მიმართ, (S 312, გვ. 24—28.)
4. სარკინოზთა მიმართ—სიტყვისგებისაგან. (A 65, 311—328.) (შედგება რამდენიმე თავისაგან).

მაქსიმე აღმსარებლის (VII. საუკუნის მოლქაწი) თხზულებანი, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ.² 1. სიტყვისგება: რომელ იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესა და პიროს კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა მწვალებლისა. A 636, გვ. 33—41. 2. „ნეტარისა თალასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონას-

¹) დაბადება, ნაწილი მეორე, თბილისი, 1884, გვ. 57.

²) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1941, გვ. 657.

ტერთაღსა სიტყუათათვის, რომელთა განმარტება ეთხოა მას ნეტარი-
სა მაქსიმესაგან (.\ 536. გვ. 41—181).

შეიძლება დაეასახელოთ აგრეთვე ამოკრიფების ერთი კრებუ-
ლი, რომელიც „მარგალიტის“ სახელწოდებით არის ცნობილი
(S 3529). ზემოთ აღნიშნული თხზულებები დიალოგის უმარტავესი
სახისაა და ისინი წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ კითხვა-პა-
სუხს ზნ. როგორც თვით ტექსტებშია ნაჩვენები, კითხვა-პიგებას.

ამ თხზულებების მიზანი იყო, როგორც აკად. კ. კეკელიძე
აღნიშნავს,¹ არაქრისტიანული რელიგიების წინააღმდეგ ბრძოლა
და მათი მოძღვრების სიყალბის დამტკიცება.

გარდა ამისა, საყურადღებოა ერთი პატარა იგავი, რომელიც
„მამათა სამოთხეში“ გვხვდება.² ამ იგავის შინაარსის გათვალის-
წინება კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ გაბაასების ჟანრის სათავე
ჩვენში, ხალხური ზეპირსიტყვიერების გარდა, სასულიერო მწერ-
ლობაში უნდა ვეძიოთ. შთაბეჭდილების სისრულისათვის იგავის
შინაარსს აქ მთლიანად მოვიყვანთ:

„... თქვა ვინმე მამათაგანმან იგავი ესე სიმდაბლესა, ვითა
მედ ჰრქვა კვიპაროსმან ლერწამსა, ვითარმედ თქვენ უსუსურნი
ხართ, და არა გარდასტყდით ზამთრის და ჩვენ ესრეთ შევიმოუსრე-
ნით, და ოდესმე ძირითურთ აღვიფხურნით.

მიუგო ლერწამმან და ჰრქვა, ჩვენ ოდეს მოვიდეს ზამთარი და
მოჰბეროს ქარმან ძლიერმან, მივდრკით ქარსა თანა იჭი-და აქა.
იშიერ და ამიერ და ამისათვის არა გარდავსტყდით, ხოლო თქვენ
წინააღმდეგობოდით ქარსა და ამისათვის ეკირკით.“³

მართალია, ეს იგავი სრული სახის გაბაასებას არ წარმოად-
გენს. მაგრამ მასში მაინც შეინიშნება ის ელემენტები, რომელნიც
დამახასიათებელია გაბაასებისათვის. საყურადღებოა, რომ ის
თხზულება, რომელშიც ეს იგავი მოიპოვება, თარგმნილია ბერძნუ-
ლიდან 977—980 წელს.⁴ ამგვარად, მეთავე საუკუნის ქართულ მწერ-
ლობაში უკვე გვხვდება გაბაასების საწყისები.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი,
1951 წ. გვ. 445.

² ხელნაწერი A 1144, გვ. 414.

³ ამ იგავზე დოქ. ტ. რუხაძემ მაგვითითა, რისთვისაც მას დიდ მად-
ლობას მოვახსენებთ.

⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი 1951.
გვ. 494.

გაბაასება შუა საუკუნეების უცხოურ ლიტერატურაში

(მოკლე შესწორება)

გაბაასება უცნობი არ ყოფილა ანტიკური და შუა საუკუნეების როგორც აღმოსავლეთის ქვეყნების, ისე დასავლეთ ევროპის ხალხთა ლიტერატურისათვის. შუა საუკუნეებში ირანულ და ნაწილობრივ არაბულ ლიტერატურაში გავრცელებული—მუნაზარე, გერმანულ ლიტერატურაში ცნობილი—*Streitgedicht*, პროვანსალური—*ტენცონები*, ფრანგული—*déhats* და *disputes*, ინგლისური—*e strifs*, რუსული—*прения* გაბაასების სახეცვლილებას წარმოადგენს. ისინი რუსი და ევროპელი მკვლევრების მიერ ჭეროვნულ შესწავლილია და მათი გამოკვლევები მონოგრაფიების სახით არის გამოცემული. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა გერმანელი მკვლევრის მორის შტაინშნაიდერის საკმაოდ ვრცელი შრომა, რომელშიც, გამოკვლევის გარდა, თანდართულ ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილია 160-ზე მეტი თხზულება.

აქ მოხსენებულია შუა საუკუნეებში თითქმის ყველა ენაზე შექმნილი ლექსები: არაბული, სპარსული, ბერძნული, ლათინური, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ებრაული და სხვ. აღსანიშნავია, რომ არცერთი ქართული თხზულება არ არის დასახელებული, მაშინ როცა გაბაასება XVI—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში საკმარისად არის განვითარებული. ეს შეიძლება აიხსნებოდეს შტაინშნაიდერის მიერ ქართული ლიტერატურისადმი უყურადღებობით. რასაც წინათ ევროპელი მკვლევრები ხშირად იჩენდნენ, ან იმ გარემოებით, რომ შტაინშნაიდერმა ქართული ენა არ იცოდა. საერთოდ საკითხის ირგვლივ არსებული მეცნიერული ლიტერატურის შესწავლა მოწმობს, რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა აღნიშნული ლიტერატურული ძეგლები არც ისე შორეულ წარსულში.

ქართულ გაბაასებასა და სხვა ხალხთა ლიტერატურაში ცნობილ: ჩვენ მიერ დასახელებულ ძეგლებს შორის ერთგვარი მსგავსება შეინიშნება, მაგრამ ეს მსგავსება გველენით ან სესხებით კი არ უნდა აიხსნას, არამედ, როგორც აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს: „ერთსადაიმავე სოციალურ პირობებს სხვადასხვა. ერთიმეორისაგან დამორებულ ქვეყნებში, შეუძლია მსგავსი იდეოლოგიური, ზედნაშენობრივი მოვლენები... წარმოშვას“² სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ლიტერატურული ძეგლების, სახეებისა და ფორმების წარ-

¹) M. Steinschneider, *Rangstreitliteratur*, *Sitzungsber. d. Wiener Akademie*, CLV, 4, 1903.

²) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV თბილისი, 1941, გვ. 433.

მომზადს ასევე ხსნიან სხვა მკვლევრებიც, სახელობრ: პროფ. ა. სმარნოვი,¹ პროფ. კ. ჩაიკინი.²

გაბაასების პირველი ნიმუშები გვხვდება ანტიკურ ლიტერატურაში.³ ამის მიზეზი უნდა იყოს ძველი ბერძნების განსაკუთრებული მიდრეკილება შეგიბრებისა, კამათისა და საწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირებასადმი.

მკვლევრები ძველ ბერძნულ ლიტერატურაში გაბაასების ყველაზე ადრინდელ ნიმუშად ასახელებენ ცნობილი შეიგავის ესოპეს სამ იგავ-არაკს: „ზამთარი და გაზაფხული“,⁴ „ბუზი და კიანველა“,⁵ „ყვავი და მერცხალი“.

გაბაასება გამოყენებული აქვს აგრეთვე ბერძენ მწერალ პროდოკოსს. მას დაუწერია თხზულება „ჰერაკლე გზაჯვარედინზე“. რომელიც ვალტერის გადმოცემით,⁶ ერთმანეთს ეკამათებინა ქალები ვლადამიონი და არეტე. ისინი კამათობენ პირველობის შესახებ და ერთმანეთის დამცირებას ცდილობენ. კამათში გამარჯვებული გამოდის არეტე. ვინაიდან ჰერაკლემ, რომლის წინ კამათი მიმდინარეობდა, მას უპირატესობის ჯილდო მისცა.

როგორც ჩანს, ძველი ბერძნები უპირატესობის გამოჩვენების მიზნით ერთმანეთს უპირისპირებდნენ და კამათში აბამდნენ არა მარტო ალეგორიულ ან პერსონიფიციურებულ საგნებს, არამედ პოეტებსაც.

მაგალითად, ცნობილია ლეგენდა „გაბაასება ჰომეროსისა და ჰესიოდისი“. რომელიც ჩართულია ჰომეროსის ბიოგრაფიაში.⁷ ამ ლეგენდის მიხედვით, კამათის დამსწრე ელინელები უპირატესობას აღედგინენ ჰომეროსს, მაგრამ მეფე პანედი. რომელიც თავმჯდომარე ყოფილა კამათისა, უპირატესობას ანიჭებდა ჰესიოდეს და აღნიშნავდა, რომ გამარჯვება კანონით ეკუთვნის იმას, ვინც ხალხს მოუწოდებს: მიწათმოქმედებისა და მშვილობისაკენ და არა იმას, ვინც მოგვითხრობს ომებსა და ხოცვა-ჟლეტაზე.⁸

ასეთივე პოეტურ კამაოს წარმოდგენს აგრეთვე „გაბაასება ნეანდრესი და თილესტონისა“.⁹ გარდა ამისა, ზოგერთი მკვლევარი ერთგვარ მსგავსებას ხედავს ბერძენი პოეტის თეოკრატეს

¹) История французской литературы, т. I, Москва, 1946 г. стр. 88.

²) К. Чайков. Асаян старший и Асаян младший: Сборник «Фердовся» (934—1934). Ленинград, 1934 г. стр. 134.

³) H. Walther, Das Streitgedicht in der lateinischen Literatur des Mittelalters. Berlin, 1914, გვ. 5.

⁴) Aesopi, Fabulae, II, Paris, 1926, p. 526.

⁵) ესოპე, იგავნი. ს. იორდანიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბილისი, 1944, გვ. 44.

⁶) იხ. ჰ. ვალტერის დასახელებული შრომა, გვ. 5.

⁷) იქვე.

⁸) И. Тронский, История античной литературы, Ленинград, 1947 г. стр. 64.

⁹) იხ. ჰ. ვალტერის დასახელებული შრომა, გვ. 9.

(III საუკუნე. ჩვ. ერამდე) და რომაელი პოეტის ვირგილიუსის (პირველი საუკუნე ჩვ. ერამდე) ბუკოლიკურ ლექსებსა და გაბაასებას შორის. მართლაც, გაბაასების მსგავსად ბუკოლიკურ ლექსებში გამოყვანილი არის ორი პირი, უმეტესად მწყემსები. რომლებიც ერთმანეთს შორის აწარმოებენ კამათს. ირჩევნ მონამართლეს რომელიც განსაზღვრავს კამათის წყსრიგს და შემდეგ წარმოთქვამს თავის განჩენს. მაგრამ აქ კამათი წარმოებს არა მოკამათე მხარეების უპირატესობის დამტკიცების მიზნით, არამედ მწყემსების ცხოვრების ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ჩვენი აზრით. ბუკოლიკურ ლექსებში შეიძლება გაბაასების საწყისები მოიპოვებოდეს.

გაბაასებამ უფრო სრულყოფილი სახე როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ მიიღო შუა საუკუნეების ლათინურ ლიტერატურაში. ლათინურ გაბაასებებში წარმოდგენილია მკაცრი პოეტური ტურნირი მკვდარი და ცოცხალი ბუნების მოკლენებისა, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან პირველობისა და უპირატესობისათვის.¹

3. ვალტერი თავის შრომაში ასახელებს რამდენიმე ლათინურ გაბაასებას. მისი ცნობით ასეთია: 2 „ლრუბელი და სეტურნი“. „კიბო და ცისარტყელა“. „პაერი და ქარი“. რომელთა პაქრობა მიმდინარეობს ღმერთის ტახტის წინ. „ნაპირი და ზღვა“. „მდინარე და ზღვა“. „მთა და ბარი“. „ოქრო და ტყვია“. „ვერცხლი და რკინა“. „სასახლე და კლიტე“. „ბაყაყი და კიბო“. „ქათამი და მტრედი“. რომელთა კამათი წარმოებს არწივის, როგორც მსაჯულს წინ. „გარეული ღორი და ვირი“. მსაჯულია ადამიანი. „ეუჭი და ადამიანის ორგანიზმის სხვა ნაწილები“. „აგული და თვალი“. „ცხენი და ვირი“. „ხბო და ყანა“. „ცხვარი და ძალი“—მსაჯულია მგელი. ზოგჯერ პირველობისათვის ურთიერთშორის კამათობენ ხეები. მაგალითად, ცნობილია „გაბაასება ფიჭვისა და ასკილისა“. გარდა ამისა, ძლიერ პოპულარული ყოფილა „გაბაასება სიკვდილისა და სიცოცხლისა“.

როგორც ვალტერი აღნიშნავს, ზემოთ ჩამოთვლილ თხზულებებში კამათი წარმოებს არა განყენებული ან ზოგადი ხასიათის საკითხებზე. არამედ ამ თხზულებებში მოკამათე მხარე ან თავისთავს იქებს, ან მეორეს დასცინის. ხან კი თხზულებაში ერთად არის მოცემული თავისთავს ქება და მოწინააღმდეგის დაცინება.³ ლათინურ თხზულებებს დართული აქვს დასკვნა, რომელსაც ამბობს ან მსაჯული, ან კამათის დამსწრეთა გარკვეული წევრი. ზოგჯერ დასკვნა სენტენციის სახით არის მოცემული. ჩვეულებრივ კი თხზულებები მთავრდება მორალურ-თეოლოგიური ხასიათის მითითებებით.⁴

ვალტერის გადმოცემით, შუა საუკუნეებში გაბაასება არც რე-

¹) H. Etha, Über persische Tenzonen; Verhandlungen d. V. internat. Orientalisten Congress. Berlin. 1882, გვ. 59.

²) იხ. 3. ვალტერის დასახელებული შრომა, გვ. 14—15.

³) იქვე, გვ. 15.

⁴) იქვე.

ლიგიური ხასიათის თხზულებებისათვის ყოფილა უცნობი. მაგალითად. შექმნილია მრავალრიცხოვანი ქრისტიანული აპოლოგეტური ხასიათის თხზულება. რომლებიც გაბაასების სახით ყოფილა დამუშავებული. ცნობილია ისეთი თხზულებები, სადაც კაპათი წარმოებს ქრისტიანებასა და ებრაელებს შორის უპირატესობის დინტიკების მიზნით. მოკამათე მხარეები იშველიებენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს.¹

საერთოდ ებრაელები ძლიერ დახელოვნებული ყოფილან გაბაასების შექმნაში. შტაინშნაიდერის აზრით, გაბაასება პირველად ებრაულ პოეზიაში არაბული ნიშნულების მიხედვით შეუტანია XII საუკუნის ებრაელ პოეტს აბრამ იბნ-ეზრას, რომელსაც მიეწერება: „პური და ღვინო“. „ზამთარი და ზაფხული“, „შაბათი და უქმე დღეები“. „გომობის ხუთი ორიგანო“, „ცხოველი და ადამიანი“ და სხვ.²

გაბაასება ძლიერ პოპულარული იყო შუა საუკუნეების ფრანგულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით სამხრეთ საფრანგეთში. პროვანსში. პროვანსალურ ლიტერატურაში გაბაასების ძანრის თხზულებები ტენცონების სახელწოდებით არის ცნობილი. სიტყვა ტენცონა ანუ ტენსონა (ფრანგული Tenson, პროვანსალური Tens — მომდინარეობს ლათინური Tensio — დან) ნიშნავს კაპათს, შეიკბრებას, დისპუტს.³ ტენცონა, როგორც პოეტური ნაწარმოები, წარმოადგენს ორი პოეტის ან პერსონიფიციკრებული საგნის გალექსილ დიალოგს. დისპუტს — სასიყვარულო, პოეტურ ან ფილოსოფიურ საკითხებზე.⁴

ტენცონა მეტად გავრცელებული იყო პროვანსელ ტრუბადურთა შორის. ტრუბადურები ტენცონებში უფრო მეტად გამოხატავენ თავიანთ რომანულ განწყობილებებს.

ზშირად ტრუბადურების კაპათი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა დისპუტი გადავიდოდა სატირულ მხილებასა და ლახმღვაგინებაში. მაგალითად. ტენცონაში, რომლის მონაწილეები არიან ტრუბადურები, რამბო დე-ვაგეირა და მარკიზ დე-მალასპინა. მოკამათეები ერთმანეთს ბრალს სდებენ მკვლელობაში, ფიცის კატეხაში. მაგ., ტენცონის დასასრულს მოწინააღმდეგე მარკიზს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „თქვენ ხართ უსინდისო ადამიანი: თქვენი ერთადერთი საშუალებაა გამკემლობა და ვერაგობა: თქვენ ღუპავთ მას, ვინც გამსახურებოდათ. თქვენ ასევე არასანდო ხართ მეგობრობაში.“⁵

¹) იხ. J. ვალტერის დასაბულებული შრომა, გვ. 21.

²) იხ. შ. შტაინშნაიდერის დასაბულებული შრომა, გვ. 85—86.

³) Grand dictionnaire universel. Paris. T. 14, 83. 1614.

Энциклопедический словарь, т. XXXII. Издатель: Ф. Брокгауз и И. Ефрон, С.-Петербург, 1901 г. стр. 874.

⁴) Энциклопедический словарь, т. XXXII, стр. 874.

История французской литературы, Москва, 1946 г. стр. 83.
H. Knobloch, Die Streitgedichte im Provenzalischen und Altfranzösischen. Berlin. 1874, 83. 13

⁵) Энциклопедический словарь, т. XXXII, стр. 874.

პროვანსალური ტენციონის ნიმუშად შეიძლება დასახელებულ იქნას ტენციონა „ნაიადლი სტილის“ დამკვიველ გირაუტ დე ბორნელისა (1175—1220) და ჩაინბაუტ III ორანელის გრაფისა (მართავედა 1150—1173.), რომელთაც დამკვიველი იყო „ბნელი სტილისა“ და გამოდიოდა ფსევდონიმით „ლინაორ“.¹

შუა საუკუნეების ფრანგულ ლიტერატურაში ტენციონების გარდა ცნობილი იყო Débat-ები და Dispute-ები, რომელიც წარმოადგენდა კამათს ორ პოეტს ან საგანს შორის უპირატესობის დამტკიცების მიზნით. მაგალითად, „კამათი ზამორისა და ზაფხულისა“. ლათინურიდან მომდინარე ანონიმური „ჩხუბი სელისა სხეულთან“ („Débat du corps — et de l'âme“), რომელიც XII საუკუნის დასაწყის ხანას ეკუთვნის.²

აგრეთვე ცნობილია შემდეგი ფრანგული კამათის ლექსები: „ლინო და წყალი“, „თვალი და გული“, „სინაგოგა და ეკლესია“, „ანღაგზორა და მოხუცი“. „სილარიე და სიმდიდრე“,³ „ფრანგები და პროვანსელები“. „სიმდიდრე და სიბრძნე“.⁴

ტენციონები ძლიერ პოპულარული ყოფილა პროვანსალურ ლიტერატურაში XIII—XIV საუკუნეებში. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან კი მისი გავლენა ძლიერ მცირდება.

ტენციონების შესახებ ლამარაკი შეიძლებაოდა ამით დაგვემთავრებინა, მაგრამ საუკუნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ტენციონის წარმოშობის შესახებ. მაგ., გერმანელმა ორიენტალისტმა ჰერმან ეთემ 1882 წელს პიპოთეზის სახით,⁵ ხოლო შემდეგ 1904 წელს უფრო დაბეჯითებით გამოთქვა აზრი, რომ თითქოს პროვანსალური ტენციონები წარმოშობილი იყოს აღმოსავლური მეწაწარეების გავლენით. ეთე გავლენის ორ გზას ასახელებს: ქვაროსნულ ომებს და მაგრიტანულ—ესპანურ ლიტერატურას, რომელიც მკვიდრო ურთიერთობაში იყო შუა საუკუნეების ფრანგულ ლიტერატურასთან.

კვლევა-ძიებით არ დასტურდება ეთეს ზემოთ დასახელებული შეხედულება. პირიქით. დღეს სპეციალისტ მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ ტენციონა წარმოიშვა არა აღმოსავლური პოეზიის გავლენით, არამედ იმპროვიზაციულ ხალხურ ოთხტაეპოეზიან პოეზიიდან და ეონგლიორების სახეშარო კამათებიდან.⁷

ინგლისური გაბაასების შესახებ ცნობებს გიავქდის ჰერმან

1) Хрестоматия по западно-европейской литературе (IX—XV в.в.), Москва, 1938 г. стр. 147.

2) История французской литературы, Москва, 1946 г. стр. 63.

3) В. Ш т а и н შ ნ ა ი დ ე რ ი ს დასახელებული შრომა, გვ. 20.

4) H. E t h e, Über persische Tonzonen, გვ. 54.

5) იქვე, გვ. 51.

6) H. E t h e, Neupersische Literatur (Grundriss der iranischen Philologie, II, 1904), გვ. 226.

7) История французской литературы, Москва, 1946 г. стр. 87.

ეთი თავის უკვე დასახლებულ შრომაში¹ გაბაასებას ინგლისურ ლიტერატურაში ეწოდება: e strifs — რაც ინგლისურად ნიშნავს ბრძოლას, კამათს, ცილობას, პაექრობას.² ეთეს აზრით, ინგლისური e strifs როგორც შინაარსის, ისე იდეის მხრივ ძლიერ მსგავსია სპარსული მუნაზარეებისა. მსგავსებას ეს ჩვეულებრივ ჯვაროსნული ომების შედეგებით ხსნის, როცა რიჩარდ ლომგულისა და სალადინის მეზობლები ერთმანეთს ხვდებოდნენ. მაგრამ ორი ლიტერატურული ფორმის მსგავსების ასეთ ახსნას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

შემდეგ ეთი თავის შრომაში ჩამოთვლის 30-მდე ინგლისურ თხზულებას, რომლებიც გაბაასებას წარმოადგენს. ამათგან რამდენიმეს ჩვენც დავასახელებთ: 1. განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა „კამათი ღურგლის ხელსაწყობებს შორის იმის შესახებ, თუ რომელი მათგანია უფრო სასარგებლო პატრონისათვის“. კამათში მონაწილეობენ: ცული, ჩაქუჩი, სატეხი, ბურღი, კომპასი, ფარგალი, თარაზო, ხერხი, სალესაეი, საზომი, ცარცი, დანა პუნქტირისათვის, დანის პირი, მასშტაბი, ბერკეტი, სახაზაეი, შალაშინი. ძაფის შორკვი, ვაზი და სხვ. „შამუ და ბულბული“, 3. „ცხენი, ცხვარი და ბატი“. 4. „ზაფხული და ზამთარი“. 5. „სული და სხელი“. 6. „მელა და მგელი“. 7. „ბუ და ბულბული“. 8. „ქმარი და ცოლი“. 9. „რაინდი და სასულიერო პირი“. 10. „ღვინო და ლუდი“, 11. „ვაკარი, რაინდი და მიწის მუშა“. 12. „ლენტი, მანქეტი და ჰალსტუხი“. 13. „მოხუცი და ახალგაზრდა.“ როგორც ვხედავთ, ინგლისურ გაბაასებაში უფრო ხშირად კამათში ჩაბმული არის ორი პირი, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მოკამათეთა რიცხვი ორზე მეტია. აგრეთვე დისპუტში ჩაბმულნი კამათობენ არა მარტო თავიანთი უპირატესობის დამტკიცების მიზნით, არამედ ზოგჯერ მათი კამათის საგანი მესამე პირის ღირსება-ნაკლოვანებანიც. როგორც ეს მაგალითად მოცემულია „მოხუცისა და ახალგაზრდის გაბაასებაში“, სადაც ისინი კამათობენ ქალების ღირსების შესახებ.

ეთეს გადმოცემით, ზოგჯერ ინგლისურ გაბაასებას კვლევენ წარსოვად გენდენ სტენაზე.³ ხშირად დავის გადასაწყვეტად აქაყ გაპოყოფილან მსაქს, რომელიც უპირატესობას ხან ერთ მხარეს აკუთნებდა ხან მეორეს, ასეთია „სობრინე და სისულელე“.

გერმანულ ლიტერატურაში გაბაასება ცნობილია Streitgedicht-ის სახელწოდებით, ზოგჯერ მას Rangstreit-ს უწოდებენ. როგორც პირველი, ისე მეორე აღიარებულია გერმანული პოეზიის ერთ-ერთ ენაოდ და გამონათქვამს სულიერი ან გაპიროვნებული საგნების კამათს უპირატესობის (პირველობის) დამტკიცების მიზნით.

Streitgedicht—ებში ხშირად კამათი წარმოებს არა მარტო საუბარში ჩაბმული პირებისა უპირატესობის დამტკიცების მიზნით, არა-

¹) H. Ethe, Über persische Tenzonen, გვ. 55—56.

²) Англо-русский словарь Москва, 1943 г. стр. 663.

³) H. Ethe, Über pers. Tenzonen, გვ. 53.

მედ ასეთი ქანრის ლექსებში ზოგჯერ მოკამათე პირები გამოჩაბტა-
ვენ ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებს ამა თუ იმ საგნის
ან მოვლენის შესახებ.

კამათში გამარჯვებულს ხშირად ასაჩუქრებდნენ წინასწარ შერ-
ჩეულა ჭილდოთი.¹

გაბაასება გერმანულ ლიტერატურაში სათანადოდ შესწავლი-
ლი აქვს პერმან იანტცენს თავისი საღისერტაციო ნაშრომში.² რო-
გორც იანტცენის შრომიდან და სხვა წყაროებიდანაც ჩანს, გერმა-
ნულ ლიტერატურაში გაბაასება ჩნდება XIII საუკუნიდან. უძვე-
ლესი და ძველი გერმანული პოეზია ამ ლიტერატურულ ქანრს არ
იკნობს.

გერმანულ ლიტერატურაში გაბაასების საუკეთესო ოსტატად
ითვლება ჰანს ზაქსი (1494—1576), რომელსაც დაუწერია
ათამდე გაბაასება. ამთგან შეიძლება დასახელებულ იქნას რამდე-
ნიმე: „ზათხული და ზამთარი“, „ძონეცი და ახალგაზრდა“, „საქვ-
დილი და სიცოცხლე“, „მამაცობა და ძოთმინება“ და სხვ.³

გაბაასება ცოტაოდენი სახეცვლილებებით, როგორც ჩანს, გა-
მოყენებული იყო გერმანულ რაინდულ ლირიკაში, რომელიც
მინნეზინგერის სახელწოდებით არის ცნობილი. მხოლოდ აქ კამა-
თი ქალ-ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობის საკითხებს ეხება.

შუა საუკუნეების ადამიანებს ძლიერ აინტერესებდათ ადამია-
ნის სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის საკითხი, რომელიც ხშირად
გამხდარა მერტად საინტერესო თემა როგორც მხატვრული ლიტე-
რატურაში, იმე სცენისა და მხატვრობისათვის. ინტერესო ამ საკი-
თხისადმი განსაკუთრებით გაძლიერებულა XV საუკუნეში. 1438
წლის ქირიანობის შემდეგ.⁴ მართლაც, XV საუკუნის
გერმანულ მწერალ ნიკოლოზ მერკატორის დაუწერია თხზულება
„საყველიერო თამაშობანი სიკვდილისა და სიცოცხლისა“.
რომელიც გამოქვეყნებულია 1576 წელს.⁵ იმავე XV საუკუნეში
უცნობი გერმანული მწერალი გასცნობია რა მერკატორის თხზულე-
ბას, დაუწერა „დილოგი სიკვდილისა და სიცოცხლისა“. ეს უკა-
ნასკნელი კი გამოქვეყნებია 1876 წელს ვინმე მანტელსონს წიგნში:
Jahrbuch des Vereins zur niederdeutsche Sprachforschung, Berlin,
1876.⁶ ეს თხზულება გაბაასებას წარმოადგენს, ვინაიდან მასში
მოცემულია კამათი სიკვდილისა და სიცოცხლეს შორის და თითო-

¹) Reallexikon der deutschen Literaturgeschichte, B.I. III. Berlin.
1907. S. 310—311.

²) H. Jantzen, Geschichte des deutschen Streitgedichtes im MA.
Breslau. 1898.

³) იხ. მ. შტაინზნაიდერის დასახელებული შრომა, გვ. 67.

История западно-европейской литературы. Москва. 1947 г. стр. 386.

⁴) История русской литературы, т. II, Москва, 1946 г. стр. 293.

⁵) И. Жданов, К литературной истории русской бытовой поэзии.
Сочинения И. Н. Жданова, т. I. С.-Петербург, 1904 г. стр. 500.

⁶) იქვე, გვ. 501.

ეული მათგანი ცდილობს თავისი სიძლიერის დამტკიცებას. მარ-
ვალია, თხზულებაში სიცოცხლე მარცხდება, მაგრამ ეს გარემო-
ება არ ამცირებს თხზულების მნიშვნელობას. ეს ნაწარმოები
XV.—XVI საუკუნეებში გერმანიაში რამდენჯერმე გამოუციათ ილუ-
სტრაციებით და ძლიერ სწრაფად გავრცელებულა.

გერმანიაში ეს ენარი უკანასკნელ დრომდე განაგრძობდა არ-
სებობას. ახალ გერმანულ ლიტერატურაში გაბაასების საუკეთესო
ნიმუშია „გაბაასება ულანდსა და რიუკერტს შორის“,—ორივე
XIX საუკუნის პოეტები არიან.¹

გერმანული გაბაასებიდან საყურადღებოა შემდეგი თხზულებ-
ები: „სული და სხეული“, „შებრალება, ზავი, სამართლიანობა
და ალაღმართლობა“. „ქალი და მღვდელი“, „ქალი და ქალწული“.
„სიცოცხლე და სიკვდილი“, „პატიოსნება და სირცხვილი“. „სათ-
ნოება და ბოროტება“, „სიმართლე და სიცრუე“, „სიმდიდრე და
სიღარიბე“. „სობრძნე და ს-სულელე“ და სხვ.²

3. იანტცენის გამოკვლევით გააბასება არც სკანდინავიური და
დანიური ლიტერატურისათვის ყოფილა უცნობი. სკანდინავიურ
ლექსებში ჭერ თვით ავტორი ლაპარაკობს, შემდეგ კი თხზულების
გმირებზე ეკამათებინ ერთმანეთს.³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების მხატვრობა
ხშირად ახდენდა სიმბოლოზაციას გაბაასებაში მოცემული კამათის
სცენებისას. მაგალითად, VIII საუკუნის დასასრულს საეკლესიო
მხატვრობა ალეგორიულად ასახავდა კამათს ეკლესიასა და სინაგო-
გას შორის. აღნიშნული კამათის ზოგიერთი მომენტი გამოხატუ-
ლია სპილოს ძვლის ფირფიტებზე. XI საუკუნიდან გაბაასების
სცენების ასახვა იწყება მინიატურულ მხატვრობაშიც. უფრო გვიან
გაბაასების მოტივები შედის პლასტიკურ ხელოვნებაში და იქმნე-
ბა ხელოვნების შედეგები, რომლებიც გვხვდება პარიზის ღვთის-
მშობლის ტაძრის დასავლეთის მხარეზე. აგრეთვე რეიმსის ტაძრის
შესავალთან და ფრაიბურგის ტაძრის ვესტინბულში.⁴

გაბაასება ძლიერ გავრცელებული იყო ირანულსა და არაბულ
ლიტერატურაში. ირანულ ლიტერატურაში გაბაასება „მუნაზარეს“
სახელწოდებით არის ცნობილი. მუნაზარე ნიშნავს ბაასს, კამათს
(მსჯელობას) საკუთარი აზრის დაცვას რაიმე საკამათო (სადავო)
საკითხის შესახებ.⁵

¹) Reallexikon der Deutschen Literaturgeschichte, Bd. III, Berlin.
1920/21, №3. 310—313.

²) იქვე.

³) იხ. 3. იანტცენის დასახელებული შრომა, გვ. 28.

⁴) Reallexikon der Deutschen Literaturgeschichte, გვ. 310—313.

⁵) Проф. X. Баранов, Арабско-русский словарь, Москва —
Ленинград, вып. 4, 1946 г. стр. 503.

Dictionary Turc-Arabe-Persan par Jules Theodore Zenker, გვ. №51.
M. Гаффаров, Персидско-русский словарь, т. II, Москва, 1927 г.
стр. 321.

ირანულ ლიტერატურაში მუნაზარე იხმარება ლიტერატურულ-ლი ეანრის სახელად.¹ მუნაზარეს, როგორც ლიტერატურული ეანრის შედარებით სრულ განმარტებას იძლევიან კ. ჩაიკინი,² აბულ-კასიმ-ზარე³ და ე. ბერტელსი.⁴ მათი აზრით, მუნაზარედ ცნობილ თხზულებაში ასახულია დისპუტი, კამათი ერთმანეთის საწინააღმდეგო რწმენის ან შეხედულებების მქონე ორ ან, იშვიათ შემთხვევაში, სამ პიროვნებას შორის. კამათის მონაწილე თითოეული მხარე, ასახელებს რა თავის ორისებებს, ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას და მოწინააღმდეგეა მიერ მოყვანილი არგუმენტების გაბათილებას. მუნაზარის მონაწილე მხარეები ან ადამიანები არიან, ან უსულო საგნები, ან ცხოველები, ანდა გაპიროვნებული ბუნების საგნები, კამათი ზოგჯერ წყდება მესამე პირის ჩარევით, რომელიც ერთ-ერთ მხარეს აყუთვნიებს უპირატესობას. ეს მესამე პირი, რომელსაც ენიჭება, კამათის შედეგზე ბრძნული გადაწყვეტილების გამოტანის უფლება, თხზულების დასასრულს ობიექტია ავტორის ქებადიდებისა. თუმცა არის ისეთი მუნაზარეები, რომლებშიაც მესამე პირი არ ჩანს. ასეთ შემთხვევაში კამათი სრულდება დაეაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ თავისთავის დამარცხებულად აღიარებით.

ირანული მუნაზარის შესწავლისადმია მიძღვნილი საკმაო რაოდენობის შრომა როგორც რუსი, ისე ევროპელი მკვლევარებისა. ასეთია, მაგალითად, ზემოთ დასახელებული შრომები კ. ჩაიკინის, ე. ბერტელსისა და აბულ-კასიმ-ზარესი: ევროპელი მკვლევრებიდან კი შეიძლება დაეასახელოთ ჰერმან ეთე⁵ და მ. შტაინშნაიდერი.

მ. შტაინშნაიდერისა და პ. პორნის⁷ აზრით, თითქოს მუნაზარე პირველად წარმოიშვა არაბულ ლიტერატურაში და იქიდან შემდეგ ირანულში გადავიდა. პირველი არაბული მუნაზარის ავტორად ასახელებენ VIII საუკუნის პოეტს—ჯერიოს. რუსი მეცნიერი აკად. ე. კრაჩკოვსკი⁸ და გერმანელი ლ. ზელბახი⁹ კი ფიქრობენ, რომ ირანული მუნაზარეების გავლენით უნდა შექმნილიყო არაბულ ლიტერატურულ ეანრად თვლიან (იხ. ამის შესახებ მათი ჩვენდამი მოწერილი წერილები 3. XII, 1947; 14. V, 1947.).

¹) აკად. ე. კრაჩკოვსკი და დოც. ა. ბოლდირევი მუნაზარეს ლიტერატურულ ეანრად თვლიან (იხ. ამის შესახებ მათი ჩვენდამი მოწერილი წერილები 3. XII, 1947; 14. V, 1947.).

²) К. Чайкин, Асади старинный и Асади младший: «Фердовси», 1934. стр. 132—134.

³) Абу-ль-Касим Зарре, Очерк литературы Ирана: «Восток», Сборник, II, 1935 г. стр. 56—98.

⁴) Е. Бертельс, Очерк истории персидской литературы. Москва, 1928 г. стр. 33.

⁵) Н. Et he, Über persische Tenzonen.

Мოსку, Neupersische Literatur... გვ. 226-227.

⁶) იხ. მ. შტაინშნაიდერის დასახელებული შრომა, გვ. 7.

⁷) P. Horn. Geschichte der persischen Literatur, 1901, გვ. 119.

⁸) აკად. ე. კრაჩკოვსკის მიერ ჩვენდამი მოწერილი წერილი. 3. XII. 47.

⁹) L. Selbach. Das Streitgedicht in der altprovenzalischen Lyrik. Marburg. 1886. გვ. 20.

ტრატურაში მუნაზარის მსგავსი ლექსები. უკანასკნელი შესხედულა. ჩვენი აზრით, ქეშმარიტებასთან ჟღერო ახლო უნდა იყოს; ჯერ ერთი იმიტომ, რომ მუნაზარის უანარს პირველი თხზულება დღემდე მოღწეულია ფალაური ლიტერატურიდან. ეს არის V საუკუნის ლექსი „კამათი სირიული ხისა და თხისა“.1 გარდა ამისა, ცნობილია, რომ როგორც ისლამის წინაღობიანდელი, ისე ისლამის გავრცელების შემდეგ შექმნილი ირანული ლიტერატურა და საერთოდ კულტურა საკმაო გავლენას ახდენდა არაბულზე.

ფალაური „კამათი სირიული ხისა და თხისა“ ე. ბენენისტეს შრომაში განხილულია ვერსიფიკაციული თვალსაზრისით და მოცემულია ცდა ტექსტის აღდგენისა. შრომაში თხზულებიდან მოყვანილია მხოლოდ პატარა ნაწყვეტები, რომლებიც არ იძლევა მთლიან თხზულებაზე წარმოდგენას. შრომიდან მხოლოდ ჩანს, რომ კამათში გაუმარჯვია თხას. ლექსში არ არის ვინმესადმი მიმართული ხობა.

ახალ ირანულ ლიტერატურაში მუნაზარის შემომღები და დამმკვიდრებელია XI საუკუნის პოეტი ასადი ტუსელი. ასადი ნიკიერი პოეტი ყოფილა, მას მუნაზარეების გარდა დაუწერია პოემა „გერშასფ-ნამე“ და შეუდგენია ლექსიკონი. მაგრამ ის, უპირველეს ყოვლისა, ირანული ლიტერატურის ისტორიაში ითვლება მუნაზარეს უბადლო ოსტატად. მის მიერ შეთხზული მუნაზარეებიდან დღემდე მოღწეულია ხუთი: 1. „მუნაზარე დღისა და ღამისა“ 2. „მუნაზარე მშვილდისა და შუბლისა“, 3. „მუნაზარე მიწისა და ცაისა“. 4. „მუნაზარე არაბისა და სპარსელისა“ და 5. „მუნაზარე მახდვიანისა და მუსლიმანისა“.

ირანული ლიტერატურის მკვლევრები (პ. ეთე, ე. ბერტელსი, ე. ბოლდირევი) აღნიშნავენ, რომ ასადის თანამედროვე და შემდეგდროინდელ ირანულ ლიტერატურაში მუნაზარეს დიდი პოპულარობა მოუპოვებია. მართლაც, ასადის თანამედროვე, XI საუკუნის პოეტს ფაჰრ-უდინს დაუწერია „მახვილისა და კალმის მუნაზარე“,2 რომელშიაც მოცემულია მახვილისა და კალმის კამათი. X.III—XV საუკუნეების ირანულ ლიტერატურაში მუნაზარე, როგორც დამოუკიდებელი სახის მხატვრული ნაწარმოები, თაქმის არ გვხვდება. მართალია, ამ დროსაც იწერება მუნაზარეები, მაგრამ ისინი ჩართულია რომელიმე ეპიკურ თხზულებაში და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად:

1) Абу-ль-Касим Зарре, Очерки... Москва—Ленинград, 1935 г. стр 57.

E. Beauveniste, Le texte du draxt Asurik et la Versification Pehlevie. Journal Asiatique. 1930. T. CCXII. pp. 198-225.

აად. ე. კრაჩკოვკისა და დოც. ა. ბოლდირევის ჩვენდამი მოწერილი წერილები. 3. XII. 47, 14-V. 47.

2) გამოცემულია პ. ეთეს მიერ. იხ. H. Ethe, Über persische Tenzonen. pp. 118.

1. „მუნაზარე ცისა და მიწისა“¹ რომლის ავტორია XV საუკუნის სპარსელი პოეტი არიფი. ეს მუნაზარე გვხვდება ამავე ავტორის მისტიკურ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „ბურთი და ჩოგანი“.

2. „მუნაზარე ისრისა და მშვილდისა“² — XVI საუკუნის პოეტის ჰილალისა, ჩართულია იმავე ავტორის თხზულებაში „მეფე და დეოვიში“.

მუნაზარე ირანულ ლიტერატურაში XVI—XVII საუკუნეებში არსებობდა და ამ ხანაში საეპოქო რაოდენობის თხზულებებიც შექმნილა, რომელთა დაახლოებით ზუსტი ბიბლიოგრაფია მოცემული აქვს პ. ეთესა და მ. შტაინშნაიდერს. აღსანიშნავია, რომ ერთა და იმავე საკითხის შესახებ, როგორც ეს საერთოდ ახასიათებს ირანულ ლიტერატურას, რამდენიმე მუნაზარე დაუწერიათ სხვადასხვა დროის პოეტებს. მაგალითად, რამდენიმე მუნაზარე შექმნილა კალმისა და ხმლის, ცისა და მიწის, მშვილდისა და ისრის ურთიერთობის შესახებ.³

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ირანულ ლიტერატურაში ლექსითი მუნაზარეების გვერდით არსებობს პროზითი მუნაზარეები, რომელთა ნიმუშად შეიძლება დასახელებულ იქნას „მუნაზარე ბაღდადისა და ისპაჰანისა“, „მუნაზარე თვალისა და თვალის მალაქოსი“, „მუნაზარე ლამფისა და სანთლისა“, „მუნაზარე კულულუებისა და სავარცხლისა“.⁴

არაბულ ლიტერატურაში გაბაასების არსებობის ფაქტს აღნიშნავენ კ. ბროკელმანი, მ. შტაინშნაიდერი, პ. ეთე, ი. კრაჩკოვსკი და ვ. ებერმანი.

კ. ბროკელმანისა და მ. შტაინშნაიდერის აზრით, პირველი გაბაასება არაბულ ლიტერატურაში შეუქმნია VIII საუკუნის არაბ პოეტ ჯერირს, რომელიც ხშირად აწარმოებდა პოეტურ კამათს სის თანამედროვე პოეტებთან, რომელთა რიცხვი 43-მდე აღწევდა. მაგალითად, ცნობილი ყოფილა ჯერირის კამათი მეორე არაბ პოეტ ალ-ფარაზდაკთან, რომელიც პოეტური ნიჭით თავის მოპირდაპირეს არ ჩამოუვარდებოდა. კამათი, როგორც ჩანს, დასრულებულა ჯერირის გამარჯვებით, რის შედეგად მისთვის თავზე გამარჯვების გვირგვინი დაუდგამთ. ჩვენ არ ვიცით, ამ ორ პოეტს შორის გამართული კამათი ჩვეულებრივი პოეტური დისპუტი იყო, თუ ის უპირატესობის დამტკიცების მიზნით წაართობდა და დიალოგური ფორმით იყო ჩამოყალიბებული. როგორც ეს გაბაასებისა ან მუნაზარესათვის არის დამახასიათებელი..

აკად. ე. კრაჩკოვსკი⁵ და დოც. ებერმან-⁶ არაბულ მუნაზარე-

¹) H. Ethe, Über pers. Tenzonen, გვ. 123.

²) იქვე, გვ. 130.

³) მ. შტაინშნაიდერის შრომა, გვ. 40-70.

⁴) H. Ethe, Neupersische Literatur... გვ. 227.

⁵) აკად. ე. კრაჩკოვსკი, ჩვენდამი მოწერილი წერილი, ვ. XII. 1947

⁶) В. Эмберман, Персы среди арабских поэтов эпохи Омейядов. Записки Коллегии Востоковедов, т. II, вып. I, Ленинград, 1926 г. стр. 125.

ების ავტორებად დასახელებენ პოეტებს ედახსა და ალ-ჯახიზს. პირველი VIII საუკუნის პოეტია. მეორე -- IX საუკუნისა.

საქმაო რაოდენობის მუნაზარეები შეიქმნა ბაღდადის ხალიფატის ხანაში (750—1258) ირანის კულტურული ზეგავლენის შედეგად. მუნაზარეებისადმი მიდრეკილება არც დაცემის ეპოქაში შესუსტებულა. პირიქით. ის გამზდარა იმდროინდელი არაბი პოეტების ერთ-ერთი საყვარელი ჟანრი.¹

მ. შტაინშნაიდერს თავის შრომაში² დასახელებული აქვს დაახლოებით ოცამდე არაბული მუნაზარე. ამათგან, ჩვენი აზრით, უფრო საყურადღებო უნდა იყოს შემდეგი: 1. „მუნაზარე დამასკოსა და კაიროსი“, (XI ს.). 2. „მუნაზარე ფინიკისა და ყურძნისა“ 3. „მუნაზარე გაზაფხულისა და შემოდგომისა“. 4. „მუნაზარე დღისა და ღამისა“ (XVI ს.). 5. „მუნაზარე კალმისა და ხმლისა“ (XI ს.). 6. „მუნაზარე ხმლისა და შუბისა“. 7. „მუნაზარე მოხუცისა და ახალგაზრდისა“ (XIV ს.). აგრეთვე, რამდენიმე მუნაზარეა შექმნილი კალმისა და ხმლის, ღარიბისა და მდიდრის ურთიერთობის შესახებ. როგორც ჩანს, ეს საკითხები ძლიერ აინტერესებდათ იმდროინდელ არაბ პოეტებს. სამწუხაროდ, არაბული გაბაასება სპეციალისტების მიერ სათანადოდ შესწავლილი არ არის, ამიტომ მეცნიერული ლიტერატურა ამ საკითხზე ძლიერ მცირე მოიპოვება.

¹) აკად. ე. კრაჩკოვსკი, ზემოთ დასახელებული წერილი.

²) მ. შტაინშნაიდერის დასახელებული შრომა, გვ. გვ. 25, 29, 31, 47, 50.

თ ა ვ ი ი ი ე .

გაბაასება XVI — XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში გაბაასების პირველი ნიმუში გვხვდება XVI საუკუნის დასაწყისში. ეს არის სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილის სამ სტროფიანი გაბაასება, რომელიც ჩართულია ძის მიერ გალექსილ „აროსტომიანში“¹; ეს პატარა ლექსი, რომელშიაც ერთმანეთს ებაასებიან სერაპიონ საბაშვილი, რუსთაველი და ბაგრატ მუხრანბატონი, მეტად საინტერესოა: XVI — XVIII საუკუნეების ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში პირველად აქ გვხვდება სახელწოდება „რუსთაველი“ როგორც „ლამაზენა“ მელექსი² ლექსიდან ჩანს, რომ სერაპიონი სანაძლევოსაც დებს რუსთაველთან და აცხადებს: „ნაძლევი ვარ რუსთაველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა“. მომდევნო სტროფის პირველ ტაქში რუსთაველი უპასუხებს: „რას მომერჩი ბერი ბერსა: მე. გავლექსე ლამაზენა!“³. აქ, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს რუსთაველის ლეგენდარული ბიოგრაფიის გამოძახილთან, რომლის მიხედვით, თითქოს რუსთაველი სიცოცხლის ბოლო წლებში პერსად შედგა ჯვარის მონაპტერში. იერუსალიმში.

აგრეთვე, ამ სტროფების საშუალებით აკად. ქ. კიკელიძე ადგენს, რომ აქ დასახილველი ბაგრატი არის ის ბაგრატ მუხრანბატონი, რომელიც მუხრანბატონად იყო 1512—1539 წლებში.³ გარდა ამისა, ეს ლექსი ერთ-ერთი საბუთია აკად. ქ. კიკელიძისათვის, რომ დაამტკიცოს „სერაპიონის შრომა“ იწყობოდა „ზაალის შობით“ და თავდებოდა ქაიხოსროსა და მისი მომდევნო, —ზარდაშტის გამოჩენამდე, —ამბებით.“⁴

ამგვარად, გაბაასების ეს პატარა და, რაც მთავარია, პირველი ქართული ნიმუში საკმაო მნიშვნელობას ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს გვაწვდის. თავისთავად ამ ლექსს, მართალია, არ ახასიათებს გაბაასების ყველა ნიშანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ჩვენთვის მაინც საყურადღებოა, როგორც ორიგინალურ ქართულ ლიტერატურაში გაბაასების პირველი ჩანასახი.

¹) აბულ-ყასიმ ფირდოუსი. წამ-წამე. ქართული წერსიები; ტ. II, თბილისი, 1934, გვ. 90—91. სტრ. 3599, 3600, 3601.

²) ქ. კიკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 109.

³) იქვე, გვ. 282—283.

⁴) იქვე, გვ. 286.

თეიმურაზ პირველი

(1589—1663)

გაბაასება, როგორც აღენიშნეთ. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობასა და განსაკუთრებით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი ლიტერატურული ჟანრი იყო ჩვენი მწერლობის განვითარების პირველსა და მეორე პერიოდში, მაგრამ თეიმურაზ პირველი—პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც გაბაასება XVII—XVIII ს.ს. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში დაამკვიდრა. თეიმურაზის შემდეგ გაბაასებამ სხვა ჟანრებს შორის გაბატონებული ადგილი მოიპოვა და მას იყენებდა ამ პერიოდის ყველა თვალსაჩინო პოეტი.

შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა

თეიმურაზ პირველის ორიგინალური თხზულებები „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ და „ღვინისა და ბაგის გაბაასება“ გაბაასების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. ორივე თხზულება დიალოგის ფორმით არის დაწერილი და თითოეულ მათგანში სამათი წარმოებს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულების მქონე მხარეს შორის თავიანთი უპირატესობის დამტკიცების მიზნით. ავტორი არც ერთ მხარეს არ ანიჭებს უპირატესობას. ის ნეიტრალიტეტს იცავს და დასკვნის გამოტანას მკითხველს ანდობს. ეს უკანასკნელი მომენტი უფრო მკვეთრად ჩანს პირველ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება: „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“¹ ან, როგორც ხელნაწერთა უმრავლესობაშია: „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა, ერთმანერთის თავის ქებით, ჯობნით ბაასი და ცილება. ლექსად თქმული ხელმწიფის მეფის თეიმურაზისაგან“. იგი შედგება მკ სტროფისაგან და შეიცავს, ძირითადი ტექსტის გარდა, შესავალსა და ბოლოსიტყვაობას. შესავალს და საწყისში თეიმურაზი ჩვეულებრივად მიმართავს ღმერთს. რომელიც პოეტის აზრით ამქვეყნიური და ზეციური სამყაროს შემქმნელია და ორივე სამყაროს ძალთა ქებაც ობიექტია.

თეიმურაზის აზრით თითქოს სკობდა:

¹ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარაზიძისა და გ. ჯაფარიას რედაქციით. თბილისი, 1934, გვ. 99—109.

„ენა ლოცვაზედ დამეშრო. სჯობდა ეუო მიდ—მოდებასა წამდაწუმ ღმერთი ვადილო—ეს დამხსნის ცეცხლთა დებასა“. (2) მაგრამ მის თანამედროვე ცხოვრებაზე დაკვირვებული პოეტი კარგად ამჩნევს მკითხველი საზოგადოების ინტერესის შესუსტებას სასულიერო მწერლობისადმი.

„იგ მოსწრაფე სმენად მისად ვერგინ ვნახე მოცებელი, დალპეს ბევრი სამართო წიგნი მიწაშგან მოდებული“. (4)
„არვის უნდა სახარება. არცა „წიგნი მოციქულთა“, არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედო მისგან ქმნილთა?!“ (5)

მართალია. ზემოთ დასახელებულ ფაქტს თეიმურაზი ერთგვარი გელისტკივილით აღნიშნავს. მაგრამ ის, როგორც საერო ფილოლოგიური ფენის იდეოლოგიის გამომხატველი პოეტი, დიდ ანგარიშს უწყევდა ამ ფენის მოთხოვნილებასა და სულიერ განწყობილებას, მით უმეტეს როცა:

„თუ საღმთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედევდა, რა ეს ლაყაბი შევკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა,

—„არა ესე სჯობს“,—„არ ესე“—სიცილით ყველა ყბედევდა. ეგების ხვაც რამ ვასმინო—მე ესე მეიმედევდა“. (62)

აღ. ხახანაშვილის აზრით, «в нем (Г. И. Шедрагеба) гашахებული-სა და შემოდგომისაში) сквозят исторические черты усиления ислама и ослабления христианства в Грузии»¹. მაგრამ განსვენებული პროფესორის ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეეფერება. ამ თხზულებების შესაჯალში პოეტო ლაპარაკობს არა ქრისტიანობის შესუსტებისა და ისლამის გაძლიერების შესახებ. არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზ პირველის თანამედროვე საზოგადოების საერო მწერლობით დაინტერესებასა და სასულიერო მწერლობის გაველების შესუსტებაზე.

მართლაც, სევედიანი პოეტისათვის საერო მოტივებზე წერა თავის გართობის საუკეთესო საშუალება ყოფილა:

„აწ მეც მოყვევ ლაყაბებსა—ეგებ ამით მოვალხინე“. (6) ან კიდევ: „წამლად რამე მოვიგონე სევდარს ფიქრთა გამქარებლად“. (9) შესაჯალის ერთ-ერთ სტროფში თეიმურაზი გაკვირით პოეზიის დანიშნულებების საკითხს ეხება:

„ასცმან უნდა კაცს უამბოს სიტყვა მისგან გასაგონო, პირველ ცნობა გაუსინჯოს. მიხლომისა ქვეა და გონი რუსთველმანც თქვა: „ნურვინ თქვასო სიტყვა ცუდად წასახლოში!“

ფეგების რამ აწ მეცა ვთქვა ცოტა რამე მოსაწონი“. (7)

აქ ჩანს თეიმურაზის შეხედულება პოეზიაზე, ის თავისი შეხედულების დასადასტურებლად რუსთაველსაც იშველიებს. შემდეგ პოეტი განმარტავს, თუ რატომ მოჰკიდა ხელი მეტად თავისებური თე-

¹) А. Хаканов, Очерки по истории грузинской словесности. Вып. 3-й 1901 г. стр. 89.

მის—გაზაფხულისა და შემოდგომის ურთიერთობის გარკვევას; ამის მიზნად ის ასახელებს შემდეგ გარემოებას:

„მინახავს ამ საქმეზედა ქიჩ-ბაასობა, ცილობა:

არ ესე სჯობსო, არ ესე!“—შუღლი, ყარყაში, ყრილობა,

ვერ შემოწმება სიტყვისა, ვერც არას გაადვილობა,

ორთვე რაც სქიორდა, ყველა ვთქვი, თქვენ ქმენით გამოწვლილობა. (10)

თხზულებაში, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთს ეკამათება შელიწადის ორი შესანიშნავი დრო—გაზაფხული და შემოდგომა. ძათი კამათის ფონზე პოეტი იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს თვალწარმტაც ბუნების სურათებს.

საუბარს იწყებს გაზაფხული, რომელიც ამაყობს თავისი სიტურფით. სილამაზითა და სიკეკლუცით: ის თავისთავს ამ ქვეყნის სამოთხედ თვის, ვინაიდან გაზაფხულზე:

„...მიწა-მდელონი ზურმუხტად გარდქევეიან

ხეხილნი ტურფად გაშლილნი მას ზედან მოექცევიან“. (14)

„აქიკვიკების ფრინველნი, ყველა იქნების ხმოსანი,

იგ აღნიშებენ მსმენელთა, ვითა მუტრიბნი, მგოსანი“. (16)

გაზაფხულზე ხდება აგრეთვე ფრინველებისა და ცხოველების გარდაცვლა:

„ფრინველნი ყველა მობუდრობს, მხეცნი იქნების ხმოსანი“. (16)
წამთარში მიძინებული ბუნების გამოღვიძება, ლხენა; თამაში და თავდაჯერებული დროს ტარება ხომ გაზაფხულთან არის დაკავშირებული. გაზაფხულის აზრით, მისი უპირატესობა, თუ პრეზენტ, ისიცაა, რომ ის წინ უსწრებს ბებერ შემოდგომას:

„მე ყმაწვილი ვარ. შენ ბერი—ამით გისწორებ მე არა,

ახალსა ძველმან წამსვლელმან საქმე ვით გაუზიარა?“ (21)

შემოდგომა თავის საპასუხო სიტყვას, როგორც ეს გაბაასებიანათვის არის დამახასიათებელი, იწყებს იმ დებულებების გაბათილებით, რომლებიც გაზაფხულმა მოიყვანა თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად. შემოდგომა ასე მიმართავს გაზაფხულს:

„შენს დროში ტყეთა სხვა ფერი იგ მწუანის მეტი რა აქო?

რა ათას ფერად ყვოდეს—იგ თუ არ აქო, რა აქო?

აბა თქვი, სხვა რა უწოდო, თუ არ სამოთხედ დაარქო?“ (20)

ყვავილთა მრავალფეროვანობა შემოდგომასაც ახასიათებს, ნარგიზი, მიხაკი, ხაშხაში და სხვა— შემოდგომის მუდმივი თანამგზავრები არიან, ხოლო შემოდგომაზე ხილის მრავალწირობაზე ლაპარაკი ხომ სრულიად ზედმეტია:

„ჩემს დროს ასხია ხეზედან ნარინჯ-თურინჯი, ბიან, ბროწეული და ყურძენი. არც ერთი დაჰკლებიაო.

ჰყრეფენ და სქამენ, სავსე აქვსთ ხალთები, უბებიაო.

ამისი ფასი შენ რა გჭირს?—გვითხარ და გვიამბიაო“. (30)

გაზაფხული თავის პასუხში კვლავ თავის სიტურფე-სილამაზეზე ლაპარაკობს. მას შემოდგომის ყველა ღირსების დარად მიიჩნია

ყვავილთა მეფე-ვარდი, რომელიც ბულბულის სამიჯნურო ობიექტი გამხდარა.

შეტევაზე გადასულ გაზაფხულს მიუღებლად მიაჩნია ის გარემოება, როცა შემოდგომა უხვი მოსავლის სიკეთეს მთლიანად თვიდან იჩივებს; გაზაფხულის ღრმა რწმენით, „ყოველი სარჩო-მოსავლის“ შექმნაში გაზაფხულსაც უდევს წილი, ვინაიდან ნაყოფის ჩასახვა გაზაფხულზე ხდება:

„გაზაფხულზე დაარსების ყოველი სარჩო-მოსავალი, ნაყოფს იწყებს გამოსხმასა აღმოსავალ-დასავალი,

შენს დროშიგ რომ მოიწიოს, რად ვარ შენგან დასავალი?

რას მიჰქარაჲ, რას მოჰქარაჲ, ხელი ხარ თუ, ანუ მთვრალი?“ (46)

დინჯი შემოდგომა გაზაფხულის არცერთს საბუთს უპასუხოდ არ ტოვებს, ხოლო თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად ის კვლავ თავის სიუხვე-სიმდიდრეზე ლაპარაკობს. გაზაფხულს, მისი აზრით, ახასიათებს, მხოლოდ გარეგნული სილამაზე, რომელიც ზანმოკლე და წარმავალია, რადგან:

„გაზაფხულს სუსტობს ყოველი, ჯოხს უნდა მისაყუდები“. ან კიდევ: „შენს დროში არ თუ ღარიბნი, მეფენიც ვერ გაძლებიან“, შემოდგომაზე კი საჭმელ-სასმელი უხვად მოიპოვება, რაც აუცილებელი პირობაა ღვინისა და გართობისათვის:

„შემოდგომაზე საჭმელი ფერხთ სალახავად ყრიაო, ყველა ღვინობს და თამაშობს, გულს არვის შემოჰყრიაო, შენი მწვანე და ყვავილნი გაგტრევიან, გაგიყრიაო“. (44)

ამავე პასუხში შემოდგომა მეტისმეტი მიმზიდველი ფერებით აგვიწერს აღმოსავლეთ საქართველოში გამართული რთველის სურათებს, რომლებიც კარგად არის ასახული თხზულების 56-ე და 58-ე სტროფებში.

გაზაფხულს თავის უპირატესობად მიაჩნია გაზაფხულის თვეებში გამართული ბურთობა, ცხენოსნობა. ღვინი და ქალ-ვაჟთა სასიყვარულო ურთიერთობა. ის ამაყად მიმართავს შემოდგომას და ეუბნება:

„რაგინდ რა ბევრი ილაყბო. ჩემთან ვინ დაგადარებსა!

არავინ არ დაგიჯერებს სათქმელსა მიუხვდარებსა,

ბერზედან ყმაწვილს ვინ გასცელის, ანუ ცოცხალზე შევდარებსა“. (74)

უქანასკნელ სიტყვას შემოდგომა ამბობს; ის არა მარტო დოვლათით სავსეა, არამედ ლამაზიც არის. გარდა ამისა, შემოდგომაზე გართობის საუკეთესო საშუალებას ნადირობა წარმოადგენს:

„ნადირობდენ და ფრინველობდენ—ყველა ველს იყოს გარეო, უსიციო და უსიცხო მაშინ მათ ჰქონდა დარეო“. (70).

ამგვარად, თხზულებაში პოეტი ქება-დიდებას ასხამს წლის ორ დროს გაზაფხულს და შემოდგომას, რომლებიც მეტად მრავალფეროვანი და ლამაზია ჩვენში. მხოლოდ გაბაასების წესის თანახმად პოეტი უპირატესობას არც ერთს არ ანიჭებს; ის ცდილობს მიუღ-

გომლობა ბოლომდე დაიცვას, ხოლო სამართლიანი დასკვნის გამოტანას მკითხველს ანდობს:

„ეს არის მათი ონარი—მათგან თავისა ქებანი,
თქვენცა სთქვიოთ, თუ რომელი სჯობს, ან ნუ გაქვსთ მათი
თნებანი“. (76)

მაგრამ მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ თეიმურაზი უპირატესობას შემოდგომას ანიჭებს, ვინაიდან წელიწადის ეს დრო, მისი აზრით, სიმდიდრისა და დოვლათის შემქმნელია და ადამიანთა არსებობის პირველ წყაროს წარმოადგენს.

ეს თხზულება საყურადღებოა არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითაც. შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება ისე სრულყოფილი სახით არც ერთი მწერლის თხზულებაში არ არის მოცემული, როგორც ეს ასახულია „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარებაში“ (მაგ., სტრ. მე-14).

თხზულება თეიმურაზს დაუწერია თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში, 1649—1656 წლებში, როცა ის საკუთარი ტახტიდან განდევნილი თავს აფარებდა თავის სიძის, იმერეთის მეფის ალექსანდრესა და ქალის ნესტან-დარეჯანის, სასახლეს.

ეს თხზულება რომ ამ პერიოდს ეკუთვნის, ნათლად ჩანს. ჯერ ერთი, „შამი-ფარვანიანის“ შესავალში თეიმურაზი ამბობს:

„შემოდგომა—გაზაფხული ერთმანერთსა შევადარე,
მე გაბჭობით გავაუბენ, სიტყვა ესრეთ მოვაგვარე“. (16)

ამ გარემოებას არჩილიც ადასტურებს თავის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“¹, სადაც თეიმურაზი თავის შემოქმედების მეორე პერიოდის შესახებ ამბობს:

„ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა“. (1049)

„გაზაფხულისა და შემოდგომის შედარების“ ბოლოსიტყვაობის მიხედვით თხზულება რაჭაში უნდა იყოს დაწერილი:

„მე ვიყაე უცხო ღარიბად რაქა ჰქვიან, თუ აგარა,
იგ რამდონ რიგად სოფელმან გული ცეცხლითა დაგარა“. (77)

როგორც ცნობილია, ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მუდმივად ერთი ლექსი „შემოდგომა და ზაფხულის“ სახელწოდებით. თეიმურაზ პირველის თხზულებასა და ხსენებულ ლექსს შორის მსგავსება ისე მკირეა, რომ ძნელია თქმა, პირველი მომდინარეობს მეორიდან, თუ პირიქით. ჯერ ერთი, თეიმურაზის ლექსში საუბარი წარმოებს გაზაფხულსა და შემოდგომას შორის, ხალხურ ლექსში კი—ზაფხულსა და შემოდგომას შორის. პირველი ლექსი 83 სტროფისაგან შედგება, მეორე მხოლოდ რამდენიმე სტროფისაგან. შეიძლება ვაფიქროთ, რომ თეიმურაზი იცნობდა ხალხურ ლექსს და ამ გარემოებამ მას ბიძგი მისცა შეექმნა ყოველმხრივ გამართული პოეტური ნაწარმოები.

ამ მხრივ საყურადღებოა თეიმურაზის შემდეგი სიტყვები,

¹) არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937.

რომლებიც „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარებაში“ გვხვდება:
„მინახავს ამ საქმეზედა ქერ-ბაასობა, ცილობა:
— „არ ეს სჯობსო, არ ესე!—შუღლო, ყარყაში, ყრილობა“. (10)
ან კიდევ:

„რა ეს ლაყაბი შევეკრიბე. ყველა ნახვასა ბედეედა“. (82)
ვფიქრობთ, აქ პოეტი „ცილობის“, ნახვასა და „შეკრებაში“ თავი-
სი თხზულების ხალხურ წყაროზე მიუთითებს.

გაბაასება ღვინისა და ბაგისა

თეიმურაზ პირველის „მაჯამის“ მესუთე თავს წარმოადგენს
„გაბაასება ღვინისა და ბაგისა“. 1 ამ პატარა შვიდსტროფიან ლექ-
სში ერთმანეთს ეკამათებიან სიმთვრალის, დროებითი თავდავიწყე-
ბის სიმბოლო—ღვინო და ადამიანის სიყვარულითა და ტრფობით
გატაცების საუკეთესო საშუალება— ლალისთერი ტუჩები.

ლექსში მოკამათე მხარეები თავისი ღირსებისა და სიძლიერის
შესახებ რიგრიგობით ლაპარაკობენ. საუბარს იწყებს ღვინო. ის
უპირველეს ყოვლისა თავისი ყირმიში ფერით ხიბლავს მნახველთა
თვალსა და გულს:

„ვერცხლის თასზედა ყირმიზად გარდმოვსდიოდე სურებსა,
ვსწყუროდე თუ არ ვსწყუროდე, ყველანი მომიწყურებსა.

მქვრეტელთა თვალთა და გულთა არარა უფრო უნებსა“. (5)
არანაკლებ თვალწარმტაცია ბადახმანის ლალისა და იაგუნდის
მსგავსი ტუჩები, რომელნიც ამაყად ამბობენ:

„ძოწსა, სადაფსა, აყიყსა. არღევანს გავაქიქებო“.

მეტად სპეციფიკურია ღვინის ძალა. მას შეუძლია ადამიანის სეკ-
ლიანი გული გაამხიარულოს, დაათროს, და ამქვეყნიურ ამოებანს
დროებით მინც მოაცილოს. ის დიდი რიხით ამბობს:

„გულსა სევდითა სავსესა ზედ ლხინი დავამტანაო და“.

მე კაცს დავათრობ. ვამღერებ, ტონს გავუჯდები კეფადო,
ვირემ არ უკუვეყრები, ვერ იგრძნან. სმიდნენ რეტადო“. (3)
ღვინო თუ ადამიანის დროებითი თავდავიწყების საშუალებაა,
სამაგიეროდ ბაგეს შეუძლია ადამიანი სიყვარულის უძირო მორეე-
ში ჩაითრიოს. ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ზელი ააღებინოს და მო-
ძავედავს დაამსგავსოს:

„მე სრულად შევშლი მქვრეტელთა, გულსა ეტყვიან: „იქ ებო“.

მე კაცს სრულ მოვკლავ, საწყალო, ვით აღრე გატყდეს
კიქა, დე“.

ამიტომ ბაგე გამარჯვებული ტონით მიმართავს ღვინოს:

„ვერ გამოჩნდები ჩემთანა, სადაც მე ვიყო, იქ აღე!“.

1) თეიმურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული. აღ-
ბარამიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით. თბილისი, 1934 წ. გვ. 117.

გაბაასების ტრადიციის მიხედვით პოეტი აქაც ნეიტრალიტეტს იცავს; არ ჩანს, რომელ მხარეს ანიჭებს უპირატესობას, მისთვის თანაბარი მნიშვნელობისაა. როგორც ჩანს, ღვინო და ბაგე, ისინი ჩვენს პოეტს თანაბრად ხიბლავენ და ატყვევებენ:

„თეთრს თასსა წითელი ღვინო დასტურად შეახამებსა,
ქვეშ მარგალიტი, ზედ ლალი, სხვას რაღას შეიღარებსა“. (7)

ეს არც გასაკვირია, რადგან სევდისა და ნალელისაგან განთავისუფლების ერთადერთ საშუალებად მას ღვინო და ბაგე მიაჩნდა.

თეიმურაზ პირველის პოეზიის ამ თავისებურების შესახებ აკად. კ. კეკელიძე წერს: „ღვინისა და სიყვარულის პოეზიას ის მიმართავს როგორც დამძინებელ ბანგს, რომელმაც მას ეს მწარე სინამდვილე უხდა დაავიწყოს და რამდენადმე მაინც იდეალურ ფორმებში წარმოუდგინოს“.¹

„ღვინისა და ბაგის გაბაასება“ თეიმურაზის ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია, რომელშიც გამოვლინებულია პოეტის დიდი მხატვრული ნიჭი და გემოვნება. ლექსში მოცემული ფონეტიკური და მხატვრული გამოთქმები მკითხველს ახლაც იტაცებს. ზემოთ მოყვანილი მე-7 სტროფის მეორე ტაქტში პოეტი შეტაფორის კარგ ნიმუშს იძლევა. აქ მარგალიტში ის კბილებს გულისხმობს, ლალში კი—ტუჩებს.

„გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ მაჯამის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად არის აღიარებული,² მაგრამ თეიმურაზის თხზულებათა ხელნაწერების ერთ ნაწილში, რომელშიაც „მაჯამაც“ არის გადახუსხული, არ არის „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“.

„გაბაასება“ არ არის შეტანილი „მაჯამის“ იმ ტექსტშიც, რომელიც ჯერ „ცისკრის“ 1853 წლის № 2 დაიბეჭდა და შემდეგ ზაქ. კიკინაძემ გამოსცა 1886 წელს, „გაბაასება“ პირველად აკად. კ. კეკელიძემ აღმოაჩინა S1511, S342 და S 3706 ხელნაწერებში და გამოაქვეყნა თავისი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი გამოცემის მეორე ტომში.³ მხოლოდ თხზულებას აქ აკლია მე-4 სტროფი, რომელიც ასე იწყება: „ბაგემა უთხრა ღვინოსა: კაცის დათრობა იქადე“. ეს სტროფი არც S 342 ხელნაწერშია, საშაგიეროდ ის სრული სახით დაუცავს S 3706 და ა, 1511 ხელნაწერებს, რომლებსაც ემყარება თხზულების უკანასკნელი გამოცემა.

„მაჯამა“ თავისი შემადგენლობით თეიმურაზს დაუწერია 1649—1656 წლებში, იმერეთში გადახვეწის დროს. მართლაც, ეს გარემოება არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებიდანაც“ ჩანს. თეიმურაზი ამ პერიოდის შესახებ ამბობს:

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 515—516.

²) იქვე, გვ. 511—513:

თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. 1934, გვ. 117.

³) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, პირველი გამოცემა, 1924. გვ. 395-396.

„ვარდს ბუღბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,
კვლავ სანთელსა პეპელაჲ, მისგან დამწვარ, დადაგულსა,
ამ დროს ლექსი ვით გავაწყევ, ძლივღა მხედავ მე სულდგმულსა,
მუნ „მაჯამას“—შეყრილს ხედავ, არ იქი-აქ დაკარგულსა.“ (1049)

ვარდ-ბუღბულიანი

თეიმურაზ პირველის ლიტერატურულ შემკვიდრებობას ეკუთვნის აგრეთვე ორი თხზულება „ვარდ-ბუღბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“. ამ თხზულებებს არ აქვს გაბაასების დამახასიათებელი ყველა სპეციფიკური ნიშანი, რომელიც ჩვენი შრომის შესავალში იყო დასახელებული; მაგალითად, აქ არ არის შევეთრად გამოხატული ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირება, რაც ძლიერ ნიშნეულია გაბაასებისათვის. სამაგიეროდ ორივე თხზულება დილოგური ფორმისაა; საუბარი წარმოებს ორ პირს შორის; თითოეული მათგანი (განსაკუთრებით ვარდი და სანთელი) ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას; არ ჩანს, კამათში ჩაბმული მხარეებიდან ავტორის სიმპათია რომელს ეკუთვნის. ამიტომ, ვფიქრობთ, ეს თხზულებები გაბაასებათა რკალში მოვაქციოთ და ვიმსჯელოთ მათ შესახებ.

როგორც „ვარდ-ბუღბულიანში“, ისე „შამი-ფარვანიანში“ პოეტის მიერ ალგორითულად ასახულია ქალვაჟის სატრფიალოსამიჯნურო განწყობილება. ვარდი და სანთელი (იგივე შამი) ასახიერებენ ამაყ, გულზვიად და პატივმოყვარე მიჯნურებს, ხოლო ბუღბული და პეპელა სპეტაკი სიყვარულის გრძნობით შეპყრობილი, ნაზი და უანგარო მიჯნურების შესანიშნავ ორეულებს წარმოადგენენ. ამის გამო ორივე თხზულებაში სიყვარული მხოლოდ ცალმხრივი ტრფობის ხასიათს ატარებს. ის ერთ შემთხვევაში მიჯნურთა შორის საერთო ენის გამონახვით მთავრდება, მეორე შემთხვევაში კი ტრფობა ტრაგიკულად სრულდება.

„ვარდ-ბუღბულიანი“ (ან როგორც მას ხელნაწერთა უმრავლესობაში ეწოდება: „ლექსი მუნასიბი და ტკილ-გაწყობილი, მსმენელთათვის საამოვნო ვარდ-ბუღბულისა გაბჭობა, ლეთივ გვირგვინოსანის ხელმწიფის პატრონის თეიმურაზისაგან ნათქვამი“) შედგება 95 სტროფისაგან. აქედან 7 სტროფი შესავალსა და სამი სტროფი ბოლოსიტყვაობას წარმოადგენს (თუმცა ხელნაწერებში ტექსტისაგან წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა გამოყოფილი არ არის, როგორც ეს თეიმურაზის თხზულებათა პირველ გამოცემაშია მოცემული) ¹.

შესავალს თეიმურაზი, ჩვეულებისამებრ, ღვთისადმი მიმართვით იწყებს (სტრ. 1.), სადაც იმეორებს ცნობილ ბიბლიურ გადმოცემას სამყაროს გაჩენის შესახებ და იქვე ღმერთს შეწყალებას სთხოვს.

¹) თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით. 1934, გვ. 3-14.

მომდევნო სტროფებში თეიმურაზი გაკვირით გამოხატავს თავის ნებედულებას მელექსეობის, პოეტური ხელოვნების შესახებ (სტრ. 2, 3, 4.) და იძლევა მცირე ცნობებს თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გარშემო (სტრ. სტრ. 5, 6, 7.).

თხზულებაში ვარდისა და ბულბულის დიალოგი გაშლილია ბუნებაში მომხდარი იმ დიდი ცვლილებების ფონზე, რომლებიც გაზაფხულისათვის არის დამახასიათებელი. პოეტი რამდენიმე სტროფში გაზაფხულის შესანიშნავ, მიმზიდველ, მაღალი პოეტური აღმადგენის სურათებს იძლევა. მის მიერ შექმნილი პოეტური სახეები ხიბლავს, აჯადოებს მკითხველს და უშუალოდ განგვაცდევინებს გაზაფხულის გაცოცხლებულ ბუნებას. აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში დავ. გურამიშვილის შემდეგ თეიმურაზ პირველს ბუნების პეიზაჟების გადმოცემაში ვერც ერთი პოეტი ვერ შეედრება.

პოეტს ბუნებაში მომხდარი ცვლილება ერთ-ერთ სტროფში ასე აქვს ასახული:

„ზღვა დაწყნარდა ღელვისაგან, შეიცვალა ქარ-ქეთილად,
ვითა გული გამწყარალისა, დამშვიდდა და იქმნა ლბილად;
მკსინვარება ზამთრისა და ყინვა დადნა, ვითა ცვილად,
ხეთა იწყეს შემოსადვე პირველისა დანაწყილად.“ (8)

აქ თეიმურაზი თავისი პოეტური ნააზრევის გადმოსაცემად მხატვრული მეტყველების ხერხსაც მიმართავს: აღლევებული ზღვის დაწყნარებას ის აღარებს გამწყარალი ადამიანის გულის დამშვიდებას, ხოლო ყინვის დნობა შედარებულია ცვილის დნობასთან.

ჩვენი ქვეყნის ბუნების მოვლენებზე დაკვირვებული პოეტი სრულიად სამართლიანად ანიჭებს გაზაფხულის წვიმას დიდ გარდამქმნელ და განმაჯანსაღებელ მნიშვნელობას:

„გაზაფხულის წვიმამ ხშირმან ქანგიანი მიწა რეცხოს,
ხენი ხილთა გამომღებლად მიღგომილი დაიკვერცხოს.“ (11)

ხოლო ბუნებაში მომხდარი ღრმა ცვლილებები, მისი რწმენით, ადამიანზედაც მოქმედებს, განსაკუთრებით კი მხატვრული სიტყვის ოსტატებზე:

„ამაუბნა ქიკვიკითა—ლამის მეცა გამამერცხლოს,
მელექსემან ხამს, თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს!“ (11)

განსაკუთრებული პოეტური გულთამხილობითა და სიტყვიერებითა პოეტის მიერ აღწერილი ბაღში გაზაფხულის დამამშვიდებელი ყვავილების გამოჩენა. თითოეული მათგანი ისეთი ნიუანსით არის დახასიათებული, რომ მკითხველზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს. პირველად „მწვანე მოლო“ დაამშვენა „თავმოდრეკილმა“ იამ, რომელმაც „დაუსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა“ მოსვლას. იის გამოჩენის შემდეგ „სურნელი და პირად თეთრი გაიშალა იასამან“, რომელმაც პოეტი, თურმე „დაამღურვა იასა.“ ყვავილთა საერთო ფერხულში ჩაება სურნელოვანი, ზამბახიც, რომელიც, პოეტის აზრით, ვარდს არც კი ჩამორჩება: „ფვიცავ, ან ძმა ხარ ვარდისა, ან, ჩემმან სულმან, და ხარა“.

ჩქარა მათ შეემატნენ სუბმული; ყვითელი ნარგიზი, სოსანი, ლოლო ყაყაჩო და არლაკანი ურთიერთშორის საეუბარს აბამენ, თავიანთ გულისწუხილს ერთმანეთს უზიარებენ.

ყვავილთა მთელი ლაშქარი მოუთმენლად მოელის ყვავილთა მელფის—ვარდის გამოჩენას:

„თქვეს: „მოველით უკეთესსა, მოვა, საქმე წაგვემართა, ჰფერობს ჩვენი ხელმწიფობა, რად დაყოვნდა, არ

ვარდიც არ აყოვნებს მობრძანებას. ის მეფერი ბრწყინვალეებით გამოჩნდება ყვავილთა შორის, რომლებმაც: მოგვემართა?“ (21)

„თაყვანი სცეს და შეიტკბეს. გაღიმდეს, გაიცინესა,

მათ შუა დასვეს ხელმწიფედ, იგი მისებრივე შევნოდა, ეგზომი მათი სიტურფე მასთან არ გამოჩნდებოდა.“ (23)

ვარდმა კი თავისი მშვენიებით მოხიბლა, დაიმორჩილა და თავის მონად აქცია მის გარშემო არსებული სულიერი, თუ უსულო ბუნება:

„ბალი, ბაღჩა და წალკოტი შეამკო, დაამშვენა მან,

იგ მონად შექმნა ყოველნი თეთრ-წითლად შექთა მფენამან.“ თხზულების ამ რამდენიმე სტროფში მთელი ბუნება გაპიროვნებული, გასულიერებული და ამეტყველებულია, მაგრამ ყოველივე ეს პოეტის დიდი ხიჯის საშუალებით მოცემულია სადა და მეტად მიმზიდველი ფერებით, აქ არ არის არავითარი ძალდატანება და ხელოვნურობა. ვარდს თან მოჰყვა მისი სიყვარულით გახელებული ბულბული, რომელიც ვარდს „თავს ევლებოდა, მღეროდა“, მაგრამ ამჟამად და გულზვიადმა „ვარდმა ნახა, ითაკილა, შეუეფ და გულსა წყენა“ და დაიბარა მებაღე ბულბულის ვინაობის გამოსარკვევად. მებაღის საპასუხო სიტყვები, შეიძლება ითქვას, შედეგს წარმოადგენს სიყვარულის ღრმა გრძნობით შეპყრობილი არსების სულიერი განწყობილების გამოხატვის თვალსაზრისით.

„შენთვის იწვის და ენთების. პირისპირ გიზის მზერადო; თავსა გველების ხელქმნილი, ზედ დაგვიკვიკებს მღერადო.“ (31)

„რა წახვალ, დაიკარგების, რა მოხვალ, მოვა ესეცო,

გაკედების თავგანწირული, ხედავ, ლახვარსა ეს ეცო!“ (32). ამის შემდეგ უშუალოდ ვარდსა და ბულბულს შორის იწყება გაბაასება, ამიტომ თხზულების ეს ნაწილი ჩვენთვის უფრო საინტერესოა.

ლამაზმა, მაგრამ გულზვიადმა ვარდმა გაიგო, რომ მას შესტრფის და შეჭარის ბულბული. მან ეს იუკადრისა; ბულბულის მიერ შეთავაზებული სპეტაკი გრძნობა მან თავისთავის შეურაცხყოფად მიიღო და გაბაასების ტრადიციის მიხედვით ჯერ დაიწყო თავისთავის ქება და ამავე ღროს გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი „საფერი“

„უფრო სხვა გვარი უნდოდა ჩემთვის გაკრილი ველადო“.
ვარდს თავისთ თავი ყვავილთა ხელმწიფედ მიაჩნია:

„შე ვარ ყვავილთა ხელმწიფე. ვის ხელაჲ ჩემისთანადო“—
ეუბნება ის ბულბულს. ამისათვის მას სათანადო საბუთიც მოაქვს,
მისი ღრმა რწმენით: „მიწის ნაყოფსა ყოველსა სიტურფით გავა-
ქიქებო“. შემდეგ ვარდს უფრო ძლიერი საბუთები მოაქვს თავისი
უპირატესობის დასამტკიცებლად: ის არის დამამშვენებელი არა
მარტო ბალისა, არამედ ალაშაზებს მოქეიფეთა სუფრასა და კიქებს.
ის სასურველია მეფეთა და ხელმწიფეთა, რომლებიც „რა მნახავენ,
გულისაგან შეჭირვებას გადიყრიან“. ხოლო კეკელუც ქალთა და
ძიჯნურთა მორთვისას ვარდს ხომ პირველი ადგილი უჭირავს:

„კეკელუცნი ლაწვთა მნათობსა შემირკმენ, ზედან მიდებენ“,

„აშიყ-მაშიყნი რა ჟამად ერთმანერთს შეეყრებოდეს,
ხელთ უჭირავარ ორთავე, წოლად რა წაეყრებოდეს;“

მათსა საწოლსა, საჯდომსა ქვეშ სხვა ვინ წაეყრებოდეს?“
მაგრამ ეს საერთო მოწონება, პატივისცემა და ავტორიტეტი ვარდს
შემთხვევით არ აქვს მომადლებული; ეს მან, მისი აზრით, სრული-
ად დამსახურებულად მოიპოვა თავისი შესანიშნავი გარეგნულა
სილამაზით. ვარდის სილამაზე—სიკეკელუცე პოეტს მეტად მოხდე-
ნილ, მაღალი მხატვრული ფორმით აქვს მოცემული (სტრ. 64-ე).
თავის უპირატესობათა ჩამოთვლის შემდეგ ვარდი გულგრილად და
ამაყად შესძახებს ბულბულს:

„სადა მე და ვინ შენა?— ხელი ხარ და, ან შეშლილი,

ჰყეფ, იძახი დღივ და ღამე. გამიყრთების თვალთა ძილი“—

ვარდი ცდილობს თავიდან მოიშოროს მისთვის შეუფერებელი
ძიჯნური, ამიტომ ეუბნება:

„...ღვთის მადლსა, დამეხსენ, გამეცალეო,

სხვაგან ქენ შენი ბუნაგი, ადგილი გარდიცვალიო“.

თან ბულბულს ურჩევს: „იგ შენი ვინმე საფერი სჯობდა აგელო
ხელადო“. შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს ბულბული, რომე-
ლიც პირველ რიგში ვარდს ელაპარაკება სიყვარულის იმ ძლიერი
გრძნობის შესახებ, რომელმაც მისი გული ვარდს დაუმორჩილა.
ბულბულის სიტყვები სიყვარულის წმინდა გრძნობით არის გამ-
თბარი და გულის სიღრმიდან ამოხეთქილი. ის გამოხატავს სიყვარუ-
ლის ისეთ ძლიერ ძალას, რომელიც თანამედროვე მკითხველზეც
დიდ გავლენას ახდენს. ამ მხრივ საყურადღებოა სტროფები მე-40,
43-ე, 75-ე, 76-ე, 77-ე, 86-ე. განსაკუთრებით ყი 43-ე სტროფი.

„არ გაგეყრები, ცოცხალი რომ წვრილად დამახვევინო,

შენსა ეკალსა ავეცმი, სხვა შტო არ ვიცი, ხე ვინო;

ფეხთ ქვეშ მოგიკვდე, ჩემზედან საყულო გარდგახვევინო,

ჩემისა სიბრალულითა სიცოცხლე დაგაწყევინო!“

აქ თეიმურაზი, უდავოდ, ამქლავნებს ფსიქოლოგიური დაკვირვების

უნარს და დამაჯერებლად გადმოგვეცემს შეყვარებულის ღრმა სულიერ განწყობილებებს. მომდევნო სტროფებში ბულბული მოკრძალებით ლაპარაკობს თავისი ღირსების შესახებ:

„უცხო ვარ, უამხანაგო, არ ცუდი ვინმე ჩიტია,
იაღონი და მერცხალი—ვერა ხმობს ჩემთან—გვრიტია,
ფერად-ფერადო ჩემი ხმა ვერც სასმენელმან რტია.“ (54)

ბულბულის ღრმა რწმენით, ის არაფრით არ ჩამოუვარდება ვარდს; ყუავილებში თუ ვარდია უჩვეულო რამ, სამაგიეროდ ფრინველებში პირველი ადგილი ბულბულს ეკუთვნის:

„ყუავილში შენ ხარ ღარიბი, ფრინველში—მე ვარ მგონო“.

ან კიდევ:

„ვითა შენ სხვანი ყუავილნი, ვერ მედარებინ მე ჩიტი“.

ბულბულს თავისი აზრის დასამტკიცებლად საბუთებიც მოაქვს. ის იმოწმებს სპარსელ, ინდოელ, ქართველ ფილოსოფოსებსა და მეღეჭს და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ბულბულია განკუთვნილი ვარდის მიჯნურად და არა სხვა ვინმე:

„ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიტორთა, მოშირიეთა,
სპარსთა, ინდოთა, ქართველთა—ცნობილთა, არ თუ ვირეთა,—
შენად მიჯნურად დამწერეს, ჩემთვის არ დამაძვირეთა,
თუ არ გფერობდი, რისთვის გტქვეს, მათ ვინ დაუყოფს პირებთა?“ (56)

ამ სტროფს თან მოსდევს ისევ ბულბულის სიტყვები, რომლებიც სავსეა თავდავიწყებული მიჯნურის ხეწუნა-მუდარით. მისი უკანასკნელი თხოვნაა: „მე ამას დავეჯერებულვარ—პირსა გიჭკვრეტდე რეტადო“. მაგრამ როცა ვარდმა ეს უკანასკნელი თხოვნა არ შეუსრულა, მაშინ: „დაბნდა, უსულოდ ეკალში დანამცემობდა“. ვარდი, რაკი დარწმუნდა ბულბულის გულწრფელ სიყვარულში, მოლბა და ბულბულს თანაგრძნობის ხელი გაუწოდა:

„ნება დამირთავს, აწ იყავ ბალისა ამ მიდამოსა,

შენიმც ბრალი აქვს, ვინც შენი გაგდება შეიწამოსა!“ (79)

თუმცა ჩვეული სიამაყე და შედიდურობა მაინც შეინარჩუნა და ბულბულს უთხრა:

„ამას კი ვიტყვი, ვერ გხედავ თვალფერად ჩემსა დარებსა“.

ვარდის თანაგრძნობამ ბულბული გააცოცხლა, გაახალისა: „ბულბულს რა ესმა, გაცოცხლდა, უძრავად აღარ ხდებოდა, სიკვდილისაგან დახსნასა, სიცოცხლეს იმედებოდა.“

ვარდს კი მადლობა გადაუხადა და თავისი ტუბილი ხმა კვლავ სიყვარულის გამომხატველი სიტყვების წარმოსათქმელად ააყვარა.

თეიმურაზ პირველი ძლიერი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედია; მას ეხერხება არა მარტო თემის ოსტატურად და მიშხიდველად გაშლა, არამედ თავისი ნაფიქრ-ნააზრების ლამაზ მხატვრულ სახეებსა და ფორმებში ჩამოყალიბება. ის რომ ბუნების სურათების კარგი მხატვარია, ეს ზემოთ აღვნიშნეთ და განმეორებით არაფერს ვიტყვით.

მოკლენის მხატვრულად გამოსახვისა და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით პოეტი ხშირად მიმართავს მხატვრულ შედარებას. 64-ე სტროფის ორი უკანასკნელი ტაეპი შედარების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს, აქ ვარდი თავის თავზე ამბობს:

„თეთრი ვარ, ბროლის უთეთრე, ყირმიზი—ლალის გვარადო, საკვრეტლად მშვენიერი ვარ, სურნელი მუშკამბარადო“. (64) აქ ვარდი მოხდენილად აღარებს თავის სითეთრეს თეთრ ბროლს, ხოლო სიწითლეს—ძვირფასს, წითელი ფერის ქვას—ლალს.

შედარების კარგი მაგალითია აგრეთვე მე-8 სტროფში, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

თხზულებაში გვხვდება დაპირისპირებისა და პარალელიზმის რამდენიმე შემთხვევა: დაპირისპირებაა მოცემული შემდეგ სტროფში:

„ეს ვის ასმია სულდგმულსა—ხელს უთხრას: ნუ ხარ ხელიო!“

ცეცხლსა მოგიდებ უშრეტსა—ნუ დაგიწვიბის ყელიო, გატირებ სისხლის ცრემლითა—ღაწენი ნუ გაქვან სველიო“. (60)

პარალელიზმის კარგი მაგალითია:

„ვითა შენ სხვანი ყვავილნი, ვერ მედარების მე ჩიტი, (68)

ყვავილში შენ ხარ ღარიბი, ფრინველში მე ვარ, მგონია“. (70) აქ ბუღბუღლის აზრით, ვარდს ყვავილთა შორის ისეთივე ადგილი უქირავს, როგორც ბუღბუღს ფრინველებს შორის.

თეიმურაზს კარგად ეხერხება აგრეთვე საგნის ან მოკლენის დახასიათებისათვის შესაფერისი და მოხდენილი ეპითეტების მოძებნა, მაგ., ქალთა ნაზი და მიმზიდველი ბუნება კარგად არის გადმოცემული, როცა ვარდი ამბობს:

„ქალნი ტურფანი, კეკლუცი ჩემთვის წალკოტად მორებენ, დამკრეფენ ბროლის თითითა“.
(50)

ან კიდევ:

„მე ერთი ტურფა, უებრო ვარ ყოვლთა საქებრადო“.
(64)

გარდა ამისა ლექსში გვხვდება ასეთი გამოთქმები:

„სიტყვა ტკბილი“, „უანგიანი მიწა“, „ტურფა ახალ-რძალი“, „ალვა ნორჩი“, „მწვანე მოლნი“, „უშრეტი ცეცხლი“, „მწარე სიტყვა“ და სხვ.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ ლიტერატურაში თეიმურაზ პირველი რუსთაველის შემდეგ მაჯამის სწორუპოვარი ოსტატია. ამას ადასტურებს მისი ცნობილი „მაჯამა“. ¹ აგრეთვე მას კარგად გამართული რამდენიმე მაჯამური სტროფი აქვს მოცემული „იარღბუღბუღლიანშიც“. ზოგიერთ მათგანს ჩვენ აქ განვიხილავთ:

¹) თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1934 გვ. 113—125.

„სურნელი და შირად თეთრი გაიშალა იასამან,
ვთქვი: ესე სჯობს ფერად, სულად, დამამდურვა იასა მან;
მას ვერა სჯობს ერთი რამე, ვერ უდარებს, იასა მან;
ვერ შიუველ მოსაკრეფლად, ვის დაუსვამს ია სამან?“ (15)

აქ მაჯამური სიტყვაა იასამან. რომელსაც ტაეპებში სხვადასხვა გააზრება აქვს:

პირველ ტაეპში იასამან—ნიშნავს ყუაიკოს.

მეორე ტაეპში იასა მან—ნიშნავს შემდეგს: აქ ავტორი ამბობს: იასამანი თავისი ფერით და სუნით სჯობია იას, ამიტომ იას მან (ე. ი. იასამანმა) მომამდურვაო.

მესამე ტაეპში იასა მან—ნიშნავს ასად ქცევას.

მეოთხე ტაეპში ია სამან?—სამან ნიშნავს საზღვარს, ხოლო მთელი ტაეპი ასეთ გააზრებას იძლევა: პოეტი კითხულობს, ვინ დასვა საზღვარი, რის გამო მე ვერ მივალ იის დასაკრეფადო.

სტროფი 32. მაჯამის შემადგენლობა: ესეცო.

1. ესეცო—მებაღე ბულბულს ეუბნება: შენ როცა ბაღში მოხვალ, მაშინ ესეც (ე. ი. ბულბულიც) გამოიწინდებაო.

2. ეს ეცო—მებაღის სიტყვით ლახვარს ეს (ე. ი. ბულბული) წამოეგო.

3. ეს ეცო—ე. ი. ტანზე ბულბულს ღარიბულად ეცვა.

4. ესეცო—კოჭლი მაჯამა, ვინაიდან ეს სიტყვა აქ ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც პირველ სტროფში.

სტროფი 63. მაჯამის შემადგენლობა: მიგება.

1. მიგება—მესმა შენი პასუხი.

2. მიგება—ლახვარზე წამოგება, წამოცმა.

3. მიგება—თვალის გადაეცემა, მიხედვა, შეხედვა.

4. მიგება—შენს შეუფერებელ საქმისაკენ არ უნდა მიისწრაფოდე, წინ არ უნდა ეგებებოდე.

სტროფი 84. მაჯამის შემადგენლობა: სადალა.

1. სადალა—თავს გველები, როგორც მსხვერპლად განწირული მონა.²

2. სადალა—სიყვარულისაგან დამწვარი, დადაღული გული.

3. სადა ღა?—შენგან დატყვევებულმა სხვაგან სად უნდა წაგიდღო.

4. სად აღა?—შენი მსგავსი პატრონი სად უნდა ვიშოვნო.

„ვარდ-ბულბულიანის“ თარგმანის ან, უკეთ რომ ვთქვათ, გადმოკეთება-გადმოქართულების თარიღის შესახებ არჩილი „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ მეფის მეთვრამეტე პასუხში თეიმურაზს ასე ალაპარაკებს:

¹) ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 155.

²) თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით. 1934, გვ. 314.

„შვიდს წელიწადს მრვიცადე, კიდევ რასმე შევეცადე“. (1047)

„ვარდს ბუღბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა, კვლავ სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ, დადაგულსა“. 1 (1049)

ეს ის დროა, როცა თეიმურაზი 1649-1656 წ.წ. იმერეთში თავ-შეფარებული, სევდების გაქარვებას ლიტერატურული საქმიანობით ფიქრობდა.

შამი-შარვანიანი

„შამი-ფარვანიანი“ 2 ვარდ-ბუღბულიანური პოეზიის ერთი სა-უჩიეთის ნიმუშთაგანია. აქაც ალეგორიულ ფორმებშია გამოხატული ორი სქესის წარმომადგენელთა—ქალისა და ვაჟის ცალმხრივი, ეინ-მოუკლავი სიყვარული. თხზულებაში პატივმოყვარე და მედი-დური ქალის განსახიერებაა შამი (სანთელი), ხოლო სიყვარულით გახლებული, თავდადებული მიჯნურის სახე მოცემულია ფარ-ვანაში (პეპელა).

თხზულების სრული სახელწოდებაა: „შელაპარაკება და ბაასი, მათ-მათი შესაფერი მიჯნურობა და ფარვანასაგან თავის დაწვით განწირვა, ნათქვამი და გალექსილი ღვთივ გვირგვინოსანის მეფის თეიმურაზისაგან“. მას ტრადიციის მიხედვით აქვს შესავალი (12 სტროფი) და ბოლოსტყევობა (3 სტროფი). შესავალში პოეტი მიმართავს ყოვლის შემძლე ღმერთს, რომლის ღირსეულად შექება, მისი აზრით, არავის არ „ძალუძს“. შემდეგ პოეტი ჩამოთვლის ძველი დროის, განსაკუთრებით წარმართ ფილოსოფოსებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ მათ: „შენ, შემოქმედი, ვერ გიცნა, ვერ მისწვდა მიუწვდომელსა.“

მე-11, მე-12, მე-13 სტროფებში პოეტი გამოთქვამს თავის სევდიან განწყობილებებს, მომდევნო ხუთ სტროფსა და ბოლო-სიტყვაობის სამ სტროფში თეიმურაზი ფრიად საინტერესო ცნო-ბებს იძლევა თხზულების ქართულად ჩამოყალიბების საკითხებზე.

ვარდისა და ბუღბულის გაბაასება თუ გაზაფხულის მშვენი-ერი ბუნების ფონზე იშლება, სანთლისა და პეპელას კაშათი მიჯნურთა თანდასწრებით ხდება. ისინი სხედან იმ სუფრის გარშე-მო, რომელზედაც სანთელი ბრწყინავს და შეექცევიან ლალისფერ ღვინოს. მიჯნურთა წყვილებს უკან არ რჩება სიყვარულით გახლებული პეპელა და სანთელს თავს ევლება. ის სანთელს მოკრძალებით უძედავენებს თავის გულისწადილს:

„
მანათობელო ღამისა,
შენისა სიყვარულითა სული ამოსვლას ღამისა,

1) არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937, გვ. 121.

2) თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით. თბილისი, 1934. გვ. 15-23.

ამიყობამ და სურვილმან მე გული შემიღამისა,
ნუმცა მექნების უშენოდ სიცოცხლე ერთის წამისა“. (31)

პეპელა სანთლისადმი გამიჯნურების მთავარ მიზეზად სანთლის სილამაზესა და სიკეკლუცეს ასახელებს. იგი მას მზესა და მთვარეს ადარებს, სახლისა და ბანის დამამშვენებლად თვისს და სთხოვს გული გაუხსნას და მისი გრძნობები გაიზიაროს.

როცა სანთელი მოისმენს სიყვარულით სავსე სიტყვებს, მას გაუკვირდება პეპელას ასეთი თავხედობა. ვერც კი წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობა დამყარდეს.

სანთელი, მართალია, არ იზიარებს პეპელას გრძნობებს, მაგრამ ის არ არის ვარდივით ამაყი და პატივმოყვარე. ის თავის უარს სხვა მოტივებით ასაბუთებს, მისი აზრით, ის გაჩენილია არა მიჯნურობისათვის, არამედ „ეკლესიათა“ მსახურად:

„მე ღმერთმან შემქნა სამადლოდ, შენ სადით მომხვდი ბედობით?“

ხატთა და ჯვართა წილი ვარ სულისა საიმედობით“. (45)
„სრულ ჩემი საქმე საღმთოა, მე ვინ და მიჯნურობანი“.

ამიტომ ის პეპელას ურჩევს: „ღამეხსენ, ნეტარ, შენ ვინ და მე ვინა?“

მაგრამ სიყვარულის ეინით შეპყრობილი პეპელა უარყოფს სანთლის რჩევას; ის ღრმად დარწმუნებულია, რომ სიმშვენიერით სანთელი ვარდსა სჯობს, თითონ კი ბულბულს, ამიტომ ის მზად არის სიყვარულს მსხვერპლად შეეწიროს:

„ვირემდი დავიწვებოდე გარე გირბენდე ჩქარადო,

რა ვეგდო მკვდარი, დამწვარი, შენც მნახავ უსუღაროსა.“
მართალია, პეპელას ხვეწნა-მუღარა სანთლის ერთგვარ თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ ის აღრინდელ გადაწყვეტილებაზე მაინც მტკიცედ დგას და პეპელას ურჩევს:

„ღმერთსა გაფუცებ, დამეხსენ, წადი და სხვაგან ირეო,
ცუდად ნუ გინდა სიკვდილი, შენთვის ნუ ამატარეო“. (59)
იმედ დაკარგულმა პეპელამ ნაღვლიანად ამოიკვნესა:

„ამას იქით ვერ გავსძლებ, გულიცა მქონდეს ქვისანი.“ და ფრთებგაშლილმა სანთლის აღს მიამურა, მაგრამ ამ გაბედულ ნაბიჯს მეტად ტრაგიკული შედეგი მოჰყვა:

„მხარნი მოეწვენეს სრულობით, ქვე ჩამოვარდა, დაეცა,
ცოტა ხანს მუცლით იღოდა, სული უნდოდა გაეცა“. (62)

მკვდარიც არ მოსხლტა სანთელსა, იგ ზედა ეკრა, ეხია,
ეწამა მისთვის, დაიწვა, მოკვდა, ლახვარსა ეხია“; (63)

პეპელას ასეთმა თავის გამეტებამ სანთელი დაამწუხრა და თანაგრძნობის ნიშნად: „მუნით ტარს ცხელის ცრემლითა, სანთელს ღვარი სდის წვეთადო“, ხოლო იქ მყოფ მიჯნურებს:

„მათ გაუარმდა მეჭლისი მის საბრალოსა მწერითა,“

მათ გაუახლდა სახმელი, ვინც ვისთვის ვინმე იწოდა“.

„შამი-ფარვანიანი“ იმავე თემას შეეხება, რაც „ვარდ-ბულბუ-ლიანიში“ არის ასახული, მაგრამ პირველი მეორეს ვერ შეედრება ვერც მხატვრულობისა და ვერც თემის გაძლის თვალსაზრისით.

„ვარდ-ბულბულიანი“ შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებია, რომელიც თავისი მიმზიდველი შინაარსითა და მხატვრული სახეებით თანამედროვე მკითხველსაც კი ხიბლავს. „შამი-ფარვანიანი“ კი არ ჩანს პოეტის ნიჭი და პოეტური აღმაფრენა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „შამი-ფარვანიანი“ გაბაასების თვალსაზრისითაც ვერ არის სრულყოფილი ნაწარმოები; თხზულებაში არ არის მკვეთრად მოცემული ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირება და კამათი. აქ, პირიქით, პეპელას სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ სანთლის ქებასა და მისდამი ხეყნა-მუდარას გამოხატავს. მიუხედავად ამისა, თხზულება ჩვენი კვლევის საგნად იმიტომ გავხადეთ, რომ ჭერ ერთი მას ზოგიერთი რამ გაბაასებასთან მაინც აკავშირებს, მაგალითად. დიალოგური ფორმა და დასმული საკითხის ირგვლივ ერთგვარი მსჯელობა. გარდა ამისა, ამ თხზულების განხილვა აუცილებელი იყო გასათვალისწინებლად ვარდ-ბულბულიანიური პოეზიისა, რომელსაც საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში.

თეიმურაზს „ვარდ-ბულბულიანისა“ და „შამი-ფარვანიანის“ შესავალსა და ბოლოსიტყვაობაში გამოთქმული აქვს თავისი შეხედულება საერთოდ პოეზიის, მხატვრული სიტყვისა და, კერძოდ, თავისი პოეტური შემკვიდრების შესახებ.

ჩვენს პოეტს პოეზია, სრულად სამართლიანად, სიბრძნის ერთ-ერთ დარგად მიაჩნია:

„ფილოსოფოსთ ელენთ სიბრძნე შეიღა არის, გან ექვსულა!
ერთი არის რიტორება, სიტყვათ შეთხზენა განექსული“. (ვ. ბ. 4)

აქ რუსთაველის გავლენა უდავოდ შეინიშნება. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან თეიმურაზი და მთელი „აღორძინების“ ხანის ქართველი პოეტები რუსთაველის დიად პოეტურ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი.

უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოხდენილ და ლამაზ სიტყვას, რომელიც, მისი აზრით, მკითხველს დიდ სიამოვნებას გვრის:

„სცანით. სიბრძნისა ტრფიალხო, ძალნი სიტყვათა თქმულისა.
უცებთა: არად სანდომი. ცნობილთა—წამლად გულისა“. (იქვე, 3)
ამავე აზრს იმეორებს ის „შამი-ფარვანიანის“ დასაწყისში:

„მოდით, სიბრძნისა ტრფიალხო, სმენად სიტყვისა ტკბილისა...“ (122)
თეიმურაზის ღრმა რწმენით, ჭერ ერთი, პოეტის ლექსიკური მარაგი მდიდარი, ამოუწურავი უნდა იყოს, მას უნდა ჰქონდეს უნარი სიტყვათა შერჩევისა: „მელექსემან ხამს თუ სიტყვა ახლასოს,

წმინდად ვერცხლოს“—ამბობს ის. გარდა ამისა, პოეტის მიერ სიტყვები ისე უნდა იყოს დალაგებული, რომ ის ხელს უწყობდეს შემოქმედის ნაფიქრ-ნააზრევის მკაფიო და თავისუფალ გადმოცემას; მხატვრული სიტყვა ტაეპში უნდა მორაკრავებდეს „ვით ნაკადული ღარშიგან, სწორად მიღენით მილიაა“. (მ. ფ., 22)

თეიმურაზი თავის პოეტურ შემკვიდრებობაზეც დიდი შეხედულებებსა ყოფილა.

პოეზიის დიდი დამფასებელი „ვარდ-ბულბულიანში“ თავის თავზე გამომწვევი ტონით ამბობს:

„გამოსინჯეთ ლექს ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა!“ (9) ამავე თხზულების შესავლის ერთ სტროფში ის მეტისმეტად აჭარბებს და თავისთავს მხატვრული სიტყვის შეუღარებელ ოსტატად წარმოგვიდგენს:

„ნაძლევნი ვარ, თუ ვინმემ თქვას, ჩვენებრ რამე განლექსულო“. მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს ამ შემთხვევაში ცდებოდა, ვინაიდან მისი პოეზია ძლიერაა დეველებული რუსთაველის უკვლავი შემკვიდრებობისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზი მოითხოვდა არა მარტო ორიგინალური თხზულებების შექმნას, არამედ სრულიად შესაძლებლად და, შეიძლება ითქვას, სველდებულოდაც თვლდა ძალაღმხატვრული თხზულებების „გადმოღებას“ ან, უკეთ რომ ვთქვათ, თარგმნას; ის ამ საკითხს შესახებ გარკვეულად ლაპარაკობს:

„შპართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს“. (ვ. ბ., 2)

მართლაც, ამ ტაეპის ავტორი, როგორც ვიცით, ღირსეულად და ძლიერ მოხდენილად ასრულებდა მის მიერ დასახულ დევებს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში თეიმურაზ პირველი სამართლიანად აღიარებულია ვარდ-ბულბულიანური პოეზიის ფურცემდებლად, რომელსაც შემდეგ მიმბაძველ-გამგრძელებელთა მთელი პლეადა ჰყავდა. აგრეთვე ცნობილია, რომ თეიმურაზი აყოღრმად მორწმუნე პოეტი და ორთოდოქსალური ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი. სხვაგვარად არც შეიძლება წარმოვიდგინოთ XVII საუკუნის ქართველი მეფე-პოეტი; ფაქტია, რომ თეიმურაზმა თავისი რელიგიური გრძნობა გამოხატა თითქმის ყველა თხზულებაში—როგორც ორიგინალურში, ისე ნათარგმნი; ჭერეთი, მისი „წამება ქეთევან დედოფლისა“, „შეიდთა კრებათათვის“, „ანბანთ ქება“ და სხვა წარმოადგენს ქრისტიანული სარწმუნოების ქება-დიდებას. გარდა ამისა, ყველა მისი ნათარგმნი თხზულების პროლოგი და ეპილოგი. მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულებები სპარსულიდან არის თარგმნილი, შეიცავს მიმართვას ღვთაებისადმი, რომელიც, თანახმად ქრისტიანული რელიგიის დებულებისა, აღიარებულია მთელი სამყაროს შემოქმედად. პირად ცხოვრებაშიც ის დიდი ორთოდოქსი ჩანს: ცნობილია, რომ მხცოვანმა პოეტმა ქრისტეს რწმენისათვის პირისხლიანი შაჰისაგან დიდი

შეურაცხყოფა მიიღო. აგრეთვე ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო ანტიციკლებს თეიმურაზის უკანასკნელი ნაბიჯი, როცა მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბერის ანაჟორაში გაატარა.

თავისთავად იბადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ ღრმად მორწმუნე პოეტი ხელს ჰკიდებს სატრფიალო-სამიჯნურო განწყობილების ამსახველი თხზულებების დამუშავებას? ჩვენი აზრით, ამის მიზეზი შეიძლება გარემოება უნდა იყოს; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზ პირველის დროინდელი საერო ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიაში ღრმა ცვლილებები ხდებოდა; „წმინდა მამების“ სასტიკი ზომების მიუხედავად, ხალხი თავს ანებებდა იმპერეციურ სამყაროზე ზრუნვას და მიისწრაფოდა ამპერეციური „ბაგე-ღვინით“ დატკობისაკენ. საერო საზოგადოება ეწაფებოდა არა რელიგიური განწყობილების ამსახველ ძეგლებს, არამედ ყოველდღიური ყოფაცხოვრების გამომხატველ თხზულებებს. ამ გარემოებას თეიმურაზიც კარგად ამჩნევდა და აცხადებდა:

„დალპეს ბევრი სამლო წიგნი მიწაშიგან მოდებულნი“

„არჯის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“. (შედ. 5)

თეიმურაზი საერო ფეოდალური არისტოკრატის იდეოლოგია იყო. ირანულ სამიჯნურო პოემებზე აღზრდილი პოეტის სულიერ განწყობილებებს კარგად ეგუებოდა გამოფხიზლების გზაზე დამდგარი საზოგადოების მოთხოვნილებები. ამიტომ იგი ქმნის ან თარგმნის ისეთ თხზულებებს, სადაც ადამიანის ვნებათა ლელვა, ორი სქესის წარმომადგენელთა ერთმანეთისადმი ღტოლვა და სიყვარული ასახული. მაგრამ ღრმად მორწმუნე პოეტს სამიჯნურო თემებით ასეთი გატაცება ღვთის გმობად მიაჩნდა, ამიტომ იგი სრული შეგნებით, ყოველგვარი ფორმალობისა და „ხარკის გაღების“ გარეშე აცხადებს:

„ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა, მიდმოღებასა,“ (შ. ფ., 68) „ვაიმე, ცუდის ლაყბითა, თუ სული დავაზიანი“ (ვ. ბ., 95)

ეს სინანულის გამომხატველი სიტყვები, კიდევ ვიმეორებთ, არ არის შემთხვევითი ხასიათის და კლერიკალური საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლად წამოსროლილი. როგორც ჩანს, სამიჯნურო თემების დამუშავებისას უჭერხულ მდგომარეობას ის ყოველთვის გრძნობდა, ამიტომაც, რომ ის თავის რომანულ თხზულებებს „ტყუილ ამბავსა“ და „ლაყბობას“ ეძახის. მაგალითად, „ვარდ-ბულბულიანის“ დასასრულს შენიშნავს: „მეც მომეწყენა ტყუილი, ეს ცუდი გალაყაბება“, ხოლო „შამი-ფარვანანში“ ასეთი შენიშვნები ხშირად გვხვდება:

„რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაბიანი“. (14)

„მისთა ლაყაბთა თარგმნითა იგ არც მე დადუმებულმან“. (19)

„ეს უსარგებლო ლაყაბი მეყოფა მეტის-მეტადო.“ (65)

აქ თეიმურაზი კიდევ უფრო შორს მიდის და სანთლისა და პეპელას სამიჯნურო ურთიერთობას „ცუდ რამ ტიკტიკობას“ უწოდებს.

ვეიქრობთ, ეს სტრიქონები არ უნდა იყოს ეკლესიის მსახურთა თვალის ასახვევად ნათქვამი. ორქოუი და საბოლოაშო სიტყვები ქვეყნის ერთმმართველს სასულერო წოდების წინაშე არ დასპირდებოდა, რა სასტიკიც უნდა ყოფილიყო მათი ბრძოლის საშუალებები ამქვეყნიური ცხოვრებით დაინტერესებულთა მიმართ.

სამიჯნურო თხზულებების „ლაყბობად“ აღიარება იმის მაჩვენებელია, რომ თეიმურაზი იყო ღრმა მორწმუნე, რელიგიით დამნიშობული მისი გახება ვერ ეგუებოდა სატრფალო სამოაწურო თემებზე მუშაობას. მაგრამ თეიმურაზი პროგრესულად მოაზროვნე პოეტა იყო. ის თავისი ეპოქის, საერო წრის ღვიძლი შვილი გახლდათ, ამიტომ მას არ შეეწლო თავისი პოეტური ნიჭი არ აეცდებინა იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რომლებსაც მას, როგორც პოეტს, უყუენებდა მისი თანამედროვე საზოგადოება. მაგრამ თეიმურაზის პოეტური ჩანგის ახალ ჰანგებზე აქედრება არ იყო ძალდატანებითი და ფორმალური ხასიათისა. როგორც ჩანს, საერო ფეოდალური წრისა და თეიმურაზის მსწრაფებანი კარგად ეგუებოდნენ ერთმანეთს. თუ პირველისათვის „ვარდ-ბულბულიანი“ პოეზია გრძნობისა და ვნებების აღმძვრელი საშუალება იყო, თეიმურაზისათვის კი ის, პირველ რიგში, სევდიანი ფიქრების გაქარვების საუკეთესო საშუალება უნდა ყოფილიყო. ის ამის შესახებ გარკვევით ამბობს:

„მე გასაძლებლად დაეწერე ხან ისი, ხან ეს რამეო.
გული ამანუდ დაეაპყარ, ზევრი დღე დაეალამეო“. (შ. ფ., 13)
ან კიდევ:

„ვარდს გვაუბნე, გავაბრქე ბულბული მისთვის ხელები,

ცოტა რაჲ უკუ ვიყარე, სედა კქენ განათხელები“. (15, იქვე)
თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში ერთერთი მთავარი მოტივი სიყვარულია, რომელიც პოეტის მიერ აღიარებულია ადამიანის ყოფაქიზეს და უმშვენიერეს გრძნობად. მართალია, თეიმურაზისებურად გაგებული სიყვარული ამქვეყნიური და ზოგ შემთხვევაში მისტიკური ელფერის მატარებელია, მაგრამ ჩვენი პოეტის თხზულებაში მოცემული სიყვარულის გრძნობა არ არის დროებითი მოკლენა და ადამიანის ბორციელი ჟინის ისეთი გამოვლინება, როგორც ეს „ვისრამიანში“ გუხვდება. თეიმურაზთან ამ გრძნობას არც ისეთი ალუგორიული ხასიათი აქვს, როგორც ეს მოცემულია დაგ. გურამიშვილის შემოქმედებაში.

თეიმურაზის თხზულებებში ასახული • სიყვარული უფრო ხშირად ამქვეყნიური და რეალურია. შეიძლება ითქვას, რომ მისი ზოგიერთი თხზულება, როგორიცაა „ვარდ-ბულბულიანი“ და „ღვილ-მაწუნნიანი“, სიყვარულის საუცხოო ჰიმნს წარმოადგენს.

თეიმურაზის აზრით, სიყვარულის გრძნობამ შეიძლება იფუთქოს არა მარტო თანაბარი სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის, არამედ სოციალურად სხვადასხვა წრის შვილთა შორისაც. მეორე შემთხვევაში ხშირად სიყვარული ცალმხრივი ხასიათისაა, მიწნურ-

სა და მიჯნურობის ობიექტს შორის საერთო ენის გამოჩნება ძნელდება და უთანასწორო სიყვარულიც კატასტროფით სრულდება. პოეტმა თავისი ეს შეხედულება მშვენიერი მიმზიდველი ფერებით ასახა ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ორ თხზულებაში.

მართალია, „ვარდ-ბულებულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“ ალეგორიული ხასიათის თხზულებებია. მაგრამ ეს არ უშლის ხელს, მათში ამოვიცნოთ და გავითვალისწინოთ ცალმხრივი და გაცრუებული სიყვარულის მძიმე შედეგები.

ორივე თხზულებაში სიყვარული ცალმხრივი ხასიათისაა და ამიტომ ეფექტიც რაღაც ძლიერი არ არის, როგორც ეს „ლეილ-მაჯნუნთანში“ გვაქვს. მაგრამ სიყვარულის ასეთი გაგება, როგორც ეს ბულებულისა და პეპელას ალეგორიულ სახეებშია მოცემული, უთუოდ გავლენას მოახდენდა თეიმურაზის თანამედროვე საზოგადოებაზე.

ბულებულისა და პეპელას სიყვარულს ახასიათებს მეტისმეტი უშუალოება, სინაზე, სითაქიზე, სისპეტაკე. ეს არ არის დროებითი გრძნობა ვნებაშლილი მიჯნურობა, რომელსაც „დღეს ერთი უნდეს, სვალე სხვა“. პირაქით, აქ სიყვარული აღიარებულია მუდმივი, განუშორებელ გრძნობად, რომელსაც, თუ საჭირო იქნება, მიჯნური მსხვერპლად უნდა შეეწიროს. მართალია, ბულებულისა და პეპელას სიყვარული ერთგვარად პასიური ხასიათისაა, მათში სიყვარულის გრძნობას მიჯნურაა ვაეკაცობა. ჩაუკლავს და ცრემლებს აღკრევიანებს. მაგრამ ზნეობრივად გადაგვარების გზაზე მღგაური XVII—XVIII საუკუნეების ფეოდალური არისტოკრატიისათვის აქ მოცემული სიყვარულის გაგება მაინც სანიმუშო და მისაბამი მაგალითი იქნებოდა. მართლაც, ორივე თხზულებაში პოეტის მიერ გარკვეული იდეაა ჩაქსოვილი. ჯერ ერთი, პოეტი თავის თანამედროვე საზოგადოებისაგან, რომელმაც, თურმე:

„გნორგვინის ცოლი გაუშვეს,
ხაჭასთან შექნეს ობოლანი“.¹

მოითხოვს ზნეობრივ გაჯანსაღებას, განსაკუთრებით ქალ-ვაჟთა სასიყვარულო ურთიერთობაში. პოეტი უთუოდ ამზნევდა ფეოდალური არისტოკრატის აღვირახსნილობას ორ სქესთა შორის დაშოკიდებულების საკითხში. ასეთი ქცევა, მისი აზრით, დაშლასა და გადაგვარებას უქცადიდა დიდი ტრადიციის მქონე ქართულ ოჯახებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ბულებულსა და პეპელაში განსახიერებელი სუფთა და უზადო სიყვარული მიჯნურობისადმი, ამ დიადი გრძნობის ბრლომდე შენარჩუნება სანიმუშო და მისაბამი მაგალითად იყო პოეტის მიერ დასახული ფეოდალური არისტოკრატის ანაღვანზრდობისათვის. პოეტი მოითხოვდა მისი თანამედროვე ანაღვანზრდობისაგან, განსაკუთრებით ვაჟებისაგან, მიჯნურ ქალებისადმი პატივისცემას, კრძალვას, თავდადებას და, რაც მთავარია, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სიყვარულის შენარ-

¹) დავითიანი, აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბილისი, 1931, გვ. 44.

ჩუნებას. ამ მოსაზრებას ადასტურებს მოწოდების მსგავსი სიტყვები, რომლებიც ორივე თხზულებაში ხშირად გვხვდება:

„ვის მახვილი გულად ეღვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი
სწოლდეს.

იგ უცლოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს“. (ვ. ბ., 5)
პოეტის მოწოდების სიტყვები „შაში-ფარვანიანში“ უფრო მკვეთრად გაისმის:

„მოდით, მიჩნურნო, რომელთა ცრემლთა გდის ნაკადულები,

ნახეთ ფარვანა დამწეარო, მკედარო, სულამოსულები. (შ. ფ., 23)

„მისგან ისწავეთ ყოველთა ხელობა, მიჩნურობანი,¹

სიყვარულისა ცეცხლშიგან იგ მისებრ გამოდნობანი“ (შაში, 24)
ხოლო თხზულების დასასრულს თეიმურაზი დაბეჭითებით მოუწოდებს მიჩნურებს, რათა მიბაძონ პეპელას:

„თქვენც აგრე პქენით, მიჩნურნო, ვინცა-ვინ ვისთვის კვლ-
ბოდა“. (შ. ფ., 11)

მეორე მხრივ, თეიმურაზი ილაშქრებს ცალმხრივი სიყვარულის წინააღმდეგ, რომელიც მისი აზრით, ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება. სიყვარული მაშინ არის ღამაში, მიშხიდველი და აღმაფრენის მქონე, როცა ურთიერთისადმი სიყვარულის გრძნობათ ორივე მხარეა შეპყრობილი, როცა გამიჩნურებულ წყვილთა შეერთებას არაფერი უშლის ხელს.

„ალორძინების“ ხანის ლიტერატურაზე რუსთაველის შემდეგ თეიმურაზის მსგავსი გავლენა არც ერთ პოეტს არ მოუხდენია. ეს გავლენა მრავალმხრივი იყო. ის გამოიხატა თეიმურაზის მიერ შემოტანილი ახალი თანრების, მოტივების, თემების, მხატვრული სახეების განმეორებით. „მარტო ვარდ-ბუღბულიანი“ რომ აეილოთ.—წერს პროფ. ალ. ბარამიძე,—განსაცვიფრებელი შედეგებია იღირიცხება. ამ თემამ მთელი ეპოქა შექმნა, მთელი კულტი. ვერ დაასახელებთ ვერც ერთ „ქველ“ მწერალს, რომლის კალამი საშიხნურო მოტივს შეხებია (აბა, რომლის კალამი არ შეხებია ამ მოტივს?) და ვარდ-ბუღბულის ამიყობა რაიმე ვარიაციით არ აღებეჭდოს.“² მართლაც, ვარდი და ბუღბული როგორც შეყვარებულ მიჩნურთა სიმბოლური სახეები გვხვდება არა მარტო XVII—XVIII

¹) ხაზი ყველგან ჩვენია ბ. ძ.

²) ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 160.

საეკლესიოების ქართულ ლიტერატურაში, არამედ XIX საუკუნის პოეზიაშიც კი. „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიით დავალებული არიან დაჟ. გურამიშვილი, ბესიკი, საიათნოკა. მართალია, თითო-ეულმა მათგანმა ეს თემა თავისებურად გადაამუშავა. მაგრამ უმჯობესად ამისა, თეიმურაზის გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობება.

„ვარდ-ბულბულიანური“ თემაზე აქვს დაწერილი დაჟ. გურამიშვილს ერთი ლექსი, რომელსაც ეწოდება „სიმღერა“ ანუ „რომელ არს რუსულად ამისი ხმა: უღებელა ზაზულინკო ჩერეს დებინუ“.¹

მართალია, ეს თემა ამ ლექსში დაჟ. გურამიშვილს თავისებურად აქვს დამუშავებული. მაგრამ თეიმურაზ პირველის ლექსის (გველისხმობით „ვარდ-ბულბულიანს“ — ბ. ქ.) გავლენა ისე თვალსაჩინოა, რომ პროფ. ალ. ბარამიძე ამ ლექსს პირობითად „ვარდ-ბულბულიანსაც“ კი უწოდებს.²

დაჟ. გურამიშვილის ლექსში ვარდისა და ბულბულის სამიგნურო ერთიერთობის ფინალია მოცემული და. უნდა ითქვას, ეს ფინალი აქ უფრო რეალურ ფერებშია ასახული, ვიდრე თეიმურაზის თხზულებაში. ამ პატარა, 24 სტრიქონიანი ლექსის დასაწყისში აღნიშნულია, რომ ვარდმა არათუ შეიწყნარა ბულბულის მუდარა, არამედ „შეიძულა მან ბულბული: იყვარა ყვავი“.³ შეურაცხყოფილი ბულბული თავს ანებებს ბალს და ასკილს უმეგობრდება, თუმცა ვარდის სიყვარული მას, როგორც ჩანს, გულში განელებული არ აქვს. ვარდს თითქოს აკვირვებს ბულბულის ასეთი მოქმედება და ბულბულს პირფერულად ეუბნება:

„...მე, ბულბულო, აკი გიყვარდი;

რატომ აგრე განმეშორე, ხომ არ გიყარდი?“

ბულბული თავის პასუხში აღიარებს ვარდის გარეგნულ სილამაზეს, მაგრამ იქვე ვარდს ახასიათებს, როგორც მოლაღატეს, გულცივს, უმადურსა და ზნეობრივად მიუღებელს:

„საკოცნელად მოხვეულსა მარადი პირი,

სხვას ახარი შეხვევინითა, მე კი მატირა,

მე გაუმევედი, მე გასმევედი, მე გაცმევედი ტანთ.

„შენ ღატარბლი შვირეს ძღვენთა სხვისგან მონატანთ“.

ასეთი ბედგომარეობის გამო ბულბული დარწმუნებულია, რომ ვარდი მას ცოცხლად, ოკანის ბურჯად არ გამოადგება. ის უნად არის გადაიკარგვას, ხოლო ვარდს ნებას აძლევს ქმრად შეირთოს ის, ვინც მას მოსწონს:

„რაც მოგიხნარ. ძით წამინდა მე შენხედ გული,

შენს საცოლ-ქარმოდ მე სურვილი მაქვს დაკარგული.“

ის თუ გინდა, ქრმად შეირთევ, ნება დამირთავს“.

¹) დავითიანი, ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბილისი, 1931, გვ. 160.

²) ალ. ბარამიძე, ნარკვევები. ტ. II, გვ. 330—331.

პროფ. ალ. ბარამიძის შენიშვნით: „ახლა ამ ლექსის იდეურობაც, თემატური მოტივირებაც, სიუჟეტური კონსტრუქცია (ი) და სავერსიფიკაცია „ხშიერებაც“.¹

დავ. გურამიშვილი, მართალია, ერთგვარად განიკლდის თეიმურაზის „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიის გაყუნას, მაგრამ ის კარგად ახერხებს ძველი თემატური რეალის გარღვევას და იძლევა თემის ახალ იდეურ გაანზრებას.

„ალორქინების“ ხანის მწერლებიდან ყველაზე ძლიერ „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიის გავლენა ბესიკმა განიცადა. ბესიკის პოეტური ჩანაღა ემეტეს შემთხვევაში უძლეროდა ქალის გარეგნულ სილამაზეს და გამოხატავდა პოეტის თავდაუწყებულ სწრაფვას ლამაზი ასულებისადმი. ამიტომ „ვარდ-ბულბულიანობა“ მტკადად ხოციერი ნიდაფი პოეა მის პოეზიაში.

ის „ვარდ-ბულბულიანური“ სიყვარულის თავისებურ გაანზრებას იძლევა თავის რამდენიმე ლექსში, მაგრამ ყველგან ტრადიციული სიმბოლური სახეები გვხვდება: სატრფო ვარდია, ხოლო ბულბული სიყვარულით გახელბული მიჯნერი.

ლექსში „ბულბული მოდის მწუხარებით“²—ბულბულის ვარდისადმი ტრფობას წინ ელოდება გულცივი და შეუბრალებელი მებაღე. აქ მებაღის როლი თავისებურად არის გაგებული. ის არ არის ისეთი ნაზი გრძნობების მქონე მებაღე, როგორც თეიმურაზის თხზულებაში გვხვდება. ამ ლექსში არც ბულბულისა და ვარდის უშუალო გასაუბრებაა მოცემული, მხოლოდ ჩანს, რომ სიყვარულით ცეცხლმოდებული ბულბული ვარდს არ შეუღია, ხოლო მებაღე მას ბალიდან ასევეებს:

„ბულბული მოდის მწუხარებით, ცრუნის დენითა —

ეკვობ, მებაღეს დაუტექსავს ცეცხლ მოდებითა.“

მებაღე არც იმის ნებას აძლევს ბულბულს, რომ ნარგიზი ნახოს და ვარდთან გაგზავნოს საშოკრებლოდ. შეუბრალებელი მებაღე ირწმუნება: „კოკობი ვარდი არ მიგიღებს თავის ნებითა“.

გულმოკლული ბულბული სასოწარკვეთილებამდის მიდის და სიკვდილს შესთხოვს: „სიკვდილა, მოდი, მიიბარე ბულბულის სული.“ ლექსის უკანასკნელ სტროფში ბესიკის სულიერი განწყობილება არის გამოხატული, პოეტს თავისუფაზე ამბობს:

„მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე, ჩამიღვი სული,

თუ გინდ მიწასაც მიიბარე მოყვრის ენითა“.

საფიქრებელია, ეს ლექსი პოეტის ინტიმური ცხოვრების ერთი ეპიზოდის ამსახველი იყო; შეიძლება რომელიმე ტურფა ასულის უარმა დააწერინა ეს ლექსი ჩვენს პოეტს.

ავტობიოგრაფიული მომენტების შემცველია ლექსი „ბულბუ-

¹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., ტ. II, გვ. 331.

² ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თაფფრიანს რედაქციით, თბილისი, 1932 წ., გვ. 6.

ლის შურსა“, აქაც ჩვეულებრივ სიმბოლურ სახეებში პოეტი და მისი მიჯნური იგულასსებთან:

„ვარდი ხარ ჯერეთ არაშლილი, ედემს ნარგები,
შენას ბულბულის შემაშალი, შემაშაგები“.

ხოლო სიყვარულისაგან მიბნედილი პოეტი გულსაკლავად გაი-
ძახის:

„ბულბულის შურსა შევდგომივარ მუდამ მძახველი,
მწყურების თვალთ შემოგყურებ შენი მსახველი.

ვარდის ეკალი გულს დამესეა პირგამძახველი:

შენგან დაკოდის შემობრალებს ჩემი მხანველი!“¹

„ვარდო სასურო პოეტ“² პოეტის მიჯნურის სიმბოლური სახეა
მოცემული. მიჯნურის გარეგნული სილამაზით აგზნებული პოეტი
მას უბრალოდ ახსამს:

„ვარდო სასურო, მისურო, გრწყავს წვიმა, დარი!
სულით ქებულო, შეგნებულო, სადა გყავს დარი?“

ხოლო თავისთავს უპასუხო სიყვარულისაგან გულდამწყვარ
მიჯნურად წარმოგვიდგენს.

„ბესარიონ ვსთქვი, ვერ გამოვსთქვი მნათობის ქება,
მედება ალო, გულსა ბრკყალო, არა ნაქვს შევბა,

ასე უარი, მატყუარი, არ დამართო ნება.“

„ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიის თეიმურაზისებური მოტი-
ვიცა ძლიერ იგრძნობა ბესიკის ლექსში „სტვენს ბულბული“.³ ამ
პატარა ლექსში თითქოს მოცემულია ათეიმურაზის თხზულების მე-
ტად შეკუმშული შინაარსი. სიყვარულით ცთვრალი ბულბული
ვარდს შესძახებს:

„ვარდო, შენი სახე
ოდეს ვნახე, მექმნა მახე,
შენსა ფერსა სული ვახე“.

ბულბულის უსაზღვრო ტრფობას ვარდი აქაც უპასუხოდ
ტოვებს:

„ვარდმან პირი არა შალა:
უმზეობით დამალა“:

ამის გამო „ბულბულს სული გაეცალა“. ბულბულის უმწყობამ
კი ვარდს გული მოუღობა:

„ვარდს ბულბული შეეწყალა.
ლალის ფარდა გარდაშალა,
მაჯუნს მიხვდა სულის ძალა!“

გარდა ამისა, ვარდის სიმბოლური სახე გვხვდება ბესიკის
შემდეგ ლექსებში: „სევდის ბაღს შეველო“, „მე მივხვდი მაგას შენსა
ბრალესა“, „რა გული დავაგე შენად სარებლად“.

¹) ბესიკი, თხზულებანი, აღ. ბარამიძის და ვ. თოფურის რედაქციით.
თბილისი. 1932, გვ. 10.

²) იქვე. გვ. 13.

³) იქვე. გვ. 23.

როგორც დავინახეთ. ყველაზე ადვილად შესაძლებელია თეიმურაზის მიერ დაშვიდრებულ ვარდ-ბულბულთან პოეზიას; ბესიკთანაც ვარდსა და ბულბულში ჩვეულებრივი სიმბოლურა სახეუბია ნაგულისხმევი, ზოგიერთი ლექსი თითქმის თეიმურაზის თხზულების ორეულს წარმოადგენს (მაგ.: „სტვენს ბულბული“).

მიუხედავად ამისა, როგორც პროფ. ალ. ბარამიძე შენიშნავს,¹ ბესიკის „ვარდ-ბულბულიანურ“ პოეზიას არ ახასიათებს განწყენებული ალეგორიზმი და არც მისტაურული ელფერი დაჰკრავს. პირიქით, კარდითა და ბულბულით ნაგულისხმევი სახეები უფრო კონკრეტული და რეალურია. უდავოა, რომ ბულბულში თვითონ ბესიკი გულისხმობდა თავის თავს, ხოლო ვარდში—მისი ტრუფიების ობიექტს. ასეთი ტურფა ასულები ხომ უხვად ეხვეივნენ გარს ჩვენს პოეტს, რომელმაც მათი სიმბოლური სახეები მოგვცა, გარდა ვარდისა, იასა და ნარგიზში (იხ. „სევედის ბაღს შეველ“).

„ვარდ ბულბულიანურ“ მოტივს გრძობენ სავაზად დიდი ადგილი უჭირავს საიათნოვას პოეზიაში. ამ მოტივს მის პოეზიაში ასაზრდოებდა როგორც თეიმურაზ პირველისა და ბესიკის პოეტური მემკვიდრეობა, ისე, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, XVIII საუკუნის სომეხი პოეტი გრიგოლ ახთამარელის სომხური ლექსი.² ამიტომ შეძთხვევითა არ არის, რომ საიათნოვას ამ თემისაღში მიძღვნილი აქვს ქართულ ლექსებთან ერთად რამდენიმე სომხური ლექსი.

მართალია, როგორც ბესიკს, ისე საიათნოვას ვარდისა და ბულბულს სასაუკარლო ურთიერთობა გაბაასების სახით არ აქვს პოეტურული. მაგრამ თითქმის ყველა ლექსში, თეიმურაზის მსგავსად, ვარდი და ბულბული ასახიერებენ შეყვარებულ წყვილებს. იშვიათად შეგხვდებით საიათნოვას ისეთი ლექსი, რომელშიაც სიმბოლურად ვარდი და ბულბული არ იყოს ნახსენები, ეს მოვლენა პოეტ აკადემიკოს ი. გრიშაშვილსაც აქვს შენიშნული: „მანც დალოცვილს,—ამბობს ი. გრიშაშვილი,—იმდენჯერ აქვს ნახმარი „მზე“ „მთვარე“, „ვარდი“ და „ბულბული“, რომ დღეის შემდეგ, როგორ მივქარავ და კვლავ შევიყვარებ ამ საგნებს“.³

ვარდისა და ბულბულის სიმბოლიკა საიათნოვას შემოქმედებაში არ არის ვანუენებული და ზოგჯერ სასიათისა. პირიქით, ბევრ მის ლექსში ბულბული თვითონ პოეტია, ხოლო ვარდი მისი მიჯნური:

„საიათნოვა მოგახსენებს: „შენ ვარდი ხარ, მე ბულბული“,⁴ — მიმართავს ის თავის სატრფოს.

¹) ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., ტ. II, თბილისი, 1940 წ., გვ. 410.

²) ლეონ მელიქსეთ-ბეგო, საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-საღმრთო წყაროები. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ტ. I, თბილისი, 1935 წ., გვ. 232—254.

³) ი. გრიშაშვილი, საიათნოვა და ძველი ტფილისი; საიათნოვა,—ლექსები. ი. გრიშაშვილის ვამოცემა, 1918 წ., გვ. 47.

⁴) იქვე, გვ. 101.

ხშირად ის თავის „ვარდს“ დაეძებს და საქვეყნოდ აცხადებს: „ბულბული ვარ, ვარდს დავეძებ, ალალი ხარ, დავინახო“.1 ძაგრაქ ის თავის მიჯნურს—„ვარდს“ ვერ ჰიუღლობს და მწუხარებით აღნიშნავს:

„ბულბულივით ვარდს ვეძებდი, ავღუგ, ქალას ჩავიარე, ვარდის ავალი ვერ ვიპოვე, სულ უბოლოოდ გავიარე.“2

ზოგჯერ ის თავისი პირადი განცდების ვიწრო რეალიდან გამოდის და ვარდისა და ბულბულის სიმბოლიკაში მიჯნურობის ზოგად სახეს იძლევა. ასეთია, მაგალითად, მისი სომხური ლექსები: „ბულბულავით სტირიხარ“3 და „ბულბულს მოესმა ამბავი“.4 პირველში ვარდსა და ბულბულს მიჯნურული წყვილია შედარებული:

„ბულბულივით სტირიხარ,
ვარდის მსგავსად გაშლილხარ,
მისით შენამებულხარ,
კარგად შენამებულხარ“.

მეორე ლექსი დიალოგური ხასიათისაა. აქაც ვარდისა და ბულბულის სიყვარულის შესახებ არის ლაპარაკი. მხოლოდ, როგორც ჩანს, ბულბულის გული ყაყაჩოს დაუწყვეთრებია, ამიტომ ის ვარდს უთვლის: „ვერ მოვალო, ვერ ავატირებ ყაყაჩოს“. კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა საიათნოვას როგორც ქართულა. ისე სომხური ლექსებიდან, მაგრამ ვფიქრობთ, მოყვანილი ნიმუშებიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რა გავლენა მოახდინა თეიმურაზის მიერ შემოღებულმა „ვარდ-ბულბულიანურმა“ პოეზიამ საიათნოვას შემოქმედებაზე.

„ვარდ-ბულბულიანურმა“ პოეზიამ არა მარტო „ალორძინების“ ხანის პოეტებს მისცა ნოყიერი საზრდო, არამედ გადალახა XVIII საუკუნის მიჯნა და თავის ძალა XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებსაც, განსაკუთრებით ალ. ჭავჭავაძის აგრძნობინა.5

პოეზიის ამ თავისებურ სახეს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც გაუკვლევია გზა. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში უცნობი მეღვინე მიჯნურისაღმი თავის ტრფობას ადარებს ბულბულის ვარდისაღმი ტრფობას და ამბობს:

„ვითა ბულბული დარისა ვარდსა ჰვრეტად მას სუროსა,
ეგრევე მე ვეტრფე ტურფასა, აშკითა შესაშუროსა...“6

1) ი. გრიშაშვილი, საიათნოვა და ძველი თბილისი: საიათნოვა, ლექსები, ი. გრიშაშვილის გამოცემა, 1918, გვ. 111.

2) იქვე, გვ. 112.

3) საიათნოვას სომხური ლექსები. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ თარგმნილი და გამოცემული. თბილისი, 1935 წ., გვ. 76.

4) იქვე, გვ. 100.

5) ალ. ჭავჭავაძის, „სიყვარულო ძალსა შენსა“.

6) ხელნაწერი H 119.

თეიმურაზ პირველი განიცდის რუსთაველის, დიდ გავლენას. ჩვენ მიერ განხილულ თხზულებაში ის რუსთაველს სწორად მამართავს როგორც დიდ ავტორიტეტს მის მიერ წამოყენებული დებულებების დასამტკიცებლად. მაგალითად, თეიმურაზი „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარებაში“, როცა ლაპარაკობს სიტყვის დიდი მნიშვნელობის შესახებ, თავის აზრს რუსთაველის სიტყვით ასაბუთებს:

„რუსთველმანც თქვა: „ნერვინ თქვასო სიტყვა ცოლად წასახლომო“!

ეგების რამ აწ მეცა ვთქვა ცოტა რამე მოსაწონი“. (შედარება, 7)

„ვარდ-ბულბულიანში“ ვარდი თავის უპირატესობას ბულბულთან შედარებით რუსთაველის ავტორიტეტით კიდევ უფრო ადასტურებს:

„რუსთველმანც მაქო, შენც იცი, ეკლიანად და ძირადო“ (ვ. ბ., 73)

„ხესა კაკრა გასცივივროდეს, თესლსა ჰკენეტდეს იაღონი, რუსთველმანცა ერთობ აქო მისი სტვენა მოსანდონი.“ (შედარება, 39)

თეიმურაზი. შეიძლება ითქვას, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიხედვით ამუშავებს თავისი თხზულების შესავალს. განსაკუთრებით ეს ემჩნევა „ვარდ-ბულბულიანის“ შესავალს. მაგალითად, რუსთაველის სიტყვებს:

„ჰე, ღმერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“. (21)

თეიმურაზი ცოტაოდენი ცვლილებებით იმეორებს:

„ჰე, არსისა შემოქმედო! შენგან არი ყოვლიფერი“. (ვ. ბ., 1)

გარდა ამისა, თეიმურაზი რუსთაველის უდავო გავლენას განიცდის პოეზიის და მხატვრული სიტყვის მნიშვნელობის განმარტებისას, მაგრამ ამის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებთ.²

თეიმურაზის პოეზიაში გვხვდება ბარბაროზმები. მისი პოეტური ენა დამძიმებულია ირანიზმებით. როგორც ჩანს, თვით თეიმურაზიც არ ფარავდა თავის გატაცებას ირანული პოეზიით და საჭაროდ გაიძახოდა:

სპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანი.“

და იქვე დასძენდა: „მძიმეა ენა ქართველთა“.

პოეტის ასეთი შეგნების შედეგად ჩვენ მიერ განხილულ თხზულებებში, სხვას რომ თავი დაკანებოთ, გვხვდება უამრავი ირანული წარმოშობის სიტყვა. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებული ექნას რამდენიმე: ყურბანი, შეიღო, მუქაფა, ზილფი, სადალი, ფასლი, შამი, ფარვანა, ჩირახონი.

სპარსეთის პოლიტიკური აგრესიის წინააღმდეგ მრავალწლოვანი ბრძოლის მეთაურის ასეთი გატაცება ქართველი ხალხის დაუ-

²) „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, 1937 წ., გვ. 3.

³) იხ. წინამდებარე შრომა. გვ. 46-17.

ძინებელი მტრის ენითა და ლიტერატურით თანამედროვე ქართველი მკითხველს გაკვირვებას წვევს. შიშ ჯმეტეს როცა „... სპარსელი და თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ჟღერდნენ სომეხ და ქართველ ერებს. მაგრამ არათუ ვერ მიაღწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ— პირიქით— იძულებული გახდნენ აგრეთვე კაპიტულაცია მოეხდინათ“.¹

ქართულმა ენამ, „რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები“.² ზურგი აქცია თეიმურაზ პირველისა და XVI—XVIII საუკუნეების თავადაზნაურობის ერთი ნაწილის მშობლიური ენასადმი ანტიპატრიოტულ დამოკიდებულებას და ის განვითარდა თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების თანახმად „ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს“.³ დიდი ზელადი აღნიშნავს, რომ „თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ დაემახინჯებინათ, დაერღვიათ და მოესპოთ ბალკანელი ხალხების ენები . . . მაგრამ ბალკანურმა ენებმა ამას გაუძლეს და გადაარჩინენ“.⁴

ასეთივე ბარბაროსულ დამოკიდებულებას იჩენდნენ სპარსელი და თურქი დაპყრობლები ქართული ენის მიმართ, მაგრამ ქართულმა ენამ გაუძლო მკაცრ ისტორიულ ქარტეხილს, მან შეინარჩუნა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი და იგი ქართული ეროვნული კულტურის ძირითად ფორმად იქცა.



¹) ი. ბ. სტალინი, ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი: თხზულებანი. ტ. 11. თბილისი, 1950 წ., გვ. 385.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციასზე 1951 წლის 10 იანვარს. თბილისი, 1951 წ., გვ. 70.

²) ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1950 წ., გვ. 23.

³) იქვე, გვ. 24.

ა რ ჩ ი ლ ი

(1647—1713)

XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში არჩილს მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. მან არა მარტო ათვისა მემკვიდრეობით ნაანდერძევი ლიტერატურული ტრადიციები, არამედ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა მაღალიდუური თემებითა და მოტივებით. არჩილის სახელთანაა დაკავშირებული იმ დიდი ბრძოლის დასაწყისი, რომელიც სასტიკად უარყოფდა „სპარსული ზღაპროლ-ნაქორი“ ამბების მთხზვილობას და მოითხოვდა ქართულ პოეზიაში „მართალი ამბის“ გალექსვას.

გარდა ამისა არჩილ არის პირველი ქართველი ლიტერატორი, რომელიც პოეტი, რომელსაც შემდეგ მიმბაძველ-გამგარძელებულთა მთელი პლეადა გამოუჩნდა. არჩილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ მხატვრული სიტყვის დახვეწის საქმეში.

ძველი ლიტერატურული ტრადიციების ათვისების დროს არჩილი არ გამოდიოდა უბრალო ეპიგონის როლში. პირაქით ის წინაპერიოდის ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ თემებს, მოტივებსა და სხვა ლიტერატურულ ელემენტებს კრიტიკულად ითვისებდა და შემდეგ იყენებდა თავისი ნათქვამების პოეტურ ფორმებში ჩამოსაყალიბებლად. მაგრამ ძველის გარდაქმნა-გადამუშავებას თავისი დიდი ნიჭის საშუალებით ისე მოაღწეოდა და მიზნობრივად აწარმოებდა, რომ მისი თხზულებები, დაწერილი ადრინდელ თემებსა და მოტივებზე, ყოველთვის ახალ სიტყვას წარმოადგენდა იმდროინდელ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

ზემოთქმულის შესანიშნავი დადასტურებას წარმოადგენს მისი „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ და „გაბაასება კაცი-სა და სოფლისა“. შეიძლება ითქვას, რომ არც არჩილამდე და არც არჩილის შემდეგ გაბაასება აღუცერდ ქართველ პოეტს ისეთი სრულყოფილი სახით არ გამოუყენებია. როგორც ეს არჩილმა შეძლო.

არჩილი ამ თხზულებებში ეხება ორ დიდ საკითხს, რომელიც მის თანამედროვე საზოგადოებას ფიციკ ალღევებდა. პირველი საკითხი გახლავთ არჩილის წინამორბედი, დიდი სახელმწიფო პოეტების რუსთაველისა და თეიმურაზის ურთიერთშედარება და

რის გამოკვეთა, თუ რომელს ეკუთვნის მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის დაფნის გვირგვინი.

მეორე... თხზულება, ძლიერ ძველ, მაგრამ არჩილის დროსაც საინტერესო თემას ეხება, -- ეს. არის... ადამიანისა და წუთისოფლის ურთიერთობის საკითხი.

გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა.

„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“,¹ მართალია გაბაასებას წარმოადგენს, მაგრამ თემატიკურად თხზულება სრულიად ახალი მოკლენაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სერაპიონ სოგრატის-ძე საიანჭილის საძსტროფიან „გაბაასებას სერაპიონს, რუსთველსა და იაგრატ მუხრან-ბატონს შორის“.

თხზულებაში ორი პოეტი, ორი ისტორიული პიროვნება, რუსთველი და თეიმურაზ. პირველი ებაასება ერთმანეთს უადრესად პრანციპული საკითხების გარშემო. არჩილის წინააღმდეგ ლიტერატურაში კი ასეთი რამ არ იყო ცნობილი, ამიტომ არჩილი ამ შემთხვევაშიც დიდ ნოვატორად გვევლინება.

ჩვენ ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ გაკითვალისწინოთ თხზულების კომპოზიციური აღნაგობა და თანხადევრულად მიმოვიხილოთ ის დიდი ლიტერატურული პაექრობა, რომელიც გაშლილია რუსთაველსა და თეიმურაზ პირველს შორის.

შინაარსობლივი ანალიზის დროს ჩვენ მეტ ყურადღებას მივაქცევთ მოპაექრეთა ისეთ სიტყვებს, სადაც უფრო მკვეთრად არის მოცემული ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირება და უპირატესობის დამტკიცების მიზნით მოყვანილია სერიოზული მოსაზრებები და არგუმენტები.

თხზულება ლექსითი და პროზაული შესავლის გარდა შედგება ცხრაშეტი სიტყვა-პასუხისაგან, მხოლოდ უკანასკნელი (ე. ი. მე-19) პასუხი ნაწარმოებში არ არის.

ცხრაშეტი პასუხიდან პირველ თხუთმეტ პასუხში მოცემულია თეიმურაზისა და რუსთაველის ნამდვილი კამათი უპირატესობის დამტკიცების მიზნით. ამ ნაწილის პასუხები შედარებით მოკლეა და ატარებს სერიოზული ლიტერატურული პაექრობის ელფერს.

კამათს იწყებს თეიმურაზი. ის მეტად აღელვებულია არასასიამოვნო ამბების მოსმენით, ამიტომ რუსთაველს „გაგულისებული“ მიმართავს:

„რუსთველო, ყური მამიპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენ აო,
ხან კიდევ გამაგულისეს, მათი მამინდა შენაო,
საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო“¹ (61)

¹ არჩილიანი, ტ. II. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, აღ. ბარამიძისა და ნ. ბეოძენიშვილის რედაქციით. თბლისი, 1927.

პროფ. ა. ბარამიძის შენიშვნით აქ არჩილი გულსხმობს თვით თეიმურაზის საკუთარ სიტყვებს „მაჭამას“ ბოლოსიტყვაობიდან, სადაც თეიმურაზი ამბობს:

„ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტყბილად სასმენლად ყურისა, მაშინც რუსთველსა აქებუნ, მე იმან გამაგულისა.“¹

პ. ავჭრობის დასაწეისში რუსთაველი მეფე პოეტრიადმი დიდ მოკრძალებას და პატივისცემას გამოხატავს: „მე რას ღირს ვარ თქვენს ღარებას, ამხანაგი შემადარონ“ (62)—ამბობს რუსთაველი. მაგრამ თავის სიძლიერეში დარწმუნებული უკვდავი პოემის ავტორი იქვე საჭაროდ აცხადებს:

„ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სულ ხმელეთი მოიარონ:

გრძნებაც რამ ქნან, ცა ღრუბლითა შეაყრობილი მოადარონ,
სრულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღდელი არონ“.

(62)

საერთოდ, „გაბაასების“ პირველ სამ პასუხში მოპაექრებას სრულიად სხვადასხვა პოზიცია უჭირავთ; თეიმურაზის პასუხები სიამაყისა და გამომწვევი ტონის მატარებელია. იგი კატეგორიულად მოითხოვს კამათის გაშლა-გაღრმავებას და საცილობელი საკითხას გარკვევას. რუსთაველი კი დიდ თავდაპერილობას გამოხატავს. მას უხერხულად მიაჩნია ეკამათოს სახელმძღვანელო მეფესა და ქვეყნის ერთმმართველს.

„თუ კიდევ ჩაას მიბრძანებთ, მე აღარ მოვალ მანდ, არა,

ჩემსა დამეხსენ, მეფეო, და თქვენი არა მინდა რა“.

(66)
ის კიდეც ცდილობს აღელვებული თეიმურაზის დამშვიდებას:

„ცუდად ლაყბობენ, შენმა შვემ. ვინ შეადარა ბატონს ყმა!“ (67)

თუმცა რუსთაველი იქვე შენიშნავს, რომ მან არ იცის სანამდე შეინარჩუნებს სულის სიმშვიდეს—„სანამდის გავსძლებ პასუხის შენახვა-უთქმელობასა“. ის დარწმუნებულია, რომ თეიმურაზის უკმეხი პასუხების შედეგად მოთმინებას ფიალა აევისება და მაშინ:

„მერმე მეც ვიტყვი პასუხსა, შეესწირავ ღმერთს მადლობასა?“

მეთხე პასუხიდან გულზეიადი და პატივმოყვარე მეფე შეტევაზე გადადის. ამის შემდეგ ყოველი მისი პასუხი შეიცავს თავისთავის ქებას, მოწინააღმდეგის მიერ მოყვანილი საბუთების გაბიზბრუებას. თეიმურაზის აზრით, რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორობით პირველობას ვერ დაისაკუთრებს. ვინაიდან ჭერ ერთი:

„ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“.² ხოლო მეორე მხრივ „ . . . რაცა სთქვა - იძულებითა,

თამარ მეფემან გიბრძანა, ძალი გიყო თუ ნებითა“.

(71) მე კი— განაგრძობს თეიმურაზი—„მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა?“, ამიტომ კანდიერად მიმართავს თეიმურაზი

¹) თეიმურაზის პირველი თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. ჯაობიას რედაქციით. თბილისი, 1934 წ., გვ. 125.

²) აქ არჩილი „ვეფხისტყაოსნის“ დამატებებს გულისხმობს.

რუსთაველს: არა თუ ჩემს სწორად მიმაჩნისარ, არამედ „მე ჩემი ჯობნა მგონია“.

რუსთაველის ყოველი პასუხი გონივრული და ობიექტური მსჯელობის ნიშნებს წარმოადგენს: მისი აზრით, უპირატესობის დამტკიცება მხოლოდ თავისთავის ქებით არ შეიძლება. ამ შემთხვევაში ანგარიში საზოგადოებრივ აზრსაც უნდა გაეწიოს:

„ჯობნა მგონი არეინა თქვას, თქვენ რომ თქვენით თავს იძობდე.“ (72)

რუსთაველის აზრით, პოეტის სიდიადის ერთ-ერთი არგუმენტი მისი ორიგინალობაა, რომელიც თავისი სიახლით მიმდევართა მთელ პლედას უნდა წარმოშობდეს. ასეთ ნოვატორად რუსთაველს თავისი თავი მიაჩნია:

„ვსთქვი ჩემგან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი. თქვენ რა ეშოვნეთ თქვენის თქმით, ბევრი ვაქენ მე საშოვარი.“ (73)

ასეთი საყურადღებო საბუთის დარღვევა, როგორც ჩანს, თეიმურაზს უძნელდება. ის შესაფერის პასუხს ვერც კი პოულობს და თავის გასამართლებლად მეტად სუსტ საბუთს იშველებს:

„არ თუ მჯობდე, ვერც მდარები, დავიფიცავ ჩემსა მამას.“ (74) მას ვერ წარმოუდგენია რუსთაველის ლიტერატურული შემკვიდრება, რომელიც მხოლოდ ერთი პოემისაგან შედგება, სკარბობდეს მის მრავალფეროვან პოეტურ ნაღვას:

„ერთის ამბის გარდალექსვა არ მოჰხდება სჯობდეს ამ ას.“ (იქვე) რუსთაველის მომდევნო პასუხი ჩვეულებრივი კდემამოსილებითა და თავმდაბლობით ახასიათდება. რუსთაველი არ იფიქრებს იმ დიდ სოციალურ სხვაობას, რომელიც მასა და თეიმურაზს შორის არსებობს:

„თქვენ ბატონობა შეგშენის, მე ყმა ვარ შესაფერია“.

იქვე რუსთაველი მოხდენილად თავისი უპირატესობის დამატკიცებელ, საკმაოდ ანგარიშგასაწევ საბუთსაც ასახელებს:

„მეფევე, მოწყალევე, თქვენს წიგნში მგონ ჩემი ქება სწერია.“¹ (77)

ამავე პასუხში, სრულყოფილად სამართლიანად რუსთაველი თავისი პოემის უდიდეს პოპულარობაზე მიუთითებს:

„საქართველო სასევ არის ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს, ვის ლხინი აქვს, მას უზნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს.“ (78) რუსთაველი არა მარტო პოემის შინაარსის ახლებურად გააზრებაში ჩემულობს პრიორიტეტობას, არამედ ეს თავისთავს ლექსის გარეგნული ფორმის ნოვატორადაც აღიარებს:

„მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს,² ლექსი ჩემი საამოა, გან საწყინოდ მონაშენობს?“ (79)

¹) არჩილს უდავოდ მიეღველობაში აქვს თეიმურაზის თხზულებები, სადაც ის თავისი აზრის დასადასტურებლად რუსთაველის სახელს იშველიებს.

²) აქ არჩილი თექსტურმარცვლოვან სალექსო ხომას გულისხმობს.

მუქვესე პასუხში თეიმურაზი რუსთაველის მიერ ზემოთ დასახელებულ საბუთს კატეგორიულად უარყოფს. მას თქვენმეტმარცხლოვანი სალუქსო ზომის პირველ შემომდებად ჩახრუხაძე მიაჩნია.¹

ამ შემთხვევაში თეიმურაზის აღშფოთება იმ ზომამდე მიდის, რომ ის რუსთაველს მოურიდებლად ქერდსაც კი უწოდებს:

„ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა? რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასსა!“ (80)²

ამ მნიშვნელოვანი დებულების დარღვევის შემდეგ თეიმურაზი რუსთაველს ერთგვარი შემპარავი სიტყვებით მიმართავს:

„მე ნუ მედრები, მიყვარხარ უფრორე ჩემთა ყმათასა“. თან უპირატესობის სადავო პოზიციებიდან ოდნავდაც უკან არ იხევს, თუმცა თეიმურაზი თავისი თავის შემდეგ, სხვა პოეტთა შორის პირველობას რუსთაველს აკლთუნებს:

„სჯობს გამიტყდე, მართალი სთქვა, ისომ გჯობვარ. რას უარობ? მე შენ გჯობდე, რა იქნება, სხვათ შენ სჯობხარ, არ უარობ.“ (83)

რუსთაველი, რასაკვირველია, შეუტაცსყოფილად თვლის თავს, როცა თეიმურაზი მას მეორეხარისხოვან პოეტებს ადარებს. შემდეგ ის ახალ-ახალ დებულებას ასაწელებს თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად.

პირველად ის თეიმურაზს მოხდენილად შენიშნავს: „მძიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ, ბძანე არაბულითა!“ ხოლო ამის საპირისპიროდ რუსთაველი ამაყად აცხადებს: „ჩემგან უწინ ვის რამ გეთქვათ, ქართველთ ენით ვიწყე რა მე“ (86), მომდევნო სტროფში კი რუსთაველი სრულიად სამართლიანად მიუთითებს:

„შოთამ დაგასწარ მელუქსეთ, თქვენცა ბობრძანდით თუ ნულად, მე ვთქვი სრული და უკლები, თქვენ მოგეც შესაძინელად“. (87)

აქ უკვე, ჩვენ ვფიქრობთ, „პირველ მთქმელობაზე“ აღარ არის ლაპარაკი, არამედ იმ როლზე, როპელიც დამაახურებულად ეკუთვნის რუსთაველს. როგორც „შაირის“ განვითარების უმაღლეს საფეხურზე აწყყანს. რუსთაველი დარწმუნებულია, რომ ამ დიდ საქმეში ვერაგინ დაეცილება და „არც სამართლით წაერთმის“:

მეზვიდე, მერვე, მეცხრა, მეათე და მეთორმეტე პასუხიდან ჩანს, რომ თეიმურაზის ბრძოლის პოზიციები საგრძნობლად შერყეულია. განსაკუთრებით მერვე პასუხიდან ირკვევა, რომ თეიმურაზს ერთგვარი ეჭვებიც შეპარავია თავის ეპოპეოსობაში. ის თავის გასამართლებელ საბუთებს ეძებს. ასეთ საბუთად მას მიაჩნია იმდროინდელი საქართველოს მძიმე მდგომარეობა, რომელიც არ აძლევდა პოეტს თავისუფალი შემოქმედების საშუალებას. იგი ნაღვლიანად შენიშნავს:

¹) თუმცა ეს ზომა ქართულ პოეზიაში ჩაბრუხაძემდე ყოფილა გამოყენებული. (კ. კვცილიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 211).

²) აქ არჩილს მხედველობაში აქვს, „თამარის“ სამი სტროფი, რომელიც შაირის ზომით არის დაწერილი. ჩახრუხაძე, — „თამარის“. ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. II. თბილისი, 1949. გვ. 188, სტროფები 19, 24, 25.

„სად მეცალა ლექსისათვის, კირსა შინა გული იობს, სხვას ჩემდენი განსაცდელი, ვის გარდახდა, არ თუ იობს.“ (99)
აიეიმურაზი ერთი ნაწარმოების შეთხზვას დიდ დამსახურებად არ თვლის. მით უმეტეს. როცა რუსთაველის პოემა, მისი აზრით, არ არის სუფთა ქართულით გამართული:

„რაც ენა ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა. ცოვლი არსა შეგიყრია, დაბალი და მაღალიცა“ (108)
ხოლო თავის შეცოდებას ამ მხრივ თეიმურაზი ასე ასაბუთებს:

„მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული, თათრულიც განირევია, მიჭია მათი არსული“.
უნდა ითქვას. ეს მეტად სუსტი არგუმენტებია თავისი უბრა-ტესობის დასამტკიცებლად და შოწინააღმდეგის დასამარცხებლად; პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, თეიმურაზის უკინას-კნელი სიტყვები მის პოეტურ შემეციდრობას საკმაო ჩრდილს აყენებს, თუმცა ამ ნაწილში რუსთაველის პასუხებიც არ არის ჩვეულებისამებრ მახვილი და სააახანაღო ფაქტებით გამაგრებული. აქ თავის უპირატესობას რუსთაველი იმაში ხედავს, რომ მას სწავლა-განათლება მიღებული აქვს ათინაში, საბერძნეთში, რომელიც განთქმული იყო სწავლა-განათლებით. რუსთაველს თითქოს კიდევ მოხეზრება დაუსრულებელი კამათი, ის მზად არის საქმის განსჯა იესო ქრისტეს სთხოვოს:

„რას მეოჩი, რას გადმეკიდე, სამართალი ქნას ისამან“.
მეთორმეტე პასუხში გულზნვიადი და ამაყი თეიმურაზი რუსთა-ველს კლავ ენის „წახდენას“ უსაყვედურებს:

„ლაზოდა სთქვი, შემოილე ჭავახური ენა მძიმე“.
თან მეტად შეუფერებელი სიტყვებით მიმართავს:
„უყურე ბრძყვსა მესხსა და ამაყსა, შეუტოვარსა, რაღას გლაყებო ჭავახსა, ღარიბსა, შე უტოვარსა, ტურას მძორისა მჭამელსა, ზროხას ბალახის მძოვარსა, ყბედსა, გულ-დიდსა, მტერობა აქლემისებრი მხსოვარსა“.
(127)

აქ უკვე აღარ ჩანს ლიტერატურულ საკითხებზე პაექრობა, პირიქით, თეიმურაზი თავდაპირილობას საზღვრებიდან გამოდის და პირად შეურაცხყოფას აყენებს ჩვენს სახელოვან პოეტს. ეს გარე-მოება უდავოდ, მისი, როგორც მოპაექრის, სისუსტის მაჩვენებელია. ასეთი პასუხით შესწფოთებული რუსთაველი სინანულით წამოიძახებს:

„რისთვის ჩამოგყვე ბაასში, რად შევცდი, რა დამეფეთა? სხვა მონა ვინ შეედარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა?“ (128)
მესამეტე პასუხში თეიმურაზი სრულიად დაუსაბუთებლად რუსთაველს პირში ახლის:

„მართალია, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა, ახლა ჩემმა დააჭარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა“.
(130)
თან ახალ საბუთს იშვეილებს გამარჯვების მოსაპოვებლად:
„საღვთოს სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე“.
რუსთაველს მეტად ეუცხოება თეიმურაზის მიერ თითქოს ანა-

ზღუდად წამოყენებული დებულება „წიგნის წახდენის“ შესახებ, ამიტომ ის მოხერხებულად შენიშნავს:

„მეფევე, არ იყო სათქმელი წიგნის წახდენა თქვენგანა, ჯაჳრითა ბძანებ მაგ სიტყუას, თვარა არ იცი შენ განა?“ (122) და შემდეგ მოჰყავს მაგალითები იმის შესახებ, რომ წიგნი, რა სახისაც უნდა იყოს ის, არ კარგავს თავის ფასსა და მნიშვნელობას. გაყვრებული თეიმურაზს დასამორჩილებლად რუსთაველი თამარ მეფის დიდ ავტორიტეტსაც იშველიებს:

„თუ ავად ვთქვი, თამარ მეფემ საჭილოლო რისთვის მამცა?“ მეთოთხმეტე პასუხში თეიმურაზი თავის უკანასკნელ დებულებას უბრუნდება და ამაყად შესაჩხებს რუსთაველს:

„საღვთოთ მამინც უეჭველად შემიძლია შენი დანთქმა“. შემდეგ თეიმურაზი ძლიერ მოკლედ ეხება ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შინაარსს. იქვე თეიმურაზი აკრიტიკებს რუსთაველის საბუთს, რომ მას განათლება მიღებული აქვს საბერძნეთში. ამ გარემოებას ის დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან:

„ათინელთ სობრძნე ბევრი აქვთ, ზოაპრული, შეტმასნილია“. (191)
„ყველა ზოაპრული ცოდნა აქვთ, მართალთან არ შესართავი“. (197)
რუსთაველი, რა თქმა უნდა, არ ედავება თეიმურაზს „საღვთო ცოდნაში.“ პირიქით, ის ყოველგვარი კამათის გარეშე თეიმურაზს ეუბნება:

„ორსავე, მეფევე, ნუ წამართმევ, შეჭირვებულს ლხინ მიბოძე,

საღვთო შენთვის დაიჭირე და საერო მე მიბოძე.“ (203)
როგორც ჩანს, რუსთაველი მტრ ობიექტურობას იჩენს, ის მისთვის მიუწვდომელსა და შეუფერებელზე უკამათოდ ხელს იღებს. მას არც ზოგადი მსჯელობა ახასიათებს, მისი პასუხები ყოველთვის კონკრეტულია და ლიტერატურული ფაქტებით საგსე-ამაყე პასუხში რუსთაველი სამართლიანად შენიშნავს თეიმურაზს:

„სხვისგან ჩემს ქებას წყინულობ, მე ვითლა გაგაგულისო? მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის ჩემგან დანერგულისო“. (199)
რუსთაველის ღრმა რწმენით, მისი პოეზია სრულყოფილი პოეტური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს:

„თუცა სხხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ კპოებენ ვერსად ნაყის, სადმე კპოონ ავად თქმული. ანუ წყალი ვინ დანაყის?

ბრძენი მიჭება ენის სიტკბოს, ხორჯისა და მერმე ამ ყის“. (200)
მოპაექრეთა თხუთმეტი პასუხი მთავრდება არჩილის ცნობილი სიტყვებით, რომლებიც გამოხატავს ავტორის ნეიტრალურ განწყობილებას და მკითხველებს მოუწოდებს ობიექტური დასკვნა გამოიტანონ ამ საინტერესო ლიტერატურული დისპუტიდან.

„ორთავ უხამს დიდი ქება. მსმენელთ ღიღსა სობრძნეს მოსცემს, მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს; თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სობრძნეს კი არ გასცემს, ერკინება რუსთველს მედგრად. შეიტყვევით, თუ ვინ დასცემს!“ (209)

მუთხუთმეტე პასუხით, შეიძლება ითქვას, მთავრდება ლიტერატურული პაექრობა თეიმურაზსა და რუსთაველს შორის. შემდგომ — მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცრამეტე! პასუხი წარმოადგენს საქართველოს გალექსილ ისტორიას, რომელშიაც საკმაო სიზუსტითაა აღწერილი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში. აქ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული თამარ მეფისა და თეიმურაზ პირველის მეფობის ხანა. ნაწარმოების ამ ნაწილის მუთხზვასას არჩილს, ჩანს, გარკვეული მიზანი ჰქონია დასახული, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამ პასუხებში მართალია, უფრო მეტად ლაპარაკია იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ, მაგრამ აქა-იქ მოპაექრები მაინც ეხებოან წმინდა ლიტერატურულ საკითხებს, რომლებზედაც ჩვენ განსაკუთრებით გავაძახვილებთ ყურადღებას.

მეთექვსმეტე პასუხს იწყებს თეიმურაზი. ამ ნაწილის სრული სათაურია: „ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა. სახელოვანისა და შრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა რიტორისა და ფილოსოფოსისა მეფის თეიმურაზისა, რომელი სიყმარწვილით, გაზრდიტ, ვაჟეაცობით, სიბერით სიკუდილამდის ეშრომა და გარდაჰხნოდა“.

თეიმურაზი თავის თავგადასავალს გადმოგვცემს პირველი პირობით და, უნდა ითქვას, საკმაო სიზუსტით ან როგორც თვითონ ამბობს: „მართალი არ თუ ტყუილი, არ მიზნისა მოღებდა“. პირველად თეიმურაზი ლაპარაკობს თავისი პაპის ალექსანდრეს, მამის (დავითის) და სამი ბიძის (ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე) შესახებ. პოეტი მოკლედ გადმოგვცემს იმ ტრაგედიას, რომელიც გამოიწვია სამეფო ტახტის მისაკუთრების გამო ძმებს შორის გამართულმა შუღლმა და მტრობამ. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს რენეგატ კონსტანტინეს მოქმედება, რომელმაც ტახტის მიტაცებისათვის სიკაცხლეს გამოასალმა მამა და ძმა — გიორგი და რომლის ცოლად ძერთვა განიზრახა. აქვე თეიმურაზი ლაპარაკობს თავის დაობლებისა და სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდის შესახებ. კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ შაჰის განჯარგულებით ქახეთის სამეფო ტახტზე ადის 13 წლის თეიმურაზი. რომელიც მალე ცოლად ირთავს გურიელის მშვენიერ ასულს და შვიდი წლის განმავლობაში დამძვირებით განაგებს ქვეყანას. ამავე თავში თეიმურაზი განსაკუთრებულ აღტაცებას გამოხატავს ორი ვაჟის შექმნის გამო, ხოლო რუსთაველს ამაყად მიმართავს:

„მანამდის არ ჩამომქსნენ, არ მათქმევინე მე ვირ ეს,
მიქცბდეს მეტად სიუხვეს, არ მიზრასევედეს სიძვირეს.
კაცი ამ ყოფის პატრონი რად შეგედარო მევირეს?
ჩამოგეყარე ყურები ჯობნისა შენ დანაპირეს“.

1) თხზულებაში რუსთაველის მეცხრამეტე პასუხი აღარ ჩანს, ვინაიდან მოპაექრე უკვე გვედარია.

შემდეგ აღწერა თეიმურაზის დაქვრივება და ამით გამოწვეული დიდი გლოვა-მწუხარება, შაჰ-აბასის მიერ თეიმურაზის სპარსეთში გაწვევა. შაჰის წინადადებით ქართლის მეფის ლუარსაბის დის—ხვარემანის ცოლად შერთვა. შაჰ-აბასისაგან აბრეღო-შვილის ადამის მოთხოვნა და სხვა მისი მზაკვრული ხერხები, შაჰ-აბასთან მძევლების დედის—ქეთევანისა და ორი ძის—ლევანისა და ალექსანდრეს გაგზავნა. ამ მდგომარეობით გამოწვეული დიდი მწუხარება. შაჰისაგან კახეთის აოხრება, თეიმურაზისა და ლუარსაბის იმერეთში გაქცევა. ლუარსაბის იმერეთიდან მოტყუებით კახეთში დაბრუნება. შაჰის კვლავ ლაშქრობა და ქართლ-კახეთის აოხრება, თეიმურაზის ისევ იმერეთში გადახვეწა, ხვანთქართან ელჩების გაგზავნა, გურჯელთან სტუმრობა, შემდეგ ხვანთქართან. ამირ-გუნხანის ლაშქრობა და მისი დამარცხება. სპარსელების ახალი ლაშქრობა საქართველოში, ქართველთა შეთქმულება გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის ხელმძღვანელობით და მათ მიერ სპარსეთის ჯარის ამოწყვეტა. თეიმურაზის დაბრუნება და ქართლ-კახეთში გამეფება. სარდალთა თათბირი ალგეთის ომის წინ. ომში დამარცხება. ყორჩიბაშის ლაშქრის განადგურება. გიორგი სააკაძესა და ზურაბ ერისთავს შორის ჩამოყარდნილი შუღლი და მისი შედეგები. ბაზალეთის ომი და მოურავის ოსმალებში გაქცევა. ზურაბის ლეკებზე გალაშქრება და გამარჯვება. თეიმურაზისაგან ზურაბ ერისთავის სიკვდილი. ამის გამო მეფის სინანული. როსტომის ქართლში გამეფება და დათუნა ბატონი-შვილის სიკვდილი. თეიმურაზის დიდოეთს ლაშქრობა და დაპარცხება. როსტომისა და თეიმურაზის ომი, პირველის გამარჯვება. თეიმურაზის ამ პასუხში მოცემულია ცნობები თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდის შესახებ: (სტროფი 705). აქვე არჩილი იძლევა ცნობებს თავისი თხზულების დაწერის თარიღის შესახებ.

თეიმურაზის მეთექვსმეტე პასუხს თან მოსდევს „აქა კვალად-ცა პასუხნი რუსთველისა. რომელი მოახსენა მეფეს, თამარ დედოფლისა და მეფედაც წოდებულის, მისი ჟამის ნაქმარნი ომნი და მის დროთ საქართველოს დიდებულთ ნაქმარნი სრულნი. რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ერცელად, აწ მჟე შემოღლებით ვთქვა ლექსად“. ამ პასუხში რუსთაველიც თეიმურაზის მსგავსად იძლევა თავისი ეპოქის დახასიათებას, მხოლოდ წინასწარ ის თეიმურაზს ატრთხილებს:

„თუ ტყუილი რამ გიამბო, მაგიჟე, ავად მიხსენე“. (781)

რუსთაველი მეტად გაკვირებულია თეიმურაზის მეტრისმეტად ტრაგიკული თავგადასავლით, მაგრამ ეს გარემოება, რუსთაველის ღრმა რწმენით, არ იძლევა იმის საბუთს, რომ მეღვიქობაში ჯობნება მან თეიმურაზს დაუთმოს:

„მაგრამ შელექსეთ ჯობნება არა ვთქვა აწ ამ ენითა,

თვით მაქლა, ამიონარო სახლ-მარან აწა მენითა“. (782)

თვით რუსთაველი თავისთავზე ამბობს: „მე რიტორი ვარ, მიჯ-

ნურნი შევამკვე ხელი ხელითა“. ის შზად არის თეიმურაზის საყ-
მოდ ვრცელ სიტყვას შესაფერისი პასუხი გასცეს: „მეც რამ მო-
გართვა პასუხი, მისმინე, ვთქვა რამ ჰკვიანი“ (784). ამის შემდეგ
რუსთაველი მოკლედ აღწერს თამარის სიდიადეს, მის გამეფებას,
მის მიერ სახელმწიფოს მართვას და საერთოდ ჩვენი ქვეყნის უდი-
დეს სიძლიერეს. რუსთაველის ეს პასუხი დაყოფილია თავებად,
რომელთა გათვალისწინება ნათელ წარმოდგენას მოგვცემს თხზუ-
ლების ამ ნაწილის შინაარსის შესახებ. ეს თავებია:

1. „აქა პირველი ლაშქრობა მეფის თამარის ქვეყანასა კარისასა.“
2. „აქა ომი კახას-ძის გამრეკელისა და გამარჯვება.“
3. „აქა თურქნი მოუხვდეს შავშეთს და გუზან აბულის-ბემან
შეიყარა ტბელნი, კლარჯელნი. აქათ შეებნეს მესხნი და გაემარჯ-
ვათ იმაჳ უამ“.
4. „აქა საღირ მხარ-გროძლის შეილთაგან, ზაქარია და ივანესა-
გან. დვინის ქვეყანას მიზღომა და გამარჯვება“.
5. „აქა ზემო საქართველო ზემოთ, შუანი შუათ, ქვემონი
ქვემოთ იბრძოდეს და ყოველგან ამათ გაემარჯებოდათ სვითა
თამარისათა“.
6. „აქა რუსთა მეფისა ბე, რომელი იყო პირველი ჩმარი თამა-
რისი. ილაშქრა პართის ქვეყანასა და მოარბია და ციხე აიღო.“
7. „აქა გელაქუნის მოხობრება თამარის ლაშქართაგან, მათგან
უკან მოწვევა და ამათგან გამარჯვება.“
8. „აქა გრიგოლის ძე ასათ წავიდა ლაშქრითა განძას, მთასა
მასისძასა, და დიდნი ომნი გარდაიხადნეს და გაიმარჯვეს ქვერეტითა
თამარისათა“.
9. „აქა რუსთა მეფისა ძე ექსორია ყვეს და სტამბოლს გაგზავ-
ნეს.“
10. „აქა ოდეს რუსი განაძეს, თამარს შერთეს ოსთა მეფის ძე.
თვით კაცი სრული სიკეთითა. ამისად შემდგომად იზრახეს გუზან.
პატრონმან შავშეთისამან. სამცხეს სპარსალარმან ბოცო მისით
მოკიდულთ მესათ, ყვარყვარემ ციხისჯვრელმან და მოიყოლეს
იძერნი, დადიან-გურიელი, აფხაზი და სვანი, მოიყვანეს რუსი და
შემოებნეს დაეითს და ამიერთა.“
11. „აქა ამბავი გუზანქარელნი შეიყარა თორმეტი დროშა
კაცი და მოკიდა კოლას და დახვდა ფანასკერტელი ზაქარია და გაე-
მარჯვა.“
12. „აქა თამარს ძე მისცა ღმერთმან და მამის სახელი და დეა
გიორგი და ლაშა დაურთო ზედა, რომელი გამოითარგმანების ქვეყ-
ნის განმანათლებლად.“
13. „აქა ლაშას ბედზე გალაშქრება და გამარჯვება.“
14. „აქა კარსა და აზრუმელზედ გალაშქრება და ანადოლას
მიშეელებდა და ომი.“
15. „აქა გელაქუნად განვიდეს. ჩაიარეს ზაჩიანი, ჩავიდეს
ვიდრე ქვეყნად ყვარყვარისათა, ბალაყუნი მოარბიეს, ამოვლეს
განძის კარი და დიდი ომი იხადეს და გაიმარჯვეს.“

16. „აქა მხარგრძელი ივანე და ზაქარია, ძენი სარგის მხარგრძელისანი. წარვიდეს, რაჟისი პირი მოარბიეს და დვანელი ამბედარელი სამეკობრედ წაოსულნი დახედენ. და გაიძარჯვეს.“

17. „აქა ივანემ მსახურთუხუცესმა დავით მეფე აწუია გელაქუნს, სპარსიაზ ბოზორის გორალ ქეყანასა; და მოარბიეს. აღეს სიძრავლე ტყვისა და პირუტყვისა შემსგავსებული ქვირისა.“

18. „აქა იგი ბედკრული რუსი მაშინ. ოდეს ლტოლვილი ხელთა იგდო და არა ავნო და განუტევა, მივიდა ერანს ათაბაგთან და მან მიატო ქეყანა არანასა; შეიყარა ლაშქარი და მოვიდა ქისიუს; კამბეჩოვანს შიგნით მანდორი მოარბია. წაეწია მახატელის ძე ხორნაბუჯელი და გაემარჯვა.“

19. „აქა წარვაშესაგან ლომის ბოკერიის შორთმევა თამარ მეფისა.“

20. „აქა ერანის მპყრობელი ბობაქარ მოვიდა შირვანს, შარვან-შა აღსართან გამოაგდო, და თამარ მეფეს შემოეხვეწა. ამით ილაშქრა და გაიმარჯვა.“

21. „აქა მხარგრძელი ივანე მსახურთუხუცესი გელაქუნელთ მიუხვდა, განძელი ლაშქარი დახვდა ვანს მიმავალი და გაიმარჯვა.“

22. „აქა ნუქარდინ საბერძნეთისა და პალესტინისა სულტანმან ოთხასი-ათასი კაცი შეიყარა და ლაშქოვდ გამოეხანა, წინ ელჩი გამოუგზავნა თამარ დედოფალს და ეს შეჰოუთვალა:“

23. „აქა თამარ დედოფალი გეგუთს იდგა და მხარგრძელნიცა მუნ ახლდეს. მიუხდა არდავლის სულტანი ანისს, რომელი გათუნდებოდა აღესებად, და მოაზრა, და მოსრა და წარვიდა.“

24. „აქა ზაქარია ამირსპასალარმან და მისმან ძმა ივანემ მსახურთუხუცესმან და გაგელმან მეფეს თამარს ხორასანზედ ლაშქრობდა გამოუჩრჩიევს და მეფემაც აღაშქრა ყოველნი, და ერანი დაარბიეს.“

25. „აქა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის მხარგრძელისა, მიიცივალა და მის ძმას. ივანეს, მსახურთუხუცესსა, უბოძა ამირსპასალარობა.“

26. „აქა დიდონი გაუდგეს თამარ მეფესა, ივანე ათაბაგი გაუსივა, ხალის მთაზედ ავიდა: ისე მთა-მთა ჩაიარა, მიუხდა და გარჩხეს, დაამძევლა და გამარჯვებული მოვიდა.“

მეჩვიდმეტე პასუხში თეიმურაზი არ იწყნარებს რუსთაველის შემოთ მოყვანილ პასუხს, ვინაიდან: „შენ ვით განმართლდე მაგითა, მესხი ომობს თუ კლარჯელი?“

ან კიდევ:

„ბასიანის ომი რომ თქვი, იქ თქვენ სად იყავ მაშინა?“

თამართან არ იბღენძოდი ოძრინესა, ვითა შინა?

რა გინდ ბევრი უოფილიყენენ, აგრე ვითა შეგენინა?

ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა თუ სიხრდლემ აგაქშინა!“ (979)
რუსთაველის პასუხი მეტად მოკლეა და შედარებით სუსტი:

„თქვენც არ ბრძანე მაგისთანა რამები, რომ თქვენ არ იყავ? სხვასაც ბევრსა დავხლომივარ. დიდ ლაშქარსა ვითარ იყავ? ამას ბრძანებ, რად არ მოჰკვდი, ან ლახვარი რად არ იყავ;-- ეგ ვერა ვქქენ, ბატონი ხარ, რაც გერჩიოს. მუქვად მიყავ“ (962)

თეიმურაზის მეთვრამეტე პასუხიც ავტობიოგრაფიული ხასიათისა არის და წარმოადგენს მეთექვსმეტე პასუხის გაგრძელებას: აქ აღწერილია თეიმურაზისა და როსტომის თიანეთში ომი. თეიმურაზის ქიზიყში გადასვლა და იქ მისი დამარცხება. დავით ბატონიშვილის სიკვდილი. დედოფლის როსტომ მეფესთან შუამდგომლობა და თეიმურაზის იმერეთში გადახვეწა. თეიმურაზის დაპატიება ლევან დადიანისაგან. თეიმურაზის სტუმრობა და მისი შუამავლობა ლევან დადიანისა და ალექსანდრე იმერთა მეფის. შესარიგებლად და მამუკა ბატონიშვილის გასანთავისუფლებლად. თეიმურაზის შვილიშვილის სიკვდილი და ამის გამო დიდი გლოვა. მეორე შვილიშვილის, ერეკლეს რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნა.

შემდეგ თეიმურაზი აღნიშნავს, რომ მან იმერეთში დაპყრო შვიდი წელი (ეს არის მისი შემოქმედების მეორე პერიოდი). იქვე იძლევა ცნობებს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდის შესახებ. მისი სიტყვებიდან ირკვევა, რომ ამ დროს მას შეუთხზავს: „შვიდთა კრებათათვის“, „ვარდ-ბულბულიანი.“ „გაზაფხულ-შემოდგომიანი“, „შამი-ფარვანიანი“, „მაგამა“.

თეიმურაზის უკანასკნელი (მეცხრამეტე) პასუხი თეიმურაზის ცხოვრების ბოლო ამბებს მოიცავს. აქ თეიმურაზი მოგვითხრობს, რომ ის 70 წლის პასაკში გამგზავრებულა რუსეთში დახმარების სათხოვრად. შემდეგ აღწერილია უიმედო პოეტის უკან დაბრუნება. ასტრახანში მოსვლა და აქ შვილიშვილის „პაპას ბიჭის“ გარდაცვალების ამბის გაგება და ამით გამოწვეული დიდი სევდა-მწუხნარება. თეიმურაზის იმერეთში დაბრუნება და დედოფლის გარდაცვალების გაგება.

შემდეგ აღწერილია ლევან დადიანის გარდაცვალება და ალექსანდრე მეფის მიერ მთელი დასაყლეთ საქართველოს დაქვერ. აგრეთვე აღნიშნულია როსტომ მეფის სიკვდილი და ვახტანგ V გამეფება. რომელსაც გზა მოუცია თეიმურაზისათვის სპარსეთში წასასვლელად. შემდეგ აღწერილია თეიმურაზისა და ყაენის (შამაჯან II) დამოკიდებულება. შაჰისაგან თეიმურაზის შეურაცხყოფა, ასტრახანში გაგზავნა და თეიმურაზის სიკვდილი.

რუსთაველის მეცხრამეტე პასუხი არ არის, ვინაიდან მისი ნოპაექრე ცოცხალი აღარ არის.

თხზულება სრულდება ავტორის ზოლოსიტყვაობით; რომელშიაც არჩილი ლაპარაკობს თეიმურაზის ნეშტის საქართველოში მოსვენებისა და მისი ალავერდში დასაფლავების შესახებ. გარდა ამისა, აქ არჩილი იძლევა ცნობებს თხზულების დაწერის თარიღის შესახებ და გამოთქვამს თავის მოსაზრებას ენის სიწმინდისა და ეროვნული თემატიკის დამუშავების შესახებ.

თხზულება მატარებელია ყველა იმ სპეციფიკური ნიშნისა, რომელიც დამახასიათებელია გაბაასებრსათვის. ის წარმოადგენს დიალოგს, რომელშიაც მონაწილეობს ორი პიროვნება; გაბაასეარს მონაწილე მხარეები კამათობენ თავიანთი უპირატესობის დამტკიცების მიზნით. თხზულებაში მკვეთრად არის დაპირისპირებული ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები. მობაასეების ზოგიერთი სიტყვა შეტყვევით, თავდასხმით ხასიათისაა, ზოგჯერ კი მოკამათის მიერ წარმოთქმული სიტყვა თავდაცვითი ელფერის მატარებელია და უფრო წარმოადგენს მოწინააღმდეგის მიერ მოყვანილი არგუმენტების დარღვევის ცდას. გარდა ამისა, არის შემთხვევები, განსაკუთრებით ვრცელ საპაექრო სიტყვაში. როცა ორივე შემოდისახელებული მომენტია გათვალისწინებული.

გაბაასეების ტრადიციის მიხედვით არჩილი ცდილობს ნიიტრალიტეტი დაიცვას; ის დასკვნის გამოტანას მკითხველს ანდობს: „ბატრონი და რუსთველი ვავაბაასე და ორისავე ესთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსეობის გამოჩენა და თქვენ გაარჩიეთ უძობესი“,¹—აცხადებს არჩილი.

თხზულება უაღრესად საყურადღებო მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში: ჯერ ერთი მასში მოცემულია არჩილის ლიტერატურული შეხედულებანი,² განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ის რუსთაველისა და თეიმურაზის პოეზიაზე.

თხზულების ერთ-ერთ თავში „ბეკლთ და ახალთ საქართველოს მელექსეთანი“³ არჩილი აწარმოებს ზოგიერთი მისი წინამორბედი და თანამედროვე პოეტის შემოქმედების კრიტიკულ მიმოხილვას. ხშირ შემთხვევაში ის იძლევა მწერალთა სწორ შეფასებას.

გარდა ამისა, „გაბაასეების“ მეორე ნაწილი იძლევა მეტად ზუსტ და უტყუარ ცნობებს XVII საუკუნის საქართველოს შესახებ. ეს ცნობები ზოგჯერ საუკეთესო მასალაა ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ისტორიის გასათვალისწინებლად. აგრეთვე თხზულება მდიდარ ცნობებს შეიცავს იმდროინდელი ქართული ოჯახური თუ საზოგადოებრივი ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ. „გაბაასეები“ არჩილის საღი პატრიოტული განწყობილების აბსახეულია. აქა-იქ პოეტის ძლიერი ლირიკული განცდებიც არის გამომდევნებული.

თხზულება არც მხატვრობის თვალსაზრისით არის ინტერესსმოკლებული; შიგ ხშირად გვხვდება მოხდენილი მხატვრული გამოთქმები, მეტაფორები, მაჟამები და სხვ.

¹ არჩილი, გაბაასეები თეიმურაზისა და რუსთველისა. არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937, გვ. 7.

² ეს საკითხი უფრო სრული სახით, არჩილის ყველა თხზულების გათვალისწინებით, დამუშავებული აქვს შ. ებრალიძეს, იხ. მისი „არჩილის ლიტერატურული შეხედულებანი“. სტალინის სახელ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III. თბილისი, 1948, გვ. 168—202.

ზემოთ დასახელებული საკითხებუდან მთავარ და ძირითად საკითხად ჩვენ ძაინც ის ლიტერატურული კამათი შეგვაჩინია, რომელიც ორ სახელოვან პოეტს შორის წარმოებს უპირატესობის დამტკიცების მიზნით. ამ საკითხისათვის არჩილს ხელი შემოღვევით არ მოუკიდია: როგორც ჩანს, არჩილის თანამედროვე საზოგადოებაში საცილობელ საკითხად ყოფილა ქვეყლა, თეიმურაზსა და რუსთაველს შორის რომელს უნდა მიკეთებებოდა უპირატესობა. მართალია, რუსთაველის გავლენა აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაზე განუზომელი იყო, მაგრამ ერთ დროს, განსაკუთრებით XVII საუკუნეში, თეიმურაზ პირველის პოეტური სახელი ისე დიდი იყო, რომ მას ქართული მხატვრული სიტყვის გენიასაც კი აღარებდნენ. იმდროინდელი მკითხველი საზოგადოების თეიმურაზ პირველისადმი დაძოკიდებულებას კარგად გამოხატავს XVII საუკუნის პოეტი მამუკა მდივანი:

„თვით კახთა მეფე თემურაზ ყოველთა უკეთესია:

მსმენელი. გამოამეტყველო. მსგან ვინ უკეთესია?!“ (4)

თეიმურაზის დიდი ავტორიტეტისა და სახელის მიზეზი იყო ის დამსახურება, რომელიც მას მიუძღოდა ქართული ლიტერატურის განვითარებაში: თეიმურაზმა დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურაში რამდენიმე ახალი ჟანრი, განსაკუთრებით მისი სახელის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ლირიკული ჟანრის შემოღებამ. რომელიც ადრე, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით, სრულიად უგულვებელყოფილი იყო. ამას ზედ ერთოდა ქართულ ლიტერატურაში ეროვნული თემატიკის დანერგვის ცდა და ცნობილი „მაჯამის“ დიდი რეზონანსი. მკითხველ საზოგადოებას არაჩვეულები იტაცებდა თეიმურაზ პირველის პოეტური ენის სილამაზე და მიმზიდველობა. ეს გარემოება იმდროს იმის საფუძველს. რომ თეიმურაზი არა მარტო დიდ პოეტად ყოფილიყო აღიარებული. არამედ ის რუსთაველისთვისაც კი შეედარებინათ. არჩილი საზოგადოების ასეთ განწყობილებას კარგად გამოხატავს თხზულების შესავლის როგორც ლექსით, ისე პროზით ნაწილში. პოეტი გარკვეულად მიუთითებს:

„ბევრჯელ მასძია ც-ლება, ამბობდენ. სკობსო ეს მასო“²

შედარებასა ნუ მოეშლით. უნდა თუ მათცა ვაძასო.“ (33)

სოლო შესავლის პროზითი ნაწილის დასაწყისში არჩილი უფრო მკაფიოდ ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებმაც მას ხელში კალამი ააღებინა იმ დროისათვის ცირიად საინტერესო საკითხის გასარკვევად: „გაბაასება, ამბობს არჩილი, მეჟის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთაველისა ამ მიზეზით (იქმნა). რამეთუ მათ მელექსეთ შედარება მკავალჯერ მასძოდა მე მეფეს არჩილსაო“³ ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ არჩი-

1) „შაჰ-ნამე“ ანუ ზეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“. ტ. I, თბილისი. 1916. ი. აბულაძის რედაქციით. გვ. 5.

2) იველისაშუბიან თეიმურაზი და რუსთაველი ბ. ძ.

3) არჩილიანი. ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937. გვ. 7.

ლო თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებით სათანადო პასუხს აწლევდა მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხს.

ამ შემთხვევაშიც არჩილი დიდ პოეტად გვევლინება; ის პოეზიას პოეტის ვიწრო, ინდივიდუალური ინტერესების სამსახურში არ აყენებს, არამედ, პირიქით, არჩილის აზრით, პოეზია უნდა გამოხატავდეს საზოგადოების სულიერ განწყობილებას და უპასუხებდეს თანადროულ საკვირბოროტო საკითხებს.

საცილობელი საკითხის გადასატრელად არჩილმა ძლიერ მონდენილად გამოიყენა გაბაასების ლიტერატურული ქანრი. გაბაასებამ მას საშუალება მისცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პირისპირ დაეყენებია და მათ შორის გამართული ლიტერატურული პაექრობის შედეგად მკითხველებს სათანადო დასკვნა გამოეტანათ. არჩილმა კარგად იცის გაბაასების სპეციფიკური თვისებები; ტრადიციისამებრ იგი ცდილობს ნეიტრალიტეტი დაიცვას და მოკამათე მხარეებისადმი უაღრესად ობიექტური იყოს. თხზულებაში არჩილი თეიმურაზისა და რუსთაველის უკან მოხერხებულად არის ამოთარბებული და მათი საშუალებით გამოხატავს თავის შეხედულებებს, ხოლო სამართლიანი დასკვნის გამოტანას ის მკითხველებს ანდობს: „... ბატონი და რუსთველი გაჯაბაასე და ორისაც ვსთქვი, რომელს უფრო მართებდა მეღეჭსეობის გამოჩენა და თქვენ გაარჩიეთ უმჯობესიო“.¹ ან კიდევ:

„გასინჯეთ. სიბრძნის ტრფიალნო, კარგად მითქვამს, თუ არ ავად, მინდა თქვენ გამოგამოხეწო, არ მინდა დასათარაჯად“.⁽⁵³⁾

ამ თავის სახელმძღვანელო პრინციპს არჩილი ხშირად მობაასეების პირითაც გვახსენებს ხოლმე: მაგალითად, თეიმურაზი რუსთაველს გულდამშვიდებით მიმართავს:

„გამგონეთ გაბრკონ მართალი, ვის მართებს, დარჩეს ნაძლევი“.⁽⁹⁹⁴⁾

თითქოს ძნელდება პაექრობიდან სათანადო დასკვნის გამოტანა: არჩილი ზოგჯერ თეიმურაზისა და რუსთაველს საწავს თანაბარი ძალისა და ნიჭის პოეტებად, რომლებიც, მისი აზრით, ქართველ პოეტთა შორის დაფნის გვირგვინის ღირსნი არიან:

„ქართველთ ენითა მეღეჭსე ვერ ედარების ამ ორსა, რუსთველსა ენა რიტორსა, ძეფეს-ალღისა ნამორსა“.⁽³⁷⁾

მიუხედავად ამისა, დაკვირვებულ მკითხველი, უდაოდ შენიშნავს, რომ არჩილი უპირატესობას რუსთაველს ანიჭებს. პოეტის ფეს მოსაზრება სათანადო ფაქტობითა და მასალებით დამაჯერებლად არის დასაბუთებული თხზულებაში. ჩანს, არჩილმა კარგად იცოდა, რომ მის მიერ დასმული საკითხი საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდებოდა, ამიტომ ის კიდევ შენიშნავს:

¹) არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბილისი, 1937, გვ. 7.

„ჩემს თქმულზედან ყიბარხოზდენ. გაიგვებდენ ვითა მაქოს; აწვებდენ და იხარებდენ, ჰკრევდენ დაბდაბს ზედა მაქოს“. (1119)

მართლაც ვინ იცის, თხზულების გამოქვეყნებას რა დიდი რეზონანსი ჰქონდა. შესაძლებელია, ეს ნაწარმოები და მასში აღძრული საკითხი წლების განმავლობაში ლიტერატურის მოყვარულთა სჯაბაასის საგანი იყო. შორეული წარსულისა ჩვენ, რასაკვირველია, არაფერი ვიცით. მაგრამ საკმაოდ საკითხს ჩვენ საუკუნეშიც ბევრი მკვლევრის კალამი შეხებია. ზოგიერთს მეტად არასწორი დასკვნა გამოუტანია, ზოგიერთს უძნელდება აღძრული საკითხისადმი არჩაღის დაშოკიდებულების გამორკვევა, ზოგიერთი მათგანი, მართალია, მართებულ დასკვნას აკეთებს, მაგრამ ეს დასკვნა არ არის სათანადო ფაქტებით დასაბუთებული და მოტივირებული.

ეფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოვიყვანოთ ეს შეხედულებები, რომლებიც აღნიშნული საკითხის შესახებ გამოუთქვამთ ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრებს.

პირველად ამ საკითხს პროფ. ალ. ხახანაშვილი შეეხო თავისი ცნობილი „ნარკვევების“ როგორც რუსულ, ისე ქართულ გამოცემებში. ალ. ხახანაშვილმა, ყოველგვარი მსჯელობის გარეშე, გამარჯვების ალამი თეიმურაზ პირველს მიანიჭა, ის პათეტიკურად აცხადებს:

«Так пожелал завершить «беседу», состоящую из 15 вопросов и ответов двух разноаремешных и разнокаблиберных поэтов царь Арчил, из чувства родственного почтения или непошидания лиры Руставели отделивший пальму первенства творчеству царя Теймураз». ¹

აქ ალ. ხახანაშვილი, ცხადია, ცდება, როცა ამბობს „გაბაასება“ 15 კითხვა-პასუხისაგან შედგება. შემდეგ ის არჩილს ბრალს სდებს, თითქმის მან ხათესაური გრძნობის გამო ან რუსთაველის ქნარის გაუგებლობით უპირატესობა თეიმურაზს მიანიჭა.

ალ. ხახანაშვილს არც მკვლევარი პოეტი კ. ჭიჭინაძე ჩამორჩა და მან გაიზიარა 25 წლის წინათ ალ. ხახანაშვილის მიერ გამოთქმული მიუღებელი დასკვნა: „ამის საბუთს იძლევა მისი „თეიმურაზ მეფისა და რუსთაველის გაბაასება“. სადაც ის თეიმურაზს თითქმის უპირატესობას ანიჭებს რუსთაველის წინაშე“. ² ძლიერ გასაკვიროა. პოეტმა კ. ჭიჭინაძემ ასეთი უმართებულო დასკვნა როგორ გამოიტანა?

დოც. თ. ბეგიაშვილის აზრით, „არჩილი არა წყვეტს საკითხს, უპირატესობას ძაინცდამაინც არც ერთს, არც თეიმურაზს და არც

¹) А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, выпуск 3-й, Москва, 1901 г. стр. 95.

ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია. უძველესი დროიდან XVIII საუკუნის გასულამდე. 1919, გვ. 356.

²) ი. ი. არჩილის. ბ. ძ.

³) კ. ჭიჭინაძე, ალიტერატურა ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა, თბილისი, 1925, გვ. 11.

რუსთველს არ ანიჭებს. ამ შემთხვევაში პოეტი სერხიანად იქცევა, დეე, მკითხველმა თვით ჩაიკითხოს ბოლოპდის პოემა და დასკვნაც თვითონ გამოიტანოს. თუ რომელი რომელსა სჯობს.¹⁾

თხზულებაში მოცემული პაექრობიდან სწორი დასკვნა გამოაქვს პროფ. ალ. ბარამიძეს. რომელსაც მსჯელობის დროს ძირითადად ეყრდნობა ცნობილ 199-ე სტროფის უკანასკნელ ტაემს, სადაც რუსთაველი თეიმურაზს მიმართავს:

„მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის, ჩემგან დანერგულისო“.

„მთელ გრძელ პაექრობიდან, ამბობს პროფ. ალ. ბარამიძე, ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობისად მიგვაჩნია სწორედ ეს სიტყვა. ჩვენ აქ ვხედავთ არჩილის შეხედულებათა მთავარ განსაღებს. არჩილს მართლაც დიდ პოეტად მიაჩნია თეიმურაზი, რომელსაც ბადალი არ უნდა ჰყავდეს თანადროულობაში, რომელსაც თანაბრად ეხერხება სამიჯნურო თემატიკის დამუშავება და სულის მარგე „რიტორება“, მაგრამ მაინცდამაინც თეიმურაზის პოეზია რუსთველის დანერგული მშვენიერი ხის ნაყოფიაო. ამ დასკვნით არჩილი ცდილობს თეიმურაზსაც საპატიო ადგილი მიაკუთვნოს ქართულ მწერლობაში და რუსთველის მიმართაც ღირსეული მსაჯი გამოადგეს.“²⁾

ასევე სწორი დასკვნა გამოაქვთ თეიმურაზისა და რუსთაველის ბაასიდან დოც. ტ. რუხაძესა და საშუალო სკოლის IX კლასის სახელმძღვანელოს ავტორებს. მაგ., დოც. ტ. რუხაძე წერს: „არჩილი პირდაპირ არ ამბობდა, თორემ, რასაკვირველია, იგია რუსთველს ბევრად უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე თეიმურაზ პირველს“.³⁾

ხოლო IX კლასის სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „...მაგრამ არჩილი მაინც რუსთაველს აძლევს უპირატესობას“.⁴⁾

ორივე შემთხვევაში ავტორებს (დოც. ტ. რუხაძე, გ. ბარამიძე, გ. ჯაკობია) თავიანთი აზრის დასადასტურებლად მოჰყავთ ცნობილი 209-ე სტროფი. სადაც არჩილი ამბობს:

„თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს.

(209)

ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყევთ, თუ ვინ დასცემს!“

ზემოთ დასახელებული მკვლევრების ზსგავსად დაკვირვებული მკითხველიც შენიშნავს, რომ არჩილი რუსთაველს როგორც პოეტსა და ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატს თეიმურაზსა და მთელ ქართველ პოეტებზე მაღლა აყენებს, მაგრამ ასეთადასკვნის გამოტანა მხოლოდ ზემოთ მოყვანილ სტროფზე (სტრ. 209)

¹⁾ თ. ბეგიაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწილი მესამე, თბილისი, 1931, გვ. 81.

²⁾ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 185.

³⁾ ტ. რუხაძე. „ვეფხისტყაოსანის“ გავლენა აღორძინების ხანის ლიტერატურაზე, კრებული. „შოთა რუსთაველი სკოლაში“. თბილისი, 1937, გვ. 92.

⁴⁾ გ. ბარამიძე და გ. ჯაკობია. ქართული ლიტერატურა, IX კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1947, გვ. 174.

დაყრდნობით არ შეიძლება. იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ მკვლევართა მანანს, როგორც ჩანს, არ შეადგენდა „გაბაასების“ დაწვრალებით განხილვა და დასკვნის სათანადოდ დასაბუთება.

ჩვენ შევეცდებით თხზულებაში მიმოხილული ფაქტების თავმოყრითა და გაანალიზებით კიდევ უფრო უდავო გავხადოთ ზემოთ აღნიშნული დასკვნა, რომელიც აუცილებლად გამოდინარეობს ნაწარმოებში ასახული პაექრობიდან.

„გაბაასების“ შინაარსიდან ჩანს, რომ არჩილი საკმაოდ დიდ თხზულებაში ხშირად გამოთქვამს თავის შეხედულებას თეიმურაზისა და რუსთაველის პოეზიის შესახებ. მართალია, პაექრობის მთელ მანძილზე არჩილი მოხერხებულად არის შენიღბული და მისი პიროვნება, როგორც ავტორისა, თითქმის არსად ჩანს, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ გვიშლის, გამოვიცნოთ მისი განწყობილება როგორც პირველი, ისე მეორე პოეტის მიმართ.

ჯერ განვიხილოთ. არჩილი როგორი შეხედულებისაა თეიმურაზის პოეზიაზე. თეიმურაზი თხზულებაში გამოყვანილია მეტისმეტ გულზედა და ამაყ პიროვნებად; თითქმის ისე, როგორც ის თავის პირად ცხოვრებაში ხასიათდებოდა. თეიმურაზი ზემოდან, მეფური მდიდრობით დაპყურებს რუსთაველს და ზოგჯერ მეტად უხეში სიტყვებითაც კი მიმართავს სწორუპოვარ პოეტს: „კაცი ამ ყოფნის პატრონი რად შეგადარო მევირესო“. მიუხედავად ამისა, არჩილი საკმაოდ კარგი შეხედულებისაა გვირგვინოსანი მეფის პოეზიაზე. ამის შესახებ ის ჯერ ნაწარმოების შესავალში გამოთქვამს თავის აზრს:

„მეფე ბევრს რასმე შემოჰყრებს მიჯნურთა ერთად მკობასა, არ დასწყვეტს სიბრძნის წყაროსა, ენისა მუსიკობასა, აქება შევნება-სიტურფეს, სოფიცხე-კისკასობასა.“ (45)

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ბევრის მთქმელია ის სათაური, რომელიც მეფის მეთექვსმეტე პასუხს წინ მიუძღვის: „ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა, სახელოვანისა და მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა რიტორისა და ფილოსოფოსისა მეფისა თეიმურაზისა, რომელი სიყმარწვილით. გაზრდიტ, ვაჟკაცობით, სიბერით სიკუდილამდის ეშრომა და გარდაჰხდოდა.“¹ ვფიქრობთ, ეს ციტატი განმარტებას არ მოითხოვს.

მშობლიური ქვეყნის წინაშე თეიმურაზის, როგორც მეფის, დიდი დამსახურების შესახებ არჩილი სხვაგანაც მიუთითებს. გარდა ამისა, არჩილი „საღეთო სწავლასა“ და სასულიერო ხასიათის ლექსების წერაში თეიმურაზს უპირატესობას ანიჭებს რუსთაველთან შედარებით. არჩილი თეიმურაზის მოღვაწეობის განსაკუთრებულ ძნელ პირობებსაც ითვალისწინებს, მაგრამ ყველაფერი ეს მოგვაგონებს (ყოფად შეიარაღებულ რაინდს, რომლის აბჯარი მოწინააღმდეგის ხმლის ერთ დარტყმასაც კი ვერ უძლებს.

¹) არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937 წ., გვ. 26.

მართლაც, ბაასში ჩაბმული თეიმურაზის საბუთები, რომლებიც მას თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მოჰყავს. მეტად სუსტი და არადამაჯერებელი.

თეიმურაზი ჭირ კიდევ ბაასის დასაწყისიდან ამჟღავნებს გულ-ზეიადობას. ის შზად არის რუსთაველის თაყვანისმცემლები „საქვ-დავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო“. თეიმურაზი პაექრობის დაწყებიდანვე განიცდის არა მარტო შეტევითი ხასიათის საბუთების სიმცირეს, არამედ ზოგჯერ შეტევაზე გადმოსული რუსთაველისაგან თავდასაცავი საბუთებიც არ მოეპოვება და იმულებულა თავისი სიტყვის დასადასტურებლად ყმები ან მამა დაიფიცოს:

„შენ არ გასტყდები მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ ყმებითა“. (71) ან კიდევ:

„არ თუ მჯობდე, ვერც მეღრები, დავიფიცავ ჩემსა მამას.“ (74) ზოგჯერ თეიმურაზს თითქოს ეპვი ეპარება თავის სიძლიერეში და სკეპტიციზმში ჩაყარდნილი მეფე ორანზროვნად წარმოთქვამს:

„მე ჩემი ჯობნა მგონია, თუ სხვათ ვერ გამოგდაეუსა“. (70) ხან კიდევ უხერხულ მდგომარეობაში მყოფი მეფე მოწინააღმდეგის დაშინებას ნაძლევის დადებით ფიქრობს და მიმართავს რუსთაველს: „თუ შენ მჯობხარ, გრემს მოცემ და ზედ დაგიღებ შერმე ბაზარს“. (117)

ხშირად თეიმურაზი თავის გასამართლებლად მისი მოღვაწეობის მძიმე პირობებზე მიუთითებს:

„სად მეცალა ლექსისათვის, ქირსა მინა გული იობს. სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდაჰხდა, არ თუ იობს!“ (99) ან კიდევ:

„გიტხარ, სალექსე დროები აროდეს არ შემომესწრო.“ (1052) ზოგჯერ თეიმურაზი მეფური ძალმომრეობით ფიქრობს მოწინააღმდეგის დამორჩილებას. ის ერთ ადგილას ბერთელის მაგალითზეც მიუთითებს:

„ბირთველმაც თქვა ჩემი ძვარი. ენა სირში ამოვართვი.“ (114) თეიმურაზის უპირატესობის დამამტკიცებელი საბუთების აქტივს არც მომდევნო პასუხები მატყებენ რაიმეს. ერთი სიტყვით, ამ პატარა მიმოხილვიდან ჩანს, რომ თეიმურაზის მიერ დასაწვლეული არგუმენტებიდან, გარდა ერთისა, არც ერთი არ არის წმინდა ლიტერატურული ხასიათისა. მისი პასუხები მთლიანად აგებულია ან სიამაყისა და მედიდურობის განცხადებულ სიტყვებზე, ან კიდევ მეტად გულუბრყვილო და მონარტურ დებულებებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პასუხში თეიმურაზი თითქოს აღდეც თმობს პოზიცირებს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ახლა ენახთო, თუ როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს რუსთაველისადმი „მართლის თქმის“ მოყვარული არჩილი.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არჩილისათვის რუსთაველი დიდი ავტორიტეტია; არჩილს არა მარტო ამ თხზულებაში, არა. მედ თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში რუსთაველის სიტყვები

1) ჯგულისხმობთ „საღვთო სწავლას“.

მოჰყავს როგორც სიბრძნის მისაბაძი ნიმუში და მის ზოგიერთ გამოთქმას იყენებს თავისი აზრის დასადასტურებლად; მაგალითად, არჩილის შენიჭებულობაში ხშირად შეგზავნებით ასეთ გამოთქმებს: „რუსთველმა თქვა“, „რუსთველი სიბრძნის ტბა არის“, „შოთა ზის სიბრძნის ეტლზედა“; ხანდახან კი არჩილი ნაღვლიანად წამოიძახებთ: „მაგრამ ვერ გვიწამს რუსთველის თქმულთანა ჩვენობას“, „შოთას რად ვერ წაბაძესა“ და სხვა მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ფაქტებიც საკმარისია, რომ გარკვეული იქნას არჩილის რუსთაველისადმი დამოკიდებულების საკითხი. ამ დასკვნამდე არჩილი რუსთაველის ლიტერატურული შემკვიდრების ღრმად შესწავლამ მიიყვანა. ამის შემდეგ ეს იძლევა თავის თხზულებაში ჩვენი სახელოვანი პოეტის სრულ: მაგრამ მიუდგომელ დახასიათებას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსთაველის პოეტურ გენიას ძველი და ახალი დროის ბევრი ქართველი პოეტი თუ მწერალი აღუფრთხილებია, რის შედეგად მისთვის სიყვარულითა და პატივისცემით სავსე სიტყვებით მიუმართავენ, მაგრამ ყველაფერი ეს არაა რაობად მოგვეჩვენება, როცა მთლიანი სახით წარმოვიდგინოთ იმ ქება-დიდებას, რომელიც არჩილის „გაბაასებაში“ მიმობნეული რუსთაველს მიმართ. სანამ ზემოაღნიშნულ საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ თავისებურ პოზიციას, რომელიც თხზულებაში რუსთაველს უჭირავს. „გაბაასებაში“ არჩილს რუსთაველი გამოყვანილი ჰყავს, როგორც უაღრესად ფაქიზი და ნაზი გრძნობების მქონე ადამიანი; ის მეტისმეტად თავმდაბალი, დინჯი და წინდახედულია. აგრეთვე ის განსაკუთრებულ კდემამოსილებასა და პატივისცემას ამჟღავნებს მეფე თეიმურაზისადმი. არჩილი ამ უქანასკნელ მომენტს ხაზგასმით აღნიშნავს:

„ნახეთ, რუსთველი მეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს, ესათხოება, ეკრძაღვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს“. (60)

რუსთაველი თითქოს გრძნობს, რომ მას და თეიმურაზს შორის დიდი სოციალური სხვაობაა, ამიტომ მიუთითებს:

„უცლად ლაყბობენ, შენმა მზემ, ვინ შეადარა ბატონს ყმა.“⁹ ამის გამო ის თავს უხერხულად გრძნობს და ამბობს:

„მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ“.

რუსთაველის წარმოდგენით თეიმურაზი ქვეყნის მმართველი მეფეა, რომელსაც ეს უფლება ღვთისაგან აქვს მინიჭებული:

„რას მეცილობი, შენ ომერთმა მეფობა მოგაბარაო“. თან სთხოვს: „მე დამეხსენ და შეგამკობ, ვიტყვი, მეღექსედ კმარაო“. (112) ზოგჯერ რუსთაველის თავმდაბლობა ყოველგვარ ზომას აჭარბებს და შეუფერებელ სიტყვებსაც კი წარმოთქვამს. ის ერთ ადგილას თეიმურაზს მიმართავს:

„ასრე მმართვეს, ფერხთა გბანდე, გარმორტყმული არდაგით მე.“¹⁰ თუმცა, ეს სიტყვები ჩვენს გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. ვინაიდან რუსთაველის ყოველგვარ მოქმედებას ნაწარმოებში არჩილი განსაზღვრავს. არჩილი ხომ ქართველი ფეოდალური არის-

ტოკრატის უმაღლესი წრის წარმომადგენელი იყო, რომელსაც საზოგადოებაში არსებული სოციალური თუ წოდებრივი სხვაობა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა. მისი აზრით, თეიმურაზი საზოგადოების უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენელია. რუსთაველი კი სოციალური იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი პიროვნებაა, ამიტომ რუსთაველი ვალდებულია ის იქცეოდეს. როგორც ეს ყმას პატრონის მიმართ შეფერის. არჩილს. როგორც ღავენახეთ, კიდევ უხარია და მოსწონს რუსთაველის ასეთი ქცევა და ამაყად აცხადებს: „ეს მას უნდა ეტყობოდეს“. არჩილის ასეთი კონცეფციიდან მომდინარეობს აგრეთვე ის მედიდური დამოკიდებულება. რომელსაც თეიმურაზი რუსთაველის მიმართ იჩენს. რა თქმა უნდა, რუსთაველს, როგორც პოეტს, ასეთი ქცევა ოდნავაც არ ბღალავს და არც სახელს უტეხს. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, ეს გარემოება რუსთაველს ჩვენს შეგნებაში უფრო მაღლა აყენებს, როგორც პიროვნებასა და პოეტს.

რუსთაველი თუ პიროვნული დამოკიდებულების მხრივ თეიმურაზისადმი ასეთ თავმდაბლობას ამქოავენებს. სამაგიეროდ არასდროს უკან არ იხევს, როცა ბაასი წმინდა ლიტერატურულ საკითხებსა და პოეტური პრიორიტეტის შესახებ წარმოებს. პირიქით, რუსთაველის პასუხები შეტევითი ხასიათისაა და დასაბუთებულია არა „ყურმოკრული“ ან ნახევრად საექვო ფაქტებით. არამედ წმინდა ლიტერატურული ხასიათის მასალებითა და საბუთებით. სწორედ ლიტერატურული საკითხებზე ბაასისას წარმოდგება რუსთაველი ჩვენს წინაშე, როგორც სწორუპოვარი პოეტი, მაგრამ უმჯობესია მოუუსმინოთ თვით ფაქტებს: როგორც ვიცით. არჩილის მიერ რუსთაველი ჯერ კიდევ თხზულების შესავალშივე არის წარმოდგენილი უბაღლო „ენა რიტორად“ და დასახულია „მელექსეობის“ ნორმად და მისაბამ ნიმუშად. არჩილი აცხადებს:

„ვინ ვერ მიჰყვეს რუსთაველის თქმულსა. გადმობრძანდეს ასე აქეთ!

მელექსობა არ შეშენის, დააყენეთ მოსაბაქეთ“. (36)

არჩილის აზრით, რუსთაველი გვევლინება როგორც დიდი რეჟორმატორი და ნოვატორი ქართული ლექსწყობის საქმეში. ის მობაქეტი რუსთაველს გაბედულად ათქმევენებს: „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს“. შეიძლება აქ ერთგვარ გადაქარბებასაც პქონდეს ადგილი. რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევიხებით, მაგრამ, როგორც ამ სიტყვიებიდან ჩანს, არჩილის შეხედულებით თექსმეტმარცვლოვანი ს:ლექსო ზომის შემომტანი რუსთაველია, რომელმაც ახალი ზომის გამოყენებით შექმნა უბაღლო ნაწარმები. ამიტომ არჩილისაგან ზურგგამაგრებული რუსთაველი დამსახურებულად აცხადებს:

„ვსთქვი ჩემგან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი“. (73)

ან კიდევ:

„მე ვთქვი სრული და უკლები. თქვენ მოგეც შესაძინელად“. (67)

რუსთაველი იმამიკ კარგად არის დარწმუნებული, რომ:

„სხვა ჩემგბთივ არ ნახულა. თუმცა ბევრჯელ მონახულა“. (95)
არჩილი ერთ-ერთ სტროფში ამეღავენებს რუსთაველის პოემისადმი მისი წინამორბედი თუ თანამედროვე საზოგადოების ერთი ნაწილის კრიტიკულ დამოკიდებულებას. რომლებიც:

„თუცა სწხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყის, საღმე ჰპოონ აუად თქმული, ანუ წყალი ვინ დანაყის?“. (200)
პირქით, ვინც პოეზიას ძალა და ფასი იცის, აქებ-ადიდებს მას:

„ბრძენი მიქებს ენის სიტკბოს. ხორხისა და შერმე ამ ყის“.
ასეთი ფაქტები ისე ბევრია თხზულებაში, რომ მათი აქ მთლიანად მოყვანა ძლიერ შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შეიძლება არ დაეასახელოთ ერთი სტროფი, რომელიც შეჯამებული სახით წარმოდგენას გვაძლევს. თუ რაოდენ დიდია შოთა რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობა ქართული პოეზიის განვითარებასა და ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში:

„საქართველო საესე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაქქეს, ვის ლხინი აქეს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუნს, მსიარულად წაიკეთხვენ, მასზედ თვალნი არვის უწუნს“. (78)
ვფიქრობთ, აქ რუსთაველი ისე სრულყოფილი სახითა წარმოდგენილი, რომ მას მეტოქეობას არათუ თეიმურაზ პირველი, არამედ ვერც ერთი ძველი ქართველი პოეტი ვერ გაუწევს.

ყველაფერი ის, რაც აქამდე ითქვა საძიებელი საკითხის შესახებ, მხოლოდ წინასწარი მასალები არის შესაფერი დასკვნის გამოსატანად, მაგრამ დასკვნაც არ არის დიდი საძიებელი, ის ცოტა შენიღბული სახით თვით ნაწარმოებშია მოცემული. ახლა ეცადოთ ამ ნიღბის ჩამოცილება და გამოვაშკარავოთ, არჩილის სიმკათია და თანაგრძნობა რომელი პოეტისადმი არის მიმართული. არჩილი ერთ-ერთ სტროფში თეიმურაზის პირით გამოხატავს თავისი თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულებას რუსთაველის პოემისადმი: „აწ შენი მქები უფროა, ბოლო დროს ჰყოფენ ნანასა“. (68)

არჩილი, რომელიც საზოგადოებრივ აზრს ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდა, უბრავესობის შეხედულებას იზიარებს და მას „თეიმურაზის პოეზია რუსთაველის დანერგილი მშვენიერი ზის ნაყოფად“¹ წარმოუდგენია, ამიტომ რუსთაველს :ს ათქმევინებს: „მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს, მის ჩემგან დანერგულისო“. (199)

ეს კიდევ ცოტაა, გრძელი ბაასის დასკვნა თხზულების დასასრულს არის მოცემული მეტად მოკლედ და მკაფიოდ; განიარაღებული თეიმურაზი იძულებულია აღიაროს:

„გითხარ, სალექსე დროები აროდეს არ შემომესწრო,
ან მოსკენება მენახა, ან ჯაკრისათვის დამესწრო,
მაშინ მნახავდი თამამად, თუ შენთვის მე არ წამესწრო“.²

(1052)

აქ საყურადღებო ის მომენტია, რომ საბრძოლო პოზიციას თვით თეიმურაზი თმობს. ის ხანგრძლივი პაექრობიდან რწმუნ-

1) ა. ლ. ბარამიძე, ნარკვევები . . . ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 185.

2) ხახი ჩვენია ზ. ქ.

დება, რომ გამარჯვების ალაში რუსთაველს ეკუთვნის. მართალია, ამ დამარცხებას ის თავისებურ გამართლებას უძებნის და „სალექსო დროების“ უქონლობაზე მიუთითებს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, მან შეიგნო, რომ მას, როგორც პოეტს, სძლია და წინ გაუსწრო რუსთაველმა. რუსთაველიც, ზეიმობს რა გამარჯვებას, ამაყად მიუგებს:

„მე მაგისტვის ესთქვი სულ სრული, დროც კი მქონდა, ჩანიცა“. (1053)

მსჯელობის შემდეგ, ვფიქრობთ, სადავო არ იქნება, რომ შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ლიტერატურის შესანიშნავმა მკოდნე არჩილმა სრულიად სამართლიანად შოთა რუსთაველის პოეზიას უპირატესობა მიანიჭა არა მარტო თეიმურაზ პირველის, არამედ ყველა თავისი წინამორბედი თუ თანამედროვე პოეტის პოეზიასთან შედარებით. არჩილის აზრით, რუსთაველმა მიაღწია ისეთი სრულყოფილი მხატვრული ფორმისა და ღრმა შინაარსის ერთიანობას, რომ ის მისაბადი ნიმუში გახდა შემდეგი დროის ქართველ პოეტებისათვის. ამით არჩილი „რუსთაველის მიმართაც ღირსეული მსაჯი გამოდგა“ და თავისთავიც დაახასიათა, როგორც პოეზიის შეუღარებელმა დამფასებელმა.

ამის შემდეგ ჩვენ შევეცდებით თხზულებიდან გამოვავლინოთ და სათანადო შეფასება მივცეთ არჩილის იმ შეხედულებებს, რომლებიც მას გამოთქმული აქვს როგორც პოეზიის, ისე საზოგადოებრივი საკითხების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არჩილი თავისი წინამორბედების—თეიმურაზისა და რუსთაველის მსგავსად, სიტყვას განსაკუთრებულ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. პოეტმა თავისი პირადი გამოცდილებით იცის ბოროტი და კეთილი ენის ძალა, ამიტომ ის თეიმურაზის პირით ამბობს:

„ენის! ძალა შენ გითქვამს და ცოტა მეც რამ მოგახსენო, ტუბილო ასპიტს მოამდოვრებს2. მწარე ძირში გარდახსენო.

აქმა ენამ საქმე მიყო, ავი. ღვთის მადლს, ჩამომხსენო“. (714)
ავი ენის შხამი, არჩილის აზრით, გველის შხამზე უფრო ძლიერია: „ენას აქვს გესლი ბოროტი, უმწარე ბოროტისაგან“. გარდა ამისა, ავ ენას შეუძლია ფოლადის დადნობაც კი და ბრძენი ადამიანის „ძლივ საცნობელად ქცევა“.

პოეტის ღრმა რწმენით, ბოროტ და გესლიან ენაზე არანაკლებ მავნებელია მლიქვნელი და გაიძვერა ადამიანის ენა, რომელსაც შეუძლია ადამიანთა პიროვნული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების არევა და აფორიაქება:

1) „ენაში“ პოეტი. უდავოდ. სიტყვას გულისხმობს.

2) აქ. რუსთაველის ცნობილი აფორიზმის გავლენა შეინიშნება: „გველსა ხერგლით ამოიყვანს ენა ტუბილად მოუბარი“. („ვეფხისტყაოსანი“, სტრ. 901).

„ენა მლიქნელი გონებას მყუდროსა, შშვიდად დებულსა,
გულსა განმსჭვალავს და ღვიძლსა გააპობს, სიბრძნით
ქებულსა;“ (715)

„თმათ აშლის, ხელ-ფეხთ ფრჩხილებსა გასწვავს ცეცხლ-
განაკრავისა,

შფოთს ააყოლებს ვინც ჩემენს, უმშვიდეს იყოს კრავისა.“ (717)
ხემალინიშნულ დასკვნამდე პოეტი მიიყვანა მისმა თანამედ-
როვე ცხოვრებამ, როდესაც ჩვენი ქვეყანა „ავი ენის“ წყალობით
შუღლის, მტრობისა და გაუტანლობის ასპარეზად იყო გადაქცეული.
ამიტომ დიდი პატრიოტი და მოწინავე იდეებით შეიარაღებული არ-
ჩილი დიდაქტიკური ტონით მიმართავს როგორც მის თანამედრო-
ვეებს, ისე მომავალ თაობას:

„ვისცა არ უნდა აყოლა სიტყვა ავისა, ცუდისა,
* * * * *

აგრევე ენას თუ უსმენ, დაგრჩება, დაიბუღისა“. (719)

შემდეგ არჩილი, როგორც რუსთაველის სალიტერატურო სკოლი-
დან გამოსულ პოეტი, იძლევა პოეტური ხელოვნების განსაზ-
ღვრას; მისი აზრით. ლექსის წერის ხელოვნება ან, როგორც თვი-
თონ უწოდებს, „რიტორება“ წარმოადგენს ადამიანის სიბრძნის
ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, ის გარკვევით მიუთითებს:

„ესე არის სიბრძნე ბერძენთ, პირველ ფილოსოფოსობა.
მკურნალობა, რიტორება, მერმე ღრამატიკოსობა.

ქვეყნის ზომა, ვარსკვლავთრიცხვა, სიტყვის შეთხზენად
მუსიკობა“. (189)

არჩილის აზრით, პოეტის ნაღვაწი არ უნდა იყოს ხელოვნური და
ნაძალადევი. პირიქით, ლექსი ყოველმხრივ გამართული უნდა
იყოს, ის ადამიანს ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა გვრიდეს:

„სწორად უნდა ლექსი ვინ თქვას, მართლად სცემდეს, განა
გაპკრას,

ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაპკრას“. (16)

არჩილი პოეზიას უტილიტარული თვალსაზრისით აფასებს. მი-
სი შეხედულებით, პოეზიამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი
ცხოვრების პროგრესს და მავნე ზნე-ჩვეულებებისაგან ადამიანის
განთავისუფლებას. ასეთი დიდი როლის შესრულებას, არჩილის
რწმენით, პოეზია მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მხატვრული
სიტყვის მესვეურები თავს დაანებებენ „ზღაპრულ-ნაქორი“ ამბე-
ბის მთხზელობას და ხელს მოჰკიდებენ „ნამდვილი, მართალი
ამბის“ გალექსვას. „მართლის თქმის“ იდეა ჩვენს მწერლობაში
პირველად არჩილმა შემოიტანა. ამიტომ ამ საკითხს აქ უფრო დაწ-
ვრილებით განვიხილავთ.

არჩილი, სანამ ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ თავის შეხედულებებს ჩამოაყალიბებდეს, სასტიკად ილაშქრებს ისეთი პოეტების წინააღმდეგ, რომლებმაც თავიანთი ნიჭი „სპარსთა ნაკორი“ და ფანტასტიკური ამბების გალექსვას მოანდომეს.

არჩილი არ ინდობს აგრეთვე „ათინელთ სიბრძნესაც“, რომელიც, მისი აზრით, ნახევრად ზღაპრული და ფანტასტიკურია: „ათინელთ სიბრძნე ბევრი აქვთ, ზღაპრული, შეტმანნილია, ბერძენთ აქვს თორმეტი სიბრძნე, მუნ ერთად შენათხზნილია“ (191)

თავისი აზრის დასადასტურებლად არჩილს მოჰყავს მაგალითები ძველი ბერძნული თქმულებიდან: მინაუტაგროსის შექმნისა და ორფევის მუსიკალური ნიჭის შესახებ. მასალების შესწავლა ჩვენს პოეტს აძლევს უფლებას დაასკვნას:

„ყველა ზღაპრული ცოდნა აქვთ, მართალთან არ შესართავი, მუდამად ხელთა უპირავს ტყუულის მათ მოსართავი“ (197)

ზღაპრულ და ფანტასტიკურ თემებზე მომუშავე პოეტების გაკიცხვისა და გაკრიტიკების შემდეგ არჩილი ნაწარმოების შესავალში განსაზღვრავს თავისი თხზულების შინაარსის რაობას. აქ ის იძლევა თავისი შეხედულებებს მართლის თქმის უპირატესობის შესახებ. მოვუსმინოთ თვით პოეტს: „მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს. ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვითმნახვთა და თან ნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხობდა— არამედ მართალი“.¹ პოეტი არ კმაყოფილდება თავისი თხზულების შინაარსის წყაროების ჩვენებით, ის ქვემოთ უფრო გარკვევით მიუთითებს, რომ მისი ნაწარმოები შეიცავს „მართალ“ ამბავს და არა „ზღაპრულს“. ხაზგასმით აღნიშნავს: „სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად: და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის, მეფისა და რუსთვლის პირდაპირ გაბაასების მეტი. საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებს, ბატონებისა და დარბაისელთასა“.²

ზემოთ მოყვანილ ციტატებში არჩილი ერთმანეთს უპირისპირებს „ხობბასა“ და „მართალს“. „ზღაპრულ ამბავსა“ და „მართალ ამბავს.“ ხობბასა და „ზღაპრულ“ ამბავს ის უარყოფს, ხოლო მართალი ამბის გალექსვა მას თავისი შემოქმედების დივიზად გაუხიდა.

არჩილს კარგად აქვს გათვალისწინებული სახობბო პოეზიის თავისებურება: ხობბის საგნის გაზვიადებულად და განდიდებულად წარმოდგენა და აქედან მომდინარე სახობბო ძეგლების პიპერბოლიზაცია და ფანტასტიკა. ამიტომ ის გაბედულად უპირისპირებს „მართალ ამბავს“ არა მარტო ზღაპარსა და ფანტასტიკას, არამედ ხობბასაც კი.

თხზულების ლექსითი შესავლის ერთ-ერთ სტროფში არჩილი

¹) არჩილიანი, ტ. II. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937, გვ. 7.

²) იქვე.

განმეორებით მიუთითებს თავისი თხზულების შინაარსის თავისებურებაზე და თამამად აცხადებს:

„ვექვ ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი, არ საკიცხავი ამბავი; ამო და მოსაწონარი, არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუვილად გასაგონარი“.

(15)

არჩილი მკითხველის ყურადღებას ნაწარმოების დასასრულსაც ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მან გალექსა მხოლოდ ის, რაც ნახა, ან უტყუარი ცნობების შესწავლით შეითვისა:

„რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები, ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანერთზედ დანათვლები.“ (1129)

ამგვარად, არჩილმა გაბედულად აღიმალა ხმა თავისი წინამორბედი პოეტების ლიტერატურული მიმართულების წინააღმდეგ და მან ქართულ მხატვრულ ლიტერატურას განვითარების ახალი გზები დაუსახა.

არჩილი არ გვევლინება მშრალი მსჯელობის მოყვარული თეორეტიკოსის როლში. პირიქით, მისი თხზულების გმირები, რომლებიც საქართველოს ისტორიის სინამდვილიდან არიან ამოღებულნი, თავიანთ პასუხებში ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ მიერ მოყვანილი საბუთები რეალური ფაქტებია და არა „ნაჭორი“ ან „ზღაპრული“ ამბები. თვით თეიმურაზიც კი, რომელიც ძლიერ გატაცებული იყო „სპარსთა ნაჭორი“ ამბებით, თავის თავგადასავლის გადმოცემის დასაწყისში რუსთაველს აფრთხილებს:

„ისმინე ჩემი ამბავი, სიყრმითგან ვით ვზი გოდებად,

მართალი, არ თუ ტყუილი, არ მიზეზისა მოდებად.

რაც მახსოვს, ყველას გაიმბობ, არ მინდა სხვაგან მოძებად.“

(210)

იმავე მეთექვსმეტე პასუხში გიორგი სააკაძის გმირობით აღტაცებული არჩილი თეიმურაზის პირით აცხადებს:

„ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქნა მრავალი,

უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!“ (608)

გიორგი სააკაძეც მარაბდის ცნობილი ბრძოლის წინ გამართული თათბირის დროს აცხადებს:

„მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიდ-მოდება“.

(622)

თეიმურაზს არც რუსთაველი რჩება უკან. ისიც მზად არის მობასეს თავისი თავგადასავალი რეალურ ამბად წარმოუდგინოს, ამიტომ გარკვევით ამბობს:

„მეც რას დროსა ვარ შემსწრობი, მიყურე, თქვენც მამიხსენე,

თუ ტყუილი რამ გაიმბო, მაგინე, ავად მიხსენე“. (781)

რუსთაველი მზად არის, თუ მას თეიმურაზი ტყუილში დაიჭერს, უწოდოს თავისი მდივნის სახელი:

„ტყუილი მეთქვას, ღამარქვი თქვენ დათო, თქვენი მდივანე“.
(934)

არჩილს თავისი დევიზი „მართლისა თქმისა“ ნაწარმოებში თავიდან ბოლომდე განუხრელად აქვს დაცული. განსაკუთრებით ის დიდ სიზუსტეს იჩენს თეიმურაზის თავგადასავლის გადმოცემისას. მკვლევართა აზრით, თხზულების ეს ნაწილი შესანიშნავ საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს, მაგრამ არჩილი არ გამოდის მშრალი ობიექტივიზტის ან მემატრიანის როლში. პირიქით, ფაქტების ან მოვლენების აღნუსხვისას ის ყოველთვის ამჟღავნებს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას თუ შეხედულებებს ამ ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. ის ერთგან საჭაროდ აცხადებს: „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავ-ს საქმის მე დამგმობრე.“ (726)

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არჩილის შემოქმედებაში რეალიზმის დამახასიათებელი ელემენტები უდავოდ შეინიშნება, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს უფლებას, რომ არჩილი ვაღიაროთ რეალიზმის, როგორც გარკვეული სალიტერატურო სკოლის დამწყებად ან წარმომადგენლად. მომავალ მკვლევარს კი, რომელსაც ქართული რეალიზმის სათავეების ძიება მოუხდება, აუცილებლად მდიდარ მასალას მისცემს არჩილის შემოქმედება, რომელსაც „ცხადლევ აღუბეჭდავს საგანთა და მოვლენათა რეალისტური ასახვ-ს თვალსაზრისი“.¹

არჩილი ძველ ქართულ ლიტერატურაში ბევრი ახალი ბედის ავტორია, მაგრამ უშუალოდ მის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ეროვნული თემატიკის დანერგვისათვის ზრუნვა. დღეს, როცა ჩვენ, საბჭოთა ეპოქის ადამიანები, შეუპოვარ ბრძოლას ვაწარმოებთ კოსმოპოლიტიზმისა და უცხოური კულტურისადმი მონური თაყვანისცემის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, არა პატრიოტული და პროგრესული სულისკვეთებითაა გამსჭვალული ჩვენი სახელოვანი პოეტის მოსარჩლეობა მწერლობაში ეროვნული თემატიკის დანერგვისათვის.

მშობლიური ენისა და მიწა-წყლის უსაზღვროდ მოყვარულმა არჩილმა სამი საუკუნის წინ მძლავრად აღიმადლა ხმა ქართველი მწერლების მიერ უცხოური წარმოშობის თემატიკის დამუშავების წინააღმდეგ და სპარსული ამბებით მათ გადაქარბებულ გატაცებას შესაფერი შეფასებაც მისცა: „სრულად იტყვიან უკლებად ამბავსა სპარსთა ნაქორსა“. (37)

თავისი პოეტური მოღვაწეობის შესახებ კი არჩილი გამომწვევი ტონით აცხადებს:

„მეფეთ ამბავი მეფემა შევჰკრიბე საქართველოთა,

„ვეკობ გამოს სასმენელთ, ვინ კარგა მოისთველოთა“. (1113)

არჩილი თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითაც ამართლებდა უცხოურის ნაცვლად ეროვნული თემატიკის დამუშავების აუ-

¹) ალ. ბარამიძე. ნარკვევები . . . ტ. II, თბილისი, 1940. გვ. 179.

ცილებლობას. მართლაც, თითქმის მისი ყველა ორიგინალური თხზულება ქართველი ხალხის ცხოვრებასა და მის ზნე-ჩვეულებას ასახავს. ამ მხრივ პირველი ადგილი, რასაკვირველია, „თეიმურაზისა და არჩილელის გაბაასებას“ უჭირავს.

რუსილი უფრო მკაცრად ენის სიწმინდის დაცვისათვის იბრძვის. არჩილის აზრით, ეროვნული გადაგვარების ერთ-ერთი ნიშანი „ენის წახედნაა“, ამიტომ ის თავგამოდებით იბრძვის ბარბაროზების წინააღმდეგ. მას აღშფოთებს თეიმურაზის ცნობილი სიტყვები:

„სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი.

მძიმეა ენა ქართველთა—ვერ ძალმიც მისებრ თხრობანი!“ (4)
თეიმურაზი იძულებულია თავისი დანაშაული რუსთაველის წინაშეც აღიაროს:

„მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული, თათრულიც გამირევია, მიქია მათი არსული“. (109)

თეიმურაზის ასეთი ვატაცება სპარსული ენით არჩილის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, ამიტომ ის რუსთაველის პირით თეიმურაზს მოხდენილად შენიშნავს: „მძიმე გჩანს ენა ქაროველთა, მაშ ბრძანე არაბულითა“.

არჩილის კრიტიკას ვერც რუსთაველი ასცდა. მის მახვილ თვალს, როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსანშიც“ შეუნიშნავს საკმაო რაოდენობის უცხოური წარმოშობის სიტყვა, ამიტომ თეიმურაზს რუსთაველის მიმართ ათქმევენებს.

„რაც ენაა ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა, ყოველი არსი შეგიყრია, დაბალი და მაღალიცა“. (108)
ან კიდევ:

„ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე“.

თავის მხრივ არჩილი თავმომწონედ აცხადებს:

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდი სხვასავეთ, მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით“. (1127)

ასეთი იდეით შთაგონებული არჩილი სხვაგან სიამაყით მიმართავს მკითხველ საზოგადოებას:

„მკითხველ-მთარგმნელნო, „მაჯამას“ წილ მეც ეს მამირთმევია, ჩემი და ჩემადგირად, არვისთვის წამირთმევია;

მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“.2 (3)

„ამრიგად,—დაასკვნის, პროფ. ალ. ბარამიძე,—არჩილი იცავს რეალისტური თვალსაზრისით გაშუქებულსა და პურისტული სტილით დამუშავებულ ნაციონალურ თემატიკას.“3

ვფიქრობთ, არჩილის ეს ახალი, უაღრესად პროგრესული და მოწინავე იდეები დიდ როლს შეასრულებდა XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი ხალხის ეროვნული შეგნებისა და სიამაყის

1) თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით. თბილისი, 1934, გვ. 24.

2) არჩილიანი, ტ. I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბილისი, 1937, გვ. 127.

3) ალ. ბარამიძე, ნარკვევები . . . ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 180.

გრძნობის განმტკიცება-გაძლიერებაში. მართლაც, არჩილის ამ ახალი იდეების განმგრძობ-გამღრმავებელთა მთელი პლეადა შეიქმნა „აღორძინების“ ხანის ქართულ ლიტერატურაში.

აგრეთვე „გაბაასებაში“ არჩილი რამდენიმე მეტად საყურადღებო შეხედულებას გამოთქვამს. რომელთაც დღესაც მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის ღრმად მცოდნე არჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი აზრის, ახალი იდეის შემუშავებასა და დანერგვას ადამიანის თეორიული აზროვნებისა თუ პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი მხატვრულ ლიტერატურაში. ის ნამდვილ, კემპარიტ ხელოვანსა და შემოქმედს უწოდებს მას, ვინც წინამორბედის მიერ ნაანდერძევი შემეყიდრობისაგან განსხვავებულ ისეთ ახალ რაიმეს შექმნის, რომელიც არ წარმოადგენს ძველის განმეორებას და წინამავალ იდეებთან შედარებით პროგრესული და კარგია. არჩილი ამ საინტერესო აზრს რუსთაველის პირით რამდენიმე ტაეპში აყალიბებს:

„ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექნას რამე,

ჩემგან უწინ ვის რამ გეთქვათ, ქართველთ ენით ვიწყე რა მე,

ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რამ იტკბე, მით რამ ამე.“ (86)

არჩილის ასეთი აზრით გამხსენებელი რუსთაველი თეიმურაზს ამაყად მიუგებს:

„ვსთქვი ჩემგან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი“.

(73)

არჩილი თხზულებაში არა მარტო თეორიულ მოაზროვნედ გვევლინება, არამედ ყველა მოვლენას დაკვირვებულ თვალთ შომავეს და აფასებს. ცხოვრების ვაი-ვაგლახ გამოვლილი პოეტის აზრით, საზოგადოდ ახალი ლიტერატურული თემებისა და ქანრების შემუშავება-შემოღებისათვის შემოქმედს მუშაობის სათანადო პირობებიც უნდა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში მას აუცილებელ პირობად წყნარი, მშვიდი ცხოვრების ნექმნის საპირობება მიაჩნია. ამიტომ არის, რომ თხზულებაში თეიმურაზი ნაღვლიანად ამბობს:

„სად მეცალა ლექსისათვის, კირსა შინა გული იობს,

ის მოიცლის საშაიროდ, ვინ არ კმუნავს, ვინ არიობს.“ (99)

მსგავს შეხედულებას თეიმურაზის პირით არჩილი თხზულების დასასრულსაც გამოთქვამს ჩვენთვის ცნობილ 1052-ე სტროფში.

აღნიშნულ სტროფებში ჩამოყალიბებულ აზრს რუსთაველიც იზიარებს, ის თავის მხრივ კიდევ ადასტურებს ამ უდავო კემპარიტებას:

„მე მაგისთვის ვსთქვი სულ სრული, დროც კაი მქონდა, ხანიცა.“ (1053)

დასასრულ შეიძლება არჩილის ერთ, თუმცა დღეისათვის უკვე მოძველებულ შეხედულებაზე გავამახვილოთ ყურადღება: არჩილი

ქვეთრად განასხვავებს ერთმანეთისაგან სასულიერო და საერო მწერლობას: „ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდლო და საერო“ (48)

როგორც ჩანს, ის უპირატესობას აკუთვნებდა სასულიერო მწერლობას, რაც არჩილის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს:

„სამღვდლოსა მცოდინარე საეროსა მოერიო“. (იქვე)

პოეტის ასეთი შეხედულებით ზურგგამაგრებული თეიმურაზი რუსთაველს კიდევ შეუტევს:

„ჰე რუსთველო, მოიცადე, დადეგ, სიტყვა შეინახე,

საღვთოს სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე“. (131).

ან კიდევ:

„საღვთოთ მაშინც უეპველად შემიძლია შენი დანთქმა.

შენ ტალანტი დაგიმალავს, მოვიპოვო ჩემი დრაქმა“. (145)

ღრმა რელიგიური გრძობებით შეპყრობილი არჩილის სიმპათია, მართალია, სასულიერო მწერლობისადმი იხრება, მაგრამ ამ მომენტს არჩილი გადამწყვეტ მნიშვნელობას არ აძლევდა ბაასის მიმდინარეობისა და შედეგებისათვის. ისიც ფაქტია, რომ თვით არჩილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია როგორც საერო პოეტი, რომელმაც ქართული ლიტერატურა გაამდიდრა სასულიერო მწერლობისაგან განსხვავებული თემებითა და ლიტერატურული მოტივებით.

ასეთია მოკლედ ის ლიტერატურული შეხედულებები რომელიც არჩილმა „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ გამოთქვა. ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვი, რომ არჩილი თავისი დროისათვის იყო არა მარტო პოეტი, შემოქმედი, არამედ ლიტერატურის თეორეტიკოსიც, მის მიერ მაშინ წამოყენებულ ზოგიერთ შეხედულებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

არჩილის ლიტერატურული შეხედულებების გაცნობის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ მის ცნობილ ტრაქტატს: „ძველთ და ახალთ საქართველოს მელექსეთა“, რომელიც „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას“ წინ დაერთვის.¹

ეს ტრაქტატი 13 სტროფისაგან შედგება და მასში არჩილი იძლევა ზოგიერთი მისი წინამორბედი და თანამედროვე ქართველი პოეტის კრიტიკულ დახასიათება-შეფასებას. „არჩილის ეს ტრაქტატი პირველი კრიტიკული მიმოხილვაა ძველი ქართული მწერლობისა“,² თუმცა არასრული. მასში მხოლოდ ცამეტე მწერლის მოღვაწეობაა შეფასებული, სახელდობრ: ჩახრუხადის, ხოსრო თურმანიძის, ნანუჩას (მანუჩარ ციციშვილი). ჯაგლაგა ფავლენისშვილის, ქაიხოსროს, ნოდარ ფარსადანის-ძის (ციციშვილი), გარსევან ჩოლოყაშვილის,

¹) არჩილიანი. ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბილისი, 1937, გვ. 3—4.

²) აღ. ბარამიძე, ნარკვევები . ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 181.

სულხან თანიაშვილის, ბარძიმ ვაჩნაძის, იაკობ სანძებელის, ფეშანგი ფაშვიბერტყაძის, ბაკა დვალის, დათუნა ქვარიალის.¹

არჩილი თითოეული მწერლის მეტად მოკლე, მაგრამ შედარებით ობიექტურ დახასიათებას იძლევა. ის ცდილობს მწერალთა შეფასებისას მიუდგომლობა გამოიჩინოს და თითოეულს დამსახურების მიხედვით მიუხლოს. ის თავის შეხედულებას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ძინახავს მელექსებისა შედრაზედ დიდი ცილება,
ზოგს მართლა დაიწუნებდენ, ზოგისა იყოს ცილება;
მოდი ყველანი ვახსენოთ, ვჰყოთ მათი შემოყრილება,
ვის კარგად ეთქვას, გაქებდეთ, ზოგს ჯაჰეს ვით ჰქონდეს ყო
ლება.“ (22)

ან კიდევ:

„ვისცა ეთქვას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ, თქვენცა აქეთ,
კარგი კარგად მოუწონეთ, ცუდის მთქმელი მო დაბაქეთ“. (36)
აქ მოცემული პრინციპები ლიტერატურული შემეკიდრეობის შეფასებისა დღესაც არ არის ინტერესმოკლებული.

თავის ტრაქტატს არჩილი ჩახრუხაძის დახასიათებით იწყებს. მას ჩახრუხაძე ნიჭიერ პოეტად მიაჩნია, ამიტომ ის კმაყოფილებს გამომხატველი ტონით აცხადებს:

„სხვას ლექსით ჩახრუხაძემა შეამკო მეფე თამარი,
არ მებრალეების საქებრად თამარი, მისი ამარი“.

„სხვას ლექსში“ არჩილი, რა თქმა უნდა, გულისხმობს 20 მარცვლოვან სალექსო ზომას, ჩახრუხაძეს, რომლითაც დაწერილია ქართული კლასიკური ხანის სახობრო ძეგლები „თამარიანი“ და „აბდულ-მესიანი“. გარდა ამისა, შეიძლება არჩილმა იცოდა ჩახრუხაძის ლეგენდარული ბიოგრაფია, როცა ის ამბობს: „ვა ამით, რომე სრულ ვერ ჰყო, ადრე უთხარეს სამარი.“ აქ, ვფიქრობთ, არჩილი ჩახრუხაძის ლეგენდარული ცხოვრების იმ მომენტზე მიუთითებს, რომლის მიხედვით ახალგაზრდა პოეტი თამარის უიმედო სიყვარულის გამო საქართველოდან გადაიხვეწა და სიცოცხლეც უცხოეთში დაასრულა.²

ამავე თხზულებაში, მხოლოდ სხვა ადგილას, არჩილი იმავე ჩახრუხაძეს რუსთაველის წინამორბედად თვლის და მას მიაწერს 16 მარცვლოვანი სალექსო ზომის შემოღებას ქართულ პოეზიაში; ეს ჩანს არჩილის იმ სიტყვებიდან, რომელსაც ის თეიმურაზს ათქმევინებს რუსთაველის მიმართ:

„ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!“

¹) არჩილი ამ ტრაქტატში არაფერს ამბობს რუსთაველისა და თეიმურაზის შემოქმედების შესახებ, ვინაიდან მათი ლიტერატურული შემეკიდრეობის ანალიზისადმი არის მიძღვნილი თითქმის მთელი თხზულება.

²) პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. ჩახრუხაძის-ძე, პოეტი, მოგზაური: ჟურნ. „კავკასიონი“, 1924, № 1—2, 3—4.

ვეპვ, მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მასა, თორემ ვკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი ბასა!“ (80) უდავოდ არჩილს აქ უნებლიე შეცდომა მოსდის. როგორც ცნობილია, 16 მარცვლოვანი სალექსო ზომის შემომტანი ქართულ პოეზიაში არა ჩახრუხაძეა, არამედ ეს სალექსო ზომა ლიტერატურაში ხალხურ ზეპირსიტყვიერებიდან მოდის,¹ ხოლო მწერლობაში პირველად ის X საუკუნის ჰიმნოგრაფს ფილიპეს გამოუყენებია.² ფილიპეს შემდეგ მას ვხვდებით არსენ იყალთოელის „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში“³ და გიორგი III ისტორიაში.⁴ საინტერესოა, ქართული მწერლობის ჩინებულ მცოდნე არჩილს ასეთი შეცდომა როგორ მოუვიდა. შეიძლება ასეც ვიფიქროთ, რომ არჩილს ამ შემთხვევაში საერო ლიტერატურა ჰქონდა მხედველობაში და არა სასულიერო მწერლობა.

ჩახრუხაძის შემდეგ არჩილი ასახელებს XVI საუკუნის მწერალს ხოსრო თურმანიძეს, რომელმაც, როგორც ვიცით, დაამთავრა „როსტომიანის“ ქართულად თარგმნა. არჩილი მთელი „როსტომიანის“ თარგმნას თურმანიძეს მიაწერს: „როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა“ (25). არჩილი არსად არ ასახელებს სერაპიონ სოგრატიის-ძე საბაშვილს, რომელმაც გალექსა „როსტომიანის“ უდიდესი ნაწილი. ნუთუ არჩილმა არ იცოდა საბაშვილის ის დიდი ღვაწლი, რომელიც მას მიუძღოდა ხსენებული თხზულების ქართულად თარგმნის საქმეში, მით უმეტეს როცა საბაშვილი, როგორც პოეტი, ბევრად წინ დგას, ვიდრე თურმანიძე. როგორც ჩანს, არჩილი ხოსრო თურმანიძეზე დიდი წარმოდგენის არ ყოფილა, ამიტომ ამბობს: „დიდის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმეს მომცროსა“. მართლაც, ხოსრო თურმანიძეს დამოუკიდებელი პოეტური შემოქმედებითი ნიჭი არ ჰქონია, ის დაკმაყოფილებულა მხოლოდ სპარსული თხზულების ქართულად თარგმნით. არჩილს, ვფიქრობთ, ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა ზემოთ მოყვანილ სიტყვებს წერდა. მიუხედავად ამისა, არჩილი თურმანიძის ღვაწლს არ ჩქმალავს და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა“. აგრეთვე არჩილის სიტყვებიდან ჩანს, რომ არჩილის მოღვაწეობის ხანაში „როსტომიანი“ აღარ სარგებლობდა ისეთი დიდი პოპულარობით, როგორც აღრინდელ ხანაში:

„ახლა ცუდად ძეს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა“. მომდევნო სტროფში არჩილი სასტიკად ილაშქრებს „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორების წინააღმდეგ და კიდევ ამჟღავნებს

¹) კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 211.

²) ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 349.

³) იქვე გვ. 377.

⁴) ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკლავით. თბილისი, 1941. გვ. 55—56.

ერთ-ერთი ყალბისმქნელის ვინმე ნანუჩას ინტერპოლაციურ საქმიანობას:

„ნანუჩას რუსთულის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აღმღვრევია“.

უნდა ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა „აღორძინების“ ხანის ქართულ მწერლობაში კონკრეტულად არის დასახელებული უკვდავი პოემის ინტერპოლატორი. დღეს გამოჩვეულია, რომ ეს ნანუჩა არის XVII საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე მანუჩარ ციციშვილი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანში“ 31 ყალბი სტროფი ჩაურთავს.¹

რუსთაველის დიდი პატივისმცემელი და მისი პოეზიის ღირსეული დამფასებელი არჩილი თავის თხზულებაში სხვა ადგილასაც სასტიკად ამოთრახებს უნიკო ყალბისმქნელს, როცა ის თავის თავზე ლაპარაკობს: „კარგადა ვთქვა ყველაკაი, არ მგონია ვნანუჩაო!“ (41). აქ „ნანუჩობა“ არჩილს ყველა ჯურის ინტერპოლატორთა ზოგადი სახელის მნიშვნელობით აქვს ნანმარი.

არჩილმა კარგად იცის, რომ ნანუჩა მარტოდმარტო არ არის. მის გვერდით დგას ინტერპოლატორთა და „ვეფხისტყაოსანის“ გამგრძელებელთა მთელი ჯგუფი. არჩილი სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს, როცა თეიმურაზს რუსთაველის მიმართ ათქმევინებს: „რუსთველო, სხვათ მეღექსეთა თუცაშენ გაგითავესა,

ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“.² (70)

არჩილის მიერ რამდენიმე საუკუნით ადრე გამოთქმული აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორთა და გამგრძელებელთა შესახებ უკანასკნელი წლების მეცნიერულმა კვლევამ-ძიებამ საბოლოოდ დაადასტურა.³

საყურადღებოა, რომ არჩილის ამ ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორთა შესახებ დიდ მნიშვნელობას აძლევენ ცნობილი რუსთველოლოგები: აკად. კ. კეკელიძე, პროფ. ალ. ბარამიძე, პროფ. ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა.

შემდეგ არჩილი თავის თხზულებაში ერთი უცნობი პოეტის ვინმე ჭაგლაგა ფაველენიშვილის შესახებ ლაპარაკობს:

„ჭაგლაგსა ფაველენისშვილისა არვინ ათხოვებს ყურსაო, მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ველარ დაუყურსაო“.⁴ (27)

არჩილი სასტიკად კიცხავს ჭაგლაგას, თუმცა არც ერთ მის თხზულებას არ ასახელებს. თუ ზ. კიკინაძის ცნობას არ მივიღებთ მხედველობაში,⁵ ჭაგლაგა ფაველენიშვილი ყოფილა XVII საუკუნის

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 323—324.

²) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 320—324; „ვეფხისტყაოსანის“ ჩანართი და დანართი, ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბილისი, 1948.

³) ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა XVII—XVIII საუკუნეებში, გვ. 13—14.

პირველინახევრის მოღვაწე როინ ფავლენიშვილი, რომლის არც ერთი თხზულება ჩვენამდე არ არის მოღწეული.¹

არჩილი არ იეიწყებს არც „ომანინანის“ ავტორს, ქაიხოსროს, რომელიც დოც. გ. ჯაკობიას მტკიცების წინააღმდეგ,² ქაიხოსროს მუხრანბატონი კი არ აღმოჩნდა. არამედ XVII საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე ქაიხოსრო ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი.³ საკვირველია, რომ კარგი პოეტური გემოვნების მქონე არჩილი ქაიხოსროს პოეტურ ნიჭს კარგ შეფასებას აძლევს:

„კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ესთქვი მისი ზიანი“. (28)
მაშინ როცა „ომანინანის“ ლექსი შედარებით მდარე ხარისხისაა, ხოლო შინაარსი წარმოადგენს ქართული საღვთაგონო რომანების უხეშ მიბაძვას.

სამაგიეროდ არჩილი დამსახურებულად აქებს „ბარამ-გურისანის“ ქართულად გადმომკეთებელს ნოდარ ფარსადანის-ძე ციციშვილს:

„ფარსადანის-ძემ ნოდარ თქვა ქება კარგა ბარამ-გურის,

თვალნი თლილნი მათრქვიენა, გარევა ყო არ აგურის,
მის ლექსისა სასმენლად მიპყრობა ზამს კარგა ყურის“. (29)
მართლაც „ბარამ-გურისანი“ კარგი ქართულით არის თარგმნილი, ის ორიგინალური თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს.

არჩილის მახვილი კრიტიკული თვალი გაუკენწლავს არ ტოვებს „ხილთა ქების“ ავტორს გარსეევან ჩოლოყაშვილს. არჩილს არ მოსწონს ჩოლოყაშვილის გატაცება შედარებით მსუბუქი შინაარსის მქონე თემატიკით, ამიტომ მის ლექსს „რამე-რაების“ უწოდებს. ამავე სტროფში არჩილი ერთ საცილობელ საკითხს ეხება. ის ამბობს: „ესევე სჯობს, რაც მასმია მისგან მონახსენებია,

გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია“. (30)

უკანასკნელ ტაეპზე დაყრდნობითა და სხვა მასალების გათვალისწინებით აკად. ჯ. კეკელიძეს „ხილთა ქების“ ავტორი გარსეევან ჩოლოყაშვილი მიაჩნია აგრეთვე ცნობილი ლექსის „ნარგიზოვანის“ ავტორადაც, რომელიც მისი აზრით მოღვაწეობდა XVII საუკუნის ნახევარში.⁴ თუმცა პროფ. ალ. ბარამიძე არ იზიარებს ამ შეხედულებას. ის „ნარგიზოვანის“ ავტორად თვლის XVIII საუკუნის მოღვაწეს, ცნობილ სარდალს დავით ორბელიანს და იქვე შენიშნავს, რომ „სრულიად არ მიმაჩნია გადაჭრილად „ნარგიზოვანის“ ავტორობის საკითხიო.“⁵

¹) გ. ლეონიძე, შანავახიანი, მის მიერ გამოცემული „შანავახიანის“ სარედაქციო წერილი, თბილისი, 1935, გვ. X.

²) გ. ჯაკობია, ომანინანი, მის მიერ გამოცემული „ომანინანის“ სარედაქციო წერილი, თბილისი, 1937, გვ. XXII.

³) ჯ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 324—330.

⁴) იქვე, გვ. 569.

⁵) ალ. ბარამიძე, ნარკვევები . . . , ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 483.

მკოდნე და ნიჭიერ პოეტად წარმოგვიდგენს არჩილი „ამირან-დარეჯანიანის“ გამლექსავეს სულხან თანიაშვილს, რომელიც არჩილის თანამედროვე ყოფილა: „მეც მახსონს, იყო ჩემობას“—ამბობს ის. მთელი „ამირან-დარეჯანიანის“ ვალექსეას არჩილი სულხანს მიაწერს. ის არ ასახელებს სულხანის ძმას ბექთაბეგს, რომელმაც თავის ძმაზე არანაკლები წვლილი შეიტანა თხზულების ვალექსეის საქმეში.

საკმაოდ ზუსტ ცნობებს იძლევა არჩილი „საამიანის“ გამლექსავეს ბარძიმ ვაჩნაძის შესახებ. ბარძიმძ 1634-1657 წლებში ტყვედ იყო ლევიან დადიანის კარზე, ოდიშში, სადაც მას ვაულექსავეს ზემოთ დასახელებული თხზულებაც. არჩილი მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს ბარძიმ ვაჩნაძის მიმართ და აცხადებს:

„სხვას ველექსესთან ჯდომაში უხვამს იხდიდეს ბოდიშა!

თუ არ შეეძლო, რასთვის თქვა, რად შეიქს საამბოდ იშა?“ (32)
სინამდვილეში კი ბარძიმძ, როგორც პოეტი, ზოგიერთ იმდროინდელ პოეტზე გაცილებით მაღლა დგას.¹

33-ე სტროფში, არჩილი საკმაო ენაწყლიანობით აქებს XVII საუკუნის ერთ-ერთ, არც ისე თვალსაჩინო პოეტს იაკობ სამებელს (ლუმბაძეს).

„აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამყამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარი,
ხუცურის ენით ველექსობს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემა მკობარი.“ (33)

ზოგჯერ ციტატიდან ირკვევა, რომ იაკობ სამებელი ყოფილა სასულიერო მწერალი, რომელსაც დაუწერია რაღაც თხზულება, რომელშიაც არჩილი ყოფილა შემკობილი. ამ იაკობის შესახებ აჯად. კ. კეკელიძე წერს: „იაკობი არის მოღვაწე მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა,² მას გიორგი XI შაჰნავაზის ბრძანებით ვაულექსავეს „უსჯულოსა მუჰამედისა და ქრისტიანეთა გაბაასება“ და არჩილ მეფისათვის მიუძღვნია ორსტროფიანი ხოტბა:³ როგორც ჩანს, იაკობის პოეტური „მოღვაწეობა“ ამით არ

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 297.

²) აჯად. კ. კეკელიძე თავის ძველი ქართ. მწერლობის ისტორიის პირველ ტომში (გვ. 318) იაკობ შემოქმედელის ცხოვრების ხანას 1647—1713 წ. წ. განსაზღვრავს

³) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1940 წ., გვ. 477. აი ამ ხოტბის სრული ტექსტი:

არჩილ მეფის ქება იაკობ შემოქმედელისა
მზნე, ახოვან, ქველ, დიდებულ, ისარლესულ ძლიერისა,
ხმელ სამყაროს ვფერთ ბურჯის, ბრძენ სუაღის შარვანდისა,
იროიკო ღრამბატკოს, რიტორ ვარსყულავთ შრიცხველისა.
თქმული მომწონს მისგან ზრდილსა არჩილ ცნობა უფსყრულისა.
სამი ილოცე ოსანნა ანნასო ვცოლოვ იმას,
სამასი რამათ ედემი იმედე თამარისამას.
სუა ნამი აჯულა არის, სირა აჯულა იმანავს:
სრა დავით აქარა შეფეს სუფემ აქარა თივადარს.
(E. Такашвили, Очерки, . . . т. II, стр. 153—154)

ამოწურულა. მას, სამწუხაროდ, პლაგიატორის სახელიც კი დაუმსახურებია. ამის შესახებ აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს: „...იაკობ სამებელ-შემოქმედელი, რომელმაც აიღო „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება (ეგრეთწოდებული აბდულმესიანი იოანე შავთელისა) და ყველგან. სადაც დავითი ან თამარია ნახსენები, არჩილი ჩააწერა“.1 იაკობის პლაგიატურ საქმიანობას პროფ. ალ. ბარამიძეც ადასტურებს, ის აღნიშნავს; „იაკობ შემოქმედელს ერთგვარად მიუთვისებია შესანიშნავი სახობრო ძეგლის მზამზარეული ტექსტი, მას მხოლოდ თამარის სახელი ამოუკვეთია პოემიდან და სანაცვლოდ ჩაუყვამს არჩილი, სხვა მხრით ტექსტისათვის სრულიად არ უხლია ხელი“.2

აღსანიშნავია, რომ არჩილი თავის ტრაქტატში არსად არ იხსენიებს XII საუკუნის ცნობილ მეხოტბე პოეტს იოანე შავთელს და მის „აბდულმესიანს“, რომელსაც ის აუცილებლად იცნობდა. საქმის ასეთი ვითარება მეტად უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს, ამიტომ პროფ. ალ. ბარამიძე ერთგვარი ჰიპოთეზის სახით გამოთქვამს მოსაზრებას, არჩილს შეგნებულად ხომ არ აუხვევია გვერდი კლასიკური პერიოდის შესანიშნავი პოეტური თხზულებისათვისო.3

ჩვენ ვფიქრობთ, ლიტერატურის კარგი მკვლანე და ობიექტურად შოაზროვნე არჩილი არავითარ შემთხვევაში არ იყისრებდა ყალბისმქნელისა და სხვისი შრომის მიმთვისებლის დაცვას, თუ გნებავთ, ას მისი დიდი თაყვანისმცემელიც ყოფილიყო. ის შეგნებულად არ აუხვევდა გვერდს სახელოვან მეხოტბეს. ჩვენი აზრით, არჩილი როცა ამბობს: „იაკობ სამებელი იყო ჩემი მკობარიო“, ამ სიტყვებით ის გულისხმობს ზემოთ მოყვანილ ორ სტროფს და არა იაკობის შრომას, არჩილი უდავოდ არ იცნობდა იმ ორი სტროფის გარდა იაკობის მიერ გადაკეთებულ „აბდულმესიანს“. შეიძლება იაკობის თხზულება არჩილისათვის უცნობი იყო იმ მომენტში, როცა ის „გაბაასეებს“ წერდა ან იაკობმა თავისი პლაგიატური საქმიანობა აწარმოვა გაბაასეების გამოქვეყნების შემდეგ, როცა მან შიგ თავისი, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ქება ამოიკითხა. ეს უკანასკნელი მომენტი, ვფიქრობთ, კეშმარიტებასთან უფრო ახლო უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ იაკობის მოღვაწეობა „გაბაასეების“ შექმნის შემდეგ კიდევ დიდხანს გაგრძელებულა, თითქმის 1713 წლამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად უცნაურა და გაუგებარი იქნება არჩილის პოზიცია მისი თავდადებული „მეხოტბის“ მიმართ.

მართლის თქმისა და თვითკრიტიკის მოყვარულ არჩილს მიკერძობებაში ცილს ვერ დავწამებთ. მაგრამ მაინც დაუმსახურებლად გვეჩვენება ის მაღალი შეფასება, რომელსაც არჩილი იაკობ შემოქმედელს აძლევს, მაშინ როცა იაკობს ორიგინალური თითქმის

1) კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 579.

2) ალ. ბარამიძე, ნარკვევები . . . , ტ. I, თბილისი, 1945, გვ. 167.

3) იქვე.

არაფერი არ შეუქმნია. ის მხოლოდ გამლექსავისა და სხვების შრომის მიმთვისებლის როლში გვევლინება.

შემდეგ არჩილი ცნობას გვაწვდის ერთი ამეამად დაკარგული თხზულებისა და მის ავტორის შესახებ. ეს გახლავთ ფეშანგი ფაშვი-ბერტყაძე (ხითაიშვილი) და მისი „ფირმალიანი“, რომელიც ფეშან-ჯანს არჩილის დავალებით დაუწერია ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაუ-ლექსავს.¹ არჩილი არ არის კმაყოფილი „ფირმალიანით“, ის ნაღვ-ლიანად შენიშნავს: „მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარ-ლიანი“.

ფეშანგის დაწერილი აქვს აგრეთვე დიდი ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელიც მას დაუსრულებია 1665 წლის დამდეგს.² ამ პოემას არჩილი აუცილებლად იცნობდა, მაგრამ ჩვენთვის გაუ-გებარი მიზეზების გამო მას ის არსად არ იხსენიებს. მით უმეტეს რომ მასში აღწერილია არჩილის მამის ვახტანგ V-ის ცხოვრება და ბოლქაწეობა. პოემის რამდენიმე სტროფში თვით არჩილიც არის შექმებული, ასეთია მაგალითად, 210-ე სტროფა:

„უფროსსა არჩილ უწოდეს, რომელი ლომსა დარევედა;
ცისკარს უგუანდა ყელყური, გაუსით მთუარესა დარევედა;
ედემის მსგავსად შუენოდა, სურნელებითა დარევედა;
რა მოიზარდა იგი ყმა, სულად თემზედა დარევედა“.³

უფიქრობთ, „შაჰნავაზიანისადმი“ არჩილის ასეთი დუმილი ჩვენს მოსაზრებას, რომელიც იაკობ შემოქმედელისადმი არჩილის დე-პოკიდებულების შესახებ გამოვთქვით, კიდევ უფრო ადასტურებს. არჩილს მწერალთა შეფასებისას სუბიექტური განწყობილებით რომ ეხელმძღვანელა, მაშინ მას სწორუპოვარ პოეტად უნდა წარ-მოედგინა ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, რომელმაც არჩილის მამასა და თვით არჩილსაც ხობით საკსე სტროფები უძღვნა.

არჩილი თავის ტრაქტატს ამთავრებს ბაკა დვალიძისა და და-თუნა ქვარიანის პოეზიის მკაცრი შეფასებით:

„სხვათ მელექსით არ ვახსენებ, არც ბაკა დვალიძისა,
არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა!“ (35)

არჩილი, როგორც ვხედავთ, მეტისმეტი ათვალწუნებით უცქერის ბაკა დვალიძისა და დათუნა ქვარიანს, რომლებიც, აკად. კ. კეკელიძის აზრით, სახალხო პოეტები უნდა ყოფილიყვნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამეამად დათუნა ქვარიანის ვინა-ობა გამორკვეულია და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესა-ხებაც საკმაო ცნობები მოგვეპოვება.⁴ დათუნა, (ბესარიონ) ქვარა-

¹) ამეამად გალექსილი „ფირმალიანი“ ცნობილი არ არის. აღმოჩნდა მხო-ლოდ მისი პროზაული დედანი. იხ. ამის შესახებ კ. კეკელიძე, ქართული ლიტე-რატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 363-367, 461.

²) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 461.

³) ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რე-დაქციით. თბილისი, 1935, გვ. 39.

⁴) მ. ჩიქოვანი. უცნობი პოეტი დათუნა ქვარიანი: ა. პუშკინის სახე-ლობის თბილისის სახელმწიფო უნდ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IV. 1947.

ს. კ. ი. ნაძე, დათუნა ქვარიანი: ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1948, № 48.

ანი ყოფილა XVII საუკუნის პოეტი, რომელსაც გაულექსავს წმინდა გიორგის ლეგენდა „წამება და სასწაულმოქმედებანი წმ. გიორგისა“ სახელწოდებით. ამ თხზულებას, როგორც ჩანს, არჩილი არ იცნობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, მას ასეთი სიმკაცრე არ გამოეჩინა და თუნაც მიმართ. რაც შეეხება ბააკა დეალიძეს, მის შესახებ დღემდე არავითარი ცნობა არ შენახულა, ამიტომ მისი მოღვაწეობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

როგორც ამ პატარა მიმოხილვიდან ჩანს, არჩილი საქმარუნარს ამჟღავნებს ლიტერატურული მიმკვიდრეობის კრიტიკული შეფასებისას; ის ყველას დამსახურების მიხედვით მიუზღავს. ცალმხრიობა და ფაქტის გაზვიადება ან დამცირება მის მსჯელობაში, მცირე გამოწაკლის გარდა, თითქმის არ შეინიშნება. მართალია, არჩილის დასკვნები მის მიერ განხილული პოეტების მიმართ ობიექტური მსჯელობის ელფერს ატარებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არჩილს მაინც ახასიათებს ზეფური ზვიადობა და ქედმძალეობა. ასეთ განწყობილებას ის განსაკუთრებით დაბალი სოციალური წრიდან გამოსული პოეტების მიმართ ამჟღავნებს. როგორც ჩანს, არჩილს მხატვრული აზროვნების საზომად და პოეტების მისაბამ მაგალითად რუსთაველის პოეზია მიაჩნდა. ის ამის შესახებ კარგი რიული ტონით აცხადებს:

„ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გარდმოძმანდეს ასე აქეთ!“

მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ!!“ (36)

ეს სიტყვები არჩილისათვის შემთხვევითი არ არის, ის, როგორც ვიცით, რუსთაველის დიდ ავტორიტეტს ხშირად იყენებდა თავისი აზრის დასადასტურებლად.

„თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ არჩილი არა მართა თავის ლიტერატურულ შეხედულებებს იძლევა, არამედ მეტისმეტი სიზუსტით ასახავს XVII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას.

საქართველოს ისტორიაში XVII საუკუნე ცნობილია განუწყვეტელი ომების, შინაური აშლილობისა და წინააღმდეგობებით სავსე ხანად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას იშვიათად ჰქონია ასეთი კატასტროფული მდგომარეობა. ამ გარემოებას პირველ რიგში იწვევდა მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებთან საქართველოს მეტად მოუწესრიგებელი დამოკიდებულება. ამას თან ერთოდა ქვეყნის შიგნით თავგასულ ფეოდალთა განუწყვეტილი შუღლი, ბტრობა და კინკლაობა.

როგორც ცნობილია, XV—XVII საუკუნეებში წინა აზიაში ორი მძლავრი სახელმწიფო შეიქმნა ირანისა და თურქეთის სახით. ეს ორი ვეშაპი საქართველოს ხელში ჩასაგდებად მთელი სამი საუკუნის მანძილზე ერთმანეთს ეჭიშვებოდა. თითოეული მათგანი ცდილობდა ჩვენი ლაშაზი და მზიური ქვეყანა თავისი მხეცური მადის დასაოკებელ ლუკმად გაეხადა. ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის მდიდარი და მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებული მი-

დამოები ხშირად გამხდარა პირსისხლიანი ირანელი შაჰებისა თუ თურქეთის ფაშების სათარეშო მოედნად. ხშირი რბევისა და აოხრების შედეგად მოსახლეობა მცირდებოდა, მეურნეობა ეცემოდა, ხოლო უსახლ-კაროთა და მშვიერ-ტიტველთა რიცხვი იზრდებოდა.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ დაცემას აჩქარებდა გაბატონებული კლასის, ფეოდალური არისტოკრატის, ზნეობრივად დაცემა-დაქვეითება. მტკიცე პოლიტიკური ხელისუფლების უქონლობით სარგებლობდნენ მსხვილი ფეოდალები და ქვეყანაში მტრის მიერ დანთებულ კოცონზე ხელს ითბობდნენ.

საქართველოს ასე უკუღმართად დატრიალებული ბედი, რასაკვირველია, ერის მოწინავე ადამიანთა გულში დიდ ეროვნულ ტკივილს იწვევდა. ისინი გულდასმით იკვლევდნენ და სწავლობდნენ მშობლიური ქვეყნის ვითარებას და სამისდაკვალად სახვედნენ შემდგომი ბრძოლის საშუალებებს. თანდათან შემუშავდა მტრის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანიც. ამ მიზანს ემსახურებოდა იმდროის ქართული პოეზია, მეცნიერება, პროზაგანდა. თანდათან შეიქმნა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტები, მეცნიერები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. შამხაჯაზის შვილები: არჩილ მეფე, ჯიორჯი მეფე და ამათი მძისწული ვახტანგი ამ ბრძოლის ხელმძღვანელები იყვნენ¹.

სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებულ გმირთა ხელმძღვანელობით მრავალწლიან სისხლისმღვრელ ომებში ქართველი მშრომელი ხალხი, რომელიც სიცოცხლისა და სამშობლოს სიყვარულის მაღალი იდეალით იყო შთაგონებული, შეუპოვარი და უთანასწორო ბრძოლით უმკლავდებოდა სისხლისმსმელ პარაზოზებს და მტკიცედ იცავდა თავის საყვარელ სამშობლოს, რწარჩუნებდა დამოუკიდებლობასა და თავის ფრიად შინაარსიან ეროვნულ კულტურას.

საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უკეთესი მერმისის შექმნისათვის თავდადებულ პატრიოტთა შორის არჩილს საპატიო ადგილი უჭირავს. არჩილის პირადი ცხოვრება, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, უდიდესი წინააღმდეგობებითა და მოულოდნელობით ხასიათდებოდა. უბედო პოეტს არ ღირსებია მოსვენებული ცხოვრება, რომ თავისი ნიჭი და ცოდნა მშობლიური ქვეყნის აღორძინებისათვის მოეხმარა. მან თავისი ცხოვრება, ჩვენში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, დაუსრულებელ ხეტიალში გაატარა და ბოლოს მოხუცმა მეფე-პოეტმა თავისი მშფოთვარე და მრავალტანჯული სიცოცხლე რუსეთის მეფის კარზე დაასრულა. არჩილმა, რაკი საშუალება არ ჰქონდა თავისი პრაქტიკული საქმიანობით გარკვეული როლი შეესრულებინა საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, ამ საპატიო ამოცანის შესრულება მიზნად თავის კალამს დაუსახა.

¹) ნ. ბერძენიშვილი. ივ. ჯაფარიშვილი. ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, მესამე გამოცემა. თბილისი, 1948, გვ. 357.

თავისი თხზულების მე-16 პასუხის ერთ-ერთ თავში არჩილი გულისტკივილით აღწერს საქართველოს იმდროინდელ საკვალლო მდგომარეობას, რომელიც გამოიწვია შაჰ-აბასის პირველმა ლაშქრობამ ქართლ-კახეთში. ამის შესახებ არჩილი თეიმურაზს ასე აღ.პა.პა.ყვ.ს.

„სპანა ბერი თუამრავი ერანიდამ მან მოასხა,
ჩვილნი მისრნა, ვით ჰეროდემ. მოწიფულნი თან წაასხა.
ერთგულები დამიხოცა, ორგულთ ტყავი წამოასხა“. (449).

ან კიდევ:

„მოვიდა მძლავრი, უწყალო. არად არ შემიბრალებდა,
დამაწვა სრულად კახეთი. სახმილსა გამიალებდა“. (450)

პირსისხლანნი შაჰ-აბასის ლაშქრობა საქართველოში რამდენჯერმე განმეორდა. უთანასწორო ბრძოლებს მსხვერპლად შეეწირნენ ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილები: „აღათაგის სახლის შვიდი კაცი“, ბადურ ციციშვილი,

„ჩოლყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მაჩაბელია,
სულ ვინ სთვლის აზნაურიშვილთა, რაც მოკლეს, საქებელაა“. ხოლო ვინც სიკვდილს გადაურჩა.—

„... იპყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელია“, (648)

არჩილს გულს უკლავს არა მარტო თავდაზნაურთა საუკეთესო შვილების გაწყვეტა. არამედ საქართველოს მცხოვრებთა ძირითადი ნაწილის—გლეხობის განადგურებაც. ამიტომ ის გულისტკივილით შენიშნავს:

„თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“. (627)
როგორც ჩანს, არჩილს კარგად ჰქონდა შეგნებული მშრომელი გლეხკაცობის ის დიდი როლი, რომელიც საზოგადოების ამ ნაწილს სრულიად დამსახურებულად ეკუთვნოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების საქმეში. სხვათა შორის არჩილს, რომელიც ძლიერ გამსჭვალული იყო ფეოდალური არისტოკრატის იდეოლოგიითა და მსოფლმხედველობით, გლეხობაზე ცუდი შეხედულებისა არ იყო. ზოგჯერ ის გლეხობის მიმართ სიმპათიურ განწყობილებასაც გამოხატავდა. ის ერთგან კიდევ შენიშნავს:

„გლეხნი იყვნეს, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნეს,
იმ დღეს იმდენს მეომართა პირი მართ იმ ორთ დაუყვნეს“. (778)

არჩილი გულდასმით იკვლევს მშობლიური ქვეყნის დამარცხებისა და გაპარტახების მიზეზებს. მისი ცრმა რწმენით, ამის მიზეზი (ვენტრალისტური მმართველობის მოშლა და ფეოდალური არისტოკრატის აღვირახსნილი მოქმედებაა. ამიტომ „მართლის თქმის“ მოყვარული პოეტი მზად არის კრიტიკისა და ზნეობრივი შერაცხვების ქარ-ცეცხლში გაატაროს ქვეყნის დაცემა-განადგურების მთავარი მონაწილენი. ის კატეგორიულად აცხადებს:

„ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავი საქმის მე დამგმობრე“. (726)

არჩილის კრიტიკის მთელი სიმწვავე პირველ რიგში მიმართუ-

ლია თავადანაწარმოებისადმი, რომელსაც ოდითგანეი ახასიათებდა ერთიერთმორის მტრობა, შუღლი და პარტიკულარიზმი:

„ალალღებთან თავადნი, ერთი-მეორეს აიტანს,

ერთი-მეორის სიკვდილად მოვა, ამხანაგს მოიტანს.

ერთმანეთს ზოცა დაუწყეს, თავს ამორევებენ მო ი ტანს“. (1090) არჩილი განსაკუთრებით გმობს ფეოდალურ ქიშპს, ამიტომ ის განმეორებით მიუთითებს:

„ასრე სჭირს საქართველოსად დიდებულთ, გინა მცირეთა,

აზკავდებიან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ (673)

პროგრესულად მოაზროვნე პოეტის აზრით, ჩვენი ქვეყნის დამარცხება და შემდეგ მისი გავერანება დააჩქარა არა გარეშე მტრის თარეშმა, არამედ ანგარებისა და „უჩემოთ ვინ იმღერეთა“-ს მიმღევარმა ფეოდალურმა არისტოკრატებმა, ამიტომ პოეტი დამრიგებლობითი ტონით აცხადებს:

„მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზედ მოიღებს?

მძღაერისა მტრისაც ვეკვე, ერთს რასმე გზასა გააღებს,

თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, იმას მოიღებს“.

მშობლიური ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინების შემდეგ არჩილი აკაკი წერეთლის მსგავსად „საქართველოს სინამდვილეში ეძებდა გამირებს“, რომლებიც გამსჭვალულნი იქნებოდნენ სამშობლოს ძლიერი სიყვარულით, გააერთიანებდნენ და სათავეში ჩაუდგებოდნენ ქართველთა დაქსაქსულს ეროვნულ ძალებს და რაინდული თავგამებებით ეკვეთებოდნენ ყოველი მხრიდან შემოღებულ მტერს. არჩილმა ასეთი გმირები მართლაც იპოვა გიორგი სააკაძისა და სხვათა სახით. არჩილი თავის არჩევანში არ შეცდა, ვინაიდან „გიორგი სააკაძემ იხსნა, თავისი პირადი ბედნიერების ფასად საქართველო სასიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი 1623—1625 წლის გმირული სახალხო ომისა, რომელმაც აიძულა შაჰ-აბასი ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველო ერის მოსპობის განზრახვაზე“.2 სწორედ ასეთ დიდ პატრიოტ და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულ პიროვნებად ჰყავს არჩილს გამოყვანილი გიორგი სააკაძე.

თხზულებაში გიორგი სააკაძის თავგადასავალი მთლიანად არ არის მოცემული. აქ გიორგის ცხოვრების მეორე პერიოდიც ასახული. სახელდობრ: 1620 წლის შემდგომი ხანა, როდესაც ცბიერმა შაჰმა საქართველოში სიმონ-ხანი, გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი და ყარაჩიხა-ხანის სარდლობით დიდი ლაშქარი გამოისტუმრა ჩვენი ქვეყნის სრული მოსპობისა და გაქვლისათვის.

ამ საბედისწერო დროს საქართველოს მხსნელად მოველინა

1) ალ. ბარამიძე. პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში, თბილისი, 1942, გვ. 16.

2) ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, მესამე განოცევა. თბილისი, 1948, გვ. 346.

დღი მოურავი, გიორგი სააკაძე, რომელიც ერთ დროს ქართველმა ფეოდალებმა საქართველოდან გააძევეს. სააკაძის წინაშე ორი არჩევანი იდგა; ან უნდა გაეწირა ღვიძლი შვილი, რომელიც ცბიერ წამს მძივლად დაეტოვებინა. ან მშობლიური ქვეყნის სისხლით ხელეში შეეღებოდა. როგორც ჩანს, გიორგი არჩევანზე არც კი დაფიქრებულა, მას სპარსეთშივე გადაეწყვიტა თავისი პირმშო სამშობლოს კეთილდღეობისათვის მსხვერპლად შეეწირა. გიორგიმ იცის, რომ მარტომარტო ვერაფერს გახდება. თუ თანამებრძოლი და გულის მკსაიდუმლე არ ეყოლება. ამიტომ ის თავის განზრახვას პირველად თავის ცოლის ძმას, ზურაბ ერისთავს უზიარებს:

„მუნ ამისთვის არ გაცნობე, ცოლს თან არ გამოგატანდენ, ვთქვი: თუ უთხრა და არა ქნას. ბოლოს რისთვის დაეინანდენ? იქ მივიყვან, საქართველოს წახდინაზედ ცრემლს დაეადენ, მე შეიღს დავსთმობ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს აზდენ.“ (593)

არანაკლები მსხვერპლი უნდა გაეღო ზურაბ ერისთავსაც—სამშობლო მისგან საყვარელი ცოლის განწირვას მოითხოვდა, მაგრამ ძის გულში სძლია მამულიშვილურმა გრძნობამ და „ზურაბ უთხრა: „შენ შეიღს დასთმობ, მეც მოვითმენ ქართლისათვის.“ (595)

შეთქმულებმა საარაკო გამარჯვება მოიპოვეს ურიცხვსა და სისხლისმსმელ მტერზე; გიორგიმ პირველად ყარჩინა-ხანი ჩამოიცილა გზიდან:

„შუბი ჰკრა და მუნეე მოკლა, ჯარს ასმენდა მუნ ჩახანსა“, ხოლო მოურავის შვილი მამას არ ჩამორჩა და ძმის სისხლი აიღო, მან ყარჩინა-ხანის შვილს გაბედულად შესძახა:

„მამაჩემ(მ)ა მამაშენი მოკლა, მე შენ სხვას არ გისევ“ო, (604) და შუბით იქვე განგმირა. შემდეგ ნაწარმოებში დამაჭერებლად არის მოთხრობილი ცნობილი ისტორიული ამბავი—გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის მიერ აჯანყების მოწყობა ირანის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ და საქართველოს დროებით განთავისუფლებას.

პატრიოტი პოეტის უსაზღვროდ აღფრთოვანებულია სახელოვანი მამულიშვილების თავდადებით. განსაკუთრებით ის აღტაცებულია გიორგი სააკაძის მოქმედებით. რომელსაც არჩილი სპეტაკ და ებადლო ეროვნულ გმირად წარმოგვიდგენს:

„ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირვალნი,
ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალნი!
ეს კვილასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქნა მრავალი,
უსაცოდოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!“ (608)

არჩილი არ კმაყოფილდება გიორგისა და ზურაბ ერისთავის მიერ ჩადენილი გმირობის გადმოცემით; ამ ცნობილ ისტორიულ ფაქტს დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს და თითოეული ქართველისაგან მოითხოვს მსგავსი თავდადებისა და გმირობის გამოჩენას მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობისათვის:

„სახელისთვის-მათ ცოლშვილი ორთაე დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიჰყვით მათ საქმესა. არ იცით რომ დიდად სცოდეთ?
რგულია და ქვეყნისთვის რა იქნების, რასაც ყოფდეთ?
აწ ეს ქენთ. ქართველებო, ანდერძსავეთ შვილს ეტყოდეთ!“
(629)

ამ უაღრესად პატრიოტული მოწოდებით არჩილი ჩვენს წინაშე
წარმოდგება როგორც დიდი მამულიშვილი და პატრიოტი. იგი
თანამედროვეებრსაგან მოითხოვს, რომ მუშაობონ გიორგი სააკაძის
მიერ ჩადენილ საარაყო გმირობას. არჩილი თავის უაღრესად ძლიერ
პატრიოტულ განწყობილებას ამედავენებს არა მარტო გიორგი სააკა-
ძის მიერ ჩადენილ გმირობის აღწერისას, არამედ მას სოზლავს, იტა-
ციებს და მშობლიური ქვეყნის კვლავ აღდგენის იმედს აძლევს თამარის
დროინდელი ძლიერი, თავისუფალი და აღმაშენებლის გზაზე მდგარი
საქართველოს გათვალისწინება. არჩილი ისტორიული ცნობების
მიხედვით ცდილობს ვინებაში მაინც აღადგინოს XII საუკუნის
საქართველოს უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც გადაქობილი
იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე:

„ახლა ისმინე, საზღვარი საით სადამდის იპყრობდა“
„მონტოს ზღვით გურგანის ზღვამდის, სპერიდამ დარუბანდამ-
დას,

ყოველი კავკასი, იმერნი, ამერნი. ხაზარეთამდის.
მთით გელაქუნით, ჩრდილოთ-კერბ მპყრობელი სოცელ ყიფჩა-
ყამდის,

ვაო. ვაება მამართე, უმისოდ სული აქამდის“. (790)

ჩვენს პოეტს ეროვნული სიამაყისა და სამშობლოსადმი სიყვარულის
გრძნობებს უძლიერებს აგრეთვე იმ ძლიუანოსილი ომების მოგო-
ხება, რომელთაც თამარს დროინდელი საქართველო წარმოუბდა
ჩვენი მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ.

„ისარი სმიდა სისხლსა და ხრმალი შესქამდა მათს ხორცსა,
მისდევდეს ალაღებულნი, ქართველნი თათრებსა ჰხოსსა,
ერთი იპყრობდა ათსა და ორი ცხომადესა, ან ოცსა.
მისებრი გამარჯვებასა სიზრმაღცა ვერეინ იოსცა.“ (371)

არჩილს განსაკუთრებით უნარია და გამოაჩვენებს რწმენას ენერ-
გაგს ის გარემოება, რომ თამარის სახელოვანი ლაშქარი ანა-
დგურებდა არჩილის დროინდელი საქართველოს დაუძინებელ
მტრებად ქივილ მაჰმადიანურ ქვეყნებს, როგორც იყო:
კარი (ყარსი), თურქეთი, განძა, ბარდავი, არზრუმი, „სპარსის ბოზო-
რი“, ხორასანი, აგრეთვე ცნობილი დამპყრობლები: ერანის მპყრო-
ბელი ბობქარი, არდაველის სულთანი და სხვა მარბიელი. არჩი-
ლი უყურადღებოდ არ ტოვებს იმდროინდელი საქართველოს
ეკონომიურ სიძლიერეს, რომელიც მას ქვეყნის სიმტკიცის ქვაკუთ-
ხედად მიაჩნია:

„ღმერთსა ჰმადლობდეს გლახაკნი, ყოველი მუნ პოვნიერი,
ლაშქარი გამდიდრებული, აავსო მხნენი, ძლიერი;

უბოძა მის-მის საფერი, საქმე ქნა მან მის-მიერი.

„უკება სამუდმო შეიქნა, მეფე ზის პირ-მშვენიერი.“ (964)

არჩილს განსაკუთრებით აჯაღოებს თამარ მეფის ულამაზესი სახის წარმოდგენა:

„როს თამარ, დიდი ხელმწიფე, სრულ ბმელთა პირსა ნათობდა,

სხვათა მნათობთა უმჯობე, მზესა მით ეკამათოდა,

ბოლო-მინა ერთად შეთხზნილი, გარშემ გიშერი სათოდა.“ (785)

პოეტის აზრით, თამარი არა მარტო სიმშვენიერის განსახიერებას წარმოადგენდა, არამედ ის იყო „მძლეველი მძლავრთა მეფეთა, დამამზობელი მათო და“. კიდევ მეტი, თამარი სწორუპოვარი გვირგვინოსანი ქალია, რომელიც მთავარი მიზეზია ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერისა. ამიტომ მას პოეტი დიდების შარავანდელთ მისაგს:

„გამარჯვებაში ლაშქრისას მსუფევედა თამარ ნათელი,

უმადლეს ყოვლთა მეფეთა, არვისგან არ განათელი,

არვის უნახავს დასილი მისის დროშისა სანთელი,

სეიანი, გამდიდრებული. უტკივრად მყოფი, კვლავ მთელი.“ (828)

ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ მსგავსი მეორე თხზულება, რომელშიაც ასეთ ძლიერ კონტრასტულ ფორმებში დაპირისპირებული იყოს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ორი. ერთმანეთისაგან დროის დიდი მანძილითა და თავისი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებით განსხვავებული ეპოქა. როგორც ჩანს, ასეთ ხერხს არჩილი განზრახ მიმართავდა: მას სურდა თავისი თანამედროვე ქართველებისათვის, ერთი მხრივ, ეჩვენებინა XVII საუკუნის საქართველოს მძიმე მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, მათ თვალწინ გადაეშალა თამარის დროინდელი საქართველოს დიდებისა და სიძლიერის თვალწარმტაცი სურათები. ასეთი დაპირისპირებით ის ფიქრობდა, თანამედროვე ქართველებში გაეძლიერებია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების დიადი გრძნობა. პოეტის ღრმა რწმენით, ქართველებს, რომლებსაც შესანიშნავი დიადი წარსული ჰქონიათ. მომავალიც დიდებული ექნებათ, მხოლოდ საჭირო იყო ხალხში პატრიოტული გრძნობების გაძლიერება და სოლიდარული ურთიერთობის აღდგენა.

ამ იდეის გამოხატვის ასეთ ხერხს XIX საუკუნეშიც ხშირად მიმართავდნენ ისეთი დიდი მწერლები, როგორიც იყვნენ ილია და აკაკი¹.

უდავოა, რომ თავის დროს, როგორც არჩილის, ისე ილიასა და აკაკის თხზულებები ძლიერ შეუწყობდა ხელს ჩვენს ხალხში ეროვნული იდეისა და პატრიოტული განწყობილების გაძლიერება-განმტკიცებას.

¹) მაგ., ილიას — „დიმიტრი თავდადებულა“, ხოლო აკაკის — „თორნივე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“ ასეთი იდეების მატარებელი თხზულებებია.

არჩილი აგრეთვე საკმაო სიკმათიურ და მოკიდებულ ტასს ამქ-
ლავნებს თეიმურაზ პირველისადმი. არჩილი თეიმურაზის უმცრო-
სი თანამედროვე იყო და შეიძლება მას პირადად იცნობდა. ამიტომ თეიმურაზის მეტად თავისებური ცხოვრების ზოგერთი მომენტი მეტისმეტი სიზუსტით არის გადმოცემული თხზულებაში. პროფ. ალექსანდრე ბარამიძის შენიშვნით, „თეიმურაზისა და რუს-
თველის გაბაასება“ თეიმურაზის პირველხარისხიან საბიოგრაფიო წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს.²

ზემოთ უკვე გავარკვეით, თუ რა შეხედულებებს იყო არჩილი თეიმურაზის პოეზიაზე. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორაა თეიმურაზი თხზულებაში დახასიათებული როგორც მეფე და როგორც პიროვნება.

ნაწარმოებში თეიმურაზი წარმოდგენილია როგორც „სახელთ-
ვანი და მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებული“ მეფე, რომელსაც მრავალი ბრძოლა გადაუხდია საქართველოს გადასარჩენად. თვით თეიმურაზს მრავალ ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა და მრავალჯერ გაუნადგურებია საქართველოს მოსასპობად შემოსეული მუსლიმანთა ურდოები. ამ ბრძოლებს თვით თეიმურაზი ასეთნაირად აგვიწერს:

„გაგვემარჯვა უზიანოდ. შევანანეთ წინ დახდომა.

წავიქციეთ წინ მეოტნი, შევაქნენათ კლდეთა ხლდომა.“ (463)

„აწყა ჩაველ, არეზს აქათ მოვარზარ, მოვარბივე,

ორგული და ურჩი ჩემი ვინც“ გამონდა, დავაბივე.“ (729)

„რამდენჯერ ლეკთა შეგები. არ მახსოვს მე სათელავი.

ან რაზმით, ან წინ დახდომით, ან მღვევარდ დასალავი.“ (752)

„ერთგნით ყაენის ლაშქარი მებრძოდა აო ხანდახანდა,

დაუთმადლებდა ჩემს წყენას, ასე სულთნები დახანდა.“ (755)

საშობლოს გადარჩენისათვის თეიმურაზმა დიდი მსხვერპლი გა-
იღო: მან სისხლისმსმელ შაჰ-აბასს მძევლად გაუგზავნა დედა და
ორი ვაჟი. რომლებიც შეუბრალებელმა მტარკალმა წამებით გაშო-
ასალმა სიცოცხლეს. ამ ტრაგიკულ ამბავს ის ასე გადმოგვცემს:

„მივაგებე დედაჩემო, ალექსანდრე თან წაგვარა.

„ეს ცოტაა. არ მინდაო“, დაუწუნა. რა მგვარა.

აწ უფროსი უნდა მივსცე, საქმე ასეე მაშიგვარა.

ეს სწადიან, ამომწყვიტოს თავ-შვილიან გვარის-გვარა.“ (453)

არჩილი თეიმურაზის პირად ცხოვრებასაც ეხება და „მართ-
ლის თქმის“ მოყვარული პოეტი არ მალავს თეიმურაზის, როგორც პიროვნების, ნაკლს. თხზულებაში თეიმურაზი ისეთი თვისებებითაა დახასიათებული, რომლებიც მას შემკვიდრეობით მამისაგან ჰქონდა მიღებული. სიამაყე, გადაჭარბებული პატივმოყვარეობა, გულზნევა-
ლობა, უნდობლობა—აი ის თვისებები, რომლებიც, სამწუხაროდ,

1) ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.

2) ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 193.

თეიმურაზს ახასიათებდა. მაგალითად, ერთგან თეიმურაზი: „რუსთაველს კადნიერად მაძახებს:

„ბირთველმაც თქვა ჩემი ძეგრი, ენა ძირში ამოვართვი.“¹

ხოლო ხოსუა მაქავარიანისათვის თეიმურაზის ბრძანებით ყურებოც დაუქრიათ. მაქავარიანს შესაფერი შეფასება მიუცა თეიმურაზის მოქმედებისათვის:

„როდეს დასკრეს, შემოძახნა: „არ მეგონე გულბილწო“, თეიმურაზია ვერაგული ხასიათი და „გულბილწობა“ ყველაზე მკაფიოდ მაშინ გამოჩნდა, როცა მან მოაკვლევინა საკუთარი სიძე ზურაბ ერისთავი, რომელსაც დიდი დამსახურება მოუძღოდა თეიმურაზის წინაშე. არჩილი ძღუერ აღშფოთებულა თეიმურაზის ასეთი საქციელით. მეორე მხრივ, ის თითქოს კიდევ ცდილობს სინანულის გამომხატველი სიტყვებით დანაშაული შეუმსუბუქოს გვირგვინოსან მეფეს. არჩილი ასე ალაპარაკებს თეიმურაზს:

„ვირე ცოცხალ ვარ, ვინანი, სამუდმოდ ცრემლი მდისა და... რად მოვკალ, ვით შემოვიკალ, შვილის უძებოდე, ძმისა და, ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე აქვს მოდგმისადა?“ (722)
„ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვიანის ამისსა მყოფელსა, გული გაშმაგდეს და ხელნი შემბმეს მის ლახვრის მყოფელსა!“ (723)

სრულიად საწინააღმდეგო თვისებებს ამჟღავნებს თეიმურაზი თავისი ოჯახის წევრების მიმართ; აქ ის უაღრესად სანტიმენტალური გვევლინება. მაგალითად, ცოლ-შვილისა და დედის დაღუპვას ის დიდი განცდით აგვიწერს და თავისი მძიმე სულიერი მდგომარეობის გადმოცემით მკითხველზეც კი მოქმედებს:

„რაც მკვა, ყველა დამიხოცა, მე, გლახ, მარტო მისთვის მხოვა. ყმანი ჩემნი დიდებულნი შემომძარცვა, შემომძოვა, მწიხნა ფიცხლად საწერტლითა, გაუძლომლად სისხლი მწოვა.“ (1078)

არჩილი თეიმურაზის არც დიპლომატიურ საქმიანობას ტოვებს უყურადღებოდ და შენიშნავს:

„ხანდახან დავზავდებოდი, ყაენს შევსძლვნიდი ფეშქაშსა. გამოგზავნიდა ხალათსა, მის შესაფერსა ზარქაშსა.

კვლავ რუსეთიდანც მოვიდის, ფლორით ავსებდნენ ბარქაშსა. როსტომ მეფესაც გავრიგდი, უხარის ჩემსა დამაშსა.“ (758)

ძნელია თქმა, იზარებდა თუ არა არჩილი თეიმურაზის დიპლომატიის ასეთ მერყევ და გაურკვეველ გეზს, თუმცა კარგ დიპლომატიურ აღლოსა და საქმიანობას ვერც არჩილი დაიკვეჩნიდა.

თხზულებაში არჩილი შესანიშნავ, უტყუარ ცნობებს იძლევა თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. ცნობილია, რომ თეიმურაზმა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როცა

¹ აკად. კ. კეკელიძის აზრით, ეს ბირთველი გვარად თუმანიშვილია, რომელიც 1626-1661 წლებში არის ცნობილი. ის როსტომ მეფის მდივანი ყოფილა. ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები:—სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. X. გვ. 107.

ის ქართლ-კახეთის ტახტს განაგებდა, თარგმნა „ლეილ-მაჯნუნიანი“ და „იოსებ-ზილიხანიანი“. ამ ფაქტს თეიმურაზის პირით არჩილიც ადასტურებს: „ამ დროს ეთქვა „ლეილ-მაჯნუნი“, „ზილიხან-იოსებისა“. მეორე პერიოდში (1649—1656.), როცა იმერეთში იყო გადახვეწილი, თეიმურაზმა შექმნა თავისი შემდეგი თხზულებები: „შვიდთა კრებათათვის“, „ვარდ-ბულბულიანი,“ „შედარება გაზაფხულსა და შემოდგომისა,“ „შამი-ფარვანიანი“ და „მაჯამა“. ეს გარემოებაც დადასტურებულია ნაწარმოებთა ცნობილი 1048-ე და 1049-ე სტროფებით, რომლებსაც აქ განმეორებთ აღარ მოვიყვანთ. თხზულების დასასრულს არჩილი განსაკუთრებულ სიყვარულსა და თანაგრძნობას გამოხატავს თეიმურაზის მიმართ. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან არჩილმაც გაიზიარა თავისი თანამედროვის მწარე ხვედრი და იგემა იმდროინდელი ცხოვრების სიმწარე. ერთ-ერთ სტროფში არჩილს თეიმურაზი დახასიათებელი ჰყავს, როგორც შეუღრეკელი და დაუცხოებელი მებრძოლი, რომელიც საქართველოს უკეთესი მომავლის შექმნისათვის ხან მოსკოვს მოგზაურობდა, ხან სტამბოლს, ხან კიდევ ისპაანს:

„რაზომ გამსაჯა სოფელმან, ცდა არ დაეკელ სიკვდიმი,
არ გავსტყდი. არც შეუზარდი, ვორუ არ მოკვედი, მანამდი;
მოსკოვს, სტამბოლს და ისპაანს. მას შიგნით მთა და ბარამდი
ჩემი სახელის ძეგლები ყოვლგან დავასევ მანამდი.“ (1095)

არჩილის ეს სიტყვები სრული ჰეშმარიტებაა, რადგან თეიმურაზი „სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი გმირული ბრძოლის მესაქე“-1 იყო. „გაბაასებაში“ მწარე გულწსტიკვილით არის აღწერილი მოხუცი ნეთის გამძინვარებულ შამთან გამგზავრება, მისი შეურაცხყოფა და სიკვდილი.

როგორც დავინახეთ. თხზულებაში თეიმურაზი დახასიათებულია როგორც სამშობლოსათვის თავდადებული და მისი კეთილდღეობისათვის მებრძოლი მეფე. ისტორიული მასალების გაცნობა უფლებას არ გვაძლევს არჩილის ამ შეხედულებებში ექვი შევერტანოთ.

გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ პირველის გვერდით სამშობლოსათვის თავდადებულ გმირად სახაევს არჩილი ლუარსაბ მეფესაც, რომელიც უხვად ყოფილა დაჯილდოებული მაღალი ფიზიკური და სულიერი თვისებებით:

„ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი,
თვალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამოწყაოფი,
უხვი, ზნე-სრული, მამაცი, ლახვრულე მტერთა ნაყოფი,
მაგრამ მას დაუინებაზედ დაედგა მისი საყოფი.“ (502)

ლუარსაბს გასაოცარი სულიერი მზნეობა გამოუჩენია; ქართლის გადარჩენის მიზნით ის იმერეთიდან უკან დაბრუნდა და პირ-

1) ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი, 1948, გვ. 351.

ლისხლიან შაკს ეახლა, მიუხედავად იმისა, რომ მას იმერეთში ჩაგონებდნენ:

„შენს იქით ქართლს რას ხელსა ჰყრი, რა დარჩე საზღ-დავსებული?“

მიხვიდე, მოგვლას, ან ტყვე გყოს, შენ იქმნე დანაღვლებული.“
(516)

ის მაინც დაჟინებით გაიძახოდა: „წავალ უსაცილოდ, აბა თქვენ კი აქა სვითა“, ვინაიდან ფიქრობდა:

„მაგრა რალა ვქნა მას უკან, ქართლი ჰყონ ცეცხლმოდებული?! ან კიდევ:

„ანუ ქართლი ავაოხრო დახოცით და მერმე წვითა“.

მართალია, ლუარსაბის თავდადებამ და გამბედაობამ მისი მშობლიური ქვეყანა დროებით იხსნა აოხრებისაგან, მაგრამ თვით ლუარსაბი ცბიერმა შაჰმა თვალთმაქცურად გაიტყუა ირანში და იქ წაძებით მოაკვლევინა. მომაკვდავ მეფეს იმედი გულში თან ჩაპყოლია, რომ შაჰმა „ქართლს და კახეთშიგა საპატრონოდ ვერვინ დასო“.

საყურადღებოა, რომ პატრიოტი პოეტი არ ივიწყებს ძველი და ახალი დროის არც ერთ ქართველ გმირს, რომელსაც რაიმე წილი კი უღდევს მშობლიური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ეკონომიური თუ პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, როგორც იყვნენ, მაგალითად: ზაქარია და ივანე მხარგრძელები, კახას-ძე გამრეკელი, ასათ გრიგოლისძე, დავით სოსლანი, ლაშა გიორგი, ივანე მსახურთუხუცესი, ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, დავით ასლანიშვილი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი „ხოლაყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მანაბელია“ და სხვა მრავალი.

როგორც ვხედავთ, „არჩილი იშვიათი მიუდგომლობითა და პატრიოტული გულისტკივილით აგვიწერს საქართველოს ცხოვრების მწუხარე ამბავს, მახინჯ მოვლენებს აძაგებს, ქებათა-ქებას უძღვნის ეროვნულ გმირებს და... მათ სამაგალითო საქციელს ანდერძად უღებს შთამომავლობას.“¹

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ არჩილი, როგორც დიდ პატრიოტს შეეფერება. უღიდეს ზიზღსა და სიძულვილის გრძნობას გამოხატავს საქართველოს დაუძინებელი მტრების მიმართ. არჩილი განსაკუთრებით გაბოროტებულია ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი იტრის, პირისიხლიანი შაჰ-აბასის მოქმედებით. რომელმაც თავისი დაუსრულებელი ლაშქრობით თითქმის მოსპობის პირას მიიყვანა ქართველი ხალხი. თხზულებაში შაჰ-აბასი დახასიათებულია როგორც ცბიერი, ვერაგა, უხლო, პატივმოყვარე და უდანამართლო ადამიანთა სისხლისმსმელი დესპოტი:

¹) ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1940. გვ. 192.

„პირვეცხლიანი, უწყალო, ეშაპი განძინებელი,
მრავალჯერ გამარჯვებული. მტერზედან აღადებული.
მომსრველი, ამომწყვედელი, დამწველი, ცეცხლ-მოდებული.“
(445)

სწორედ ასეთ ადამიანად ახასიათებს საქართველოს ისტორია შაჰ-
აბასს, ამ სამგზის დაწყველილსა და შეჩვენებულ მტარვალს.

„გაბაასებაში“ ზოგჯერ მეტად მკვეთრად ჩანს არჩილის, რო-
გორც ფეოდალური არისტოკრატის უმაღლესი წრის იდეოლოგიას,
სოციალური შეხედულებანი. მას გარკვეული შეხედულებები აქვს
ჩამოყალიბებულ. სოციალურად სხვადასხვა წრის წარმომადგენელ-
თა ურთიერთობის შესახებ. არჩილი კატეგორიულად მოითხოვს სო-
ციალური იერარქიის შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიან-
თაგან კრძალვასა და რიდს იმავე საზოგადოების უმაღლესი წრის
წარმომადგენლების წინაშე. თუნდაც პირველნი უფრო მაღლა
იდგნენ თავიანთი ადამიანური თვისებებით. ასეთი იდეოლოგიის
გამომხატველი არჩილი პაექრობის დასაწყისშივე საჯაროდ აცხადებს:
„ნახეთ, რუსთველი მეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს,
ესათნოება, ეკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს“. (60)

თხზულების ავტორის ასეთი განწყობილებით უნდა აახსნას
თეიმურაზის მეტისმეტი მედიდურობა და სიამაყე, ხოლო რუსთა-
ველის რიდი და კრძალვა. რომელიც ზოგჯერ მეტად უცნაურ ფორ-
მებშია გამოხატული:

„ისიც ავიდ ჩამომართვეს, რომ აქამდი არ დაგითმე;

ასრე მმართებს, ფერხთა გბანდე გარმოტყმული არდაგით მე.“

არჩილს ვერ წარმოუდგენია, თუ შეიძლება ყმა-ხელი აღმარ-
თოს თავისი პატრონის წინააღმდეგ. ასეთი შემთხვევა მას დიდ
უბედურებად მიაჩნია:

„მაგრამ ძნელად გაეძლებს ყმის პატრონზედ აზვავებას“. (721)

არჩილის რწმენით „აზვაკებულმა“ ყმა-შეიძლება თავის ად-
რინდელ ბატონს კიდევ გადააკარბოს; ღმერთი დაივიწყოს და
ბატონს პირში სული ამოართვას:

„თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართომს,

ბევრია რომ ღმერთსაცა ჰგმობს. პირში სულსაც ამოართომს“.

(1038)

ან კიდევ:

„მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მოიღებს?“
არისტოკრატული სულისკვეთებით გამსჭვალულ არჩილს შეუწყ-
ნარებლად მიაჩნია მეფისა და მისი ყმის ურთიერთ შედარებაც კი:
„სხვა მონა ვინ შეედარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა?“, აცხადებს
რუსთაველის პირით არჩილი.

არჩილი კატეგორიულად მოითხოვს საზოგადოებაში არსებული
სოციალური და წოდებრივი სხვაობის განუხრებლად დაცვას. მას
სოციალური უთანასწორობა საზოგადოებრივი ცხოვრების საუკე-

თქო ფორმად მიიჩნია. ამავე დროს წოდებათა შორის არსებულ შუღლისა და კტრობის სასტიკი წინააღმდეგია და მოითხოვს „პატრონსა“ და „ყმას“ შორის მოწესრიგებულ, უმცროს-უფროსობაზე დამყარებულ ურთიერთობას. არჩილი ერთგან პატრონყმური ურთიერთობის ერთგვარ კოდექსსაც იძლევა:

„მამაცობა პატრონთან იცით, კაი მასალ არსა, პატრონისა ერთგულება ყმისთვის დიდი წამალ არსა.“ (818)

„დადვეს თავი პატრონისთვის თამამად და უშიშარად.

კარგსა კაცსა ერთგულება წინა უძევს უში(შ) შარად,

ძეცა მათი თანმხლებელი ვერ ამიგლო უშიშ არად.

ადრე დავსთმე თავი ჩემი პატრონისთვის მოსანშარად.“ (819)

როგორც ვხედავთ, „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნისა“ ავტორებსა და არჩილის შეხედულებებს შორის დიდი სხვაობა არ არის, თუმცა მათ ერთმანეთისაგან ხუთი საუკუნე ამორებდა. ამით, რასაკვირველია, არ გვსურს არჩილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩრდილი მივაყენოთ; მართალია, არჩილმა სოციალური ურთიერთობის საკითხში ისეთი პროგრესული შეხედულებები ვერ გამოიძღვა, როგორც ეს ლიტერატურის ცალკეული საკითხების გაგებაში მოგვცა, მაგრამ არ უნდა დაგვაიწიყდეს, რომ არჩილი იყო XVII საუკუნის ფეოდალური საქართველოს მეფე-პოეტო, რომლის სისხლსა და ხორცში ძველი კლასობრივი ტრადიციები ურყევი იყო. კლასობრივი ურთიერთობის სხვაგვარი გაგება, ვფიქრობთ, არჩილისაგან არც იყო მოსალოდნელი.

რაკი ზემოთ არჩილის იდეოლოგიის შესახებ გვქონდა საუბარი, უადგილ- არ ჩენება აქვე მისი დიდაქტიკური იდეების შესახებ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. არჩილი, როგორც ვიცით, პირველი დიდაქტიკოსი პოეტია ქართულ ლიტერატურაში. მართალია, მან თავისი პროგრესული დიდაქტიკური შეხედულებები გამოხატა „საქართველოს ზნეობანში“ და „კაცისა და სოფლის გაბაასებაში“, მაგრამ რამდენიმე დიდაქტიკური მოსაზრება მას „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაშიც“ აქვს მოცემული: აქ არჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლა-განათლების შექმნას, ამიტომ ის კატეგორიულად მოითხოვს:

„კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლაში გაიზარდოს,

თუ სიბრძნეშიც გაიწვრთნების, უმგვაროდანც გაიკარდოს.“ (417)

თითქმის მსგავსი აზრი აქვს არჩილს გამოთქმული თხზულების დასასრულსაც.

„დასტურ თქმულა, სიკვდილამდის კაცი ცოდნას ხამს იწვრთიდეს,

მაგრამ მოუძღურებელი კაბუკისდენს ვით შესმიდეს?

თუ უცოდნი დაიწვართოს, ზოგი წვრთნილი დაავიწყდეს.

მე ეს დრო და მწუხარება შემომესწრო, ცრემლი მდინდეს.“ (1051)

გარდა ამისა, „გაბაასებაში“ ზუსტად არის წარმოდგენილი არჩილის თანამედროვე ქართველი ხალხის პოლიტიკური და საზო-

გაღობრივი ცხოვრების დამახასიათებელი წესები და ჩვეულებები. მაგრამ ამათზე ჩვენ ყურადღებას არ შევჩერებთ.

„გაბაასების“ მეორე ნაწილი ცნობილ ისტორიულ წყაროებსა და ფაქტიურ მასალებზეა აკებული, ამიტომ აქ საკმაო სიზუსტით არის გადმოცემული საქართველოს XII და XV II საუკუნეების ამბები.

არჩილი თხზულებაში რამდენჯერმე მიუთითებს მის მიერ გამოყენებულ წყაროებზე. განსაკუთრებით მდიდარი და უტყუარი ცნობები ჰქონია ხელთ არჩილს თეიმურაზ პირველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს ცნობები მას, როგორც კარგ ისტორიკოსს შეეფერება, დამოუკიდებელი კვლევა-ძიებით შეიკრებია და შემდეგ ლიტერატურულად დაუმუშავებია. თეიმურაზის შესახებ არსებული ქვეშარბიტი ცნობების შეგროვება მას. რასაკვირველია, არ გაუძნელებოდა; ჯერ ერთი. ის თეიმურაზის თანამედროვე იყო, ამიტომ მას შეეძლო, ბევრი რამ საკუთარი თვალით ენახა და განეცადა. გარდა ამისა, არჩილს კახეთსა და იმერეთში ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა იმ საზოგადოებაში, რომელთანაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ პირველსაც. ამიტომ არჩილს თეიმურაზ პირველის ნაცნობ-მეგობრებისაგან ბევრი ცნობის მიღება შეეძლო. ამ გარემოებაზე არჩილი ხაზგასმით მიუთითებს: „მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვითმნახვთა და თან-ნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენილთა, არა ხოტბა—არამედ მართალთ; რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისილნი გვიერთს მახლდენ, ვჰკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს“.²

არჩილს ოჯახური გადმოცემებთაც შეეძლო ესარგებლა. ვინაიდან არჩილს ცოლად ჰყავდა თეიმურაზ პირველის შვილის დათუნას ქალი ქეთევანი.³

როგორც ჩანს, არჩილს პირადი ნაცნობობაც ჰქონია თეიმურაზთან. თხზულებიდან ჩანს, რომ ეს ორი სახელოვანი მეფე-მორტი ერთმანეთს შეხვედრია 1663 წელს, შორეულ ირანში, შაჰის კარზე. ამის შესახებ არჩილი გარკვევით ამბობს:

„თავად ბატონი მეც ვნახე სიბერით მდღომი კობოსა.

ველარ ცხენს ჯდომის შემძლები, მტერზუდა ვა უშუბოსა!“⁴

კაცი რას გაიგონებდა მისის სიტყვისა უტკბოსა?“. (1112)

¹) თეიმურაზის გარდაცვალებისას არჩილი 16 წლის კაბუჯი იქნებოდა.

²) არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937. გვ. 7.

³) „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, (დ. ჩუბინაშვილის გამოცემა), 1854. გვ. 127.

⁴) აქ რომ ლაპარაკია ცოცხალ თეიმურაზზე და არა მკვდარზე. ეს კარგად აქვს გარკვეული პროფ. აღ. ბარამიძეს. იმ. მისი „ნარკვევები...“, ტ. II, თბილისი, 1940. გვ. 186.

ამგვარად, არჩილს თეიმურაზის სიცოცხლის უკანასკნელი წლის ამბებიც კარგად უნდა სცოდნოდა.

ასეთი მდგომარეობის გამო „გაბაასებაში“ არათუ უალრესი სიზუსტით არის აღწერილი თეიმურაზის მოღვაწეობის ხანა, არამედ ის „ვანდომაცემს სხრავალ ისტორიული ხასიათის ამბავს, რომელიც შემართანისა და სხვა დოკუმენტებიდან არ ვიცით“.1

არჩილის თხზულების ამ ნაწილს, როგორც აქად. კ. კეკელიძე აღნიშნავს: თავისი ისტორიის წყაროდ იყენებს ვახუშტი ბატონიშვილი.2 ის რამდენიმეჯერ მიუთითებს ამ თხზულების ცნობებზე.3

თუმცა, ზოგიერთ ისტორიულ ფაქტებს არჩილი შეცდომით გადმოგვცემს, რაც მოსალოდნელი არ იყო. მაგ. 1) თხზულების მიხედვით თეიმურაზ პირველი, როცა მეფედ უკურთხებიათ. 13 წლისა ყოფილა: „კამეტი წლისა შევიქნენ, რა ესეები იყო და“ (288). სარწმუნო წყაროებით კი მტკიცდება, რომ თეიმურაზი ამ დროს 16 წლისა ყოფილა და არა 13 წლისა.4 2) თხზულებით თეიმურაზის პაპას ალექსანდრეს თითქოს ოთხი შვილი ჰყავდა.

„ოთხი შვილი ჰყვა, იმათი აწ მოგახსენო სახელი:

დავით, ერეკლე, გიორგი, იყვნეს სიკეთის მსახველი,

მერთეჲ კონსტანტინია

“ (213)

სინამდვილეში მას ექვსი შვილი ჰყოლია,—ხუთი ვაჟი და ერთი ქალი: „ხოლო კახს ბატონსა ალექსანდრეს ესეა ცოლად ასულელი ამილანორისა თინათინ, და ესხნეს ალექსანდრეს ხუთი ძე. დავით, ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე და როსტომ და ჰყვა ასულთა ერთი ნესტან, რომელსა ეწოდა დარეჯან“.5 არჩილი არ ასახელებს მეხუთე ვაჟს როსტომს და ქალს ნესტანს. 3) არჩილის გადმოცემით, თეიმურაზ პირველი მცხეთას კურთხეულა მეფედ: „ამავე ზანში მცხეთას მიეღ და მეფედა დავეკურთხე“ (284)—ამბობს თეიმურაზი. ქართული მატრიანეების მიხედვით თეიმურაზი ბოდბეს კურთხეულა და არა მცხეთას.6

თამარის დროინდელი საქართველოს ვითარების ასახვისას არჩილს უსარგებლია „ქართლის ცხოვრების მარიაშ დედოფლის ვარაუდით“. ამ წყაროს არჩილი რამდენიმეჯერ იმორწმუნებს:

1) კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941. გვ. 467.

2) ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება. 1469-დან 1800 წლამდე, მეორე გამოცემა. თბილისი, 1913.

3) იქვე, გვ. 174.

4) იქვე. თუმცა „საქართველოს ისტორიაში“ (ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი, 1948 წ. გვ. 328. 421) თეიმურაზის გამეფების თარიღად დასახელებულია 1606, როცა ის 17 წლის იქნებოდა.

5) „ქართლის ცხოვრება“ (მარიაშ დედოფლის ვარაუდით), გვ. 942. სხვათა შორის არჩილის ამ შეცდომას ვახუშტიც იმეორებს. იხ. მისი დასახელებული თხზულება, გვ. 166. ეს ფაქტი კიდევ უფრო ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ვახუშტი თითქმის მთლიანად ემყარება არჩილის ცნობებს.

6) ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1943. გვ. 174.

ქართლის ცხოვრება, ტ. II, დ. ზუბინაშვილის გამოცემა, 1854. გვ. 114.

„...მის ქაშის ნაქმარნი ომნი და მის დროთ საქართველოს დიდებულთ ნაქმარნი სრულნი, რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცლად, აწ მე შემოკლებით ვთქვა ლექსად.“¹ ან კიდევ: „სხვას მორქვა-დიდებულობას ქართველთ ცხოვრება მოგვითსრობს“ (972)—ამბობს არჩილი.

ზოგჯერ არჩილი მეტისმეტი სიზუსტით გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ ადგილებსა და ეპიზოდებს. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება გვჩრება, თითქოს ის პროზაული ტექსტის გამლექსავის როლში გამოდიოდეს. მაგალითისათვის ერთ შემთხვევას აქვე მოვიყვანთ. რუმის სულთანის რუქნადინის ვლჩის თავხედური სიტყვების გამო ზაქარია მხარგრძლის აღშოთება „ქართლის ცხოვრებაში“ ასეა გადმოცემული: „წარმოდგა ზაქარია ამირ-სპასალარი და უხეთქა ხელითა პირსა და ვითარცა მკუდარი დაეცა და იღვა. ვითარ აზიღნეს, ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარია: თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუთა იყო შენი სამართალი და მერმელა თავისა, კანდიერად კადრებისათვის.“² ეს ეპიზოდი თხზულებაში შემდეგნაირადაა ასახული:

„ამირ-სპასალარსა რა ესმა, ზაქარიას სიტყვა ესე,

წამოდგა და პირსა ხელით მწვე უხეთქა დასაკვნესე.

ვითა მკუდარი ქვე დააგდო ავის მთქმელ, ავის მთესე.

რა მობრუნდა მოციქული, სიტყვა ეთხრა უკეთესე: (889)

„თუ არ იყო მოციქული, გიხმსო ენა ამოგართო,

მერმე თავიე გაგაშორო, შენ სულტანთან ველარ წართო.“ (890)

კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

„გაბაასებისა“ და „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ადგილების შედარებიდან ირკვევა, რომ არჩილი, გარკვეული მოსაზრების გამო მეტ ყურადღებას აქცევს „ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილებს, სადაც აღწერილია თამარის დროინდელი ქართველთა ძველამოსილი ომები და ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი სამხედრო სიძლიერე. არჩილი თითქმის უყურადღებოდ ტოვებს იმ თავებს, სადაც შემეხტიანე ეხება საქართველოს შინაური ცხოვრების ცალკეულ მხარეებს.

თხზულების ამ ნაწილში არჩილი, ემყარება რა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს, უშვებს ბევრ შეცდომას. მაგალითად: არჩილი თამარის სამხედრო ლაშქრობებს იმ რიგით იძლევა, როგორც ეს მოცემულია „ქართლის ცხოვრებაში“ და ამიტომ ძლიერ სცილდება სინამდვილეს.

არჩილს ომების თანმიმდევრობა ასე აქვს წარმოდგენილი:

¹) არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1937, გვ. 90.

²) „ქართლის ცხოვრება“, (მარიამ ლედოფლის ვარიანტი), გვ. 499-500.

1. კარის ომი
2. დვინის ომი
3. გელაქუნის ომი
4. განძის ომი
5. გორგი რუსთან ომი

6. ბარდავის ომი
7. შამქორის ომი
8. ბასიანის ომი
9. ანისის განთავისუფლება
10. ირანში ლაშქრობა.¹

„საქართველოს ისტორიის“ უკანასკნელ გამოცემაში ეს ომები შემდეგი თანმიმდევრობითაა:

1. შამქორის ომი
2. განძის ომი
3. გელაქუნის ომი
4. დვინის ომი

5. ბასიანის ომი
6. კარის (ყარსის) ომი
7. ანისის ომი
8. ირანში ლაშქრობა.²

აღსანიშნავია, რომ ბევრი ომი, რომელიც თხზულებაშია დასახელებული, შესატყვისს ვერ პოულობს საქართველოს ოფიციალურ სამოქალაქო ისტორიაში. ზოგჯერ კი პირიქით წდება. მაგალითად: არჩილი დღემდე უელის გერდს იმ დიდ ომს, რომელიც ცნობილია როგორც „შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობა და ტრაპიზონის სამეფოს დაარსება“.³ გარდა ამისა, „გაბაასებაში“ ბევრი ისტორიული პირია და გეოგრაფიული ადგილის სახელი დამახინჯებულია. მაგალითად: 1) რუმის სულთანი რუქნადინი⁴ თხზულებაში გამოყვანილია როგორც საბერძნეთისა და პალესტინის სულთანი ნუქრადინი.⁵

2) ირანის აღარბადაგანის ათაბაგს აბუბექრს⁶ არჩილი უწოდებს ერანის მპყრობელს ბობაქარს.⁷

3) ბოლოსტიკეს მაგიერ ხმარობს ბოლოკე-ს.

4.) ანატოლიის მაგიერ ანადოლის და სხვ.

ეს დამახინჯებანი მომდინარეობს „ქართლის ცხოვრების“ იმ ხელნაწერადან, რომელიც არჩილის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა.

როგორც დავინახეთ, არჩილი ბევრი ახალი პროგრესული იდეის ავტორია; მისი ზოგიერთი აზრი და შეხედულება დღესაც არ არის ინტერესს მოკლებული. მაგრამ მისი თხზულებების მხატვრული მხარე, როგორც ეს შენიშნული აქვთ ჩვენს მკვლევარებს,

¹) აქ დასახელებულია ის ომები, რომლებიც არჩილის თხზულებასა და „საქართველოს ისტორიაში“ (ს. ჯანაშიას რედაქციით) შესაბამისად გვხვდება.

²) ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. ს. ჯანაშიას რედაქციით, 1948. გვ. 207-209. ასეთ თანმიმდევრობას აკად. ივ. ჯავახიშვილიც უჭერს მხარს. იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 267-290.

³) ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი, 1948, გვ. 207.

⁴) იქვე, გვ. 208.

⁵) არჩილიანი, ტ. II. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937. გვ. 103.

⁶) ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., გვ. 207.

⁷) არჩილიანი, ტ. II, გვ. 100.

ვერ უსწორდება შინაარსის მაღალ იდეურობას. მიუხედავად ამისა, „გაბაასებაში“ სუსტი ადგილების გვერდით მოიპოვება მხატვრულობის თვალსაზრისით საკმაოდ კარგად გამართული სტროფები. განსაკუთრებით ძლიერი ფსიქოლოგიური განცდების გამოხატველია „გაბაასების“ ის ადგილები, სადაც აღწერილია პოეტის მშობლიური ქვეყნის გაპარტახებით გამოწვეული სევდა—აღლელი.

არჩილს კარგად ეხერხება მოქმედი გმირების სულიერი განწყობილების გადმოცემა. ამ მხრივ ის ჩვენს ცნობილ ლირიკოს პოეტებს არ ჩამოუვარდება.

ძლიერი პოეტური ექსპრესიით არის ასახული, მაგალითად, გიორგი სააკაძის პატრიოტული გრძნობები და თეიმურაზ პირველის უაღრესად პესიმისტური განწყობილება. თხზულების ერთი თავი, სახელდობრ, „მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება“, „ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ქართული ელეგიისა“. ამ თავში შემავალ მე-12 სტროფში კარგად დაკვირვებულმა ფსიქოლოგის კალმით არის აღწერილი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების გამო გულმოკლული ახალგაზრდა მეფის მძიმე სულიერი განცდები.

ერთ-ერთი სტროფით ასე მოთქვამს დამწუხრებულ თეიმურაზი:

„ჟამი გარდახდა შვიბისა, მოვიდა გლოვა-წუხილი,
ლხინმა მიმრიდა, შემექმნა გულს ურვა, თვალთა წუხილი,
ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი,
ნადიმი აღკრბა, სერობა, ვაღარ მავამეს წუხილი“. (384)

აქ მესამე ტაქტი: „ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი“, შეიძლება ითქვას, მწუხარე ადამიანის სულიერი განცდების პოეტურ სახეებში გადმოცემის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

როგორც ირკვევა, არჩილს არანაკლებ ეხერხებოდა ბუნების თვალწარმტაცი პეიზაჟების ასახვა. სანიმუშოდ შეიძლება დასახელებულ იქნას ერთი სტროფი მაინც:

„მისი დადგის—ტურთა თუე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,
ველნი ყვავილით შეიმკვის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა,
ბუღბუღთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭკრეტდით სულდანაღებსა.
მე ვინ მნახევდის იმ დროსა უღზინოდ, სუფრა ნაღებსა“? (326)

საკმაო პოეტურ ნიჟსა და უნარს იჩენს არჩილი ბატალური სცენების აღწერისას; მისი პოეტური კალმის უნარი კარგად ჩანს იმ მრავალრიცხოვანი ომების აღწერისას, რომლებსაც მის თხზულებაში მეტად დიდი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ საყურადღებოა თეიმურაზსა და ალი-ყული-ხანს შორის არაგვზე გამართული ომისა (სტრ. 549-555) და შამქორის ომის აღწერა (სტრ. 867-874).

არჩილი კარგი პორტრეტისტიც ყოფილა. მაგალითად, ის ორი-

¹⁾ არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937. გვ. 45-46.

ოდე ტაეპით თეიმურაზ პირველის ცოლის საკმაოდ მიმზიდველ სახეს იძლევა:

„არას ვიტყვი, თქვენც გასმია ქება, არ თუ ცუდი ხობტა: პირად-ბროლი, ბაგე-ძოწი, თვალებია გიშრის ხობტა“. (300)

თხზულებაში არჩილი ხშირად იყენებს მხატვრული მეტყველების ხერხებს, მაგრამ მის მიერ გამოყენებული ზოგიერთი მხატვრული ფორმა ან არ არის ორიგინალური, ან სუსტია.

არჩილს კარგად ესწრება მაჯამური რითმების შექმნა. რუსთაველის შემდეგ არჩილი მაჯამის ერთ-ერთ კარგ ოსტატად უნდა ჩაითვალოს. თხზულებაში ძლიერ ბევრია მაჯამური სტროფი, რომელთაგან ზოგიერთი მეტად მოხდენილი და ღრმად გააზრებულია (თუმცა არჩილსაც მოეპოვება ე. წ. კოჭლი მაჯამები).

სანიმუშოდ არჩილის რამდენიმე მაჯამს აქ გავარჩევთ: სტროფი 46. მაჯამის შემადგენლობა—ათინათინებს.⁴

1. ათინათინებს—რუსთველი მოკლე სიტყვით მზეს, სარკის მსგავსად, აციალებს.
2. ათინ-ათინებს—მეფეს თეთრი ცრემლი ღაწვზედ უციალებს.
3. ათინათ-ინებს—რუსთაველი თავს ათინელად წარმოიდგენს.
4. ათ-ინათ-ინებს—ათად აქცევს.

სტროფი 334. მაჯამის შემადგენლობა—ზეგანსა.

1. ზეგანსა—ბორცვებ-გორაკებიანი ადგილი.
2. ზე განსა—განზე.
3. ზეგან-ანსა—ზეგ მოგახსენებ ანს.
4. ზე განსა—ბანს მივაყოლებ (მივაბამ) განს.

სტროფი 385. მაჯამა—წამალი.

1. წამ ალი—წამში ალი.
2. წამალი—წამალი
3. წა მალი—წადი ჩქარა
4. წამალი—კოჭლი მაჯამაა, იმასვე ნიშნავს, რასაც მეორე ტაეპში.

სტროფი 811. მაჯამა—მოუწონარი.

1. მოუწონარი—არა მოსაწონებელი.
2. მოუწონარი—აუწონარი ე. ი. რომლის აწონაც არ შეიძლება.
3. მოუწო ნარი—მოუწვა ნარი (ეკალი).
4. მოუწონ არი—არ არის მოსაწონი.

სტროფი 1065. მაჯამა—მომესმა.

1. მომესმა,—გავიგონე, მოვისმინე
2. მომე-სმა,—ლახვარი გულს დამასვი

⁴ თინათინი—სარკითა თუ მისთანაა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს. იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა. თბილისი, 1949. გვ. 241.

3. მომე-სმა!—საწამლავეით მართებს დალევა, შესმა.

4. მომე სმა?—რატომ მყავდა (მესვა) მე ძე.
სტროფი 1076. მაჯამა—მოისარე.

1. მოისარე?—ვის უნახავს მისი მსგავსი ისრის მსრო-
ლელი?

2. მო ისარე—მკერეტელთ გულს ჰკრავდა ისარს

3. მოისარე—მას წარბ-წამწამი უგავდა ისარს

4. მოისარე?—ასე ჩქარა გულში ისარი რად იყარ?

არჩილს, როგორც ღრმა იდეურსა და პროგრესულ პოეტს შეე-
ფერება, თხზულებაში მიმობნეული აქვს სენტენცია—აფორიზმები.
რა თქმა უნდა, „არჩილი ამ მხრივ მოკლებულია რუსთველურ
სიღრმესა და სიმკვეთრეს“.1 მაგრამ რუსთაველის შემდეგ, შეიძლება
ითქვას, არჩილი საუკეთესო აფორისტია ძველ ქართულ ლიტერატუ-
რაში. ის თავის დაკვირვებებსა და შეხედულებებს პიროვნული
ან საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარის შესახებ საკმაოდ
მკვეთარ პოეტურ სახეებში აყალიბებს.

სანიმუშოდ ჩვევით მოგვყავს სენტენცია—აფორიზმის რამდე-
ნიმე მაგალითი „გაბაასეზიდან“.2

1. „სიჩქარით კარგად ნაქმარი საქმე არ მოვა ბოლოსა,
ვინც აუჩქარდეს სოფელსა, აკომლდეს, აებოლოსა.

დაჯინებისა მოყვასი დაემხოს დ (ა) ებოლოსა.

სჯობს ავის საქმის შემოცდა, კარგსა არ დაებრკოლოსა“. (506)

აქ აფორისტულია სტროფის ყველა ტაეპი.

2. „თუ სოფელი შენ არ მოგყევს, შენ გიხმს მისკე მიიზილო“. (508)

3. „ჯაბანია იგი მოყმე, ვინ ქიშპისგან აღრე იძლევს,
ხარბის კაცის წესი არის, თვით არ მისცემს, სხვისგან იძლევს“. (110)

4. „სიჩქარესა სჯობს სიწყნარე. უსმენსა გაგონებული“. (125)

5. „კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლაში გაიზარდოს,
თუ სიბრძნეშიგ გაიწვრთნების. უგვარომანც გაივარდოს!
თვარ უგვარო გვარიანსა ცულათ ვინმე შეუფუარდოს,
უგვარო თუ არას იწვრთნის, სიკეთე ვით გაიმარდოს?“ (417)

6. „მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიღ-
მოდება.“ (637)

7. „რა საქმე დაგვიანდება, სხვაც რამე დაეწმასნება“. (737)

8. „მას მოისთვლებს მემუშაე, ძირად რასაც ნერგსა დარგავს.“ (1043)

9. „დასტურ თქმულა, სიკვდილამდის კაცი ცოდნას ხამს
იწვრთიდეს,

1) ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., ტ. II. თბილისი, 1940. გვ. 217.

2) არჩილს აფორიზმები სხვა თხზულებებშიც აქვს, განსაკუთრებით ლექს-
ში „ლექსნი ასნი ორმუხლნი“.

მგერამ მოუძღვრებელი ჭაბუკისდენს ვით შესმიდეს? თუ უცოდნი დაიწვართოს, ზოგა წვრთნილი დააიწყდეს“ (1051)
10. „ხანგრძლად სხვათა კართა ყოფა კაცსა ცეცხლად მოედება, მუდამ მოყვრის პურის ჭამა საყვედურად დაედება; რა გინდ რომე არა აკლდეს, მაშინც გაუგემურდება“. ველარ გასძლებს შემოცდასა, ამაღ სხვაგან გარდეგება“. (1055)

11. კვლავ თვალში ბეწვი უპოვნა, ვის თვითონ ჰქონდა ხელო“. (1125)

12. „ავი საქმე, ავი სიტყვა გულით აღარ გაიცადო“. (1126)

რე:გორც ვხედავთ, ბევრი აფორიზმი დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ხასიათისაა; ზოგიერთი მათგანი მას თავისი პირადი ცხოვრების გამოცდილებიდან აქვს აღებული. (მაგ., 1055-ე სტროფი).

პოეტის მანანს წყადაგენს თავისი აფორიზმებისა და სენტენცია-შეგონებებით ხელი შეუწყოს ზნობრივად სპეტაკი და განათლებული ქართველის აღზრდას, რომელსაც ძლიერ საჭიროებდა იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე.

თხზულების დაწერის თარიღის შესახებ თვით „გაბაასებაში“ მთელი რიგი ცნობებია მოცემული¹. ამ ცნობების გათვალისწინებით აკად. კ. კეკელიძისა² და პროფ. ალ. ბარამიძის³ მიერ საკმაოდ სიზუსტით არის დადგენილი ნაწარმოების დაწერის თარიღი. ამიტომ ამ საკითხის შესახებ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ; მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „გაბაასების“ მეორე ნაწილი, სახელდობრ, 725-1132 სტროფები, როგორც აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, დამთავრებული უნდა იყოს 1683 წელს. ამის საბუთს იძლევა პროზაული შესავლის მითითება, რომლის მიხედვით არჩილს თხზულების პირველი ნაწილი (1—724 სტრ.) დაუწერია ოსეთში ოთხი თვის განმავლობაში.⁴ ხოლო თუ მთელი თხზულების დასაწერად მას ცხრა თვე დასჭირდა, თავისთავად ცხადია, რომ მეორე ნაწილი მას შეუთხზავს ქ. ასტარხანში (725 სტრ.), სადაც ის 1682 წლის პირველ სექტემბერს მისულა. „გაბაასების“ წერას თუ სექტემბრიდან გააგრძელებდა, მაშინ, მისი განცხადების თანახმად, თხზულებას დაასრულებდა არა 1682 წელს, არამედ 1683 წელს.

¹ არჩილიანი, ტ. II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით; თბილისი, 1937. გვ. 84, სტროფი 725, გვ. 130, სტროფები 1130, 1132.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 471-472.

³ ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., ტ. II, თბილისი, 1940. გვ. 231-234.

⁴ ამ შემთხვევაში უნდა ვენდოთ 5 2663 ხილნაწერს, რომელიც შეიცავს „ავტოგრაფული ხასიათის შესწორებებს“ და ამიტომ „ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონეა“. (ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., ტ. II, გვ. 225).

„კაცისა და სოფლის გაბაასებას“ არჩილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. ამ ნაწარმოებში არჩილი ეხმარება და თავისებურად წყვეტს ადამიანისა და წუთისოფლის დამოკიდებულების საკითხს. ეს თემა ძლიერ გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ლიტერატურაში, მაგრამ არჩილის თხზულება არც ერთ მათგანს არ ემსგავსება, პირიქით, ის უაღრესად ორიგინალურია და შეიცავს არჩილის ღრმა იდეურსა და პროგრესულ მოსაზრებებს (თუმცა შიგ ავტორის რამდენიმე მოძველებული შეხედულებაც არის მოცემული).

სანამ თხზულების ანალიზს მოვახდენდეთ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, ძლიერ მოკლედ გავითვალისწინოთ თხზულების სიუჟეტური ქარგა.

თხზულება შედგება 358 სტროფისაგან. აქედან ოთხი სტროფი წარმოდგენს შესავალს, რომელშიაც არჩილი არკვევს თხზულების დაწერის მიზეზებს და გაბაასების ტრადიციის მიხედვით გვირდება ნეიტრალიტეტის დაცვას ბაასში ჩაბმული მხარეების მიმართ. შემდეგ იწყება ბაასი, რაშიც მონაწილეობენ სოფელი და კაცი, უკანასკნელი თხზულებაში ადამის სახელით არის წარმოდგენილი. სოფლად არჩილი გულისხმობს წუთისოფელს, ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას, ხოლო ადამი წარმოდგენილია, როგორც ადამიანთა მოდგმის წინაპარი, რომელმაც შეცოდების ჩადენით, პოეტის აზრით, დიდი ზიანი მიაყენა თავის შთამომავლობას.

ბაასს იწყებს კაცი, რომლის აზრით, სოფელი ცრუ, უნდო, გაუტანელი და „წარსაწყმენდელი საქმისა საამოდ მაჩვენებელია.“ კაცი თავისი წინაპრის ადამის შეცოდების მიზეზად სოფელს თვლის, ამიტომ გაბრაზებული კაცი სოფელს მიმართავს:

„მაუწყე მტერო ბოროტო და ჩემო მაცუდრებელო,
სამოთხით გამომძებელო, კარის-კარ მაკარებელო;
გესლის უმწარვე ნაყოფო, მომწყველეო საარებელო,
რაზომცა სტყუი, გისმინო, ცრუე სიტყვის მაგემებელო!“ (18)

პაექრობაში ჩაბმული სოფელი პირველად თავდაცვას აწარმოებს. მისი აზრით, ადამიანის უბედურების მიზეზი სოფელი კი არ არის, არამედ უბედურების წყარო თვით ადამიანშია დაფარული. ღეთისაგან შენ, მიმართავს ის კაცს, საპატრონოდ მოცემული გქონდა სოფელი თავისი „ნოეთებით“, მაგრამ დაივიწყე რა ღმერთი და მის მცნებას „გარდაჯე“. ყველაფერი დაკარგე. შემდეგ სოფელი კაცს მოაგონებს იმ ხანას, როცა ადამიანი იყო ღეთისაგან შექმნილი, ედემის ბატონ-პატრონი, მაგრამ ეს თვალწარმტაცი ბედნიერება ადამიანმა დაკარგა თავისი გაუმადლოებისა და სულმოკლეობის გამო. ასეთი პასუხით გაბრაზებული კაცი მკაცრად შეუტევს სოფელს, ახასიათებს მას მეტად ცუდად და თან აგონებს:

¹) არჩილიანი, ტ. 1, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 19-62.

„თუ არ გინდოდა შენ ჩემი მტრობა, ეშმაკთ მოყვსობა, რად მიეც შენი ნაყოფი, რომელი გულსა მესობა?“ (32)
მომღევენო პასუხში კაცი თავისი შეცოდების მიზეზად ასახელებს იმ ხილს, რომელიც „სოდლას ნაყოფია“. სოფლის ღრმა რწყებით, აქ ხილი, სახელდობრ „ლელვი“, არაფერ შუაშია, უბედურების მთელი მიზეზი „მკნების ურჩობა და ბრძანების გარდასვლა.“

პაექრობაში შემდეგ ადამის (კაცის) შეილება ებმებოდან. ისინი, მამის მსგავსად, დიდი საბრალმდებლო სიტყვით მიმართავენ სოფელს, რომელიც ჩვეულებრივ თავის გამართლებას ცდილობს მათ წინაშე. სოფელი კაცს მოაგონებს, რომ მას თავის გამართლება შეეძლო მხოლოდ ქრისტეს მოსვლამდე. ქრისტეს მოსვლის შემდეგ კი თავის გამართლებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან:

„მან ტვირთი თქვენი იტვირთა, სიმძიმე რომე იტყვისა, ღმერთი კაც იტმნა, დაგისხნათ, ვინ ნებსით თავი იტყვისა.“ (82)

კაცი სოფელს ეთანხმება ზემოთქმულის სიმართლეში, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ სოფელი თავისი მზაკვრული საქციელით მას არ ასვენებს ქრისტეს მოსვლის შემდეგ პერიოდშიაც და ჩამოთვლის იმ ცუდ ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც კაცმა სოფლისაგან შეითვისა. როგორცაა: სიხარბე, ძალმომრეობა, გაუმადლორობა და მუდმივი ურვა-წუხილი.

სოფელი არ მალავს თავის ნაკლს: „ყოვლი ჩემეული მოკლეა და გახრწნაღია“. მხოლოდ კაცს იქვე მიუთითებს, რომ „შენ რისთვის იქ, გონება გაქვს, კარგის ქმნის დანაბაღია“.

შემდეგ კამათი წარმოებს ცნობილი ბიბლიური პიროვნების იობის შესახებ. კაცი იობის მძიმე ხვედრის მიზეზად სოფელს თვლის, სოფელი კი—ეშმაკს, ხოლო იობი, წინააღმდეგ ჩვეულებრივი ადამიანისა, კაცს მიაჩნია უაღრესად სრულყოფილ ადამიანად.

კაცი ქვეყნად არსებული სოციალური უთანასწორობის მიზეზად სოფელს ასახელებს:

„ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებიინებ, ზოგი სოფელით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებნინებ“.

სოფლის აზრით, მდიდარს სიმდიდრე იმიტომ მიეცა, რომ ის ვალდებულია ღარიბს დაეხმაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სჯობია: „შენც მას სთხოვე, ვინ მას მისცა, ეს სჯობს სხვის წაჭიდებასა“.

საზოგადოებაში არსებულ სოციალურ უთანასწორობას ის შემდეგნაირად ასახელებს:

„ყოველთ თუ სწორად მოგეცესთ დიდება ეგ საპატიო, აღარცა ღმერთსა უმადლდეთ და არცა ის საპატიო“. (183)

ეს გარემოება მას სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია. სოფელს მხოლოდ აკვირებს ის განუწყვეტელი ქეიფი, თრობა და უძღვობა, რასაც ადამიანი ამქვეყნად უსაზღვროდ მისცემია. ეს მაშინ, როცა „მშვიერ-მწყურვალი კარს ვადგა, გიძახის: „მოგვე

ლეთისათვის“. გაბრაზებული სოფელი შეტევაზე გადადის და კაცს ემუქრება „მეორედ მოსვლით“, როცა ღვთაებრივი სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან „ხელმწიფე, მეფე, მდიდარნი, მცირნი და ბატონისშვილნი“. ღვთიური სამართალი ყველას დამსახურებისამებრ მიუზღავს: ზოგს სამოთხეს მიუჩინს, ზოგს კი — ჯოჯოხეთს. სამართლისო ტანჯვა-ვაების თავიდან აცილებისათვის სოფელი კაცს ურჩევს: „გმართებს, კაცო, კარგი რამ ჰქმნა, ვირემდისი აქ ხაროდეს“. კაცი რა თქმა უნდა, არ ეთანხმება სოფლის რჩევას, რომ მან თავისი ქონება სხვებს დაურიგოს:

„რაცა მაქვს, ერთპირ გავფანტო სალარო, ჩემი ქონება,

მე ვინლა მომცემს, პატრონო, ამას გაავლე გონება?! (218)

კაცს სურს თავისი ქონება სამემკვიდროდ დაუტოვოს თავის შვილებს. ასეთი პასუხი სოფელს არ აკმაყოფილებს და მოსაუბრეს მოსწრებულად უპასუხებს: „შენ შენს ქონებას მცირე მოგების მიღების მიზნით ანდობ უსჯულო ვაჟრებს, რომლებმაც შეიძლება აღვილად დაგიღუპონ მთელი საცხოვრებელი. გარდა ამისა, ქონებას ინახავ შენი მემკვიდრეებისათვის, მაგრამ ეგ როდის იცი, უწინა შენ მოჰყვდები თუ იგია? — ამიტომ უმჯობესი იქნება ღარიბებსა და გლახაკებს უწყალობო, ვინაიდან „უოველნი დიდად აქებენ გლახაკთა მოწყალებასა“.

საკმაოდ ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ გამარჯვებულ სოფელს კაცი რჩევა-ღარიბებას სთხოვს და ასეთი სიტყვებით მიმართავს:

„მაშ, გვასწავლე მრავალ-ფერად, მბრუნაო და ავად მქცეო,

ვით უხამთ შენი ხმარება დიდ ხელმწიფეთა, მეფეთა,
მთავართ, დიდებულთ, სჯულის-თავთ, მორღელთა არ სისხლთა
მჩქეფეთა.

მოლაშქრე-მონადირეთა, ვაჟართა ღართა მკრეფეთა,

მდიდართ და გლახაკთ, მუშაკთა დილით ღამეძღინ მყეფეთა“.

(253)

გამარჯვებული სოფელი მომდევნო 55 სტროფის მანძილზე იძლევა დიდაქტიკური ხასიათის ღარიბებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხუდასხვა პროფესიის ადამიანები. დამარცხებული კაცი თხზულების დასასრულს ერთხელ კიდევ წარმოთქვამს საბრალმდებლო სიტყვას სოფლის მიმართ და იმეორებს იმ ბრალდებებს, რომლებიც მან ბაასის დაწყების წინ დაასახელა.

თხზულება სრულდება არჩილის სიტყვებით, რომლებშიაც ასაბუთებს, თუ რატომ დგას ის სოფლის მხარეზე. საკმაოდ გრძელი სიტყვიდან განსაკუთრებით საინტერესოა ორი სტროფი, რომელშიაც მოკლედ არის ჩამოყალიბებული არჩილის დამოკიდებულება მობაასე მხარეების მიმართ:

„რისთვის მგონია სოფლისგან კაცი უცრუე, აწ ვიტყვი, თუ სიტყვა კარგად გასინჯო, დაძემოწმები, შენც იტყვი;

მას სოფელი რას მძლავრობდა, მისი ყველა არ ხელთ ჰქონდა ლეთის ბრძანებას გარდავიდა, მტერს უსმინა, ის მოსწონდა ამით სოფელს დაგვაშინა, მისთა შეილთა მოგვიწონდა,

ვა, უხრწნელი სამოსელი განსახრწნელად მომიქონდა“. (327)

ასეთია სიუჟეტური ქარგა „კაცისა და სოფლის გაბაასებისა“, რომლის შექმნა არჩილისათვის შთაუგონებია ქ. ასტრახანში დავით მამუკაშვილს ჯათარძეს. ამის შესახებ არჩილი თხზულების დასაწყისში წერს: „ეს ერთი პირველი ლექსი დავით მამუკაშვილს ჯათარძეს ეთქვა სოფელზე აშთარხანს. ამას ქვეითი სოფლისა და კაცის გაბაასება ამ ერთმან ლექსმან მოახდინა. ასრე არის ყოვლისფერის, კარგისა თუ ავის, საქმისა ორისავე მიზეზი: პირველ ასრე ცოტათ იწყების და შემდგომად ასრე განმრავლდების“.¹⁾

საინტერესოა თვით დ. ჯათარძის ერთსტროფიანი ლექსი, რომელშიაც დასმული და კიდევ გადაჭრილია წუთისოფლის აუკარგიანობის საკითხი. როგორც ჩანს, დ. ჯათარძე ასტრახანში მყოფი ქართველი ემიგრაციის ერთ-ერთ წევრი ყოფილა. დავითი თავის დიდ უკმაყოფილებას წუთისოფლისადმი, რომელშიც ის მშობლიურ კერას მოაზროა და რუსეთში გადაისროლა, შემდეგ ნიჩრად გამოხატავს:

„თქვეს, ჩარხი სოფლის სიმუხთლის სამუდმოდ არის მბრუნავი,

ლხინს მოგვეცემს, ჰირი გვერთს ანლავს, ხან შეება, ხან საქმუნავი,

ნურვინ სდევ, ვერვინ მისწვდები, ცხენი გყავს, ანუ თუ ნავი, თქმულა, რომ: არვინ დარჩება ბოლომდინ მოუმდურავი“.

(გვ. 19)

ამ ოთხტაეპოვან ლექსში დასმული საკითხი არჩილს გაუხდია თავისი საკმაოდ ვრცელი თხზულების მთავარ თემად:

„...სოფლისა და კაცის გაბაასება ამ ერთმან ლექსმან მოახდინაო“, — შენიშნავს არჩილი.

ჩვენ ვფიქრობთ, „კაცისა და სოფლის გაბაასების“ შექმნა არ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ამ პატარა ლექსით გამოწვეული. ლიტერატურისა და მწიგნობრობის მოყვარული არჩილი უდავოდ იცნობდა შუა საუკუნეების რუსეთისა და ევროპის ლიტერატურაში გავრცელებულ მსგავს თემას. ამ შემთხვევაში საყურადღებოა თხზულების პირველი სტროფის პირველი ტაეპი, სადაც არჩილი ამბობს: „დავით, უძრახეს სოფელსა, სხვათ ბრძენთა შენც აგი-

¹⁾ არჩილიანი, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936. გვ. 19.

²⁾ რასაკვირველია, არჩილის თხზულება ორიგინალური ნაწარმოებია, იგი არ განიცდის არც ერთი დასახელებული თხზულების გავლენას. ამ გარემოებას ადასტურებს მათი შინაარსის შედარება.

ტანეს“. „სხვათ ბრძენთაში“ არჩილი მსგავსი თხზულებების ავტორებს ხომ არ გულისხმობს? როგორცაა „სულისა და ხორცის გაბაასება“ ან „ცხოვრებისა და სიკვდილის ბაასი“,² აგრეთვე თეიწურაზ პირველის „სიტყვა სწავლისა“. ამას ზედ ერთოდა თავისი პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობა; როგორც ცნობილია, წუთისოფელმა მას ბევრი, მწარე ნაღველით საესე ფილა შეასვა და ბოლოს სამარე უცხო ქვეყანაში გაუთხარა. ამ ფაქტორებმა შეამზადეს ნიადაგი, რომ პოეტი ასეთი თემით დაინტერესებულყო. ხოლო ჯადარძის ლექსი ერთგვარი საბაბი გამხდარა იმისათვის, რომ არჩილს თავისი შეხედულებები ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მხატვრულ სახეებში ჩამოეყალიბებინა.)

თემის გასაშლელად არჩილს მისთვის კარგად ცნობილი გაბაასების ლიტერატურული ჟანრი გამოუყენებია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არჩილი ამ თხზულებაში გაბაასების ისეთი კარგი ოსტატი არა ჩანს, როგორც ეს „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ დავინახეთ.

მართალია, თხზულება დიალოგის ფორმით არის დაწერილი, ბაასიც ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებების მქონე მხარეს შორის წარმოებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თხზულებას მაინც არ აქვს გაბაასების დამახასიათებელი ყველა სპეციფიკური ნიშანი. მაგალითად: თხზულებაში, მართალია, ბრძოლა წარმოებს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულების მქონე მხარეს შორის, რომლებიც ცდილობენ მოწინააღმდეგის მიერ წამოყენებული დებულებების დარღვევას, მაგრამ ეს ხომ გაბაასების ერთი მხარეა. ბაასში არ ჩანს ამ ნიშნის მეორე მომენტი, სახელდობრ მოკამათე მხარეების მიერ თავშენი უპირატესობის დამტკიცებისათვის ბრძოლა, რომელიც ძლიერ მკაფიოდ ჩანს „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“.

გარდა ამისა, გაბაასების ავტორი ყოველთვის ცდილობს ნეიტრალიტეტი დაიცვას, ის ბაასიდან დასკვნის გამოტანას მკითხველს ანდობს. თხზულების დასაწყისში არჩილიც თითქოს ამ პრინციპს იზიარებს, როცა აცხადებს:

„აწ მე ვიტყვი მათ საქმესა, თქვენ შეიტყობთ უმართლესა“
„მათი საქმე მათ იუბნან, ნუ უღგავართ ჩვენ ნურცერთსა,
სოფელმან და კაცმან სიტყვა თვით მიუგონ ერთმანერთსა;
გაუსინჯოთ, რას იტყვიან ერთი-ერთზედ, თუ რა ერთსა,
მერმე გავებქოთ სამართლითა, მადლი მივცეთ უფალს ღმერთსა.“ (4)

ამ დაპირების მიუხედავად, არჩილი არღვევს გაბაასების ძირითად პრინციპს და თხზულების დასასრულს ის აშკარად სოფლის მხარეზე გადადის; ხანგრძლივი პაექრობიდან მას სოფელი მართალი გამოჰყავს:

„რისთვის მგონია სოფლისგან კაცი უტრუე, აწ ვიტყვი“ და კიდევ ასაბუთებს თავის აზრს. მართალია, ტიპიური სახის გაბაასე-

ბაში დაკვირვებული მკითხველი შენიშნავს მობაასე მხარეებისადმი ავტორის განწყობილებას, მაგრამ ეს ძლიერ ფარულ, შენიღბულ ფორმაშია მოცემული. ხშირად კიდევ ძნელდება ჭეშმარიტების ამოცნობა. არჩილის ამ თხზულებაში კი ავტორის სიმპათია-ანტიპათია ისე აშკარად არის გამოხატული, რომ ეს სრულიად არღვევს გაბაასების პრინციპებს.

მოუხედავად ამისა, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ობიექტად იმიტომ ვაქციეთ, რომ ჯერ ერთი, თვით ავტორი უწოდებს მას გაბაასებას. გარდა ამისა, თხზულებას თავისი დამახასიათებელი ნიშნებით მეტი ნათესაობა აქვს გაბაასებასთან, ვიდრე სხვა რომელიმე ლიტერატურულ ქანთან.

არჩილი თხზულებაში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ ეხება იმ დროისათვის უაღრესად საინტერესო და საჭირობო საკითხებს, როგორცაა, მაგალითად: ადამიანისა და წუთისოფლის დამოკიდებულება, აქვე გამოთქვამს ის თავის სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებს, ახასიათებს მის თანამედროვე საზოგადოებას, ამჟღავნებს პატრიოტულ განწყობილებას და იძლევა საყურადღებო დიდაქტიკური ხასიათის დარიგებებს. ამათ შორის ის განსაკუთრებულ დიდ ინტერესს იჩენს პირველი საკითხისადმი. ეს გარემოება არც გასაკვირია, ვინაიდან XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ადამიანისა და წუთისოფლის დამოკიდებულების საკითხი აღელვებდა თითქმის ყველა იმდროინდელ ქართველ პოეტს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩილს მოღვაწეობა მოუხდა დიდი პოლიტიკური აშლილობისა და არეულობის ხანაში, რაც, რასაკვირველია, გულს უკლავდა პროგრესულად მოაზროვნე პოეტს.

არჩილს პირადი უბოვრებაც მეტისმეტად მოუწესრიგებელი ჰქონდა: ქართველი ფეოდალური არისტოკრატის შინაური შუღლისა და კინკლაობის შედეგად მან რამდენჯერმე დაკარგა იმერეთისა და კახეთის ტახტი. კახეთის ტახტის დამკვიდრების მიზნით გვირგვინოსანმა მეფემ მაჰმადიანობაც კი მიიღო, მაგრამ ამ უაღრესად საჭმარცხინო ნაბიჯმაც ვერ გამოასწორა მისი პირადი მდგომარეობა. ძლიერ დაავადმყოფებული და საამაყო შვილის სიკვდილით დამწუხრებული მოხუცი პოეტი რუსეთში ემიგრაციაში ყოფნისას გარდაიცვალა.

თანამედროვე ქართველი საზოგადოების მდგომარეობისა და პირადი მძიმე ხვედრის გათვალისწინება სათუთი გრძნობის მქონე პოეტში იწვევდა წუთისოფლისა და თვით ადამიანებისადმი იმ უაღრესად უარყოფითი განწყობილების გამომხატველ გრძნობებს, რომელიც მან გამოამჟღავნა „კაცისა და სოფლის გაბაასებაში“.

არჩილის აზრით, წუთისოფელი ადამიანის ყოველგვარი უბედურების მიზეზია, იგი წყაროა ამქვეყნად არსებული უსამართლობის და ბოროტებისა, რომელიც ბეჩავ ადამიანს კვალდაკვალ დასდევს მთელი სიცოცხლის მანძილზე. იმიტომ პოეტს წუთისოფელი მიაჩნია ცრუ, გაუტანელ, ვერაგ და ცბიერ არსებად. ასეთი რწმენის

გამო არჩილი წუთისოფელს მეტად დამამცირებელი ეპითეტებით ახასიათებს:

„მუხთალო, ცრუო, მტყუანო, ერთ წამსაც დაუდგრომელო, დაუნდობარო, მძრახველო, სულ იქი-აქა მძროძელო“. (29)
შემდეგ თხზულების მთელ მანძილზე არჩილი ცდილობს სათანადოდ დაასაბუთოს სოფლისადმი მის მიერ წაყენებული ბრალდებები. წუთისოფლის ორპირობისა და მუხთლობის შესახებ ის ერთ-ერთ სტროფში შენიშნავს:

„ეჰა, სოფელო, მწარისა ტკბილ ადრე გამომეტყველო, წარსაწყმედელის საქმისა საამოდ მაჩვენებელო“. (9)

არჩილის აზრით, ამქვეყნად არსებული სოციალური უთანასწორობის მიზეზი წუთისოფელია თავისი მეტად უკანონო წესებით:

„ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებ, ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებნინებ; მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ“. (141)

ადამიანის მიერ დიდი წვალებითა და გაჭირვებით მოპოვებული ბედნიერი და მშვიდი ცხოვრებაც წუთისოფლის ყოვლისშემძლე მსახურელი ხელით ჩქარა არარაობად იქცევა; თვით მეფეებიც კი ვერ ასცდებიან, თურმე, სოფლისაგან დაგებულ მაცთურ ძახეს და ერთ დროს „მეფე სვიანი“; რომელსაც „ქვეყანა დაძხარ და“ უცაბედად კარდაკარ მოსიარულე გლახაკად იქცევა:

„არა რის ხელმწიფება მაქვს, როსცა ვინდა შემაწუხებ, რაც მაქვს ხელში, გამომართმევ, თვალს ჭაერთა დამიწუხებ; მე კარის-კარ მარონინებ, მტერს მისცემ და მაზედ უხეებ, ფუ ეგზომსა სიცრუევსა, რომ შენ ძლით გულს ლახვარს ვიხებ“. (76)

არჩილის გაგებით წუთისოფელი ამქვეყნად უმწეო ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხსაც აწესრიგებს. ამ შემთხვევაში ის მეტად უსამართლო და განუკითხველია:

„ერთს ახალსა მოწიფულსა ხელისმყრელსა სიკეთისას ,

სენსა შეპყრი, დაცაუქვნობ ყვაილს მისის შეეხებრსას“. (239)
მაშინ როცა:

„სხვას ერთს ასრე დააბერებ, თვით სიცოცხლეს შეაზარებ, საყოლს ყველას მოაძლუვებ, მაზე არვის არ ახარებ“. (241)

სხვათაშორის, ერთ-ერთ სტროფში წუთისოფლის დაუდგრომლობა და მეტად ცვალებადი ბუნება არჩილს ძლიერ მოხდენილად აქვს გადმოცემული:

„ერთს თავს სახლი დააქცია, მას მეორეს, ჰე, აუგო, ამას ღმერთი აცნობინა და იმ სხვითა კერპსა უგო,

ზოგს გზა კარგად გაურკვევა, ის დაჰკარგა, არ გაუგო“. (313)

ან კიდევ:

„გუშინ ვინმე განამდიდრა, აღიდა და გაახარა,

ღლეს დასცა და დაამდაბლა, საბრალო დააგლახარა.“ (314)

წუთისოფლის უარყოფითი თვისებები არც ამით ამოიწურება.

პოეტის ღრმა რწმენით, წუთისოფელი თავისი მახინჯი თვისებებით გამრყუნელ ზეგავლენას ახდენს ყველა იმ არსებაზე, რომელსაც მასთან რაიმე ურთიერთობა აქვს, განსაკუთრებით კი სღამიანზე.

არჩილის აზრით, ადამიანის ზოგიერთი უარყოფითი თვისების მიზეზი და წყარო თითქოს თვით წუთისოფელია. აი, მოკუსპინოთ ბაასში ჩაბმულ კაცს, რომლის საშუალებით ხშირად თვით არჩილი გამოთქვამს თავის შეხედულებებს: კაცი სოფელს უჩივის, რომ ადამიანის სიხარბისა და გაუმაძღრობის მიზეზი წუთისოფელია და არა სხვა ვინმე:

„უთვალავი ოქრო-ვერცხლი მქონდეს, თვალნი თლილნი ხშირად, არ გამაძღვებ, სიხარბესა შემყრი; შემაქ დიდად ქირად“. (108)

ან კიდევ: „თუ განგვამდიდრებ, ზეობას ჩაგვიგდებ გულსა საწყენსა“. ხოლო 106-111 სტროფებში უამრავი მსგავსი მაგალითია მოყვანილი.

„მართლის თქმის“ მოყვარული და ცხოვრების ავკარგიანობის ღრმად მცოდნე არჩილი ადამიანის სიცოცხლის მოუწესრიგებლობაში ბრალს არა მარტო წუთისოფელს სდებს, არამედ თვით ადამიანსაც. პოეტის რწმენით, ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამეფებულ უბედურებასა და უწესრიგობას თავიანთი მოქმედებით კიდევ უფრო აძლიერებენ „წუწკი“ და „სჯულის მგომბელნი“ ადამიანები.

არჩილი მხილებით არ კმაყოფილდება; ის ეყრდნობა რა ცნობილ ბიბლიურ გადმოცემას პირველი ადამიანების, ადამისა და ევას, ცთუნების შესახებ, ადამიანისა და წუთისოფლის დამოკიდებულების მიმართ თხზულების დასასრულს გამოთქვამს თავის შეხედულებას.

არჩილის აზრით, ღმერთმა ეს ქვეყანა თავისი მრავალფეროვანი ბუნებით გააჩინა ადამიანის კეთილდღეობისათვის და მთელი სულიერი თუ უსულო სამყარო ადამიანის ნებას დაუმორჩილა. ამის შესახებ სოფელი კაცს შემდეგნაირად მიმართავს:

„... კაცო, შენ ღვთის მსგავსად რადმე შექმნილო, ჩემად და ჩემთ ნივთთა ზედა უფლად და მთავრად განზრდილო“. (6)

ან კიდევ:

„უფალ თევზთა და ფრინველთა, მხეცთა და რაც არს ცხოველი;

„შიში და ზარი დაადვა და დაგამონა ყოველი“. (26)

მაგრამ ადამიანის ხარბი და გაუმაძღარი გული არ დაემორჩილა ღვთისაგან დადგენილ წესებს, დაარღვია ღვთის მცნება და მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო ის თავისი აღრინდელი მონის ნებასურვილს დაექვემდებარა და მისი გავლენის ქვეშ მოექცა. თავის ამ მოსაზრებას არჩილი ასე გამოხატავს:

„ღვთის ბრძანებას გარდავიდა, მტერს უსმინა, ის მოსწონდა,

ამით სოფელს დაგვამონა, მისთა შვილთა მოგვიწონდა“. (327)

მართალია, არჩილი უპირისპირად ცუდი შეხედულებისაა წუთისოფელზე და აღშფოთებას გამოთქვამს ადამიანთა წრეს გადასული

უზნეობის გამო, მაგრამ ის არ არის პესიმისტი, მისი სევდა-ნალექ-
ლი და წუთისოფლისადმი მდურვა სრულ უიმედობამდე არ მიდის.

ამ საკითხზე არჩილის საბოლოო დასკვნა ასეთია: ადამიანი
უნდა განთავისუფლდეს მახინჯი და უარყოფითი ხასიათის ზნე-
ჩვეულებიდან, ზნეობრივად განსპეტაქდეს და არ დაარღვიოს
ღვთის მიერ დაწესებული კანონები. არჩილის ეს შეხედულება
კარგად არის ჩამოყალიბებული სოფლის ერთ-ერთ პასუხში:

„გმართებს, კაცო, კარგი რამ ჰქმნა, ვირემდის აქ ხარ ოდეს,
ემშაკის წილ სატანასა ანგელოზი დაგხაროდეს,
იუდასა უნაწილო დარჩე იქი შენ ეროდეს,

მოკლე ესე რად გგონია, საუკუნეს ესწოროდეს“. (214)

ცოდებისაგან გაწმენდილ ადამიანს არჩილი არ უკრძალავს ცხოვ-
რების ფერხულში ჩაბმას. პირიქით, პოეტს ადამიანი საზოგადო-
ებრივი ცხოვრებისგან განმარტობულად ვერც კი წარმოუდგენია:

„სოფელო, კიდევ გიზრახავ, აოც გაგვეილება უშენოთ,
არას ვარგივართ შენ არ გყვე, ვით სახლის ხე-ტყე უშენოთ.
შეურჩომელი მამულიც ცუდია, რად მოვაშენოთ?

თუცა გვალორებ, პასუხად ჩვენ ძრახვა მოგვაქვ საშენოთ. (215)

მართალს გეტყვი, კარგი ვარ და დიად ძნელად დასათმობი,
პირველ ტკბალი, საამოვნო, მერმე ანჩხლი, დაუთმობი;“ (216)

არჩილი მხოლოდ კატეგორიულად მოითხოვს ცხოვრებაში
გარკვეული ნორმებისა და წესების მტკიცედ დაცვას, ამიტომ სო-
ფელი კაცს არიგებს:

„რომელმან ზომით, სიმართლით მიხმაროს, გადანამც ვარგვარ“. (237)

ამგვარად, პირადი ცხოვრებით განაწამებ პოეტში მაინც იღვიძებს
სიცოცხლის სიყვარული და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნო-
ბა. შესაძლებელია, არჩილის ცხოვრებასთან შერიგება, როგორც
ამას პროფ. ალ. ბარამიძე ფიქრობს,¹ გამოწვეული იყოს პოეტის
ქრისტიანული მსოფლმხედველობით, რომელიც არჩილის პოეზიას
საკმაო რელიგიურ ელფერს აძლევს.

რა თქმა უნდა, თანამედროვე, საბჭოთა ეპოქის ადამიანები,
არჩილის კონცეფციას ადამიანისა და წუთისოფლის ურთი-
ერთდამოკიდებულების საკითხში ვერ გავიზიარებთ. ცხოვ-
რების რაობის გაგებისა და ადამიანის დანიშნულების საკით-
ხის გარკვევისას ის, უდავოდ, იზიარებს ქრისტიანული რელი-
გიის ძირითად დებულებებს, რომლებიც ადამიანისაგან მოითხოვდა
ამქვეყნიური სიტკბოების დათმობას იმქვეყნიური სასუფევლის
მოპოვების მიზნით. არჩილს ვერც იმაში დავეთანხმებით, როცა ის
ცხოვრებას წარმოგვიდგენს რაღაც მაჭლაჭუნა არსებად, რომელსაც
მხოლოდ და მხოლოდ ბოროტება და სხვა მახინჯი თვისებები ახა-
ნიათებს. როგორც ცნობილია, ცხოვრების ასეთი გაგება უმეტეს
შემთხვევაში პესიმისტურად განწყობილი ადამიანებისათვის არის

¹) ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., ტ. II, თბილისი, 1940. გვ. 208.

დამახასიათებელი. საბჭოთა ადამიანისათვის ცხოვრება შრომისა და ბრძოლის ასპარეზია, სადაც ოპტიმიზმით აღფრთოვანებული ადამიანები თავდადებით იბრძვიან დიადი მომავლისათვის.

სოციალური ურთიერთობის საკითხში არჩილი იმავე აზრს ავითარებს, რომელიც მან „თეიმურაზისა და რუსთველის გაპაასებაში“ წამოაყენა. არჩილისათვის მისაღებია პატრონყმურ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

არჩილი, რა თქმა უნდა, კლასობრივ წინააღმდეგობას უარყოფს. მისი იდეალია მამაშვილურ დამოკიდებულებაზე დამყარებული პატრონყმური სისტემა, სადაც უფროს-უმცროსობის წესი ურყევად იქნება დაცული. პოეტი ერთგან, გარკვეული მოსაზრებისა გამო, გლეხობისადმი ძალმომრეობის აღკვეთის მომხრეა და ამბობს: „გლეხს ძალი მოაშორეთა“ (260). ყმებისაგან კი ის კატეგორიულად მოითხოვს შებატონებებისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებისადმი მონურ მორჩილებას:

„თავის პატრონსა დამონდით კარგ-გულად, ნუ ავ-პირეთა, სჯულის-თავთ, ეთვისკაპოსთა თაემდაბლად ემსახურეთა.“ (271) თხზულების 141-ე სტროფში, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, არჩილი თითქოს ქონებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ არჩილი საზოგადოებაში არსებული ქონებრივი სხვაობის წინააღმდეგი კი არ არის, არამედ მხოლოდ მოითხოვს, საზოგადოების დაბალი წრის ადამიანებსაც კქონდეთ ასე თუ ისე ნორმალური ცხოვრების პირობები და კარდაკარ სხვისი „ნაცუნცლის“ მძებნელები არ იყვნენ.

თხზულების სხვა სტროფებიდან ჩანს, რომ არჩილს სრულიად კანონიერ მოვლენად მიაჩნდა ქონებრივი უთანასწორობა და კიდევ ცდილობდა მის სათანადოდ დასაბუთებას, ამიტომ სოფელი კაცს მიმართავს:

„ყოველთ თუ სწორედ მოგეცესთ დიდება ეგ საპატიო, აღარცა ღმერთსა უმადლდეთ და არცა ის საპატიო.“ (183) აღნიშნული საკითხის გაგებაში არჩილი, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ კიდევ აქარბებს და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის შეუფერებელ შეხედულებებსაც გამოთქვამს. მაგ., მისი აზრით, ქონების, სიმდიდრის და აქედან გამომდინარე ფუფუნებით ცხოვრების ღირსია თითქოს მხოლოდ თავადაზნაურობა, რომელსაც კარგად ეხერხებოდა ზმა, ხუმრობა და დანის ხმარება:

„ბევრს ასეთს მისცემ სიმდიდრეს, ვირობს და იკაშბეჩაო, დანის ხმარებაც არ იცის, თუ არ კბილებით კბეჩაო, ვინ იცის შენი ხელისყრა, ღარიბობს, მატყლი ჩეჩაო.“ (175)

„არ იცის ზმა და ხუმრობა, არც ესმის, ვერ აიტანსა, აზნაურშვილად არ ვარგა, ჭარში ნუზღს არ მოიტანსა.“ (177) არჩილი ქონების ხელშეუხლებლობასაც მოითხოვს, მხოლოდ

მდიდრებს სავალდებულო კანონად უდებს ღარიბებისადმი დახმარებასა და ხელის გამართვას.

„რაც ჰქონდეს, არვის უქერდეს, ზოგთა აძლევედეს სესხითა, ყველამ აქეთ და შენატრეთ, თავს ნურვინ ნუ დაესხმითა.“ (135)
(ასეთი შეხედულებები სოციალური ურთიერთობის საკითხებზე უშუალოდ გამომდინარეობდა იმ წრის კლასობრივი ბუნებიდან, რომლის მეთაური და ბურჯი თვით არჩილი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის მეფე-პოეტისაგან სოციალური ურთიერთობის სხვაგვარი ახსნა, ან გაგება არც იყო მოსალოდნელი.)
ამ თხზულებაშიც არჩილი მისთვის დამახასიათებელი დაურიდებლობით ამჟღავნებს და გმობს ფეოდალური არისტოკრატის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ უარყოფითსა და მახინჯ მხარეებს.

მას მეტისმეტად აშფოთებს ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდლოებისათვის ჩვეული სამარცხვინო ხელობა, რომელიც ტყვეთა ვაჭრობის სახელწოდებით არის ცნობილი. არჩილი ამ საზიზღარ ჩვეულებას ქართველი ფეოდალური არისტოკრატის გადაგვარებისა და დაკნინების გამოსატულებად თვლის. ის ხედავს, რომ ეს სენი თანაბრად იყო გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ერთერთ სტროფში არჩილი ხაზგასმით აღნიშნავს ამ სამარცხვინო საქმის საყოველთაო ხასიათს. სასტიკად გმობს მას და ზნედაცემულ თავადაზნაურობას იმქვეყნიური სასამართლოთი აშინებს:

„იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა ანუ საქართლეთ,
ვინ ჩემის ცრუ-დიდებისად აქ რამე იუსამართლეთ,
ტყვე სტყვენეთ, ზაკვით იფიცეთ და ამხანაგი მოლაფლეთ,
რამე მიუგოთ უფალსა, ბრძანეთ თუ რითა განმართლეთ?!.“
(208)

არჩილი განსაკუთრებით ხმას იმაღლებს იმდროინდელი საზოგადოების უმარტესი წრის წარმომადგენელთა გადაჭარბებული ნებირობის, გაუმამრობისა და ზნეობრივი აღვირახსნილობის წინააღმდეგ. ამ ჭგუფის ადამიანები, რომლებიც, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„ზოგი გაძღა, ზოგი დათერა, ზოგს კიდეც კი გამოჰქარდა“
„თასს ამრუდებს, სუფრაზედან აქცევს, ჩქერენ კიდეც კვალად“.

ცურავდნენ რა უზნეობის მორევში, მათ სრულიად დაკარგული ჰქონდათ მაღალი ადამიანური თვისებები, გადაქცეული იყვნენ ეგოისტ, ხარბ ცხოველებად და ყურს არ უგდებდნენ მშვიერ-მწყურვალ თანამოძმეების თხოვნა-ვედრებას:

„მშვიერ-მწყურვალ კარს გადგა, გიძახის: „მოგვე ღეთისათვის“,“

ყურსა არ უგდებ, არ უსმენ, გარდაგიბიჯავს ჰკვისათვის.“ (191)

ცხოვრებაზე დაკვირვებული არჩილი კარგად ხედავდა, რომ იმდროინდელი გაბატონებული წოდება თავის პრივილეგიურ მდგო-

შარეობას ინარჩუნებდა მხოლოდ და მხოლოდ ძალმომრეობითა და უსამართლობით:

„სოფელო, სად იშობა აგრე მეფობა, მთავრობა, მამული, ანუ სალარო, თუ გინდა დიდ-ვაჭარობა? აგრე სიმართლით ვინ იპყრობს, ან ერთსა ვინ შეესწრობა? კიდეც რომ გითხრა, ნუ გიკვირს მაგის მე უარობა.“ (230)

კაცის ერთ-ერთ საპასუხო სიტყვაში არჩილი ირონიული ტონით მოხდენილად ამხილებს საზოგადოების მაღალი ფენების თავ-ამყებულ სწრაფვას სიმდიდრის, ძალმომრეობისა და „აზვავება-ქიშპობისაკენ“.

„ვინ დაგიჭეროს, სოფელო, მეფეს ნუ უნდა მეფობა, სახელი, ბრძოლა, ლაშქრობა, კვლავ ლხინი, ვარდთა მკრეფობა“. (232)

„თავადთ, მთავართა მთავრობა ნუ უნდა, საქმის ხელთ ქონა, აზვავება და სიმდიდრე, ქიშპები, ნუ დაბაქონა; ბერებს დიდ-დიდი სახელო, სულ უმცროსთ აგერ ოქონა, თუ ეს არ იპყრან, მაშ უთხარ, თუ თავი რთლა იქონა?“ (233)

დასასრულ პოეტი გრძნობს, რომ საზოგადოების ეს ნაწილი დასაღუპავად არის განწირული და მისი მხილება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს, ამიტომ გადაგვარების გზაზე მდგარ წოდებას, ჩვეულებისამებრ, იმქვეყნიური სასჯელით აშინებს:

„ჩემა უსაზღვროთ მოყვარემ, თქვენომ ხართ, ეგე დამაგვარ, კეთილი ვერა იყოთ რა, სიცრუვის საქმისა მომგვარ, აქ დაისაჯნეთ, იქ წარსწყმდეთ, რას წამგვრით, მევე მალ მომგვარ“. (237)

არჩილი არ კმაყოფილდება მხოლოდ ნაკლის მხილებით, ამავე თხზულებაში იძლევა საინტერესო დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ხასიათის მითითებებს.

საერთოდ ცნობილია, რომ არჩილი ძველ ქართულ ლიტერატურაში პირველი დიდაქტიკოსი პოეტია; მისი „საქართველოს ზნეობანი“ ზნეთსწავლულობის შესანიშნავ ტრაქტატს წარმოადგენს. არჩილის დიდაქტიკა ერთ-ერთი საინტერესო საკვლევაძიებო თემაა, რომელზედაც შეიძლება კარგი შრომა დაიწეროს. ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს ყურადღება გავამახვილოთ იმ დიდაქტიკურ ხასიათის მითითებებზე, რომლებიც მხოლოდ „კაცისა და სოფლის გაბაასებაში“ გვხვდება.

არჩილმა თავისი პირადი გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ქვეყნის კეთილდღეობა ძლიერ იყო დამოკიდებული ერთმმართველ, მაგრამ განსწავლულ და პუმანურ მეფეზე, ამიტომ თხზულებაში ის განსაკუთრებული გულისხმობით ხატავს იდეალური მეფის სახეს. მისი აზრით, მეფე უნდა იყოს აბსოლუტური ხელისუფლების მქონე, რომლისადმი „უხამს შიში ყოველს კაცთა“. მისი თვალი ყველგან უნდა სწვდებოდეს, მას უნდა შეეძლოს სამართლის უნაკლოდ წარმოება. მას უნდა

ახასიათებდეს „სიბრძნე, გონება, ჭკვიტ ცოდნა საქმისა მომავალისა“. იყოს „ჭკვიტთა, ობოლთა მოწყალე“, ხოლო „ყოველს მძლავრს შინა უნდა დასდებდეს“. მეფე არ შეიძლება იყოს დესპოტი, მაგრამ არც ქალაქუნა ადამიანი გამოდგება ქვეყნის ხელმძღვანელად. ის „არცაივის სწვას ამძლავრებდეს“-ო, ამბობს არჩილი. აგრეთვე ის უნდა იყოს კარგი სარდალი, რომელსაც შეეძლება „ლაშქრის გაწყობა-ზავითა ქვეყანას გარე მორებდეს“. მეფეს სიბრძნე, სიძინჯე უნდა ახასიათებდეს და დასწავლებულ ქვეყანას ისე უნდა უწეკურნალოს, როგორც კარგმა ექიმმა ავადმყოფს. მართლაც, იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის ვითარება ასეთ მეფეს საჭიროებდა, მაგრამ საქართველოს მაშინდელი საშინაო და საგარეო ვხოვრების პირობები არ იძლეოდა საშუალებას, რომ ქართველი მეფეები არჩილის მოწოდების სიმძლავრე მდგარიყვნენ.

ცნობილია, რომ თეოდალურ საქართველოში მეფეების შემდეგ დიდი უფლებებით სარგებლობდნენ უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლები. ამიტომ „მორდელთ-მოდღვართა სწავლას“ არჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

პოეტი სასულიერო მამებისაგან განსაკუთრებული სიზუსტით მოითხოვს ზნეობრივი და სულიერი სიწმინდის დაცვას:

„მკუდროებითა ცხოვრება, განკრძალვა საუსულოსა.“ (268)

შენდგომ არჩილი თავისი სახელოვანი წინამორბედის გიორგი მთაწმიდელის მსგავსად სასტიკად ილაშქრებს საეკლესიო თანამდებობის ქრთამებითა და გვარიშვილობით დაპყრობის წინააღმდეგ: „ნურვიან ქრთამითა დაპყრობს, ნურც დიდ-გვარობით საყდარსა“-ო, ქადაგებს არჩილი; სხვათა შორის, არჩილი მეფეებსაც დიდ ნაკლად უთვლის, თუ რომელიმე მათგანი უღირსი ადამიანის მწყემსად დასმას დასთანხმდება: „მეფემ თუ მწყემსი უღირსი დასვას, რა ესე უქმნია?“. ვინაიდან, ასეთი მოქმედება სხვა ცუდ შედეგებთან ერთად ნიშნავს „თავის! სენზედა მკურნალი მოპყვის, უცოდნო, უქნია“.²

მისი აზრით, უნდა ფასდებოდეს ადამიანის პირადი ნიჭი და უნარი, ხოლო ასეთი თვისებების მქონე საეკლესიო მოღვაწე „სიმშვედისა და სიმდაბლეს ხამს გარ ჩხვევდეს სუდარსა“,

„წვრთილება და ქადაგება ხელთა ეპყრას მუდამ სტვირად“.

საყურადღებოა, რომ არჩილი ერთგვარ ბოდიშსაც კი იხდის მეფეებისა და მღვდელ-მთავრების წინაშე მათთვის რჩევა-დარიგების მიცემისათვის.³ საინტერესოა, რატომ დასჭირდა მეფე-პოეტს ასეთი საბოდიშო სიტყვების წარმოთქმა?

¹) იგულისხმება თვით მეფე. ბ. კ.

²) ეს მომენტი, ვფიქრობთ, ქართული ეკლესიის ისტორიის გასათვალისწინებლად საინტერესოა, რადგან აქიდან ჩანს, რომ არჩილის დროს უმაღლესი თანამდებობის სასულიერო პირის საბოლოოდ დამტკიცება თვით მეფის კომპენტენციაში შედიოდა.

³) სტრ. 267, 273.

შემდეგ არჩილი მოძღვრავს თავადაზნაურობას, ვაჭრებს და ყველა მოქალაქეს.

საერთოდ ბატონყმობისა, აგრეთვე ბატონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თუ რა აზრისა იყო არჩილი, ამაზე უკვე გვეჩვენა ზემოთ ლაპარაკი, ამიტომ აქ განმეორებით არაღვირს ვიტყვით. ვაჭრებს კი განსაკუთრებით უძრახავს სიცრუეს, ორპირობას, თან აფრთხილებს:

„ჩვენგან სიცრუით ნაშოვნნი წაგერთმის კვლავ სიცრუითა“. (280)

მიწის მუშაკს ურჩევს „წმინდა შრომით ნათესი მოიმკოს“ და „არ ნაპარევი.“ საერთოდ კი ყველას მიუთითებს, რომ „უნაყოფვნოდ სვი. კამე, ლხინი, მინახე, ვთქვი სადა?“ აგრეთვე ღარიბებისა და ქვრივ-ობლების განკითხვა, ამხანაგების ხელის გამართვა—არჩილის ბევრ აღიარებულია ადამიანის საუკეთესო თვისებად.

საინტერესოა ერთ-ერთი დარიგება, რომელსაც არჩილი საერთოდ საზოგადოების ყველა წევრს აძლევს. მისი აზრით, ადამიანის შეფასებისას მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული გარეგნული მორთულობა. მდიდრული ტანსაცმელი, ვინაიდან მშვენიერი სამოსი შეიძლება ფარავდეს ადამიანის უვიცობასა და გაუნათლებლობას, ამიტომ პოეტი გარკვევით მიუთითებს:

„ტანისამოსის სიკეთით ვნახე თავს გარდმონარები,
დიდებულთა და მძვინვარე, შინაგან ეკალ-ნარები,
რა გაუსინჯეს ზრდილობა, არ იყო მოსახმარები.“ (293)

არჩილის აზრით, პირიქით კი შეიძლება მოხდეს, სადაღ ჩაცმულმა სანიმუშო ჩვევები გამოამჟღავნოს:

„საიად მოსილს უმზერენ საქციელ განკრძალულადა,
მერმელამ რა თქვა სასიბრძნო, ყური მიუბურეს სრულადა,
დაპკრა ზნე-კეთილობასა სანდომად, კარგ-უსულადა“. (295)

(თხზულებაში დიდაქტიკური შეხედულებების გამომხატველ სტროფებში აგრეთვე ჩაქსოვილია არჩილის პატრიოტული გრძნობები და მისი პოლიტიკური იდეალები.

არჩილის ოცნებას წარმოადგენს ერთი მეფის ხელქვეშ ერთიანებული საქართველო; რომელიც ძლიერი იქნება როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. პოეტი სამშობლოსადმი ერთგულებისა და სიყვარულის დიად გრძნობას უნერგავს თავის თანამემამულეებს) ის კატეგორიულად მოითხოვს მთელი ეროვნული ძალების გაერთიანებას და საქიროების დროს გადამწყვეტი იერიშის მიტანას პირსისხლიანი მტრების წინააღმდეგ. ძლიერი პატრიოტული გრძნობებით გამთბარი არჩილის სიტყვებიდან ორიოდვე სტროფის აქ მთლიანად მოვიყვანთ:

(„შეირტყთ სარტყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა,
თქვენის ქვეყნისა სიმაჯრის, მეფეთა ერთგულობისა;

1) ვფიქრობთ, არჩილის ეს მოსახრება: მომდინარეობს ზღაპარის მიერ ნაამბობი პირველი იგავიდან. იხ. „სიბრძნე ბალაჰარისა“. ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. 17--20.

ცხენი, აბჯარი გაიწყეთ სალაშქრო, ნადირობისა,
როსცა დასჭირდეს პატრონსა, სჯობს, ვინც მალ მიესწრობისა.“
„სიხარულით წადით ლაშქარს, თუცა სისხლი გენტხეოდეს,
ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არეინ შეულონდეს.
ვინცა მოკედეს სჯულისათვის, დაიჭერე, ესე ცნონდეს.

რაც გადარჩის მეწინავე, მას სახელი დიდი ჰქონდეს.“ (286-287)
დასასრულ ეს თხზულება კიდევ ერთი გარემოებით იმსახურებს
ყურადღებას; არჩილი კარგად გამოხატავს მისი თანამედროვე სა-
ზოგადოების სასულიერო მწერლობისადმი გულისაცრუებას და
საერო ლიტერატურით დაინტერესებას:

„საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახედენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით.
უმჯობესი დაივიწყეს წესის რასმე აწ ახლობით,
სიმართლესა მრუდზედ სცელიან სიცრუეისა მომზახლობით“.

(355)

მართალია. ამ ვითარებას რელიგიური განწყობილების მქონე
არჩილი გულისტკივილით აღნიშნავს, მაგრამ საზოგადოების იდეო-
ლოგიაში მომხდარი ასეთი ცვლილება ფაქტი იყო და „მართლის
თქმის“ მოყვარული არჩილი მისთვის არასასურველი მომენტის
აღნიშვნას გვერდს ვერ აუვლიდა.)

თხზულების დაწერის თარიღის შესახებ არჩილი ზუსტ ცნო-
ბებს იძლევა. თხზულება მას დაუწერია ქ. ასტრახანში, 1684 წელს,
სამი თვის განმავლობაში, იანვრიდან მარტის ოცდაათამდე.

მხატვრობის თვალსაზრისით ეს თხზულება „თეიმურაზისა
და რუსთველის გაბაასებასთან“ შედარებით უფრო მდარე ხარის-
ხის არის, თხზულებაში უფრო მეტია მშრალი მსჯელობა, ვიდ-
რე მხატვრულად გამართული აღვილები.

თხზულებაში რამდენიმე მოხდენილი აფორისტული გამოთქმა
გვხვდება:

1. მცირე რამ სჯობს სიმართლითა, დიდს სიცრუით მოგებულსა.
(152)

2. მამული სჯობს მამული ნაძლადეცს უმკვიდრესა. (167)

3. მოყვარესა მატყუარსა ვნება მოაქვს, არ პირ-მთქმელსა,
მართლის მთქმელის მტერისაგან უფრო ნახვ სარგებელსა. (170)

4. უმჯობეს არის სახელი კეთილი განძსა მრავალსა. (284)

5. თუ არ ძალ-გიძეს გულისა განურისხველად შენახვა.

ენა დადუმენ, ნუ გინდა ავის თქმა, სულთქმა, შენ ახვა:
მერმელა გულიც დაამდეს, მოგინდეს კაის შე ნახვა.

პირველ ქმნისაგან უწინ სჯობს საქმის გასინჯვა, შენახვა.“ (307)

თხზულებაში არის აგრეთვე რამდენიმე მაჯამური სტროფი და
მხატვრული შედარების მაგალითი, მაგრამ ესენი არაფერს მატებენ
არჩილის პოეტურ სახელს, ამიტომ მათზე არ შეეჩერდებით.

„კაცისა და სოფლის გაბაასებას“ მოტივებისა და იდეის მხრივ
დიდი გავლენა ემჩნევა თეიმურაზ პირველის თხზულებებისა, რო-

გორცვაა: „სიტყვა სწავლისა“¹ და „სოფლის სამდურავი“²
როგორც არჩილის, ისე მისი წინამორბედი პოეტის თეიმურაზ
პირველის აზრით, წუთისოფელი ცრუ, დაუნდობელი და გაუტა-
ნელია. მაგ., თეიმურაზი ასე ახასიათებს წუთისოფელს:
„სიტყუე ანუ სიტყაფე სხვაცა ვთქვა ერთი მისი და,
მუხბოლობა არის თავიდგან სულ მისი დასაწყისი და.“
(„სიტყვა სწავლისა“, 92)

თითქმის ასეთივე აზრისა არის არჩილი წუთისოფელზე, რაც
მას „კაცისა და სოფლის გაბაასების“ 29-ე სტროფში აქვს გამოთქ-
მული.

წუთისოფლის ზოგაერთი ცუდი დამახასიათებელი ნიშნის
შეფასებისას ორივე პოეტი ხშირად ერთმანეთის მსგავს შეხედულე-
ბას გამოხატავენ. მაგ., წუთისოფლის განუკითხაობა, როცა ის
ახალგაზრდა ადამიანს უდროოდ სიცოცხლეს უსპობს და მიწასთან
ასწორებს. „კაცისა და სოფლის გაბაასებასა“ (239) და „სიტყვა
სწავლისაში“ (სტრ. 96) ერთნაირად არის ასახული. მცირე-
ოდენი განსხვავებული სიტყვიერი სამოსელით არის გად-
მოცემული ორივე პოეტის მიერ წუთისოფლის შესამე უარყოფითი
თვისება, სახელდობრ მისი ცვალებადი ბუნება. მაგ., თეიმურაზ
პირველის „სიტყვა სწავლისას“ 94-ე სტროფი თავის პარალელს
პოულობს არჩილის „გაბაასების“ 313-ე და 314-ე სტროფებთან.

ასეთივე მსგავსი ადგილები შეიძლება დაიძებნოს თეიმურაზის
მეორე თხზულებაში „სოფლის სამდურავსა“ და არჩილის ამავე
თხზულებას შორის. მაგ., წუთისოფლის თვალთმაქცური ბუნება
ორივე თხზულებაში თითქმის ერთნაირად არის გადმოცემული. ამ
მხრივ, ჩვენი აზრით, თეიმურაზის „სოფლის სამდურავის“ მე-11
და მე-18 სტროფები შესატყვისის პოულობს „გაბაასების“ მე-9 და
68-ე სტროფებში.³

თეიმურაზ პირველი, როგორც ვიცით, ცხოვრებასთან შერი-
გების გზას ადგება და თავის თანამედროვეებს დამრიგებლობითი
ტონით მიმართავს:

„მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთიერები,
ესრეთ ვინმაროთ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები.“ „სიტყვა
სწავლისა“. (105) :

ან კიდევ: :

„არ ვიტყვი: სრულად გაუშვით, ნუ გიყვარსთ სულ წასულითა.“
(91)

1) თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარა-
მიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით. თბილისი, 1934, გვ. 109—112.

2) იქვე. გვ. 138—141.

3) ციტატებისაგან შრომის ზედმეტად გადატვირთვის თავიდან აცილების
მიზნით აღვნიშნავთ მხოლოდ სტროფების ნომრებს.

თითქმის ასეთივე იდეა აქვს გამოთქმული არჩილსაც თავის თხზუ-
ლებაში:

„სოფელო, კიდეც გიზრახავ, არც გაგვესლება უშენოთ,
არას ვარგოვართ შენ არ გვეყე, ვით სასლეს ზე-ტყე უშენოთ.“
(215)

სხვა მსგავსი სტროფების დამოწმება კიდეც შეიძლებოდა, მაგ-
რამ, ვფიქრობთ, გამოთქმული აზრის დასადასტურებლად ესეც
საკმარისია.

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ თეიმურაზის გავლენა არჩილზე
უდავოა, მაგრამ გავლენამ ასეთი მკვეთრი გამოვლინება იმიტომ
პოვა, რომ ორივე პოეტი თანაბრად განუცდიდა თანამედროვე
ცხოვრების მკაცრ გავლენას. სხვაგვარად რომ ეთქვათ. არჩილის
პოეზიაში უკვე საკმარისად იყო მოწაზღვებული ნიადაგი იმისათვის,
რომ თეიმურაზის ლექსების მოტივებსა და იდეებს სათანადო
გამოძახილი ეპოვა.

როგორც ვხედავთ, არჩილი პირველი პურისტია ძველ ქარ-
თულ ლიტერატურაში. ის ხომ საქვეყნოდ აცხადებდა: „მითქვამს
ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“. ამ კიდეც: „მაგრამ ცუდია
გარევე ქართულს ენაში სხვასაჟი. ამ დევანის მიუხედავად,
არჩილი მაინც ვერ ახერხებს ბარბარიზმებისაგან განთავისუფლე-
ბას. მის ლექსიკაში საკმაოდ წიბოვება აღმოსავლური წარმოშობის
სიტყვები) ეს გარემოება განსაკუთრებით მკვეთრად შეინიშნება
„თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“, რომელშიაც გვხვდება
შემდეგი უცხოური წარმოშობის სიტყვები: იყვლიბი (29), მარაზი
(56), ისა (111), მეყორულე (312), ნუზლო (932), ფანჯიაკი (713),
კათლაკი (588), ზავალი (433) და სხვ.

მართალია. თეიმურაზ პირველთან შედარებით არჩილის პოე-
ზია უფრო სუფთა ბარბარიზმებისაგან, მაგრამ ენის სიწმინდის
ასეთი დიდი ქომადგისაგან მაინც არ იყო მოსალოდნელი ისეთი
სიტყვების ხმარება, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს ძველ
ქართულ სალიტერატურო ენასთან.

(არჩილმა თავისი „გაბაასებებით“ დიდი გავლენა მოახდინა
შემდგომი დროის ქართულ პოეტებზე. უდავოა, რომ არჩილის
გავლენით არის შექმნილი თეიმურაზ მეორის „რუსთველთან გა-
ბაასება.“)

(აგრეთვე არჩილის „კაცისა და სოფლის გაბაასებამ“ მისცა
სტიმული დავ. გურამიშვილს, რომ მას შეეთხზა თავისი „სიკვ-
დილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“ და „კაცისა და სა-
წუთროსაგან ცილობა და პქობა.“)

დასახელებული თხზულებები არა მარტო ერთ-ერთს განეკუთ-
ვნება, არამედ მათთვის საერთოა პრობლემის. დასმის საკითხი,
მისი გადაწყვეტის ხერხები და ძირითადი იდეა.

„თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“, აგრეთვე „კა-
ცისა და სოფლის გაბაასების“ ხელნაწერებისა და გამო-

ცემების შესახებ დაწერილებით ცნობებს გვაწვდის პროფ. ალ. ბარამიძე,¹ ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

დასასრულ. აკად. კ. კეკელიძე თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ შენიშნავს: „დილოგი კაცისა და სოფლისა“ ფორმით ძალიან მოგვაგონებს საშუალო საუკუნეებში ევროპაში გავრცელებულს და XVI საუკუნეში რუსულ ლიტერატურაში გადმოსულ დილოგს „ცხოვრებასა და სიკვდილს შორის“... მაგრამ შინაარსით ისინი ერთმანეთსაგან დიდათ განსხვავდებიან.“² ამ აზრის ნათელსაყოფად ჩვენ შევისწავლეთ რუსული „დილოგი ცხოვრებისა და სიკვდილისა“, რომლის ისტორია ასეთია:

XVI საუკუნეში გერმანული თხზულება „დილოგი სიცოცხლისა და სიკვდილისა“ სათანადოდ ილუსტრირებული შემოუტანიათ რუსეთში, კ. ნოვგოროდში. აქ ეს თხზულება ძლიერ მოსწონებიათ და კიდევ უთარგმნიათ რუსულ ენაზე. თხზულების რუსულ თარგმანს თანდათან მნიშვნელოვანი ცვლილებები და გადაკეთება განუცდია. მალე ის მეტად პოპულარული გამხდარა და რუსულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გადასულა.³

ძველი რუსული ლიტერატურის ქრესტომათიაში დაბეჭდილია ამ თხზულების ერთი რედაქცია, რომელიც თარიღდება 1620 წლით, ის ასეთი სახელწოდებისაა: „მოთხრობა და თქმულება სიცოცხლის სიკვდილთან კამათისა, სიცოცხლის გულადობისა და მისი სიკვდილის შესახებ“.⁴ ეს რედაქცია შინაარსის მიხედვით საკმაოდ სახეცვლილია თავდაპირველ რედაქციასთან შედარებით, ის წარმოადგენს თხზულების გარუსულებულ რედაქციას, რომელსაც განუცდია ზეპირსიტყვიერის ტრადიციის გავლენა.⁵

ეს თხზულება იწყება პატარა შესავლით, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ ერთ დიდ მინდორში მიდიოდა ლომივით ძლიერი კაცი, რომელიც იჭდა მხეცის მსგავს ცხენზე. კაცი შეიარაღებული იყო ორლესული მახვილითა და სხვა საჭურველით. მას მრავალ ბრძოლაში დაემარცხებინა ძლიერი მეფეები და მათი სახელოვანი გმირებიც დაეხოცა. დიდ ფიზიკურ სიძლიერესთან ერთად „კაცი იგი იყო აღსაესე გონებითა და ყოველითა სიბრძნითა სრულ“. კაცის მიზანს შეადგენდა, გადმოგვეცემს ავტორი, ეპოვნა ისეთი

¹) არხილიანი, ტ. I, გვ. VII—XX; ალ. ბარამიძე, ნარკვევები., ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 224—231.

²) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 524.

³) История русской литературы, т. II, Москва, 1946 г. стр. 293—294. И. Жданов, К литературной истории русской былевой поэзии, С. Петербург, 1904 г. стр. 102.

⁴) Хрестоматия по древнерусской литературе, XI—XVII вв. Москва, 1938 г. стр. 270—272.

⁵) იქვე.

ძალის მქონე შეფუ, გმირი ან მხეცი, რომელიც შეძლებდა ამ კაცთან შებმას. უუცრად კაცს მოველინა სიკვდილი, რომელიც შესაზარი შესახედაობისა იყო, მხოლოდ სახე ჰქონდა კაცისა. ის შეიარაღებული იყო სხვადასხვა ბასრი იარაღით. სიკვდილის დანახვამ ძლიერ შეაშინა მამაკი მხედარი, მაგრამ მან მხნეობა არ დაკარგა და ჩაება სიკვდილთან ბაასში. ამ მოკლე შესავლის შემდეგ იწყება კამათი კაცსა და სიკვდილის შორის. საუბარს იწყებს კაცი, რომელიც ასე მიმართავს სიკვდილს:

„ვინა ხარ, სასტიკო მხეცი? შენი საშინელი სახე კაცის სახის მსგავსია, მაგრამ ძლიერ შემზარავია.

სიკვდილი უპასუხებს, შენს წასაყვანად მოვედიო. კაცი გაბედულად უპასუხებს: მე არ გისმენ და არ მერწინა შენი. შემდეგ სიკვდილი ცდილობს დაამტკიცოს თავისი სიძლიერე და ამბობს: კაცო, არარაობაუ! რად არ გეშინია ჩემი? მეთენი, თავადნი და მღვდელმთავარნი? ჩემი შიშით შეპყრობილნი არიან, რადგან დედამიწის პირზე ყოველ ძლიერთა შორის მე უძლიერესი ვარ. სიცოცხლეს (იგივე კაცი) თავის მხრივ მიზნად ისახავს თავისი უპირატესობის დამტკიცებას და უშიშრად მიუგებს სიკვდილს: მე ძლიერი და მამაკი ვარ, ბრძოლებში მრავალი ლაშქრის გამანადგურებელი. არავის არ ძალუქს შემებას და როგორ გაბედე ჩემს წინააღმდეგ მარტოდ გამოსვლა, როცა მოხუცი ხარ და გამხდარ ცხენზე მჯდომი. მე პატივს ვცემ შენს სიბერეს, მხოლოდ ჩქარა გამშორდი, სანამ განგემირო ჩემი მახვილით. ასეთი პასუხით გაბრაზებული სიკვდილი შეტევას გადადის სიცოცხლის მიმართ და მას მკაცრად უპასუხებს: მართალია. არც ღონიერი ვარ და არც ლაშხი, მაგრამ მე ყველა ლამაზს. მამაცსა და ძლიერს ვამარცხებ. ადამის დროიდან ვიდრე ჩვენს დრომდე ვერაინ გაბედა ჩემი წინააღმდეგობა. ჩემთან შეზნა. ანის შემდეგ სიკვდილი ჩამოთვლის მოთიურ და ცნობილ ისტორიულ გმირებს, რომელთაც მან ბოლო მოუღო. ბოლოს დასძენს, ნუთუ შენ, კაცო, არ იცი ვინა ვარ მე? მე სიკვდილი ვარ. ასეთი პასუხის მოსმენის შემდეგ კაცი (იგივე სიცოცხლე) შეშინდება, მაგრამ ცდილობს შიში არ შეიმჩნიოს და მიმართავს სიკვდილს. რომ არ აქვს განზრახული სიკვდილთან ბრძოლა, არამედ სურს სიკვდილთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. კაცი მზად არის, თავისი ქონება კიდევ გაუყოს სიკვდილს, რომელსაც აფრთხილებს: წადი, უფალო ჩემო, ჩემგან, ვიდრე არ განვრისხდე შენზე და არ განდევნდე ჩემი მძვინვარება შენზედ. გაბრაზებული სიკვდილი მთელი რიგი საბუთების მოტანით ცდილობს თავის სიძლიერეში დაარწმუნოს სიცოცხლე. იგი მკაცრად შეუტევს სიცოცხლეს: ადამის-ძვე, არარაობაუ, ვერაფერი გიშველის: ვერც სახელი, ვერც სიმდიდრე, ვერც ძალი და ვერც გულოვნება. მე არ ჩამოგშორდები მანამ, სანამ არ გაგთელავ ჩემი ფეხებით. მე ვერ მომიყიდი ქრთამითა და სიმდიდრით. არც ლმობიერი ვარ, რომ შეგაწყალო და მოგიტეო. ველოდები უფლის ბრძანებას, რომ თვალის

დახამხამებაზე წაგიყვანო. ამ პასუხის მოსმენას შემდეგ სი-
ცოცხლე თავს დაძარცხებულად აღიარებს და სიკვდილს
სთხოვს, რომ განუტეოს თავის სულიერ მამასთან, რომელთან შე-
ხედრისას ის მოინანიებს თავის ცოდვებს. გამარჯვებული სიკვდი-
ლი ამ უკანასკნელი თხოვნის შესრულებას უარს ეუბნება სი-
ცოცხლეს. მას გადაწყვეტილი აქვს თან წაიყვანოს კაცო. დასასრულ
სიკვდილი აღნიშნავს, რომ ის კაცს მიუპარება უბნოდ და უჩინოდ,
როგორც ქურდი ღამეში. ამიტომ ადამიანი ყოველ წუთს უნდა
მოელოდეს სიკვდილს. ასეთია ამ თხზულების მოკლე შინაარსი.
როგორც ვხედავთ, არჩილის „კაცისა და სოფლის გაბაასენასა“ და
ზემოგანსილულ თხზულებას შორის მსგავსება არ შეინიშნება; პირ-
ველში ადამიანი და ამქვეყნიური ცხოვრება არის დაპირისპირე-
ბული. ნეორეში კი ადამიანი და სიკვდილი. მხოლოდ ორივე თხზუ-
ლება ერთსა და იმავე ქანრს ეკუთვნის. მათ მეტწაკლებად ახასია-
თებს გაბაასების ნიშნები.



თეიმურაზ მემოარი

(1700—1762)

თეიმურაზ მეორე თეიმურაზ პირველისა და არჩილის ლიტერატურული სკოლის პოეტია. ის არა მარტო თავისი წინამორბედების მიერ შემუშავებული თემტიკისა და იდეების თავისებურ გადამუშავებას აწარმოებდა, არამედ მან ძლიერ თართოდ გამოიყენა თეიმურაზ პირველისა და არჩილის მიერ ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული გაბაასების ენა. გაბაასების ენარისა არის თეიმურაზის ლიტერატურული შემკვიდრობიდან ყველაზე უფრო სრული ნაწარმოები „სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“ და ორი პატარა თხზულება: „გაბაასება რუსთველთან“ და „ხილთა ბაასი“.

სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება

„სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასებას“ ხელნაწერებში საკმაოდ ვრცელი სათაური აქვს: „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ერეკლეს ძის. მეფის თეიმურაზისაგან. რომელი იქმნა ცხებული შემდგომად წელაწლისა ცხრისა თქმისა ამისა: აწ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა“.¹

მართალია, ეს სათაური ავტორისა არ არის. მაგრამ მას მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა თხზულების დათარიღებისათვის. როგორც სათაურიდან ჩანს, ეს თხზულება თეიმურაზს დაუწერია ცხრა წლით ადრე, ვიდრე ის მეფედ იწინებოდა ცხებული (და არა დანიშნული ბ. ქ.). ცნობილია, რომ თეიმურაზმა ქრისტიანული წესით გვირგვინი იკურთხა (ანუ ცხებულ იქნა) მცხეთაში 1745 წ. 1 ოქტომბერს.² აქედან გამომდინარე თხზულება დაწერილი უნდა იყოს 1736 წელს.

ამავე სათაურიდან ჩანს, რომ თხზულების თავდაპირველი სახელწოდება ყოფილა „დღისა და ღამის გაბაასება“, „სარკე თქმულთა“ კი შემდეგ შერქმეული უნდა იყოს: „აწ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა“—ო, ამბობენ ხელნაწერთა გადამწერლე-

¹) იხ. ხელნაწერები: H—1193; S—342; S—1103; H—1732; S—5155; S—2676 და სხვ.

²) ნ. ბერძენიშვილი. რვ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით. ნაწილი I, გამოცემა მესამე. 1948, გვ. 375.

„ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 376—387.

ბი. ამიტომ, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ თხზულებას ვუწოდებთ ძხოლოდ ერთ სათაურს: „გაბაასება დღისა და ღამისა“.¹

„ღღისა და ღამის გაბაასებაში“² ერთმანეთს ეკამათება დღე და ღამე. თითოეული მათგანი ცდილობს დაამტკიცოს თავისი უპირატესობა, ამიტომ თხზულებაში დასახელებულია ისეთი მოვლენები, რომლებიც ხდება დღისით ან ღამით. თხზულება შედგება 825 სტროფისაგან და ორ ნაწილად იყოფა.

პირველ ნაწილში, რომელსაც ავტორი „სალმრთოს“ უწოდებს, გალექსილია ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებისა და ჩვენი ქვეყნის ბუნების მხატვრულ ასახვას.

თხზულებას წინ დართული აქვს 18 სტროფიანი შესავალი, რომელშიაც პოეტი ვრცლად მსჯელობს ღმერთის შესახებ და აღნიშნავს, რომ ის თხზულებას წერდა ლაშქრობის დროს:

„ვსწერდი ცხენს მჭდომი, ვლაშქრობდი იქით და აქეთ, სად არი“. შემდეგ იწყება თვით ბაასი, რომელსაც დღე იწყებს:

„მოგითხრობ ტყბილის სიტყვითა, არ ძალით, არცა მხნეობით, თქვა ღმერთმან: „იყავნ ნათელი“, სახელი დამდვა დღეობით, თვით მისგან დაბადებული შენზე ვარ ბევრ-გზის მეტობით, ღვთისაგან, არა არსებით, ყოფილხარ პირველ ბნელობით.“ (20)

დღე თავის თანამგზავრად ასახელებს დიდ მნათობ მზესა და ამით ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას:

„გეტყვი ნათელი ღამესა: შენს ამხანაგად მზევე რათა? დიდი ცთომილი მნათობი დღეს დაებადა მზერათა, როს აღმობრწყინდეს ქვეყანად, დაიწყებს ჩამომზერათა, მაშინ გამოჩნდეს სწორობა, მაჯობებ, თუშეცა ვერათა?!“ (22)

ღამეც თავისთავს ღვთისაგან გაჩენილად თვლის. შენ თუ ერთი თანამგზავრი მოგვეცა,—ეუბნება ის დღეს, სამაგიეროდ შე ექვსი მყავს: მთვარე, ოტარიდი, მუშთარი, ზუალა, ასპიროზი და მარიხი:

„რას გიკვირს, თუცა ცთომილი, დღეო, მოგვეცა ერთი-და? შენ თუ წილად გხვდა მარტო მზე, მე ღმერთმან მომცა ექვსი და:

მთვარე, ოტარიდ, მუშთარი-არ არის უარესი და, ზუალ. ასპიროზ, მარიხი მნათობი მუნ არესი — და.“ (23)

შემდეგ ისინი კამათობენ იმის შესახებ, თუ რომელი მნათობია უფრო მეტი ღირებულებისა — მზე თუ მთვარე. ამის შესახებ დღე ამაყად ამბობს:

„ვერ გამოჩნდების მზესთანა, შენ დახსენ მათი ქებანი, მთვარეს აქვს მზისგან მოცემით ცოტა რამ ბრწყინვალებანი, მზესა სცვათ მნათობთ რით აღრი?—არ გამართებს მათზე შეე-ბანი!“ (25)

¹) შით უმეტეს, როცა ჩვენამდე არცერთი ავტოგრაფიული ხელნაწერი მოღწეული არ არის.

²) თე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით. თბილისი, 1939, გვ. 1—101.

პაექრობა უფრო ფართოვდება და თითოეული მხარე თავის უპირატესობის დასამტკიცებლად ჩამოთვლის ძველი და ახალი ალთქმის ამბებს, რომლებიც თითქოს ხდებოდა დღისით და ღამით. ეს ნაწილი სრულდება ცნობილი შვიდი მსოფ-ლო საეკლესიო კრების აღწერით.

მეორე ნაწილში, რომელსაც პოეტი საეროს უწოდებს, დღე ასახელებს თამაშისა და გართობის იმ სახეებს, რომლებიც გავრცელებული იყო პოეტის თანამედროვე საქართველოში. ამის საპასუხოდ ღამე იგონებს ქალ-ვაჟის ქორწინებას თავისი დამახასიათებელი ჩვეულებებით და შემდეგ დღეს უამბობს იმ თხზულებებს შინაარსს, რომლებიც ცნობილ არის თავიანთი რომანული შინაარსით. აქ გადმოცემულია შინაარსი: „ვისრამიანის“, ვეფხისტყაოსნის“, „ლილ-მაჩუნნიანის“, „ვარდ-ბულბულიანის“ და „იოსებ-ზილიხანიანისა“. ლხინის გარდა, ღამე კაცის სიკვდილისა და გლოვის ამბავსაც გადმოგვცემს.

საკმაოდ ვრცელი პაექრობის შემდეგ უკანასკნელი სიტყვა დღეს ეძლევა. მისი აზრით, ღვთიური განსჯა სინათლეში უნდა მოხდეს, ვინაიდან სინათლით ბნელი „განქარდებაო“. ამიტომ დღე გაბედულად შესძახებს ღამეს:

„მე ნათელი ვარ, შენ ბნელი, ეს ჩემად ქებად კმანია“.

ასეთია მოკლე სიუჟეტური ქარგა ვრცელი თხზულებისა, რომელსაც გაბაასების დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშანი აქვს: ნაწარმოებში, როგორც დავინახეთ. ერთმანეთს ეკამათება ორი. ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებებისა და შეხედულების მქონე მხარე. თითოეული მათგანი ცდილობს მოწინააღმდეგის დამარცხებას და თავისი უპირატესობის დამტკიცებას. ავტორიც, გაბაასების ტრადიციის მიხედვით, ნეიტრალიტეტის დაცვას ცდილობს. თუმცა მიუღდგომლობას ბოლომდე ვერ იცავს. დაკვირვებული მკითხველი უდავოდ შენიშნავს, რომ თეიმურაზი, სრულიად სამართლიანად, უპირატესობას დღეს ანიჭებს, რაც ჩანს დღის ცნობილი სიტყვებიდან:

„არ ხარ ჩემს სწორად, ღვთისაგან ესე მჭირს წყალობანია,

მე ნათელი ვარ, შენ ბნელი—ეს ჩემად ქებად კმანია.“¹ (816)
ან კიდევ: „დღე მზიანი შეკნებითა ვით ესწოროს ღამე ბნელსა“?
(782)

მართალია, მოკამათე მხარეებს შორის სჯა-ბაასი არ მიმდინარეობს მკვეთრსა და სხარტ ფორმებში, გარდა ამისა თხზულების პირველი ნაწილიც საღვთო წერილის ზოგიერთი ეპიზოდის გალექსივას წარმოადგენს, მაგრამ ეს მომენტები სრულიად არ ამცირებს თხზულების გარკვეულ ღირებულებას. ნაწარმოების გადატვირთვა ბიბლიური ამბებით თვით პოეტის ძლიერი რელიგიური განწყობილების გამომჟღავნებელია, ხოლო ბაასის ერთგვარი მოღუწებუ-

¹) თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით. თბილისი, 1939.

ლი მიმდინარეობდა უნდა აიხსნას თხზულების შინაარსის თავისებურებით.

თხზულება ვერც ახალი, პროგრესული იდეების სიუხვით იქცევს ყურადღებას, რაც არჩილის „გაბაასებაში“ შეინიშნებოდა. ამ ნაწარმოებში მხოლოდ, განსაკუთრებით მეორე ნაწილში, „ფოტოგრაფიული სისწორითა“ ასახული ძველი საქართველოს ზნე-ჩვეულებანი და გართობა-თამაშობანი. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თხზულება ეთნოგრაფიისათვის იყოს საინტერესო და არა ლიტერატორისათვის, მაგრამ რაკი „ნაწარმოები იპდროინდელი გაბატონებული საზოგადოებრიობის გემოვნების ამსახველია.“¹ ამიტომ მას მხატვრული ლიტერატურის მკვლევარიც გვერდს ვერ აუვლის.

„დღისა და ღამის გაბაასების“ შინაარსისათვის თავის დროზე ყურადღება მიუქცევიათ ანტონ კათალიკოსსა და იოანე ბატონიშვილს.

პირველი თავის „წყობილსიტყვაობაში“ თეიმურაზ მეორის შემოქმედებას შემდეგნაირად ახასიათებს:

„თეიმურაზცა კეთილ-მსახური მეფე,
კეთილ-შუენიერ შაირთა მოქმედებდის,
ქცევანი მეფეთ, ანუ მთავართ ანუ სსხუათა,
ან ნაჭირობის, ანუ ასპარეზობის,
შაირთა შინა შეაწყუნა შუენიერად.“²

ხოლო იოანე ბატონიშვილი ხაზგასმით მიუთითებს— „მეფე თეიმურაზ მეორე კეთილმსახური მეფე იყო. წერილთა შინა გამოცდილ, ამან შეაწყო ქართველთა საყოფაქცეო წიგნი, თუ ვითარ მეფენი ანუ მთავარნი ნიციოდენ ეამსა ომობისა, ანუ განსვენებისას; აგრევე დროსა მდირობისასა და ასპარეზობისას; აგრეთვე ქორწინებისა და ეამსა ქირისა-უფლებებისასა და სსხუანი ესე ვითარნი.“³

მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ ორივე მწერალს მხედველობაში აქვს თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასება.“

● თხზულების შინაარსის სწორი გააზრება მოგვცა აგრეთვე მისმა პირველმა გამომცემელმა გრ: ქორქაშვილმა. ის წერს:

„თეიმურაზ მეორის თქმულიც არის საქებარი,
ერის ზნეობის მხატველი და სიმაართლით მოუბარი.“

მან გამოხატა ქართველთა ზნენი და ჩვეულებანი
საღმრთო, საერო ყოველი. აქამომდე თქმულეზანი.

ლექსად და ტკბილად გამოსთქვა, ჰყო სწორად შეთანხმებანი,
ამისათვის მის მწერლობას მისცა სარკის წოდებანი.“⁴ (6-7)

¹) ალ. ბარამიძე. ნარკვევები..., ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 470.

²) ანტონი. წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1853, გვ. 283.

³) იოანე ბატონიშვილი, მეორე უწყება ქართველთა მწერალთათვის. ძველი საქართველო ტ. I, 1909, განყ. 3. გვ. 28.

⁴) თეიმურაზ მეორე, სარკე თქმულთა, გრ. ქორქაშვილის გამომცემა ქუთაისი, 1870. გვ. 2, მხოლოდ აქ დაბეჭდ ღია თხზულების პირველი ნაწილი“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დღისა და ღამის გაბაასებაში“ მეტის-მეტი სიზუსტით არის აღწერილი ქართველი ფეოდალური საზო-გადოების ზნე-ჩვეულება. გართობა-თამაშობანი და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარე. მართალია, ამ მხრივ თეიმურაზის წინამორბედად არჩილი შეიძლება ჩაითვალოს თავისი „საქართვე-ლოს ზნეობანი“-ს, მაგრამ არჩილი საქართველოში არსებული „ზნეობების“ ჩამოთვლითა კმაყოფილდება, თეიმურაზის თხზუ-ლებაში კი „დაწერილებითაა აღწერილი, რაში მდგომარეობს ესა თუ ის „ზნეობა“, რა შინაარსისაა ის და როგორ სრულდება სინამდ-ვილეში“.¹

მართალია, თხზულებაში ძლიერ ზუსტად არის ასახული ქარ-თული ზნე-ჩვეულება და გართობა-თამაშობანი. მაგრამ დაკვირ-ვებულნი მკითხველი კარგად შეამჩნევს, რომ თეიმურაზს თავისი თხზულების, განსაკუთრებით მეორე ნაწილის, შექმნისას მხედვე-ლობაში ჰყოლია მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატის უმაღლესი წრე, რომელიც თავდავიწყებით ეძლეოდა ყოველგვარ შექცევასა და გართობა-თამაშობას. ამ გარემოებას პოეტი არ მალავს, რამ-დენჯერმე კიდევ მიუთითებს, რომ მეფე-მთავრები უსახლკროდ გატაცებული იყვნენ ნადირობით ან სხვა გასართობით:

„ოდეს მოუნდეს მეფეთა გულზედა ნადირობანი,

კაცი გაგზავნონ ჯელგისთვის, დაუწყონ მოგრობანი.“ (607)

ან კიდევ: „გათენდეს, დარჩეს ნადირი, ალყას შუაზედ რჩებისა, მეფე-ვაჟაკნი დახარდენ მესროლნი კარგ ისრებისა.“ (608)

ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო ადასტურებს ქორწინებისა და მასთან დაკავშირებული ადამ-წესების გათვალისწინება. უამრავი საჩუქრისა და ხანგრძლივი ღონისათვის საჭირო ხარჯის გალე-ბა, რა თქმა უნდა, ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავ გლეხობას არ შეეძლო. ეს დიდი მატერიალური სახსრები მხოლოდ საზო-გადოების მაღალი წრეების წარმომადგენლებსათვის იყო ხელმისა-წვდომი. ყველაფერს რომ თავი დაეაშობოთ, მზითვეში მსლებელთა გატანების უფლება ან საშუალება სხვას ვის ჰქონდა, თუ არა იმ-დროინდელ თავადაზნაურობას. ამ წესზე კი თეიმურაზი გარკვევით მიუთითებს:

„ტახტს ქვევით დასმენ მხოლებლთა, საზითოდ გასატანსაო, მეერთაყამეს ქალებსა დასმენ დედოფლის მხარსაო.“ (458)

მიუხედავად ამისა, თხზულება მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენ-ტია, რომელიც სიზუსტით ასახავს ქართველი ხალხის (თუმცა მაღა-ლი წრეების) ყოფა-ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტს. თხზულებაში ასახული ზნე-ჩვეულებებიდან ბევრი დღეს დავიწყე-ბულია, ამიტომ თხზულება შესანიშნავი უტყუარი წყაროა ეთნო-გრაფებისათვის ძველი ქართული ადამ-წესების შესასწავლად.

შეიძლებოდა ამით დაგვემთავრებინა თეიმურაზის „დღისა და

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941. გვ. 556.

ლამის გაბაასებაზე“ საუბარი, მაგრამ, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ასეთივე სახელწოდების თხზულება აქვს დაწერილი აგრეთვე ირანელ პოეტს—ასადი ტუსელსაც. მართალია, ასადი ტუსელის თხზულება უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე თეიმურაზ მეორის—„დღისა და ლამის გაბაასება“ და ორივე თხზულება ერთი და იგივე სახელწოდების მქონეა, „მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თეიმურაზის შრომა თარგმანია, პირიქით, მთელი მისი შინაარსი მაჩვენებელია თხზულების ორიგინალობისა, მისი ქართულ ნიადაგზე წარმოშობისა.“² ზემოთქმულში ღრმად დავრწმუნდებით, თუ ამ ორი პოეტის თხზულებას ერთმანეთს შევადარებთ როგორც შინაარსის, ისე იდეის მხრივ.

თეიმურაზ მეორის „დღისა და ლამის გაბაასების“ შინაარსი ჩვენთვის ცნობილია, ხოლო ასადი ტუსელის თხზულებას „მუნაზარი ლამისა და დღისა“,³ შესავალი არა აქვს და თეიმურაზის თხზულებასთან შედარებით ძლიერ პატარაა, ის შედგება 82 სალექსო სტრიქონისაგან.

როგორც ასადის თხზულების დასაწყისიდან ჩანს, მას ეს თხზულება დაუწერია გასართობად, იმის გამოსარკვევად, თუ რომელს ეკუთვნის უპირატესობა: დღესა თუ ლამეს. საუბარს იწყებს ლამე,⁴ რომლის აზრით: ლამის უპირატესობა დღესთან შედარებით ის არის, რომ ლამით შესრულებულ ლოცვას მეტი ღირებულება და მნიშვნელობა აქვს. ლამე ყოველი ნაკლის მფარველია და სიამოვნების მომგვრელი, დღე კი პირიქით. ყურანში ლამე უფრო ადრეა დასახელებული, ვიდრე დღე. ეს იმიტომ, აცხადებს ლამე, რომ მე ბნელი ვარ და სიბნელე სინათლეზე ადრე იყო. ლამე თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს თავისი უპირატესობა დღესთან შედარებით, ამიტომ მას ახალ-ახალი საბუთი მოჰყავს თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად, ლამეს თავისი თავი მეფედ გამოჰყავს, მისი თანამგზავრები და მსახურები ვარსკვლავებია, ხოლო არაბული წლის გამოთვლა, ხომ მთვარი იწყება, რომელიც ლამის მუდმივი თანამგზავრია.

შემდეგ ლაპარაკობს დღე, რომელიც თავის მხრივაც ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას. ის ასახელებს ისეთ ფაქტებს და მოვლენებს, რომლებიც მხოლოდ დღისით ხდება.

ჯერ ერთი, ამბობს დღე, ყველა მარხვა დღისით სრულდება. დღისით ხდება აგრეთვე წმინდა ადგილებში მოგზაურობა და სხვა დღესასწაულების გადახდა.

1) იხ. წინამდებარე შრომის გვ. 26.

2) ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, თბილისი, 1941. გვ. 558.

3) თხზულების სპარსული ტექსტი გერმანული თარგმანითურთ გამოქვეყნებული აქვს გერმანელ მეცნიერს პ. ეთეს.

იხ. H. Ethé, Über persische Tenzonen, გვ. 76-87.

4) ქვემოთ მოგვყავს თხზულების ძლიერ მოკლე შინაარსი.

შემდეგ დაპირისპირების მხატვრული ხერხის გამოყენებით დღე ცდილობს ღამის დამახასიათებელი ნაკლის გამოქმენებით თავისი უპირატესობის დადასტურებას: შენ, ეუბნება დღე ღამეს, შეყვარებულთათვის ტანჯვა და ბავშვთათვის შიში მოგაქვს; შენი თანამგზავრები არიან ღამურები, ქურდები, საფლავების მძარცველები. ჩემი დასაწყისია, ამბობს დღე, ციური მზე. შენ კი გაჩენილი ხარ მტერისაგან. მე მსგავსი ვარ აალებული ცეცხლის სინათლისა, შენ კი ნახშირის სიშავისა. მე გარემოს ვაძლევ ღამაზ შესახებ ღამაზს, შენ კი ამანინჯებ მას. შენ აბნელებ ადამიანის თვალს, ჩემი წყალობით კი ის სინათლით ივსება. ჩემი ღერი ღერი ისლამისა, ჩემი სამოსი სამხიარულოა, შენი მწუხარე. ხალხი ჩემგან, როგორც ანგელოზისაგან, ყოველთვის გარკვეული გზით დადის, შენგან კი, როგორც გაავებული დევისაგან, გზადაკარგულია.

ამითაც არ კმაყოფილდება შეტევაზე გადასული დღე და თავგამეტებით ცდილობს იმ არგუმენტების დარღვევას, რომლებიც ღამემ თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მოიყვანა.

შენი თანამგზავრი ვარსკვლავების ბრბო, მიმართავს დღე ღამეს, რა არის? ისინი გარბიან, როცა ჩემი მზე გაანათებს ქვეყანას. არაფერს ნიშნავს, რომ შენ ჩემზე აღრე ჰყავხარ უფალს ყურანში ნახსენები, თუმცა ყურანში ყრუც კარგ მსმენელზე აღრეა ნახსენები. არაბები თუ შენი მთვარით ცნობენ წელსა და თვეს, სამაგიეროდ ჩემი მზის საშუალებით ანგარიშობენ სპარსელები წელს. შენი მთვარე ჩემი მზის ბრწყინვალეობიდან იღებს სინათლეს და ასეთი მომსახურებისათვის მთვარემ პატივისცემით თავი უნდა მოიხაროს, ხოლო თუ მთვარე მზეზე სწრაფად დადის, ეს იმიტომ, რომ მთვარე მზის მღვეარია და, რასაკვირველია, მღვეარი შაჰის წინ გარბის. ლოცვათაგან სამი დღისით სრულდება და ორი ღამით.

დასასრულ დღე საკმათო საკითხის გადასაწყვეტად მოითხოვს მიმართონ ვაზირთა მეთაურს აბუ-ნასრ აპედს, რომელიც თხზულების ბოლო სტრიქონებში ძლიერ გაზვიადებულად არის შექებული. აბუ-ნასრი აქ წარმოდგენილია, როგორც სამართლიანი, კეთილშობილი, დიდებული და სახელგანთქმული.

ამგვარად სრულდება ასადის თხზულება, სადაც პაექრობის შედეგი არ ჩანს; არ არის ნაჩვენები, თუ ვის ერგო უპირატესობა, დღეს თუ ღამეს. თუმცა დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ ავტორის სიმპათია დღის მხარეზეა.

როგორც ვხედავთ, ასადი ტუსელის თხზულება გარეგნულად ისეა აგებული, როგორც თეიმურაზისა. ორივე თხზულებაში მოქმედ პირებად გამოყვანილია დღე და ღამე, რომლებიც ერთმანეთს ეკამათებიან. თითოეული მათგანი ცდილობს მოწინააღმდეგის დამარცხებას და თავისი უპირატესობის დამტკიცებას. მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, მათ შორის დიდი განსხვავებაც არის.

ეს სხვაობა ჩვენი აზრით, ისეთი დიდია, რომ თეიმურაზის თხზულება, არათუ თარგმანად არ შეიძლება ჩაითვალოს ასადის

თხზულებისა. არამედ პირველზე მეორის გავლენაც კი არ შეინიშნება, რაც შეპდეგი შედარებიდან ჩანს:

1. თეიმურაზ მეორის თხზულებას, რომელიც 825 სტროფასაგან შედგება, აქვს მოკლე შესავალი, ხოლო ასადის თხზულებას ასეთი შესავალი არ აქვს და თავისი მოცულობითაც ძლიერ პატარაა, შედგება მხოლოდ 82 სალექსო სერიქონისაგან.

2. თეიმურაზ მეორის თხზულებაში მოკამათები ერთიმეორეს მორიგეობით მიმართავენ: საუბარს იწყებს დღე, შემდეგ პასუხს აძლევს ღამე, ღამის პასუხს თან მოსდევს დღის პასუხი, შემდეგ ისევ ღამისა და ასე გრძელდება საკმაოდ ვრცელი თხზულების ბოლომდე. ასადის თხზულებაში კი სიტყვა-პასუხის ასეთი მონაცვლეობა არ გვაქვს. აქ კამათს იწყებს ღამე, რომელსაც სათანადო პასუხს აძლევს დღე და თხზულება, როგორც დავინახეთ, მთავრდება დღის საპასუხო სიტყვით.

3. თეიმურაზ მეორის თხზულების, განსაკუთრებით მეორე ნაწილის შინაარსი მთლიანად ქართულ მასალაზეა აგებული, აქ მხატვრულ სახეებში წარმოდგენილია საქართველოს წარმტაცი ბუნება და ქართველი ხალხის ადათ-წესები.

ასადი ტუაელის „მუნაზარეში“ კი ასახულია მაჰმადიანური სამყარო, თავისი დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებებით.

4. თეიმურაზ მეორის თხზულება ქრისტიანული ელფერის მატარებელია: მასში გალექსილია, როგორც ცნობილია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.

ირანულ თხზულებაში კი ამის მსგავსი, რასაკვირველია, არაფერია მოცემული.

5. ასადი ტუსელის თხზულებაში კამათის მსაჯად გამოყვანილია ავტორის თანამედროვე, ვაზირთა მეთაური აბუ-ნასრი აჰმედი, რომლის ქებისადმი არის მიძღვნილი თხზულების უკანასკნელი სტრიქონები.

ასეთი მესამე პირი თეიმურაზ მეორის თხზულებაში არ არის მოცემული, ამიტომ აქ ხოტბის გამომხატველი სტრიქონებიც არ გვხვდება.

6. თეიმურაზ მეორის და ასადი ტუსელის თხზულებანი ერთმანეთისაგან იდეურადაც განსხვავდებიან.

თეიმურაზი თავის თხზულებაში, განსაკუთრებით მეორე ნაწილში, არ კმაყოფილდება ქართული ტრადიციული ზნე-ჩვეულებების ჩამოთვლით, არამედ—აღნიშნავს, თუ „რა შინაარსისაა ის და როგორ სრულდება სინამდვილეში“. ამიტომ თხზულებაში უდავოდ დიდაქტიზმის ელემენტებიც შეინიშნება. ვარდა ამისა, თხზულების მეორე ნაწილი რეალისტური სტილით არის დაწერილი. ჩვენი პოეტი არჩილის სკოლის მიმდევარია და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული თემატიკის დამუშავებას.

ასადი ტუსელი კი თავის თხზულებას მხოლოდ გასართობად წერს და მას ვაზირთა მეთაურის პანეგრიკით ამთავრებს.

ასადი „მუნაზარეს“ დამახასიათებელ გზას მიჰყვება; ის მხოლოდ არკვევს, მოკამათე მხარეებიდან უპირატესობა ვის უნდა მიეკუთვნოს. თეიმურაზ მეორე კი გაბაასებას იყენებს თავისი იდეების გამოვლინებისა და გამოხატვის საშუალებად.

ეფიქრობთ, ამ ორი თხზულების შედარება კიდევ უფრო ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ძველი ქართული ლიტერატურა თავისი უანრებით, მოტივებითა და ლიტერატურული ფორმებით არ შექმნილა უცხო, კერძოდ ირანული ლიტერატურის გავლენით, პირიქით, ჩვენი ძველი ლიტერატურის ჩასახვა და აღორძინება უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებასთან. ის უაღრესად ეროვნული ხასიათისაა და ამსახველია ქართველი ხალხის ცხოვრების დამახასიათებელი თავისებურებისა.

თეიმურაზ მეორის კალანს ეკუთვნის აგრეთვე სამი თხზულება, რომელთა სახელწოდება ხელნაწერების მიხედვით ასეთია: 1)

1) „კიდურწერილობით თქმული საქართველოს მეფის მეორის თეიმურაზისაგან პეტერბურღს, 1761 წელსა, სეკდემბრის 12-სა დღესა.“

2) „ანბანთქება. ლექსად თქმული მეფის მეორის თეიმურაზისა, წელსა 1761, დეკემბრის 10-სა, ვისზედაც ზემო აკროსტინი ლექსად ბრძანა, ესეც იმაზედ არის.“

3) „ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა მცოდნესა, ბრძენსა რუსთველსა ზედა ბაასი მეფის, მეორისა თეიმურაზისაგან, პეტერბურღს“.

სამივე თხზულება სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა და მიძღვნილია ბარბარე ალექსანდრეს ასულისადმი, რომლის ვინაობა დღეს უკვე გამორკვეულია.

ამჟამად, ჩვენთვის საინტერესოა მესამე თხზულება, რომელიც თეიმურაზ მეორის თხზულებათა კრებულში წარმოდგენილია ასეთი სათაურით: „გაბაასება რუსთველთან.“²

გაბაასება რუსთველთან

„გაბაასება რუსთველთან“³ არის პატარა თხზულება, რომელიც მხოლოდ 21 სტროფისაგან შედგება. მაგრამ თეიმურაზ მეორის ლიტერატურული შეხედულებების გამოსარკვევად მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თეიმურაზ მეორე, როგორც მისი შემოქმედებიდან („ღღისა და ღამის გაბაასება,“ „გაბაასება რუსთველთან“) ჩანს, არჩილის ლიტერატურული სკოლის მიმდევარია. ჯერ ერთი, „გაბაასება რუსთველთან“ პლიერ მსგავსია არჩილის ცნობილი თხზულებისა რო-

1) ხელნაწერი. S 1512. გვ. 1262-1275.

2) გ. ჯაკობია, ტექსტისათვის; თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1939. შესავალი წერილი. გვ. XXV.

3) იქვე, გვ. 122-124.

გორც სახელწოდების, ისე ფორმის მხრივ. გარდა ამისა, თეიმურაზიც, არჩილის მსგავსად, უარყოფს ზღაპრული, ნახევრად ფანტასტიკური ამბების მთხზველობას და მოითხოვს ნამდვილი, „მართალი“ ამბის გალექსებას.

ასეთი შეგნებით გამსჭვალული თეიმურაზი თხზულების დასაწყისში აცხადებს:

„ვეუხსრათ: რად დაშერი ტყუილზედ, რაც სთქვი, არ იყო წისიო.“

„ნესტან-დარეჯან ვინ იყო, რომ აქო დაუცხრომელად“?

ტყუილის ტარიელისთვის სტირს ცრემლის შეუშრობელად.“ (3)
თეიმურაზის აზრით, უმჯობესი იყო რუსთაველს თავისი დიდი პოეტური გენია ნამდვილი რეალური ქალის შესამკობლად გამოეყენებია:

„სჯობდა მას ზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების, ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების, ვინც რომე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დაემალების“. (10)

თეიმურაზ მეორე მხოლოდ რუსთაველის ლიტერატურული მიმართულების წინააღმდეგია. სხვა მხრივ კი ის რუსთაველის, როგორც ქართული მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ოსტატის, თავყვანისმცემელია. ეს გარემოება მკვეთრად შეინიშნებოდა „დღისა და ღამის გაბაასებაში“. ამ თხზულებაში თეიმურაზის მიერ რუსთაველი დასახულია როგორც სწორუპოვარი ბრძენი პოეტი:

„თქვან მუნასიბი ლექსები ბრძენის რუსთველისგან თქმულე-ბი.“ (471)

ან კიდევ:

„ვიმოწმებ ბრძენსა რუსთველსა, ვიტყვი მის თქმულსა ყვე-ლასა.“ (606)

ასეთივე აზრი აქვს მას გამოთქმული აგრეთვე 519-ე, 536-ე 717-ე სტროფებში.

ამგვარივე აზრისაა რუსთაველზე თეიმურაზი „რუსთველთან გაბაასებაშიც.“ აქ იგი აღტაცებულია „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის სიმშვენიერით და პოემის დიდ პოპულარობასაც არ მალავს:

„თქვენი ღრმა მეტყველებანი უცხო რამ, საკვირველია,

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსები სხვას ლექსთა გამკიცხველია, საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია“. (9)

მაგრამ არჩილის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი პოეტი იქვე მოხდენილად მიუთითებს:

„თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია.“

თეიმურაზ მეორე სრულიად სამართლიანად გრძნობს რუსთაველის დიდ უპირატესობას და, წინააღმდეგ თეიმურაზ პირველის ერთგვარი სიჯიუტისა, უბრძოლველად უთმობს პირველობას XII საუკუნის დიდ ქართველ პოეტს. თავისთავის მიმართ რუსთაველს თვით თეიმურაზი ათქმევინებს შემდეგ სიტყვებს:

„თუ შე მაგ დროსა მეცოცხლა, გაგიმარჯვებდი შე დია,
ვისაც შენ აქებ. მაგაზედ კარგს ლექსებს გამოვთქვემდია,
რას სიტყვით შევამკობდი-და!—შენ კარში გაგაგდებდია!
რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედია!“ (21)

—თეიმურაზი თითქმის მთლიანად იზიარებს იმ აზრს, რომელიც უფრო ადრე ვახტანგ VI გამოთქვა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური რაობის შესახებ. თეიმურაზსაც ვახტანგის მსგავსად „ვეფხისტყაოსანი“ საღვთო-საერო თხზულებად მიაჩნია:

„შენი ნათქვამი საღმრთოდ, თუ საეროდ მოიხმარების.“ (10) ან კიდევ:

„საღმრთოდ, საეროდ სრული და რა ტკბილად გასაგონები!

კაცთათვის საკითხავადა სურვილათ მოსანდომები.“ (16)

მართალია, თეიმურაზი ქედს იხრის რუსთაველის პოეტური გენიის წინაშე, მაგრამ ის, არჩილის მსგავსად, მედიდურად ზევიდან დაცქერის და კიცხავს ჩვეულებრივ ხალხურ მელექსეებს, რომელთაც მხოლოდ მოკლე შაირების შეთხზვა შეუძლიათ:

„არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, ჭიანურისა,

ზედან ამღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას ცრუისა.“ (12)

თხზულებაში თეიმურაზი, როგორც ჩანს, მთლიანად ეყრდნობა რუსთაველის შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემას. მას რუსთაველი მიაჩნია თამარის სასაჯლის მდივნად, რომელსაც დიდი ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული და „ვეფხისტყაოსანი“ დასწერა თამარის უშუალო დავალებით:

„რადგან მიბრძანა. არ მქონდა მე საქმე დასალონები,

ვპოვე ამბავი, ლექსად ესთქვი, ვეკვ, იყოს მოსაწონები.“ (16)

უკანასკნელ ტაპეში, ვფიქრობთ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაზე უნდა მიუთითებდეს თეიმურაზი.

შედარებით პატარა თხზულებაში თეიმურაზი თავის პატრიოტულ განწყობილებასაც გამოხატავს: ის, ხედავს რა თავისი თანამედროვე საქართველოს სავალალო მდგომარეობას, შესტრფის და შეჰხარის რუსთაველის დიდებულ ეპოქას:

„როს ქვეყანაზე ვცხოვრობდი, ვიყავცა გალადებული,

ხელმწიფე მყავდა მალალი, დიდადაც გადიდებული,

მას დროს ქართველნი არ იყენენ მტრისაგან შეწუხებულნი,

მხიარულნი და შევებულნი ლხინობდენ გახარებულნი.“ (18)

ეს თხზულება, როგორც აღვნიშნეთ, გაბაასებას წარმოადგენს. მართალია, აქ პაექრობა მეტად შეზღუდულია (თხზულება მხოლოდ ერთი კითხვა-პასუხისაგან შედგება). მაგრამ თხზულებაში მოცემულია ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირება და უპირატესობის დამტკიცებისათვის ბრძოლა მაინც წარმოებს, თუმცა ამ ბრძოლას ცალმხრივი ხასიათი აქვს, ვინაიდან თეიმურაზი მალე თმობს ბრძოლის პოზიციებს და აღიარებს მოწინააღმდეგის უპირატესობას.

თეიმურაზ მეორეს აქვს აგრეთვე თხზულება: „ხილთა ბაასი.“ როგორც გამორკვეულია, თეიმურაზის ეს თხზულება არ არის

მთლიანად ორიგინალური, ის ამ შემთხვევაში ძლიერ განიცდის გარსევეან ჩოლოყაშვილის „ხილთა ბაასის“ გავლენას. ამიტომ თეიმურაზის ხსენებულ თხზულებას განვიხილავთ მაშინ, როცა შრომაში საუბარი გვექნება იმის შესახებ, თუ XVII-XVIII საუკუნეების ლიტერატურაში როგორ აისახა „ხილთა ბაასის“ თემა.

როგორც დავინახეთ, თეიმურაზ მეორე თავისი სახელოვანი წინამორბედის—არჩილის მიერ შემუშავებული ლიტერატურული ტრადიციების განმგრძობია. ის, არჩილის მსგავსად, ეროვნულ თემატიკას ქომაგობს და თავისი შემოქმედებითი მეთოდით რეალიზმს უახლოვდება.

ბევრი მაჯამური სტროფი გვხვდება „ღლისა და ღამის გაბაასებაში“, მართალია, თეიმურაზ მეორის მაჯამები რუსთაველისებური არ არის, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ორიგინალურია და ოთხ მაჯამურ ომონიმს იძლევა:

მაგ., სტროფი 32. მაჯამა— ასერით.

1. ასე რით?—მთვარეს მზეს როგორ ამჯობინებ?!
2. ასერით—გულს ნუ მიწყალებ დაქრით, დასერით.
3. ა სერით—როცა ამოსცილდება სერს.
4. ასე რით?—როგორ, რანაირად გამამტყუნებ.

სტროფი 439. მაჯამა—აბანოს.

1. აბანოს—ერთმანეთს ბანი მისცენ.
2. აბანოს—ლაწვი ცრემლით განბანონ.
3. ა, ბანოს—ანზე წარმოდგენენ ქალ-ყმანი.
4. აბანოს—აბანოში წამოასხამენ ჭალათს.

სტროფი 684. მაჯამა—ალალი.

1. ალალი—სანადირო ფრინველი.
2. ალალი—მისთვის გახდეს შესარავი, კუთენილი.
3. „ალალი“—იმღეროს „ალალი“.
4. ა ლალი—დალიოს ლალისივრი ღვინო.

სტროფი—748. მაჯამა—რამინა.

1. რამინა—„ვისრამინის“ გმირი.
2. რა მინა?—გულში იტყვის, ამის მეტი რა მინდა?
3. რა მინა—როგორც ღვინისგან წითლდება მინა (შუშა)
4. რამ ინა—არ სჭირდება ინა.

სტროფი 679. მაჯამა—ახალისი.

1. ახალისი—დაზრდის ახალ ბარტყებს.
2. ახალისი—ბაზიერი მიმინოს ახალისებს.
3. ახალ ისი—ახლა ის მწყერს გაუფრენს.
4. ახალისი—ძალღს ახალისებს.

1) ზოგჯერ ესარგებლობთ თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრულ კრებულზე დართული ლექსიკონით. იხ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებულის თბილისი, 1939. გვ. 235.

დავით გურამიშვილი

(1705--1702)

ძველი ქართული ლიტერატურის განვითარებას ერთგვარ დასრულებულ სახეს აძლევს XVIII საუკუნის დიდი ქართველი პოეტ-დავით გურამიშვილი, რომელმაც საკმაოდ განიცადა მისი წინამორბედი ქართველი მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობის გავლენა. როგორც ჩანს, ეს გავლენა გამოიხატებოდა როგორც იდეების, ისე ლიტერატურული ხერხებისა და ძველი თანრების გამოყენებით. ამით, რა თქმა უნდა, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს გურამიშვილი თავისი წინამორბედების მიმბაძველი იყო, პირიქით, დავით გურამიშვილი სრულიად დამოუკიდებელი პოეტური ხმის მქონე შემოქმედია. მან დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ყურადღებას იქცევს თემატიკას, იდეებისა და ლექსების ახალი ფორმებით.

ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ძველი ლიტერატურული თანრებიდან დავ. გურამიშვილი იყენებს გაბაასებას. გაბაასებას წარმოადგენს მისი ორა თხზულება:

1. „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“.¹

2. „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პკობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“.²

დავ. გურამიშვილი ძლიერ მოხერხებულად იყენებს თავისი იდეებისა და შეხედულებების გამოსახატავად გაბაასების ლიტერატურულ თანრს. თხზულებებისათვის დამახასიათებელია გაბაასების სპეციფიკური ნიშნები: ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირება, თხზულებებში ხდება უპირატესობის დამუკიცების მიზნით ბრძოლა, რომელსაც მეტად მძაფრი პოლემიკური ხასიათი აქვს, აგრეთვე ბაასი წარმოებს საკმაოდ ერცელი დიალოგის ფორმით, რომელშიაც მონაწილეობს მხოლოდ ორი მხარე. ეს თხზულებები არა მარტო თავიანთი ფორმით იქცევენ ყურადღებას, არამედ შიგ მოცემულია დავითის შეხედულებები სიკვდილსიციოცხლის, ადამიანისა და წუთისოფლის დამოკიდებულების საკითხებზე, რომლებიც ძლიერ აღელვებდა ერთ დროს ჩვენს წინაპრებს.

¹) დავით გურამიშვილი. თხზულებანი. აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1931. გვ. 186-192.

²) იქვე, გვ. 192-204.

ნიკვდილისა და კაცის შმლაპარაჟიბა და ცილობა

თხზულება პატარა შესავლით იწყება. შესავალში პოეტი ერთგვარ შიშს გამოხატავს იმ შეგნების გამო, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის დასასრული სიკვდილია, რომელიც მას ადამიანის ჩონჩხის სახით ჰყავს წარმოდგენილი ცელით ხელში.

შემდეგ კაცსა და სიკვდილს შორის იმართება ბაასი, რომელსაც კაცი იწყებს. კაცი თავის პირველ სიტყვაში აღწერს სიკვდილის გარეგნობას, გამოთქვამს გაკვირვებას და მიმართავს მას:

„ამდენი სულის ხოციოთა
რატომ არ დაიღალები!“ (4)

საპასუხო სიტყვაში სიკვდილი თავს იქებს:

„ყმაწვილნი ვხოცე წვრილები,
პატარა არ ვაპატარე“; (5)

და თან ეშუქრება მოხუც პოეტს, რომ ის მალე თავის მობაასესაც ესტუმრება.

მეორე პასუხში კაცი ითვალისწინებს სიკვდილის შემდეგ ადამიანის საშინელ ხედვას. კაცი სიკვდილს საყვედურით მიმართავს, რომ ის ხშირად ადამიანს ბუნებრივ სიკვდილს არ დააცლის და სიცოცხლეს ნადრევედ მოუსპობს. ამავე პასუხში კაცი ცდილობს სიკვდილის მორალურად განადგურებას და ირონიულად შენიშნავს:

„თუ შენ გვითბ, შენ გვკამ, შენს ნაქამს
ვინ გიხვეტს, გიწმენდს, გიგავსო;
თუ არეინ გიხვეტს, უთუოდ
ნეხვით ნიფხავი შიგ აესო.“ (9)

მომდევნო პასუხში სიკვდილი თითქოს თავს იმართლებს წაყენებულ ბრალდებისაგან და თავისთავის შესახებ ამბობს:

„სული ვარ ღვთისა ბრძანებით

სამსახურისა მჭერეტელი“.

კაცი გაკვირვებულია, რომ „მკლე და მშვიერი“ სიკვდილის ხელი მთელ მსოფლიოს სწვდება და არავინ რჩება მისგან „თვალ-ნათელ დაუშრეტელი“.

პასუხში სიკვდილი ასახელებს თავის თანამებრძოლებს, რომელთა დახმარებით ის თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს: ესენი არიან „სხვადასხვა ჭირნი ჴრიცხენი“, რომლებსაც თან ერთვის ის გარემოება, რომ:

„მრავალნი ხოცენ ერთმანერთს,
მე ჩემთვის განვისვენები.“ (14)

შემდეგ პასუხში კაცი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ

„სიკვდილ-სიცოცხლე ორივე
არიან ღვთისა განგება.“ (15)

ამიტომ სიკვდილს ირონიული კილოთი მიმართავს:

„ტურფა ხარ თვალად, ტანდა,
სულად ერჩევი ჭარშია;
ტანზედა დიბის ქათიბი
გიხდების კაბის არშია“. (16)

სიკვდილი არ მალავს მობაასის ფიზიკურ სიმახინჯეს; აღნიშნავს
კაცის „სიგონჯე-დაბრეცილობას“ და სიბუკეს, თან ებუქრება, რომ

„აწ მეცა მაგის პასუხად
თავს მოგჭრი უსაცილოდა.“ (17)

ხოლო როცა მოკვდები „შენ ჩემებრ სახე გეცვლების,
ძვლებ გამოხრული გახდები,
ტანთ ხორცი შემოგეცვლების.“ (19)

პასუხში კაცი გრძნობს, რომ ადრე თუ გვიან სიკვდილი მას ესტუმ-
რება, მაგრამ ის აღრინდელი შიშისაგან თავისუფლდება და სიკვ-
დილს ამაყად შესძახებს:

„ყოველთვის მზათა დაგხვდები,
თუნდა დღეს, თუნდა მო ხვალო.“ (20)

გაბრაზებული სიკვდილი კაცის პასუხით თავს შეურაცხყოფილად
გრძნობს, ამიტომ კაცს სასტრკად ემუქრება:

„აწ მე შენ ასე გაგხადო,
მშვიერმან მგელმან ვით თხაო.“ (21)

უკანასკნელ პასუხში კაცი გრძნობს, რომ ის სიკვდილის ხედრია,
მაგრამ მას აიძულებს ღვთის მწყალობელი ხელის მოგონება, ამიტომ
გაბედულად მიმართავს სიკვდილს:

„შენ ღმერთი ცეცხლის ტბაშია
ჩაგაგდებს დასაწვაჲდა,
ეს ჩემი სული ზეცადა
უკვდავი ხორციით წავა და.“ (22)

უკანასკნელ სტროფში მოცემულია ბაასის დასასრული, საიდანაც
ჩანს, რომ გამარჯვება სიკვდილს დარჩენია ხედრად.

როგორც ვხედავთ, ამ თხზულებაში დავით გურამიშვილი ეხება
და თავისებურად წყვეტს სიკვდილისა და სიცოცხლის ურთიერ-
თობის საკითხს. ღრმა რელიგიური განწყობილებით გამსჭვალული
პოეტის აზრით, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ღვთაების მიერ
დადგენილი კანონზომიერებაა, ამიტომ ის კაცის პირით აშკარად
აცხადებს:

„სიკვდილ-სიცოცხლე ორივე
არიან ღვთისა განგება.“ (15)

სიკვდილი კი მას ღვთის ნების შემსრულებელ პირად მიაჩნია:

„სული ვარ ღვთისა ბრძანებით
სამსახურისა მქერეტელი“-ო, აცხადებს სიკვდილი.

დავითის წარმოდგენა სიკვდილის გარეგნობასა და მის ავკაცობაზე
პოეტის ფანტაზიის ნაყოფი არ არის; როგორც ცნობილია, ცელიანი
ჩონჩხი იყო სიმბოლო სიკვდილისა, რომელიც ჩვენს პოეტს მეტად
მოხდენილად ჰყავს აღწერილი:

„ტანზედა ხორცი არ გაკრავს,
ხარ ცარიელი ძვლები:
თაგვის სოროებს მიგიგავს,
ცხვირი, პირი და თვლები,
ამდენი სულის ხოცითა
რატომ არ დაილაღები.“ (4)

პოეტი ძლიერ შემფოთებულია მოახლოებული საფრთხის გამო; მან იცის, რომ მის ბებერ სხეულსა და სულს მალე დაეპატრონება საზარელი აჩრდილი, რომლის სახელის მოგონება მასში საშინელ ზეზღსა და შიშს იწვევს:

„ამისთვის მწყდება წელი და
უკანა ზურგის მალეები,
მოვა და მომკლავს სიკვდილი,
მას ვერსად დავემალები.“ (2)

ერთი შეხედვით უცნაურად გვეჩვენება ღრმა მორწმუნე პოეტის ასეთი შიში სიკვდილის გამო, როცა ქრისტიანული რელიგია და მისი მესვეურები თავგამოდებით ამტკიცებდნენ „იმქვეყნად“ სულის უკვდავებასა და სამარადისო ნეტარებას. მაშ როგორ უნდა შევათავსოთ ერთმანეთთან პოეტის შიში და ქრისტიანული მოძღვრება სულის უკვდავების შესახებ. ჩვენის აზრით, აქ წარმართობა არაფერ შუაშია, დავით გურამიშვილი წარმართულ იდეებს არსად არ ამეღავენებს, როგორც ამას ზოგჯერ კრიტიკოსი ფიქრობს.

მართალია, დავით გურამიშვილი მორწმუნეა, მაგრამ ის უკვე ახალი დროის ადამიანია, რომელიც ასე თუ ისე იცნობს იმდროინდელ რუსულ და ევროპულ კულტურას. დავითი არც გონებადახშული და ქრისტიანული სქოლასტიკის ვიწრო ნაქუქში ჩაკეტილი ადამიანია. ის ყოველ მოვლენას გონების თვალთ ზომავს და აფასებს. როგორც ჩანს, მრავალი წლის დაკვირვება და გამოცდილება მას რელიგიურ განწყობილებას ბზარავს და მასში სკეპტიციზმის წვეთებს უშვებს. ამ ეჭვებს, რომლებიც იმ დროისა და წრის გავლენით არის გამოწვეული, რომელშიაც დავით გურამიშვილი მოღვაწეობდა, კიდევ უფრო აძლიერებდა პოეტის დიდი სიყვარული ამქვეყნიური ცხოვრებისადმი, რაც კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ლექსში:

„ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცხრომასა და შევებასა,
მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშვებასა.“
მით უმეტეს, რომ დავით გურამიშვილმა კარგად იცის ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბოება, რომელიც მას ახალგაზრდობის დროს გახუცდა:

„ბალად ვიჯდი მასთან, ვისაც ვყვარობდი,
ვარღთა სუნით, ყვაეილთ ჰვრეტით ვხარობდი;
არა მაქენდა კვნესა, ვაი და ვიში,
არცა წარწყმენდისა რიდი და შიში.“¹

პოეტის ასეთი განწყობილებით არის გამოწვეული ის ირონია და გესლიანი სარკაზმი, რომელსაც დავითი გამოხატავს სიკვდილის მიმართ. მან იცის, რომ სიკვდილი მას სამარადისო ნეტარებას ვერ მიანიჭებს, პირიქით:

„დაგვხოცს და მატლთა შეგვაკმევს, გვამგზავსებს თავის
ძვალეებსა.“

1) დ. გურამიშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1931, გვ. 181.

ამიტომ დავათი არ იშურებს თავის პოეტურ ნიქს და სიკვდილს
დასცინის უალრესი სიმძაფრითა და სისასტიკით:

„თუ შენ გვთიბ, შენ გვკვამ, შენ ნაქამს
ვინ გიხვეტს, გიწმენდს, გიგავსო;
თუ არეინ გიხვეტს, უთუოდ
ნეხვით ნიფხავი შიგ ავსო.“ (9)

მეორე შემთხვევაში ირონია კიდევ უფრო მწვავეა, აქ უკვე სიკვ-
დილს დაცინვით მიწერილი აქვს ისეთი თვისებები, რომელიც მას
სრულიად არ გააჩნია:

„ტურფა ხარ თვალად, ტანადა,
სულად ერჩევი ჯარშია;
ტანზედა დიბის ქათიბი
გიხდების კაბის არწია.“ (16)

სკეპტიციზმის მიუხედავად, ბოლოს მაინც გაიელვებს მოხუცი
პოეტის გონებაში სულის უკვდავების აზრი და სიკვდილს ასეთი
სიტყვებით მიმართავს:

„შენ ღმერთი ცეცხლის ტბაშია
ჩაგაგდებს დასაწვაავადა,
ეს ჩემი სული ზეცადა
უკვდავის ხორციით წავა და,
წამოგიჯდება ზეიღამ
წაკულვად, საპრაწავადა.“ (22)

ლექსის ასეთი დამთავრება არ არის გასაკვირი, XVIII საუკუნის
მოხუცი პოეტი ათეისტი ვერ გახდებოდა. ჩვენთვის იმის გათვალის-
წინებაც საკმარისია, თუ როგორ ნელდებოდა დიდი ქართველი პო-
ეტის შეგნებაში იმქვეყნიური უკვდავების რწმენა.

ეს ლექსი გარდა იმისა, რომ პოეტის სულიერ სამყაროში
მომხდარ ცვლილებებს გვისურათებს, აგრეთვე ზოგიერთ ავტო-
ბიოგრაფიულ მომენტსაც შეიცავს. ლექსში ჩანს, რომ ლექსის
შეთხზვის დროს დავითი უკვე მოხუცი, „ბერიკაცი“ ყოფილა. ამ
გარემოებაზე ის ხშირად მიუთითებს: მაგ., სიკვდილი მიმართავს
კაცს, რომლის უკან, რა თქმა უნდა, თვით პოეტი დგას:

„შენ ბერიკაცი ცოცხალი
მაგდენს ხან ფიხზე გატარე“.

ან კიდევ: „საბრალოს ბერ-კაცს არ შერჩა
სიკვდილის თავს-აცილობა“.(23)

ლექსში არ არის დავიწყებული პოეტის სიბერის დროინდელი სი-
ბრმავე და „დაბრეცილობა“:

„კაცო, რად შენს თავს ვერ ხედავ,
თვით გონჯო დაბრეცილო და“.(17)

„კაცო, თვალთ გიჩანს, არ გიჭირს
ნემსზედა ძაფის აგება,
ჩემის იგავის საცნობლად
რად შენ თვალები აგება?“ (18)

საინტერესოა, რომ ლექსის დაწერის მომენტში დავათს ცოლი უკვე

ჰყოლია. ამიტომ სიკვდილი ლექსის ერთ ადგილას კაცს ხაზგანმით მიუთითებს:

„როცა გავლესავ, თავს მოგჭრი,
შენს ცოლს ჩავაცმევე შავსაო;
სულ ამოგიწყვეტ მოყვასთა,
გვარსა და ნათესავსაო“. (6)

საყურადღებოა, რომ აქ ცოლსა და ნათესავთა შორის დასახელებული არ არიან შვილები, რომლებიც მას, როგორც ირკვევა, არ ჰყოლია.

კაციხა და საწუთროხაგან ცილოგა და პოგა, ერთმანერთის ძვირის ხსენება

ადამიანისა და წუთისოფლის ერთიერთ დამოკიდებულების საკითხი XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მწერალთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო. ყველა იმდროინდელ პოეტს აღელვებდა ეს ფრიად საჭირობოროტო საკითხი, თითოეული მათგანი ცდილობდა მიმზიდველ პოეტურ ფორმებში ჩამოეყალიბებია და სათანადოთ დაესაბუთებია თავისი შეხედულებები.

ამ საკითხით დავით გურამიშვილიც იყო დაინტერესებული. ის ღრმად უკვირდებოდა და სწავლობდა მისი თანამედროვე ცხოვრების პირობებს, მის აუკარგაიანობას და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, თავის წინამორბედების მსგავსად, ცხოვრებაზე უაღრესად უარყოფითი შეხედულებები უმუშავდებოდა. წუთისოფლის დამახასიათებელი ცუდი მხარეების შეგნება პოეტში იწვევდა სევდასა და პესიმიზმს, რომელიც მის პოეზიაში წუთისოფლის გამობადვასა და მეტისმეტი უიმედობის გამომხატველი მოტივებით არის გაღმოცემული.

შეიძლება ითქვას, რომ წუთისოფლის გამობა და მღურვა ისე მძაფრად არავის გამოუხატავს, როგორც ეს დავით გურამიშვილის პოეზიაში გვაქვს მოცემული. თეიმურაზისა და არჩილის მიერ წუთისოფლის გამობა, როგორც აღვნიშნეთ, დროებითი მოვლენა იყო. ისინი ბოლოს, ასე თუ ისე, ისევ ცხოვრებასთან შერიგებას ქადაგებდნენ. დავით გურამიშვილის შემოქმედებაში კი ცხოვრებისადმი ასეთ კომპრომისს ვერ ვამჩნევთ. ამ გარემოებას, რასაკვირველია, აქვს თავისი მიზეზები, რომელთა შორის მთავარი და გადაწყვეტი მნიშვნელობის მაინც მშობლიური ქვეყნის ჩარხ-უკუღმართა და სავალალო ბედი არის.

XVII საუკუნეში დაწყებული საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური დაქვეითება XVIII საუკუნეში კიდევ უფრო გაძლიერდა. ქართველი ხალხის დიდმა ეროვნულმა ტრაგედიამ თავის ზენიტს სწორედ დავით გურამიშვილის დროს მიაღწია. ეს ის დროა, როცა ჩვენი ქვეყანა ძრანელების, თურქებისა და განსაკუთრებით ლეჩქების სათარეშო მოედნად იყო გადაქცეული. ქართველი მშრომელი ხალხის რბევასა და ძარცვა-გლეჯაში, სწუბედუროდ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არა მარტო შობილი ქვეყნე-

ბიდან მოსული დამპყრობლები, არამედ ისევე ჩვენივე ქვეყნის წარჩინებული წოდება, თავადაზნაურობა და რა გასაკვირია, თუ შობილიური ქვეყნის ასეთი მძიმე მდგომარეობა პოეტის გულში ძლიერ სევდასა და ნალველს იწვევდა. მით უმეტეს, როცა იგი მდგომარეობის გამოსწორების ვხას ვერსად ხედავდა. მაგრამ წუთისოფლის გმობა-წყვევლამდე დავით გურამიშვილი მიიყვანა არა მარტო საქართველოს მაშინდელმა უხუგეშო მდგომარეობამ, არამედ მისმა პირადმა, უკუღმართმა ბედმაც. დავით გურამიშვილმა პირად ცხოვრებაში მრავალჯერ იგემა საქართველოს აწიწილ-დაწიწილი მდგომარეობით გამოწვეული მძიმე შედეგები. ტყვეობა, გაპარვა, სოფელ-სოფელ ხეტიალი, უცხო მხარეში მიუსაფრობა, უპატივცემულობა და ბოლოს შორეულ ქვეყანაში უთვისტომოდ სიკვდილი. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, კიდევ უფრო აძლიერებდა პოეტს სევდიან განწყობილებას.

დავით გურამიშვილის თხზულების „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პკობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“ წაკითხვისას თითქოს მეორდება წუთისოფლისადმი მიმართული ის გმობა-მღურვა, რომელიც თეიმურაზ პირველისა და არჩილის პოეზიას ახასიათებდა. ეს არც გასაკვირია. სამივე პოეტს იდეურად აახლოვებდა მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობების თითქმის ერთნაირობა; საყვარელი სამშობლოს მძიმე მდგომარეობა და მისი დაკარგვა, უთვისტომობა და ბოლოს დაუტირებელი სიკვდილი სამივე პოეტისათვის მძიმე ხვედრი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, გაბაასებას წარმოადგენს დავით გურამიშვილის მეორე თხზულება „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პკობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“. ამ თხზულებიდან ჩანს, რომ დავითს ძლიერ აღელვებდა და აანტერესებდა ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხას დასმისა და გადაჭრისას დავით გურამიშვილს ძლიერ ეტყობა არჩილის ცნობილი თხზულების „კაცისა და სოფლის გაბაასების“ გავლენა. ამაში ღრმად დავრწმუნდებით, თუ ძლიერ მოკლედ მაინც გავითვალისწინებთ დავით გურამიშვილის თხზულების შინაარსს.

ბაასს იწყებს კაცი, რომელიც მოიგონებს რა მისი წინაპრების, ადამისა და ევას, მიერ დაშვებულ შეცდომებს, მიმართავს საწუთროსს.

„ცუდი რამ ხარ, საწუთროვო,
შენ ხნეთა გვირს რადგან ასე“. (26)

საწუთროს პასუხიდან ჩანს, რომ გურამიშვილს კარგად ჰქონია შეთვისებული გაბაასების თავისებურება. ამ პასუხში. საწუთრო, ჯერ ერთი, ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას, ხოლო მეორე მხრივ კაცის პიროვნების დამცირებას:

„შენ მე სიცრუის ხმას მიყრი,
შენ უფრო ცრუეი ხარო და;

თვით შენ ხარ ცრუი და წუთი
და აღრე წამაჲალია.

მე ღვთისაგან ვარ მკობილი,
ციო, ქვეყნით, მთითა, ბარითა,
შენ მიწა-წყალო, ქარ-ცეცხლო,
მკობიხარ, თქვი, აბა რითა?“. (30)

კაცი თავის მეორე პასუხში საწუთროს მოაგონებს იმ გარემოებას;
რომ ღმერთმა ერთ დროს მას საწუთრო ყმად მისცა, მაგრამ:

„შენ მტრად შემიქენ, არ მინდობ,
შემქნიხარ სისხლთა მჩქეფადო“.

გარდა ამისა, კაცს საწუთროს მუდმივი ცვალებადობა აკვირ-
ვებს; ის კაცს ხან ფიანდაზად ეშლება ფეხქვეშ, ხან კი შხამით საფ-
სე ფილას შეასმევს.

საპასუხო სიტყვაში საწუთრო ბრალს ისევ კაცს სდებს ვინა-
იდან:

„მაგრამ თქვენ ვერა ხელმწიფობთ,
როგორც რომ სამართალია“.

საწუთროს აზრით, კაცს არ აქვს ცუდისა და კარგის გარჩევის
უნარი, ამას ზედ ემატება ის გარემოება, რომ კაცი არის:

„თვალ-გული ხარბი, ანგარი,
მუცელი გაუძლომელი“.

საწუთრო ამასთან მიუთითებს:

„მე კეთილად ვარ ნაზავი,
ვინც ზომით მომიხმარებსა““. (38)

მომდევნო პასუხში საწუთრო კვლავ თავს იმართლებს კაცის წინა-
შე და უდიდეს დამნაშავედ ასახელებს კაცის წინაპრებს—პაპასა
და ბებიას და მის შორეულ ძმას-კაენს. პირველებმა, ჭამეს რა აკრ-
ძალული ხილი, თავიანთ შთამომავლობას საბოლოო ხვედრად სიკვ-
დილი განუშადეს, ხოლო კაენმა, მოკლა რა ღვიძლი ძმა: „სისხ-
ლით ქვეყანა თხაპო“, ამ მკვლელობის შედეგად:

„თავითგან კაცის სიკვდილი
კაცთაგან შემოღებულა;
აბელის სისხლის ღაღადი
ცათამდის აღონღებულა““. (58)

კაცმა პირველად იუკადრისა მისი წინაპრების ცუდად ხსენება
და საწუთროს სილაც გააწნა. შემდეგ ქარქაშიდან ხმალიც იშიშ-
ვლა, მაგრამ როცა მოისმინა ადამის, ევასა და კაენის მიერ ჩადე-
ნილი მძიმე დანაშაულის შესახებ საწუთროს სიტყვა, მან:

„ხმალი ქარქაშში ჩანაგო,
თავს ქუდი მიიხადაო;
საწუთროს თავი დაუქრა,
ბოღიში მიიხადაო““. (60)

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში დავით გურამიშვილი ადამიანი-
სა და წუთისოფლის დამოკიდებულების საკითხს არკვევს. მართა-

ლია, ამ საკითხს ის აგრეთვე ეხება თავის ცნობილ ლექსში: „დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამღურავი“.¹ მაგრამ „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პქობა, ერთმანერთის ძვირის ხსენებაში“ გაბაასების მოხდენილად გამოყენებით ის ერთმანეთს უპირისპირებს ადამიანსა და მის ცხოვრებას.

დავითს ცხოვრება, ან როგორც თვითონ უწოდებს საწუთრო, მაჩინა ცრუ, გაუტანელ, მუხთალ და მლიქვნელ არსებად. ამ აზრის დასადასტურებლად მას მოჰყავს უამრავი ფაქტი. პოეტი ამ შეშთხვევაში არ სჭირდება პირადი ცხოვრებით მიღებული დასკვნების გადმოცემას და თავისი შეხედულების დასადასტურებლად ბრძენთა ციმოვებს.

პოეტის აზრით, ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას ზოგჯერ ახასიათებს ბედნიერებისა და ნებიერობის შესანიშნავი მირაჟები, რომლებზედაც წუთისოფელი კიდევ მიუთითებს (მაგ., სტრ. მე-40). მაგრამ პოეტის სევდა-ნაღველსა და წუთისოფელზე უარყოფით წარმოდგენას კიდევ უფრო აძლიერებს იმის შეგნება, რომ ყოველივე ეს დროებითი და წარმატებაა. ამიტომ კაცი, რომლის პირით თვით პოეტი ლაპარაკობს, ნაღვლიანად აღნიშნავს:

„სულ ჩამაშხამებ ბოლოს დროს,

ტკივილით დამგლუჯ კბილებსა“.⁽⁴¹⁾

ბიბლიური წიგნების კარგად მკოდნე მოხუცმა პოეტმა იცის, რომ ღმერთმა, გააჩინა თუ არა ადამიანი ამქვეყნად, მასვე დაუმორჩილა მრავალფეროვანი სამყარო, მაგრამ მას აკვირვებს, რომ ღვთის მიერ დაწესებული კანონზომიერება შეცვლილია და მას ადრინდელი მონა-მსახური მტრად გადაქცევა:

„მე შენი თავი ყმად მომცა,

მოსამსახურედ. სეფედო,

შენ მტრად შემეჩვენ. არ მინდობ,

შემქნიხარ სისხლთა მჩქეფედო“.⁽³¹⁾

ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებულ პოეტს თავდაცვის მიზნით წუთისოფელი მოაგონებს, რომ ღვთიური წესრიგი პირველად თვით ადამიანის წინაპრებმა დაარლიეს აკრძალული ხილის ჭამით. გარდა ამისა, სიკვდილსაც, თურმე, პირველად დასაწყისი ადამიანის მოდგმამ მისცა:

„ჯინ ძმა მოკლა, აბელის

სისხლით ქეეყანა თხაპაო“.⁽⁵⁷⁾

ამ სამწუხარო ამბის მოგონებამ პოეტს ბრძოლის უნარი დაუკარგა. მან უყოყმანოდ მიიღო წუთისოფლის ეს მოსაზრება და პოეტის ორეულმა, მობასე კაცმაც:

„ხმალი ქარქაში ჩახავო,

თავს ქუდი მაიხადაო;

საწუთროს თავი დაუკრა

ბოდიში მაიხადაო“.⁽⁶⁰⁾

რელიგიური გრძნობით გამსჭვალული პოეტი თითქოს დარწ-

¹) დ. გურამიშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1931, გვ. 134-139.

მუნდა, რომ წუთისოფელი არ არის დამნაშავე ცხოვრების მოუწეს-
რიგებლობაში. დანაშაულის მთელი სიმძიმე ეკისრება მხოლოდ
ადამიანს, რომლის მამა-პაპები თავიანთი წინდაუხედაობით შეც-
დნენ და შთამომავლობას უანდერძეს სამუდამო ტანჯვა-ვაება.

როგორც ვხედავთ, „გურამიშვილის წარწელი პროტესტანტიზ-
მი ბოლოს ჩაახშო თეოლოგიურმა რაციონალიზმმა... რელიგიურმა
გზნებამ ჩაპკლა დავით გურამიშვილის გულის სკეპსისი“.¹

უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებულმა პოეტმა
ქრისტიანული რელიგიის მძიმე ხუნდებისაგან ხელ-ფეხი ვერ
გაითავისუფლა და თავი მორჩილად მოიხარა ლეთიური განგების
წინაშე:

„ბოდიშს მოვიხდი თავმდაბლად,
მასთან დაგებას ვაგებო“.⁽⁵⁹⁾

ეს თხზულება სხვა მომენტებითაც იპყრობს ჩვენს ყურადღე-
ბას. მაგალითად, ლექსში პოეტის ავტობიოგრაფიული ზასიათის
ცნობებიც გვხვდება. ამ მხრივ საინტერესოა 28-ე სტროფი. აქ
წუთისოფელი კაცს ეუბნება:

„შიდ ათას ორას ოთხმოც და
ორისა მე ვარ წლისაო,
შენ მე საწუთროს მიქახი,
წლისა სამოცდაცხრისაო“.⁽²⁸⁾

ან კიდევ:

„სამოცდაცხრის წლის კაცი ხარ,
ეგ რად არ აცი შენაო?“.⁽⁶³⁾

ე. ი. თხზულებათა დაწერისას, რაც დასაბამითს 7282 წელს ანუ
ჩვენი ერის 1774 წელს მომხდარა, პოეტი ყოფილა 69 წლისა. ამით
კიდევ უფრო დასტურდება, რომ პოეტი დაბადებულია 1705 წელს.²
როგორც ჩანს, ლექსის შეთხზვის მომენტში პოეტი სამხედრო
სამსახურიდან გამოსული ყოფილა, ვინაიდან ის ერთგან წუთისო-
ფელს შენიშნავს:

„მაკვეთებ ფერად საცმელთა,
ოქროსა, ვერცხლის ღილებსა:
აწ დამდგომია თვალები,
შეუჭამია მღილებსა“.⁽⁴²⁾

აქ ფერად საცმელში პოეტი გულისხმობს სამხედრო პირის ტან-
საცმელს, რომელიც მისთვის იმ დროს სრულიად მოუხმარებელი
გამხდარა. მას ამ დროისათვის ახლო მეგობრები და თანამემამულე-
ნიც შემოცლიან, ყველანი სიკვდილის მსხვერპლი გამხდარან.
ამიტომ პოეტი ნალვლიანად აღნიშნავს:

„სულ დამიხოვე მოყვასნი,
ერთიც არ დაღინღილებსა“.^(იქვე)

¹) ა. ბ. ა. რ. ა. მ. ი. მ., ნარკვევები... ტ. II, გვ. 319.

²) ამ გარემოებას პირველად წ. ქორდანიამ მიაქცია ყურადღება. „ნიხილეთ
მისი წერილი და ვით გურამიშვილი და მისი დრო“. „ივერია“, 1882, № 1, გვ.
54. № 2, გვ. 4.

თ. ჟორდანიას თავის შრომაში ყურადღებას ამახვილებს ლექსში მოყვანილ პოეტის ერთ ავტობიოგრაფიულ მომენტზე.¹ 33-ე სტროფში წუთისოფელი კაცს მიუთითებს:

„ვეკობ, ის იყოს ორგულა,
ვინც გახლავთ წინამძღომელი,
თვალ-გული ხარბი, ანგარი,
მუცელი გაუძლომელი“ (33)

აქ დასახელებულ წინამძღომელში თ. ჟორდანიას გულისხმობს ქართველ ჰუსართა პოლკის მეთაურს მამუკა დავითაშვილს, რომელიც, როგორც ჩანს, ყოფილა ხარბი, წამგლეჯი და „მუცელ გაუძლომელი“. ზნობრივად სპეტაკ დაკით გურამიშვილს დაკითაშვილისა და მისი მსგავსი ხალხის მოქმედების გათვალისწინება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გულს უტეხდა ცხოვრებაზე. მისი აზრით, „თვალ-გულ ხარბი და მუცელ გაუძლომელი“ ადამიანები კიდევ უფრო აღრმავებდნენ და აძლიერებდნენ ადამ და ევას ჩადენილ დანაშაულს, რომელსაც მსხვერპლად ეწირებოდნენ უდანაშაულო ადამიანთა მთელი თაობები.

პოეტი ლექსში აქა-იქ დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ხასიათის რჩევა-დარიგებას იძლევა. მაგალითად, ის ერთგან ლექსში ადამიანისაგან მოითხოვს ყოფა-ცხოვრებაში ზომიერების დაცვას:

„მე კეთილად ვარ ნაზავი,
ვინც ზომით მომინმარებსა;
მისთვის ვარ ავი უძღებდა,
ვინც საკმარს არ იკმარებსა“ (38)

პოეტი ადამიანისაგან არა მარტო ზომიერების დაცვას მოითხოვს, არამედ, მისი აზრით, ადამიანს უნდა ახასიათებდეს წინდახედულება, მოვლენის განსჯისა და მისი შეჯასების უნარი, მიღებული გამოცდილების ცხოვრებაში გამოყენება, მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება. ამ მხრივ საინტერესოა სტროფები 34-ი, 35-ი, 37-ი.

გარდა ამისა, ლექსის 30-ე და 63-ე სტროფების შინაარსის გათვალისწინებით ალ. ხახანაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას,² თითქოს გურამიშვილი იცნობდა ბერძნულ ფილოსოფიას, კერძოდ იონაურ სკოლას, რომლის მიხედვით ადამიანი შექმნილია ოთხი ელემენტისაგან; მართლაც წუთისოფელი კაცს მიუთითებს:

„შენ მიწა-წყალო, ქარ-ციცხლო,
მჯობიხარ, თქვი, აბა რითა?“ (30)

ან კიდევ: „ღმერთმან რომ კაცი დაბადა,
ოთხ ნივთით ალაშენაო,
მიწით, წყლით, ციციხლით, ქარითა
ჩაბერვით მისცა ქმენაო“ (63)

¹) თ. ჟორდანიას დასახელებული შრომა: „ივერია“, 1882, № 1, გვ. 54-55
²) А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, Москва, 1901 г. стр. 203.

რა თქმა უნდა, ძველ ბერძენ ფილოსოფოსების აზრებს დავითი არ იცნობდა, მაგრამ მათი შეხედულებები შეითვისა ქრისტიანული რელიგიის საშუალებით, ვინაიდან „ეს აზრები ასე თუ ისე შერეული იყო ქრისტიანული მსოფლიოს აზროვნების სისტემაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გადასხვაფერებულად, ეპიზოდურად.“¹

ლექსში გვხვდება რამდენიმე მხატვრული გამოთქმა. მაგალითად: სტრ. სტრ. 36-ე, 49-ე, 50-ე და მაჯამური სტროფი (34-ე); მაჯამა სახედარი.

1. სახედარი-დასანახავი, შესახედავი.
2. სახედ არი—რაც სახეზე ე. ი. თვალწინ არის.
3. გარდასახედარი—მომავალში გადასახდომი.
4. სახედარი—შინაური ცხოველი—ვირი.

ლექსში კონტრასტის ერთი კარგი მაგალითია:

„ხან დაბნელები ლამისებრ,
ხან დღესავითა ბრწყინაო;
ხან სიციხით-დამწვავ, დამდაგავ,
ხან სიცივითა მყინაო“. (36).

როგორც ზემოაღნიშნული გვაქვს, გურამიშვილის ეს თხზულება ძლიერ განიცდის არჩილის „სოფლისა და კაცის გაბაასების“ გავლენას. ეს გავლენა ისეთი თვალსაჩინოა, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ამ მხრივ საინტერესოა ორივე თხზულებაში წარმოდგენილი კაცისა და სოფლის ურთიერთმტრობის მოტივაცია და მისი დასაბუთება. ორივე პოეტის აზრით, ღმერთმა წუთისოფელი ადამიანის კეთილდღეობისათვის გააჩინა და მის ნებასურვილს დაუმორჩილა, მაგრამ სულმოკლე ადამიანის წინაპარმა, შექამა რა აკრძალული ხილი, ამით ღვთის მიერ დადგენილი წესი დაარღვია, რის შედეგად თავისი თავი ადრინდელ მონა-მორჩილს—წუთისოფელს დაუქვემდებარა. როლების ასეთმა შეცვლამ კი გამოიწვია ადამიანსა და წუთისოფელს შორის დაუსრულებელი მტრობა და შუღლი. მათი აზრით, დანაშაულის მთელი სიმძიმე ადამიანს ეკისრება. „ერთი სიტყვით, დავითი ამ შემთხვევაში თითქმის პირდაპირ იმეორებს არჩილს.² ეს გარემოება აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ „დავით გურამიშვილი საოცრად გამოირჩევა გავლენის ათვისების ალლოთი,³ და აგრეთვე გავლენას ნოყიერ ნიადაგს უმზადებდა ორივე პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მსგავსი პირობები.

დასასრულ ჩვენს მიზანს შეადგენს ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე: ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილია რამდენიმე ლექსი სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის თემაზე.⁴ ვფიქრობთ, ამ საკითხს დავით გურამიშვილი გაეცნობო-

¹) გ. ნატროშვილი, დ. ვით გურამიშვილი, თბილისი, 1943, გვ. 71.

²) კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 595.

³) ა. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, გვ. 344.

⁴) ამ ციკლის ლექსებიდან უფრო ტიპიური გამოქვეყნებული აქვს პ. უმიკაშვილს. იხ. მისი ხალხური სიტყვიერება, თბილისი, 1937, გვ. 227-228.

და ხალხური ლექსების საშუალებით. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ხალხური ლექსის „სიკვდილი და სიცოცხლე“-სა და დავით გურამიშვილის „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“-ს შედარება.

1. ორივე ლექსში სიკვდილი წარმოდგენილია როგორც ძლიერი, მაგრამ შეუბრალებელი არსება, რომელიც განუკითხვად მუსრს აელებს ადამიანებს.

2. ორივე შემთხვევაში სიკვდილის სიმბოლოა ადამიანის ჩონჩხი—ცელით ხელში.

3. ხალხურისა და გურამიშვილის ლექსის მიხედვით სიკვდილის თანამოლაშქრებად დასახელებულია სხვადასხვა ავადმყოფობა.

4. ბოლოს ყველაზე მეტად საყურადღებოა ერთი მოტივი, რომელიც ორივე ლექსისათვის არის დამახასიათებელი. ეს არის სიკვდილის მეტისმეტი განუკითხაობა და უსამართლო ქცევა, რომელიც ხალხურსა და გურამიშვილის ლექსში ამგვარად არის წარმოდგენილი;¹

ხალხურში:

„ბებრებ ძალიან ინახამ. ყმაწვილებ გაგვილახამო,
დროულსა და ახალგაზრდას რატო არ დაინახამო,
მოგვიმლი ახალგაზრდობას, ბებრებ კი შეინახამო.“²

დავით გურამიშვილი:

„სიკვდილმან უთხრა: ბერკაცო,
ვისძინე რაც იტარტარე,
ყმაწვილნი ვხოცე წვრილები,
პატარა არ ვაპატარე;

შენ, ბერო-კაცო, ცოცხალი
მაგდენს ხანს ფეხზედ გატარე.“³

მსგავსება ორივე ლექსს შორის უდავოა, მაგრამ საკითხი ისმის იმის შესახებ, თუ რომელი უნდა უსწრებდეს წინ, ხალხური პოეზიის ნიმუში, თუ დავითის ლექსი. ჩვენ ვფიქრობთ, პირველი უფრო ადრინდელი უნდა იყოს; ჯერ ერთი მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია, რომ დავით გურამიშვილი ძლიერ განიცდიდა

¹) ეს მოტივი არჩილის „კაცისა და სოფლის გაბაასებაშიაც“ შეინიშნება, აქ კაცი სოფელს უსაყვედურებს:

„ერთს ახალსა მოწიფულსა ხელისმყრელსა სიყვითლსა,

სენსა შეჭყრი, დაკაუჭკნობ ყვაილს მისის შეენებისას“ (239)

„სხვას ერთს ასრე დააბერებ, თვით სიცოცხლეს შეახარებ,
საყოლს ყველას მოაძულებ, მასზე არვის არ ახარებ“ (241)

²) პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, თბილისი, 1937, გვ. 228.

³) დავითიანი, აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1931, გვ. 187.

ქართული ხალხური პოეზიის გავლენას როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ.¹

გარდა ამისა, არ შეიძლება დავითის ლექსიდან მომდინარეობდეს ხალხური ლექსი, ვინაიდან დავით გურამიშვილს თავისი თხზულება შეუქმნია სიბერის ხანაში, შორეულ უკრაინაში. ასეთი მდგრადარეობის გამო მისი ლექსები ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1870 წლის შემდეგ, როცა გამოვიდა „დავითიანის“ პირველი გამოცემა. ხოლო პ. უმიკაშვილს ხალხური ლექსი ჩაუწერია XIX საუკუნის 60-70 წლებში. იმ დროს დავით გურამიშვილის ლექსს საქართველოში ან არ იცნობდნენ, ან საზოგადოების ძლიერ მცირე ნაწილისათვის იყო ცნობილი. შესაძლებელია, ამ ხალხურ ლექსს დავითი გაეცნო ახალგაზრდობისას, საქართველოში ყოფნის დროს, ხოლო უკრაინაში როცა მოხუცი პოეტის წინაშე სიკედილ-სიცოცხლის საკითხი არასასურველ პრობლემად დაისვა, მაშინ მან მოიგონა ახალგაზრდობაში გავონილი ხალხური ლექსი, რომელიც მან თავისა ძლიერი პოეტური ნიჭის საშუალებით გადაამუშავა და უაღრესად საპირბოროტო საკითხზე თავისი შეხედულებები გამოხატა.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ გაბაასება ქართულ ლიტერატურაში ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან მოდის და არა აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურიდან.

სომეხი ძალი მანანა

მანანასაგან ციების ბაასი

ციება საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მცხოვრებთათვის ცნობილი მძიმე ავადმყოფობაა, რომელიც ხალხის წარმოდგენით ძლიერ გამხდარ და ფერმკრთალ არსებას წარმოადგენს. ის თითქმის ჩონჩხის მსგავსია, რომელიც რაღაც უხილავი ძალით მოძრაობს, ხალხს შორეულ წარსულში ციებისაგან თავის გადასარჩენად შეუქმნია მრავალი ლოცვა, რომლებსაც ჩვენამდეც მოუღწევია.²

ჩვენს ხალხს ციებისა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ ძველად შეუთხზავს დიალოგური ხასიათის ლექსი, რომელიც ცნობილია „ციების ლექსის“ სახელწოდებით. ეს ლექსი პირველად სოსიკო მერკვილაძეს ჩაუწერია და გამოქვეყნებულია აკაკის კრებულში.³

ლექსი წარმოადგენს გაბაასებას. ურთიერთ შორის ბაასობენ ციება და გოგონა. ბაასს იწყებს ციებისაგან დასუსტებული გოგონა, რომელიც წყველა-კრულვას უთვლის ციებას. შემდეგ პასუხს

¹ ა. ლ. ბარამიძე ნარკვევები... ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 338-339. მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1946, გვ. 409-410.

² А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. Вып. I, Москва, 1895 г. стр. 136.

³ აკაკის თეფრი კრებული, ტფილისი, 1898. № XII, განყოფილება III,

აძლევის გამარჯვებული ციება, რომელიც ამაყად შესძახებს გოგონას:

„ასე გაგიხდი საქმესა,
სიკვდილს აძლევედი თავსაო,
სულ ოხრად დაგარჩენიებ
შენს ჯარასა და ტარსაო“.

ციების პასუხს კვლავ მოსდევს გოგონას პასუხი და ა. შ. ლექსში სულ 7 სიტყვა-პასუხია, საიდანაც ჩანს, რომ ციება მეტად შეუბრალებელია და მუსრს ავლებს ადამიანთა მოდგმას. მიუხედავად ამისა, გოგონა ქედს არ იხრის საშინელი სენის წინაშე და ლექსის დასასრულს მხნედ შესძახებს მოპაეჭრეს:

„მე შენ ვერ დამიჩათინებ,
თუ ვარ ყოჩალი ქალია,
მყავს შემწეთა და მფარველად
ჩემი ხატი და ჯვარია“.

ამავე თემაზე XVIII საუკუნეში პოეტ ქალ მანანას შეუთხზავს ცნობილი ლექსი „მანანასაგან ციების ბაასი“.

მანანას ვინაობა ამჟამად თითქმის გამორკვეულია, ამიტომ მის შესახებ აქ არაფერს ვიტყვით.¹ ხოლო მისი ლექსი „მანანასაგან ციების ბაასი“ რამდენჯერმეა გამოცემული ლ. ასათიანის მიერ.²

ეს ლექსი, როგორც სათაურიდან ჩანს, წარმოადგენს გაბაასებას და შედგება 7 სიტყვა-პასუხისაგან. ბაასობენ ციება და მანანა. ციება, რომლის სიტყვებით ლექსი იწყება, მედიღურად და ამაყად მიმართავს ციებისაგან დასუსტებულ მანანას. ის აშკარად გრძნობს თავის უპირატესობასა და სიძლიერეს სუსტ ქალთან შედარებით, ამიტომ მას სრული განადგურებით ემუქრება:

„ასე გაგიხდი საქმესა,
სიკვდილს აძლევედი თავსაო,
სულ ოხრად დაგანარჩუნებ
შენს ჯარასა და ტარსაო“.³

ავადმყოფობით დასნეულებულ ქალს, მანანას, რა თქმა უნდა, თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად ვერავითარი საბუთი ვერ მოაქვს. ის კმაყოფილდება მხოლოდ ციების ვერაგობისა და სიაიის აღნიშვნით. მანანა ციებას ახასიათებს, როგორც უაღრესად მძიმე და განუკურნებელ ავადმყოფობას, რომლით შეპყრობილი ადამიანი საშინელ ტანჯვას განიცდის და სასოწარკვეთილებამდე მიდის; მანანა ასე ახასიათებს ციებიანი ავადმყოფის მდგომარეობას:

„ვისაც რომ ტანში შეუხვალ, კანკალებენ და კივიან,
აკანკალებენ კბილებსა, წელი უწყალოდ სტკივიან,
რაკი სიცხეში ჩააგდებ, მღუღარე ცრემლი სცვივიან“.⁴

¹) ლ. ასათიანი, ქართული მწერლობა, თბილისი, 1949, გვ. 26-30.

²) ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბილისი, 1936, გვ. 100-105.

³) იქვე.

⁴) იქვე, გვ. 103.

ლექსში აქ-იქ პოეტი ქალის ავტობიოგრაფიული მომენტებიც შე-
ინიშნება. მაგალითად, ეს ერთ ადგილას თავისი სიმარტოვის შესა-
ხებ ციებას აღქმევიანებს:

„საწყალო, რის იმედი გაქვს, ვინა გყავს მოტირალია,
ვინ გიზის კირისუფალი, რომ ყაროს ცხარე ცრემლია.“¹

მეორე ადგილას კი თვითონვე მიუთითებს, რომ მას სიკვდი-
ლის შემდეგ „რა დარჩეს სანანურია“.

ზოგჯერ ლექსში მანანას რელიგიური განწყობილებაც არის
გამომჟღავნებული; ის თავის ერთადერთ მფარველად ღმერთს
აღიარებს:

„მე შენ ველარას დამაჟღებ,

თუ ჩემი შემწე ღმერთია“.²

მართალია, ლექსს თვით მისი ავტორი გაბაასებას უწოდებს,
მაგრამ მასში გაბაასების დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშ-
ნები მკვეთრად არ არის მოცემული. აქ საწინააღმდეგო შეხედუ-
ლებებს დაპირისპირება, განსაკუთრებით თავისი უპირატესობის
დამტკიცებისათვის ბრძოლა ცალმხრივად მიმდინარეობს. მანანა
სჯერდება მხოლოდ ციების უარყოფითი მხარეების გამომჟღავნე-
ბას და რამდენჯერმე წარმოთქვამს საყვედურით საკსე სიტყ-
ყვას. უკვე აქედანვე შეინიშნება, რომ გაბაასება, როგორც ლიტერ-
ატურული თანრი, თავისი განვითარების დასასრულს უახლოვ-
დება. ის თანდათან კარგავს გაბაასების იმ სიმკვეთრესა და სიმან-
ვირეს, რომელიც ადრინდელი ხანის პოეტების თხზულებებში შე-
ინიშნებოდა. ამასი კიდევ უფრო დაკრწმუნდებით, როცა ჩვეთ
უფრო გვიანი დროის „გაბაასებებს“ განვიხილავთ. ეს შეიძლება
ერთი მხრივ იმით აიხსნებოდეს, რომ თვით მანანა, როგორც პო-
ეტი, სუსტია.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ მწერალ ლ.
ასათიანის მოსაზრებას, რომელიც მას განოთქმული აქვს ამ ლექსის
შესახებ. ის ამბობს: „მისი (ე. ი. მანანას) „ციებასთან გაბაასება“
წარმოადგენს არისტოკრატიული პოეზიის პატარა შედევრს“.³ ჩვე-
ნი აზრით, ეს ლექსი არათუ შედევრა, არამედ ქართული პოეზიის
მეტად მდარე ნიმუშია; ლექსის ენა, სტილი და ლექსიკა დაუხვეწე-
ლი და ღარიბია. მხატვრული მეტყველების ხერხებიც ძლიერ ხე-
ლოვნურია და სინაზეს მოკლებული. მაგალითად, ლექსში გვხვდება
მხატვრული შეღარების ასეთი უხეში მაგალითები:

„შეგიკრავ ხელსა და ფეხსა, როგორც დამრჩეული მგელია,
სათლაჯად მიგათრევენებ, ჰყარდე ვით მკედარი გველია“.⁴

ან კიდევ:

„მე ასე შემყვარებისხარ, როგორც, რომ ძალლი მურია“.

¹) ლ. ასათიანი. ძველი საქართველოს პოეტი ქალები. თბილისი, 1936,
83-101.

²) იქვე, გვ. 103.

³) იქვე, გვ. 79.

⁴) იქვე, გვ. 101.

ლექსში გვევლება ბევრი პროვინციული სატყუა. მაგალითად: დაცა, საძილდემჩიოდ, წაგყურტო და სხვ.

ლექსის სრული ტექსტი, რომელიც დედნიდან უნდა მოძი-
ნარეობდეს, დატულია დავით რექტორის მიერ შედგენილ კრებუ-
ლში (S 1511). ლექსის ვარიანტები გვხვდება ხელნაწერებშიც.

დასასრულ საკითხი დგას იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაა ხალხურსა და პოეტი ქალის მანანას ლექსს შორის; პირველი მოძმდინარეობს მეორიდან, თუ, პირიქით, ჩვენი აზრით. ლიტერატურულს წინ უნდა უსწრებდეს ხალხური ლექსი. რამელიც შეიქმნა იმ დროს, როდესაც საერთოდ იქმნებოდა ხალხში ციებია წინააღმდეგ მიმართული შელოცვები. შორეულ წარსულში შექმნილი ხალხური ლექსი თანდათან იხვეწებოდა, უაღბლებოდა და ბოლოს მიიღო ის სახე, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ.

შესაძლებელია, ხალხური ლექსის გაცნობამ პოეტ ქალში აღძრა ინტერესი, რათა ხალხს წიაღში შემუშავებული თემა მას ლიტერატურულად გადაემუშავებინა და ციებია და ადამიანის ურთიერთობა ახალი სახით წარმოედგინა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს არა მარტო ამ ორი ლექსის დიდი მსგავსება იდეის მხრივ, არამედ ცალკეული სტროფების ძლიერი მსგავსების გათვალისწინებაც. მაგალითად, ჩვენი შრომის 163-ე გვერდზე ხალხური ლექსიდან მოყვანილი ნაწყვეტი ძლიერ აგავს მანანას ლექსის ერთ-ერთ სტროფს, რომელიც იმავე გვერდზე გვაქვს ციტირებულად.

გარდა ამისა, მანანას ლექსის რიტმი და ტონალობა ხალხურს უფრო აგავს.

შესაძლებელია, პირიქით მოხდა: მანანას ლექსი გადაედა ხალხში და შეიქმნა ხალხური ლექსი. ეს საკითხი, ვფიქრობთ, ბოლოდ მაშინ შეიძლება გადაიჭრას, როცა მთლიანად შეიკრიბება ციებასთან დაკავშირებული ხალხური ლექსები და გამოჩვეული იქნება მათი გაჩენის დაახლოებითი დრო.

ხილთა ბაასი

XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ძლიერ გავრცელებული იყო „ხილთა ბაასი (გაბაასება)“, რომელიც ამ ეპოქის რამდენიმე პოეტის შემოქმედების თემა. გახლარს, როგორც ირკვევა, „ხილთა ბაასის“ შემოქმედი ქართულ პოეზიაში XVII საუკუნის პოეტი გარსევან ჩოლოყაშვილია, რომელსაც შემდგომ გამოჩენია მიმბაძველთა მთელი პლეადა. ამათგან პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნას თეიმურაზ მეორე, პაპუნა ორბელიანი, დავით რექტორი და ვინმე გიორგი ჭაბუკაშვილი. აგოეთვე მოიპოვება „ხილთა ბაასის“ რამდენიმე ხელნაწერი უცნობი ავტორებისა.

საკითხი ისმის, თუ რა მიზეზებმა შეუწყეს ხელი ამ თემის ასეთ დიდ პოპულარობასა და გავრცელებას. ჩვენ ვფიქრობთ, მიღრეკილება ამ თემისადმი პირველ რიგში უნდა აღძრა ჩვენი ქვეყ-

ნის ხილის მრავალფეროვნებასა და სიუხვეს. გარდა ამისა, არანაკლებ საინტერესო იქნებოდა იმდროინდელი საზოგადოებისათვის თითოეული ხილას დახასიათება, მათი უარყოფითი და დადებითი თვისებების გამომქლავება. ამ ამოცანის კარგად გადაწყვეტა შეიძლებოდა გაბაასების საშუალებით, ვინაიდან გაბაასებში, როგორც ვიცით, საწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირებით ხერხდება ამა თუ იმ მოვლენის ან საგნის დადებითი და უარყოფითი თვისებების გამომქლავება. მართლაც, „ხილთა ბაასში“ მონაწილეობს რამდენიმე ათეული ხილი, რომლებიც მხოლოდ საქართველოში არის ცნობილი.

გაბაასებაში მონაწილე თითოეული ხილი გაბაასების ტრადიციის მიხედვით პირველ რიგში თავის თავს იქებს და ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას. ამ მიზნით ისინი ჩამოთვლიან იმ თვისებებს, რომლებითაც თითოეული მათგანია ცნობილი და დაფასებული. ხშირად ბაასში ჩაბმულნი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ საკუთარი დადებითი თვისებების აღნიშვნით და გაბაასების დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით აწარმოებენ მოწინააღმდეგეთა დამცირებას, დაცინვას და ცდილობენ მობაასეთა მიერ თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად წამოყენებული არგუმენტების დარღვევას. თუმცა ზოგჯერ გაბაასების მონაწილე ესა თუ ის ხილი თავის ქების მაგიერ არ მალავს ნაკლს და საჯაროდ აცხადებს თავის უარყოფით თვისებებს. მაგალითად ნესვი, კიტრი, კერამი და სხვ. ასეთი შემთხვევა, რა თქმა უნდა, მცირეა, უფრო ხშირად თითოეული მათგანი თავის დადებით მხარეებზე მიუთითებს.

ხილთა ბაასის თემაზე დაწერილ თხზულებებში თითოეულ ხილისადმი მიძღვნილია თითო სტროფი, რომელშიაც კარგად არის დახასიათებული ესა თუ ის ხილი; აღწერილია დასახელებული ხილის ფერი, გემო, შემოსვლის დრო, მისი სურნელება, ადამიანისათვის სარგებლიანობა.

გარდა ამისა, როგორც გაბაასებისათვის არის დამახასიათებელი, „ხილთა ბაასის“ ავტორები აშკარად არ ამქლავებენ თავიანთ დამოკიდებულებას მობაასე მხარეებისადმი და ცდილობენ ნეიტრალიტეტი დაიკვან.

რასაკვირველია, მეტი ყურადღება ექცევა ხილის იმ თვისებების მკვეთრად ჩამოთვლას, რომლებითაც მას სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის. ხშირად არ არის დაეიწყებული ამა თუ იმ ხილის სამკურნალო თვისებები, მათი მონპარების დრო და პირობები. ზოგჯერ დახასიათებულია არა მარტო ნაყოფი, არამედ ნაყოფის მომცემი ხე და მისი ყვავილიც კი.

ამ თემაზე შეთხზულ ნაწარმოებებში გამოყენებულია გაპროვნების მხატვრული ხერხი; ყველა თხზულებაში მკენარეთა ნაყოფის მრავალფეროვანი სამყარო ადამიანის მსგავსად ამეტყველებულია და ურთიერთ შორის მათ მძაფრი კამათი აქვთ გამართული.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ „ხილთა ბაასი“ ქართულ ლიტერატურაში არ არის შემთხვევითი ლიტერატურული მოვლენა. ჩანს, ამისათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა ნიადაგი; ხალხი და თვით პოეტებიც აწარმოებდნენ თითოეულ ხილზე დაკვირვებას, რაც შემდეგ აისახა იმ თხზულებებში, რომლებიც „ხილთა ბაასის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

პირველი თხზულება ხილთა ბაასის თემაზე ეკუთვნის XVII საუკუნის მოღვაწეს გარსევან ჩოლოყაშვილს, რომლის ვინაობა დღეს უკვე გამოოკვეულია.¹ თხზულებას, მართალია, გ. ჩოლოყაშვილი „ხილთა ქებას“ უწოდებს,² მაგრამ ის გაბაასებაა, რომელსაც აქვს თითქმის ყველა ის ნიშანი, რაც გაბაასებისათვის არის დამახასიათებელი. გაბაასებაში მონაწილეობს საქართველოში ცნობილი 23 სახელწოდების ხილი: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ეოლო, თხილი, ქლიავი, მაყვალი, კიტრი, ნესვი, ატამი, საზამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ნუში, ბროწეული, შინდი, (მ)სხალი, კომში, ზეთისხილი, თურინჯი, ლეღვი, ხურმა, წაბლი. თხზულებაში ზუსტად არის დახასიათებული თითოეული მათგანი და გამოძედაუნებულია მათი ცუდი და კარგი თვისებები, მაგრამ აქ მშრალ აღწერასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ თხზულება წარმოდგენილია დიალოგის ფორმით და მასში მონაწილეები გაცხარებულ კამათს აწარმოებენ თავიანთი უპირატესობის დამტკიცების მიზნით. თითოეული ხილი თავის აზრს ერთ სტროფში გამოხატავს. ავტორი მხოლოდ ერთგვარ მიმართულებას აძლევს ბაასს და ყოველ სტროფს ასეთი სიტყვებით რწყებს: „...ჰსთქვა, ან ...უთხრა.“ ან კიდევ: „იკადრებს ქებასა“.

ბაასში ჩაბმულნი გაბაასების ტრადიციის მიხედვით, კარგად ახერხებენ თავისი თავის ქებასა და მოწინააღმდეგის დამცირება-მაგებას. ასეთი ხერხით ადვილად შეიძლება ადამიანმა სრულა წარმოდგენა იქონიოს თათოეული ხილის დადებითსა და უარყოფით თვისებებზე. მაგალითისათვის შეიძლება აქ მოვიყვანოთ მარწყვის სიტყვები:

„მარწყვმა სთქვა: მოვალ პორველად. მე ვერა მისწრობს ხილიცა, თერად მსგავსი ვარ ლალისა, შერმე საკმელად ტყბილიცა, წინ რასა მისწრობს ტყემალი, მეავე არის და გრილიცა, მისგან ჩივიან ყველანი, ვსქამეთ, მამკვეთა კბილიცა“ (2)

როგორც ვხედავთ, მარწყვი თავისი სიტყვის პირველ ნახევარში თავისი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობს, ხოლო მეორე ნახევარში ამჟღავნებს ტყემლის უარყოფით თვისებებს. მომდევნო სიტყვა ეკუთვნის ტყემალს, რომლის სიტყვა თითქმის ისეთსავე პრინციპზეა აგებული, როგორც მარწყვისა, ის მიმართულია

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941. გვ. 568-569.

²) თხზულება დაბეჭდილია „ანთოლოგიაში“, ტ. II, თბილისი, 1928. გვ. 64-66. ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს საბ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში: S 1512, გვ. 510-516.

მარწყვის წინააღმდეგ. ასე გრძელდება სიტყვამონაცვლეობა მთელა თხზულების მანძილზე. მასში 23 ხილი შორიგეობით გამოთქრვამს თავის შეხედულებებს.

ბაასის დროს არ არის დავიწყებული არც ერთი ის თავისებურება, რაც საერთოდ ახასიათებს ხილთა ბაასის თემაზე აგებულ ნაწარმოებს. მაგალითად: ავტორი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ხილთა სამკურნალო თვისებებს. ამ მხრივ საინტერესოა საზამთროს სიტყვის მეორე ნაწილი, ის ამბობს:

„შეწუხებულსა სიცხითა კაცის გულს მოვაგრილებო,
ვარ ჭანინოზი აქიმო, სნეულსაც მოვალხინებო, (12)

ასეთივე შინაარსისაა ნუშის სიტყვის დასასრული:

„უტურფესი ვარ ყოველთა, აქიმო სახმარებელი,
მკურნალი ყოვლის სენისა, ღვიძლისა მამგრილებელი“. (15)

აგრეთვე არ არის დავიწყებული მსხლის სამკურნალო თვისება:

„საყუარელი ვარ საკმელად, მერმე მკურნალო სენისა“. (18)

სამკურნალო თვისებებთან ერთად ავტორი არ ივიწყებს ზოგიერთი ხილის მავნებელ თვისებებს, რომლებსაც ან მოკამათე მხარე ამჟღავნებს, ან თვით მობაასე აღიარებს. მაგალითად, როგორც ზემოთ დავინახეთ, ტყემლის მავნე თვისებაზე მარწყვი მიუთითებს, ხოლო თხილი თვით აღნიშნავს, რომ „ვარ მატკივულთ კბილისა, მერმე დამწველი გულისა“-ო. ასევე კიტრი და ნესვიც იძულებული არიან აღიარონ თავიანთი ნაკლი; პირველი დარტყვენით მიუთითებს:

„გრილი ვარ, კაცსა გავებრავ, თავი მე არ მექებისა,
ვინცა ჩემითა განძლება, ცივება შეეყრებისა“. (9)

ნესვიც ციების წყარო ყოფილა, ამიტომ ისიც არ მალავს თავის ნაკლს: „ციებას, მერმე ცხელებას, ჭირს ჩემგან შეიყრიანო“.

გარ. ჩოლოყაშვილი ზოგჯერ ყურადღებას ამახვილებს არა მარტო ნაყოფზე. არამედ ზოგიერთი მცენარის მერქნის დიდი მნიშვნელობაც აქვს გათვალისწინებული. მაგალითად, ნიგოზი თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავს:

„მე ზე ვარ კარგი სახმარი, სავსე ღვინითა სრულითა“.

საყურადღებოა, რომ ესა თუ ის ხილი თავის დადებითი თვისებების აღნიშვნის დროს არ ივიწყებს იმ თავისებურებას, რომლითაც ის არის ცნობილი, მაგალითად: ლეღვი გარკვევით მიუთითებს, რომ მისი ნაყოფი ცნობილ ბიბლიურ ამბებთან არის დაკავშირებული. „წვრილად გიამბო მართალი ამბავი სამოთხისაო“.

ზეთისხილი, სრულიად სამართლიანად, ჩოლოყაშვილს მიაჩნია უცხო ქვეყნის ხილად: „უცხო ქვეყნის ხილი ვარ, მით ვიშობები ძვირადო“,—აღნიშნავს ზეთისხილი. ხოლო წაბლი თავისი თავის დახასიათებისათვის იყენებს ცნობილ გამოცანას:

„ტანსა მაცვია მრავალი, მიგნით არ ცივა, თბისაო“.

გარ. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, მდარე ხარისხისაა. მიუხედავად ამისა, მასში მაინც გვხვდება ზოგიერთი მხატვრულად გამართული ადგილი. მაგალი-

თან, პოეტურ გემოვნებას არ არის მოკლებული ის სიტყვა, რომლითაც პაეტრობაში ბალი გამოდის. ის აღნიშნავს:

„ხეის ტურთად ავაყუაებ, დავამშვევებ ჩემსა ძირსა,

თავსა ბროლად გარდავაქცევ, ლალის თერად შიგნით კვირსა.

შაქრის მსგავსად გარდავაქცევ, რა ჩამიდებს კაცი პირსა, (4)

თხზულებაში აქა-იქ მეტაფორისა და შედარების მაგალითებიც გვხვდება. ზემოთ მოყვანილი სტროფის მეორე სტრიქონში მეტაფორულ გამოთქმასთან გვაქვს საქმე. აგრეთვე მხატვრული მეტაფორების მეტაფორული ხერხის გამოყენებული მე-16 სტროფის უკანასკნელ სტრიქონში. სადაც ბროწეულის ნაყოფზეა ლაპარაკი: „სუფრას ავავეს ნიდაგ იაგუნდითა, ლალითა...“ აქ იაგუნდითა და ლალით იგულისხმება, რა თქმა უნდა. ბროწეულის ნაყოფი.

„ხილთა ბაასი“ დაწერია აგრეთვე თეიმურაზ მეორესა. თეიმურაზის ეს თხზულება დაცულა ოთხ ხელნაწერში.² შედარებით ძველ ხელნაწერში (№ 1103) ის „ხილთა ქების“ სახელწოდებით არის წარმოდგენილი. ხოლო მეორე, პრახაკლებ სანდოა 1511! ხელნაწერში მას ასეთი სათაური აქვს: „სხუა ბაასი ხილთა ქებისა, ყოველი ხილი და ხე აქ შემოკრებულა. თქმული ცხებულის მიფის თეიმურაზ მეორესაგან შაირად.“³ ამ სახელწოდებაზე დაყრდნობით გამომცემელი დოც. გ. ჯაკობია მიზანშეწონილად იქცევა, როცა თხზულებას „ხილთა ბაასის“ სათაურით აქვეყნებს. მით უმეტეს, რომ თხზულებაში მხოლოდ ხილთა ქება ჯი არ არის, არამედ მათი ბაასია მოცემული. ქება ჯი ერთ-ერთი ელემენტია თხზულებისა. ის, როგორც ვიცით, გაბაასების სპეციფიკური ნიშანია.

თეიმურაზ მეორეს თემის დამუშავებაში დიდი სიახლე ვერ შეაქვს. ის, შეიძლება ითქვას, გარ. ჩოლოყაშვილის მიმბაძველ-როლში გვევლინება. მართლაც, გარ. ჩოლოყაშვილისა და თეიმურაზ მეორეს თხზულებათა შედარება შემდეგ სურათს იძლევა: თეიმურაზი თავის თხზულებაში ასახელებს 39 ხილს, აქედან 12 ხილი თეიმურაზს თითქმის ისე აქვს დახასიათებული, როგორც გარ. ჩოლოყაშვილს. ერთი მაგალითის დასახელება, ვფიქრობთ. საქმარისი იქნება ამ ვითარებზე გასათვალისწინებლად: გარ. ჩოლოყაშვილი წერს:

„მაყვალმან უთხრა: არა ვარ ხილი თქვენებრი ქებულა.

უარესი ვარ ყოველთა, არვისგან მოწონებულა.

ზედან მასხრა ეკალი, მისთვის ვარ დაწუნებულა,

პირველ გლახა ვარ, ყირმიზი, მერმე პირ-გაშავებული“. (8)

თეიმურაზ მეორე:

„მაყვალმან უთხრა: არა ვარ ხილი თქვენებრი ქებული,

უარესი ვარ ყველასა, არვისგან მოწონებულა.

ზედან მასხია ეკალი. ვარ მისთვის დაწუნებულა.

პირველ გახლავარ, ყირმიზი, მერე პირ-გაშავებული“. (8)

¹) თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული. გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი. 1939. გვ. 109-113.

²) S 1:03, S 1511. S 118 და H 71.

³) S 1511 გვ. 1055-1064.

გარ. ჩოლოყაშვილთან შედარებით თეიმურაზი თავისებურად ახასიათებს შემდეგ ხილს: ნიგოზს, მსხალს, შინდს, ლელეს, კომპს, ხურმას, თურინჯსა და ნუშს.

თეიმურაზი არ ემაყრფილდება მხოლოდ იმ ხილის დახასიათებით, რომელიც ჩოლოყაშვილის თხზულებაში გვხვდება. ის თავის მხრივ უმატებს: ყურძენს, ქერამს, ალიბუხარს. უნაბს, ფშატს, ხარინჯს, ლიმონს, პანტას, კვინჩხს, ფისტას, წიფელს, კუნელს, დათვის თხილას, რკოს, ასკილს, პურსა და ღვინოს. სულ—18 სასელოვოდების ხილს. გარ. ჩოლოყაშვილს კი თეიმურაზთან შედარებით ზედმეტი აქვს: წაბლი და ზეთისხილი.

თეიმურაზის მიერ დამატებულ ხილთა შორის ყურადღებას იქცევს ციტრუსოვანი მცენარეების ნარინჯისა და ლიმონის დასახელება და თხზულების დასასრულს საკვები და სასმელი პროდუქტების პურისა და ღვინის გაბაასებაში ჩაბმა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ პური ავტორის მიერ, სრულიად სამართლიანად, აღიარებულია ქვეყნის ბარაქისა და სიმამლრის წყაროდ. ამიტომ პური ამაყად მიუთითებს: „ჩემით გაძლების ქვეყანა და ნახვა ჩემი სურისა“. ღვინოც ამასვე ადასტურებს, როცა ამბობს: „მამწონს შენი სიბარაქე და ღერო შენის ხისაო“.

სხვა მხრივ თეიმურაზ მეორე ხილთა გაბაასებისას ისეთსავე თანმიმდევრობას იცავს და გაბაასების ისეთსავე ხერხებს იყენებს, რაც გარ. ჩოლოყაშვილისათვის იყო დამახასიათებელი; თეიმურაზიც აღნიშნავს თითოეული ხილის უარყოფით და დადებით თვისებებს, აღწერს მათ გარეგნობას და მიუთითებს მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ხილთა ქების თემაზე თხზულება დაუწერია XVIII საუკუნის მოღვაწეს პაპუნა ორბელიანს: „ხილთა ქება ანბანზე, თქმული პაპუნა ორბელიანისაგან.“¹ ამ თხზულებაში ავტორი ცალ-ცალკე ახასიათებს თითოეულ ხილს. ამიტომ ის არის ხილთა ქება, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ხილთა ბაასთან. ასეთი თავისებურების გამო ამ თხზულებას ჩვენ არ განვიხილავთ.

ეს თემა ინტერესს მოკლებული არ ყოფილა არც XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მაგალითად: დავით რექტორს თავის ცნობილ კრებულში² შეუტანია გარ. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“ და თავის მხრივ დაუმატებია: ფშატი, უნაბი, ყურძენი. ვინაიდან დავით რექტორის ეს სამსტროფიანი ლექსი ჯერ გამოქვეყნებული არ არის, ამიტომ მას აქ მთლიანად მოვიყვანთ.

დავით რექტორისაგან თქმული:

ფშატმან მსთქვა, რად არ მახსენებთ, თქვენ იქებთ უცხოდ
თავებსა,

თითონი თითოდ მოჰკეხნით აუგსა ძნელსა, ავებსა,
ხურმა და წაბლი ვირისა პირსა რად არ გაიშავებსა,
მე ვარ სნეულთა საკმელი, ნუ აშლით ცუდსა დავებსა.

¹) ხელნაწერი, A 1273.

²) ხელნაწერი, S 1512.

უნაბმან ჰსთქვა არა მოვკეცებ, შემედრებით ამად ვერა,
თქვენ ყოველგან იუფი ხართ, მე ყოველთვის ტფილისს ვსდგერა,
ბატონად ვარ მოკაზმული, თქვენ ყულობა შეგეფერა,
სხვათა თემსა სნეულთათვის შეექნება კაცთა დღერა.
რქამან განწვილობან ყურძენმან მომართა ყრვლსა არესა,
ძუნწი ვინ უბნობთ, ურცხვებით ვინ ორ ძმან მიჯუფთარესა,
ტანთა პორფირი ძოწისა მან მკლავმან შემისარესა,
ჩემდამო მჰსმელთა ზენანი ვეჰკ არა გაიგარესა.
ხილთა ბაასის თემაზე ლექსი შეუთხზავს აგრეთვე ვინმე გიორგი
ჰაბუკაშვილს, რომელიც თავის თხზულებას ასეთი სათაურით
წარმოგვიდგენს: „ახლად გამოღება ლექსისა, სალაყბო და შესაქ-
ცველი, ხილთ გაბრჭობა, მოსკოვს დაღელი ჰაბუკაშვილი გიორგი-
საგან“.¹

როგორც ლექსის პირველი სტროფიდან ჩანს, ავტორს თავისი
თხზულება დაუწერია ქ. მოსკოვში, მიიმე ავადმყოფს—თავის გა-
სართობად:

„მაშინ ვთქვი, ოდეს მოსკოვსა ვიყავ სენთაგან ვნებული,

წამლად ვარჩივე, ეს საქმე, ვიყავ რა შეწუხებული.

ეგები რამე მკურნოს, სევდაზედ ვიქმნა შევებული“.

გ. ჰაბუკაშვილის „ხილთა გაბრჭობაში“ ერთმანეთს ებაასე-
ბიან: თუთა, ტყემალი, ბალი, მარწყვი, თხილი, ქლიავი, მაყვალი,
კიტრი, ნესვი ატამი, სახამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ხუში, ბროწეული,
მეინდი, მსხალი, კომში, ზეთისხილი, თურინჯი, ლუღუღ, ხურმა, წაბ-
ლი, ყურძენი.² აქ დასახელებული ხილი ყველა გვხვდება გარ. ჩო-
ლოყაშვილისა და თეიმურაზ მეორის ლექსებში, მხოლოდ გ. ჰაბუ-
კაშვილს ზედმეტი აქვს თუთა. გ. ჰაბუკაშვილი ხილთა დახასიათე-
ბისას, უმეტეს შემთხვევაში, მცირედენი ცვლილებებით იმეო-
რებს წინამორბედების ლექსების სტროფებს. თუმცა ზოგჯერ ორი-
გინალობასაც ჩემულობს. მაგალითად: განსაკუთრებული ვრცელი
სიტყვით გამოდის ბაასში თუთა, ტყემალი, ბალი და ყურძენი.

• • •

ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ XVII—XVIII საუკუნეების
ქართულ ლიტერატურაში ხილთა ბაასი ძლიერ პოპულარული თე-
მა იყო. ამ საკითხზე თავიანთი პოეტური ნიჭი უცდიათ როგორც
მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ისე მეორეხარისხოვან პოეტებს.
ამ ვითარებაში დაგვარწმუნა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის
საქართველოს სახელ. მუზეუმში დაცული ხელნაწერების აღ-

¹) S 1408. ამჟამად ეს ლექსი გამოქვეყნებულია პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ,
ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები,
VI, 1949. გვ. 111-115.

თხზულების შემცველი ხელნაწერი გადაწერილია 1823 წელს.

(მ. Такашманян, Источники, т. I, стр. 384).

²) როგორც ხელნაწერიდან ჩანს, თხზულების ტექსტი მთლიანად არ არის
ჩვენამდე მოღწეული, ვინაიდან მომდევნო სტროფი იწყება სიტყვით „ხლმარტლ-
მა“...

წერილობათა გასინჯვამ და შემდეგ თვით ხელნაწერთა შესწავლამ. აღმოჩნდა ხილთა ბაასის თემაზე დაწერილ თხზულებათა შვიდი ხელნაწერი.¹ ამათგან, გარდა ერთისა (S 1582), ყველა ეპიგონური ხასიათისაა და კომპილაციის წესით მასში შეტანილია წინამორბედთა ლექსები მეტ-ნაკლები რაოდენობით. თუმცა ზოგიერთ ლექსში ამა თუ იმ პოეტის საკუთარი პოეტური ნააზრევიც არის მოცემული, მაგრამ ეს გარემოება საერთო მდგომარეობას მაინც არ ცვლის.

რაც შეეხება S 1582-ს, მასში გვხვდება „გაბაასება ბროწეულისა და ვაშლისა“, რომელიც ხილთა ბაასის თემატიკასთან არის დაკავშირებული. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს პროფ. ე. თაყაიშვილს.² ხელნაწერი შეიცავს 19 სხვადასხვა თხზულებას, ნაწილი ამ თხზულებებისა, პროფ. ე. თაყაიშვილის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს XVIII საუკუნის ბოლო წლებს, ნაწილი კი XIX საუკუნის დასაწყისს.

თხზულება, რომლის ავტორი უცნობია, იწყება 15-სტროფიანი შესავლით. შესავლის დასაწყისში პოეტი მოიგონებს „ზენა მამასა“, რომელმაც, მისი აზრით, „განარკვია წყალთა ხმელი“. შემდეგ თხზულების ავტორი გადმოგვცემს თავის სულიერ განწყობილებას და აღნიშნავს:

„უქმად ყოფა არ სახმარ არს, არცა წოლა მთლად შინაო,

ვერ გავსძელ სრულად დუმილი, მით სევდამ ამაქშინაო“.⁽³⁾ მომდევნო სტროფებში კი აღწერილია ის ცვლილებები, რომლებიც გაზაფხულის დადგომას თან მოჰყვება ხოლმე: მთა და ბარის „ფერად-ფერადად“ აყვავება, ვარდის მოსვლა და მის გვერდით ბუბულის გამოჩენა და სხვა.

ამ დროს:

„ნატიენი ქალნი ნატრობენ, ნეტარ მოვიდეს ვაშლია,

სადაა თურაშაჟლი, ანუ სვლა რასთვის დაშლია,

ან სადა ტურფა ბროწოლი, სად არ ყვავილნი გაშლია.

ვექვ. ჩვენთა ლაწვთა სიტურფეს მათნი სიძოწე აშლია“.⁽⁸⁾

მართლაც, მათ მალე „ნახეს ვაშლი შემკული წითელადრე მოლიმებითა“. ტურფა ქალები ვაშლს მიესალმენ და როცა „მათგან გაბრუნდნენ, მივიდნენ და ნახეს ბროწეულია“. ამ გარემოებას, როგორც ჩანს, ბროწეულში შური აღუძრავს.

„პირველ მოკითხვა ვაშლისა ბროწეულს ეწყინა, იმახავს,

იტყვის, არ დავსთმობ ვაშლზედა, მე წყრომა გამომისახავს“.⁽¹²⁾

როცა ქალებმა „ილხინეს ხილთა ტურფითა, მრავალგვარითა“ და წავიდნენ. მაშინ ბროწეულმა „თქვა, თუ აწ მაქვს დრო ვაშლზედა, ჯაჟრით გული აღუდღების“ და „შეთხზნა სიტყვანი ლამაზნი ბროწოლმან ნაზად ქცეულმან“.

ამის შემდეგ იწყება ბროწეულისა და ვაშლის გაბაასება, რომელიც შვიდი პასუხისაგან შედგება. აქედან ოთხი პასუხი ბროწეული-

¹) ხელნაწერები — S 62; S 6; S 951; S 4799; S 2399; S 1087; S 1582.

²) E. Такайшвили, Описание... т. II, стр. 242.

საა, სამი კი ვაშლისა. ვინაიდან ეს ლექსი ჯერ გამოქვეყნებული არ არის, ამიტომ ჩვენს თავს უფლებას მივუცემთ მისი მოკლე შინაარსი, ციტატების ჩართვით, გადმოვცეთ. ბროწეული თავის პირველ სიტყვაში გაკვირვებას გამოსთქვამს და მიმართავს ვაშლს:

„ესე მიკვირს რით ხარ ჩემგან უკეთესი“, როცა შენ:

„გაზაფხულისა სიცივე გაქცნობს ყურთ ჩამოგდებითა, მოგტაცებს ქარი ყვავილსა აქა-იქ მიმოდებითა.

ესე ყოველი შენა გვირს, რითა ხარ ჩემი დარია“.

პირველ საპასუხო სიტყვაში ვაშლი დამმედილებული ლაპარაკობს თავის ღირსებებზე და მიუთითებს, რომ ის თავისი დაწვებით მნათობთ დაედარება, ხოლო „რა სუფრაზედა მიმიღონ, მგვრგლივ დავაშვენო არები“. ეს მაშინ როცა, მიმართავს ის ბროწეულს. შენ „ვინც გეხება, საბრალოთა სისხლი გასდით, ღვარად გარედ, მწვავედ ნაწუხნი ეკალთგან ჩამოვლენ და ტირან მწარედ“.

მე კი ამ დროს ლამაზი ქალების სასიამოვნო სტუქმარი ვარ:

„ჩემზედ გამოვლენ კეკლეცი ქალნი ლამაზად მშვენანი, ბროლისა მკერდსა ძუძუთა მიწყობენ მკვრეტთა მღხენანი“.

ასეთი დიდი საბუთებით გათამამებული ვაშლი ამაყად მიმართავს მოწინააღმდეგეს:

„ჰე. ბროწო, აწ რას იტყვი, შენ ამისა შესაფარდად, დამარ ენა საკამათოდ, თვარ დაგძლივე დია-მარდად,

ვერ შემძლე ხარ, გავედ გარე, აიფარე ზღუდე ფარდად“. შემდეგ პასუხში ბროწეული აღიარებს თავის ეკლიანობას, მაგრამ ასეთი თვისება, მისი აზრით, კეკლეცი ვარდის დამახასიათებელიცაა. ამის სანაცვლოდ ის თავისი ლამაზი ყვავილით, ვარდთან ერთად, ბალჩა-ბალის დამამშვენიებელია. შენ კი, მიმართავს ის ვაშლს: „რა აყვავდები, ყვავილთა მოგტეხენ. გქმნია ქმენაო.

ზოგნი ტალახთა გაგდებენ, გულს გერთვის სეკდა. სენაო“. ვაშლი „პასუხის შექცევაში“ თავისი ყვავილის სილამაზის შესახებ ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ:

„ეგზომ ტურფა ვარ, ყვავილნი ჩემნი მნათობთა უწედსა, ხელთა მიჭერენ კეკლეცი, ვინ მხეცა დააბუნდესა.

შენ კი—

„თავსა ქვედით ჩამოჰკიდებ. მიწა მტვერთა დასაშხერად, აღმა ვერა აიხედავ შენ მთვარისა შესაშხერად“.

შემდეგ ვაშლი მიუთითებს ბროწეულის ნაყოფის თავისებურებაზე, რომელიც, მისი აზრით, ადამიანისათვის სრულიად სასარგებლო არ არის.

გაბაასების შემდგომი პასუხები შეეხება უკვე ბროწეულისა და ვაშლის ნაყოფის დადებითი თუ უარყოფითი თვისებების აღნიშვნას. თავის უპირატესობაში დარწმუნებული ვაშლი თავისი ნაყოფის უწარჩინებულეს თვისებად იმ გარემოებას თვლის, რომ ის მეფეთა და დიდებულთა სუფრის დამამშვენიებელია: „სუფთად დამკრიან მეფენი, წინ ნაქერსა დაიწყობენ“, ამბობს ვაშლი. გარ-

და ამისა, ვაშლის ნაყოფი, თურმე, მებაღჩის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც ყოფილა: „მაშინ ჩვენითა აილოს მებაღჩემ მრავლად ფრულები“. აღნიშნავს ვაშლი თავის პასუხში.

საპასუხო სიტყვაში ბროწეულს აღელვება ემჩნევა; ის გრძნობს ვაშლის უპირატესობას, ამიტომ მზად არის ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიიყენოს მოწინააღმდეგეს:

„ვეთცავ, შემოგკრავ ძალიანს, ჩაგაყრეინებ კბილებსა, ვატი(რ)ებ შენზედ მშობლებსა, ვადინებ ცრემლთა მილებსა“.

შემდეგ ბროწეული გადადის თავისი ნაყოფის ქებაზე და აღნიშნავს: „ვერცხლისა თასსა მაწყობენ მე ოქსინოთა ლბილითა, მუნ უკდავებად მიხმევენ ლალ-მარგალიტთა კბილითა“.

ზოგჯერ კი:

„რა გამწურავენ ტურფანი, ჩამასხმენ ბროლსა მინანებს, ბროლ-ბალახშისა ბაგითა მიხმევენ და რთვენ მინანებს“.

შემდეგ მოდის ვაშლის პასუხი, რომლიდანაც მხოლოდ ორი სტრიქონია გადარჩენილი:

„ვაშლი იტყვის: ჰე, ბროწოლო, ეგე რანი მოიგონე, აწე ჩემსა საუბარსა ყური უპყარ, გაიგონე“...

მომდევნო ტაეპები კი არ ჩანს; უნდა ვიფიქროთ, დროთა მსვლელობაში თხზულების ბოლო ნაწილი დაიკარგა.

როგორც მოკლე შინაარსიდან ჩანს, თხზულება გაბაასებას წარმოადგენს. მას ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რაც სპეციფიკურია გაბაასებისათვის: დიალოგური ფორმა, ცხარე კამათი, ავტორის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვა და, რაც მთავარია, თითოეული-მობაასის ყოველ პასუხში მოცემულია მოწინააღმდეგის მიერ დასახელებული საბუთების დარღვევის ცდა, მოპაექრის დამცირება და თავისი ღირსშესანიშნავი თვისებების მკვეთრად ჩვენება.

რა თქმა უნდა, ეს თხზულება უფრო გვიან არის შექმნილი, ვიდრე ვარ. ჩოლოყაშვილი ან თეიმურაზ მეორე თავიანთ „ხილთა ბაასს“ დაწერდნენ. მაგრამ აქ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ უკუღმდებულება წინამორბედების „ხილთა ბაასში“ ჩაბმულ მობაასეთა მრავალრიცხოვანობა და კვლავ დაცულია გაბაასებისათვის დამასასიათებელი ტრადიციული თვისება, სახელდობრ მობაასეთა ორი პირით განსაზღვრა.

სხვა მხრივ ეს თხზულება ყურადღებას ვერ იქცევს; მასში ასახული თემა ახალი არ არის. ენა, სტილი და ლექსის მხატვრული აქსესუარები დარიბი, გაუმართავია. ლექსში გვხვდება ბევრი პროვინციული სიტყვა და გამოთქმა. ცხადია, ლექსის ავტორი არ არის მხატვრული სიტყვის ოსტატი. ის უფრო პოეზიის ერთი მოტრფილეთაგანია, რომელთა რიცხვი, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი იყო ჩვენში XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

დასასრულ, „ხილთა ქება“ რესრ. „ხილთა ბაასი“ ცნობილი არის ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.¹ ჩვენთვის

¹) პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბილისი, 1937. გვ. 261-262.

საინტერესოა, ეს თემა პირველად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გაჩნდა, თუ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ამ საკითხის რკვევას ჩვენ აქ არ დავიწყებთ. ვინაიდან ეს საცილობელი საკითხი დღეს უკვე გარკვეულია პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ. პროფ. მ. ჩიქოვანის აზრით, გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქებამდე“ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებობდა ანალოგიური ხასიათის ნაწარმოები,¹ რომელიც წყარო გახდა მხატვრულ ლიტერატურაში აღნიშნული თემის პოპულარიზაციისათვის. ეს ფაქტიც განმეორებით ადასტურებს, რომ გაბაასება ქართულ ლიტერატურაში ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან მოდის და არა უცხოური ლიტერატურიდან.

თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას, თქმული ხამართველოს მუშის გიორგის შინა

სულისა და ხორცის ურთიერთობის თემაზე შუა საუკუნეების ლიტერატურაში სხვადასხვა ერს ბევრი თხზულება შეუქმნია. ამ საკითხით ქართველებიც ყოფილან დაინტერესებულნი, მართლაც, დღემდე მოღწეულია ერთი თხზულება, რომელიც ხელნაწერში ასეთი სახელწოდებით არის წარმოდგენილი: „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ.“²

თხზულებაში მოქმედ პირებად გამოყვანილი არის სული და ხორცი, რომლებიც ურთიერთშორის აწარმოებენ კამათს იმის შესახებ, თუ ვის მიუძღვის მეტი დანაშაული „ამქვეყნად“ ჩადენილ ცოდვებში. მართალია, აქ კამათი არ წარმოებს უპირატესობის დამტკიცების მიზნით, მაგრამ თხზულებაში წამოყენებულია ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები ერთა გარკვეული საკითხას შესახებ. თითოეული მხარე, ჯერ ერთი, იცავს თავის შეხედულებებს. ხოლო მეორე მხრივ, ცდილობს გააბათილოს მოწინააღმდეგის მიერ წამოყენებული დებულებები. ასეთი სპეციფიკური ნიშნები გაბაასებისათვის არის დამახასიათებელი, ამიტომ ამ თხზულებას ჩვენს შრომაში ერთი პატარა ადგილი დავუთმეთ. ეს თხზულება კიდევ იმით არის საყურადღებო, რომ წინააღმდეგ გაბაასებათა ტრადიციისა, ის პროზას წარმოადგენს. მასში მხოლოდ აქა-იქ გვხვდება რამდენიმე სტროფი ლექსი.

თხზულება საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მისი შინაარსის გადმოცემას აქ არ მოვახდენთ. ჩვენ მხოლოდ შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ თხზულების იმ ნაწილებზე, სადაც უფრო მკვეთრად ჩანს გაბაასების ნიშან-თვისებები.

თხზულება იწყება შესავლით, რომელშიაც ავტორი მიუთითებს ჯერ ღვთის სიღიადესა და ყოვლისშემძლეობაზე, ხოლო შემდეგ თავის მძიმე სულიერ მდგომარეობაზე ლაპარაკობს. შესავ-

¹) მ. ჩიქოვანი. ფოლკლორული ეტიუდები. II. (ცალკე აღონაბეჭდ.) ა. ს. პუშკინის სახ. თბ. სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VI. თბ. ლისი, 1942) გვ. 115-117.

²) ხელნაწერი S 1508.

ლის დასასრულს ის „მის თანამყოფთ“ მიმართავს: „მიაპყრენით სასმენელნი და სახედველნი თქვენნი სიტყვისა ამის ბოროტისა და სულისა ჩემისასა“. შემდეგ იწყება ბაასი. ბაასში მეტი აქტიურობა ემჩნევა სულს. ის, ჯერ ერთი, თავისთავს სხეულზე უფრო წარჩინებულად თვლის და აცხადებს: „მე ესოდენ უზენაეს ვარ, რამეთუ ჩემ მიერ ანგელოზნი განსცხრებიან, სამოთხე გაიხარებს“. შემდეგ იქვე შიშს გამოთქვამს და სხეულს უსაყვედურებს: „ვამე თუ სადა მეწიოს ნაქმარნი ბოროტთა შენთანი.“ სული მთელ დანაშაულს სხეულს ახვევს თავზე და მიუთითებს:

„ხორცო, გიშლიდი, ავსა ნურას იქ, ნურასა,

არ დაიშალე, მაშინ სცნობ სიკვდილი მოგეწეროსა.“

შემდეგ სული შეტევაზე გადადის და ცდილობს მოწინააღმდეგე სრულ არარობად წარმოგვიდგინოს. „მაუწყებ მე, მიმართავს სული სხეულს. შენითა ვინ განიხარებს. ანუ ვინ განსცხრების, ანუ ვინ ფუფუნებასა შევარდების, თვინიერ მატლისა, კია მიწისა, რამეთუ მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი, დაირღვევი, დაღპები, განიბნევი და დაიფარები“. სულის აზრით, სხეულს თუ რაიმე სიკეთე გააჩნია, ამის მიზეზი ისევ თვით სულია, ამიტომ ის მოპაექრეს ამაყად ეუბნება: „მშვენიერება, რომელი გაქვდა ჩემ მიერ, წარხლებიან.“

პასუხს აძლევს ხორცი, რომელიც პირველ რიგში თავის გამართლებას ცდილობს და ამბობს: „ოი, მეგობარო, ესდენი უკეთუბრება არსად მიქნია. რადამცა ბოროტი ჩემდა მოაწიოს, ანუ არა შეწყალებულ ვიქმნეთ უფლისაგან“. შემდეგ სხეული ჩამოთვლის სულის მიერ ჩადენილ ცოდვებს: „ანგარებდი და კაცთა ჰკლვიდი, ესოდენ სძაგს უფალსა კაცის მკვლელი. შვილისა მტაცებელ იყავ, მაგინებელ, ულოცავ და უმარხავ, კეთილის მოძულე, მოშურნე, ამპარტავან, ღოცვასა არა შინა მეტყველ... უბრალოთა შემასმენელ, ობოლთა განუეთხავ, ქვრივთა განუქმართლებელ და დაკრდომილთა მტაცებელ, მწირთა შეუწყნარებელ... ესე რომელთა ვლადებ და ვხმობ ყოველსავე მოქმედ ხარ და რეცა თავსა მართლობ... ესოდენ სძაგს უფალსა ესე ნაქმარნი შენნი... რომელ არს ცოდვა ყოველთა უმეტეს“. შემდეგ სხეული ურჩევს სულს: „უმჯობეს იყო შენდა, რათა აღგეარა და განგეძარცვა შენგან... (შენ) არა ძალგიც ახილვად თვალთა და ხილვად ნათლისა და მის წარუვალისა“.

ხოლო მის მიერ ჩადენილი ცოდვების შესახებ ხორცი ამბობს: „...ხოლო უფალსა ცოდვანი ჩემი არად უნძს და არცა ნებავს, ვითარ მე მომიტეოს ბრალნი და შეცოდებანი ჩემნი“.

საპასუხო სიტყვაში სული სხეულს ურჩევს, ყური დაუგდოს და მისი დარიგება მიიღოს: „... მარგე შენდა ვარ, ნუ დამიტყეებ მე, მომიპყარ სასმენელნი და გარგო ვითარცა მკურნალმა კირვეულსა“. სულის აზრით, ადამიანს განკითხვის დროს ვერ უშველის შვილი, ძმა, მოყვარე და ვერც ურიცხვი ჯარი. ადამიანის ხსნა შეუძლია მხოლოდ ისეთ კეთილ საქმეებს, როგორიცაა: ობოლთა

შეწყნარება, ქვრივთა და დავრდომილის გამართლება, გლახაყის განკითხვა და ღუთის შიში.

ასეთი პასუხით შემოფოთებული ხორცი სულს შენიშნავს: „კარგი ყოველივე დამიფარე და უშვერს ყოველსავე მალლითა ხმითა ლაღადებ. კეთილი, რომელი ჩემ მიერ ქმნილა, მე გაუწყო.“

შემდეგ სხეული ჩამოთელის იმ ქველმოქმედებას, რომელიც მას გაუკეთებია სიცოცხლის პერიოდში: „ტყვენი თავისუფალ მიქნია, გლახაკნი შემიმოსაეს. ხიდი აღმიშენებია და ქვათა ზედა დამიწერიან. ეკლესიანი აღმიშენებიან... ვერცხლს მივსცემდი აღნადგინებად და სარგებელი, რომელი მივიღო, გლახაკთა და ობოლთა ზედა წარვაგი, ვილოცედი, ვიმარხვიდი, ეამთა და ფსალმუნთა ვიკითხვიდი, კაცნი ყოველნი მიყვარდა და სტუმარი არა მძულდის. კეთილი ვნახი ვისიმე, მიამის და ბოროტი მეწყინის... (შენ კი) კეთილსა ფარავ და ბოროტი ხელთა გიპყრიეს და ყოველთავე სახილველ ჰყოფ, უმეტეს ამისა რა ვყო.“

საინტერესოა სულის მომდევნო პასუხი. ამ პასუხში სული ცდილობს გააბათილოს ის არგუმენტები, რომლებიც სხეულმა თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მოიყვანა. ეს მომენტი კი, როგორც ვიკით, გაბაასების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამიტომ ამ სიტყვიდან ციტატების სახით რამდენიმე ადგილს აქ მოვიყვანთ. სული ეუბნება სხეულს: „ტყვე დავისენო, ერთი თავისუფალ გიქმნია და ბევრი დაგიტყვევებიეს... ხიდი ავაგე და ზედა სწერია სახელი ჩემი, ეგე შრომანი, მაგავე სახელი თანა დაშთებიან და თანა არა წარგყვების... ვილოცედი და ვმარხულობდიო, შენს ლოცვას უმჯობესი იყო, რათამცა არა მოსრულიყავ ლოცვად; რა-ეამს მიხვიდორი ლოცვად ეკლესიასა. სხვათაცა მოაცთუნებდი მრავლისა მეტყველებითა. ავსა ყოველსა მუნ განიზრახავდი. კაცის კვლასა, ანგარებასა და მსგავსსა ამათსა განიზრახავდი. კაცნი ყოველნი მიყვარდაო და სტუმართა ეწყალობდიო, ეგრეცა ორნივე ცულად არიან შენდა. კაცსა ერთსა რისხვიდი, გამოუღი და მონახვევსა შის მეორეს მისცემდი, თუმცა სარგებლად შენდა.“

...კეთილი ვნახი, მიამისო და ბოროტი მეწყინისო. უკეთუ კეთილი ვიამის, კეთილი რასათვის არ იმოქმედე... ესე კეთილნი ბოროტად აღვირაცხენ და კეთილნი შენნი არა სადა ჩანან... კვალად და ცოდვანი, რომელ სცოდე, ყოველნივე წარმოგიდგებიან წინაშე მსაჯულისა უტყველისა და გვარცხვენს“.

ასეთი მდგომარეობის გამო სული სხეულს კატეგორიულად სთხოვს ცოდვების მონანიებას.

ასეთი მხილებიდან სხეული კვლავ საგონებელში ვარდება და თავის გადარჩენას მოწყალეების გაცემით ფიქრობს: „ესოდენი საჭურჭლენი და ხვასტავნი დამიგდიან, მისცენ გლახათა და დავრდომილთა, ნუ უკუე ლმობიერ ჰყონ შეწყალებად ჩემდა, სატანჯველსა მათგან ურიცხვთა განმარინონ“.

სული ხორცის ამ სურვილსაც დიდ ცოდვად თვლის, ვინაიდან: „უადვილეს იყო არა გექმნა ბოროტი და არცა გეთქვა, ეგე საქონელი და ხვასტაგი დაუტევე შეილსაო, გლახაკთა ზედა წარაგებენ და შემწე მექმნებისო, ვგონებ, ეგეცა შენდა არად სახმარ გეყოს. ესოდენ უძღებ იყავ, რომ საქონელი შენი შეილისათვისაც არ გინდა. უმჯობესი იყო, რათამცა ხელითა შენითა მიგენიქა გლახაკთა და დავრობილათვის და სადა მიხვიდოდი, მუნ დაგხვდებოდა კეთილნი შენა.“

დასასრულ, შედარების მხატვრული ხერხის გამოყენებით, სული ცდილობს სხეული ცოდვებისაგან დამძიმებულ სრულ არარაობად წარმოგიდგინოს: „შენ იგი ზანდუკი ხარ ცარიელ ყოვლისაგან კეთილისა; შენ იგი სანთელი ხარ, იწოდეს და სინათლე არა ჰქონდეს; შენ იგი ჭურჭელი ხარ, რაცა ჩაასხან, აყროლდეს.“ სულის აზრით, სხეულის ჩსნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ლოცვითა და ვედრებით.

თხზულება სრულდება ავტორის სიტყვებით, რომლითაც ის ღვთისმშობელს მიმართავს და სთხოვს ცოდვების მიტევენას.

თხზულების ავტორისა და დაწერის თარიღის შესახებ ძლიერ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ეს ცნობები ისეთი ზოგადი ხასიათისაა, რომ მათი საშუალებით ძლიერ ძნელია როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის ზუსტად გამოჩვენება. ასე, მაგალითად, ავტორის შესახებ თვით თხზულების სათაურში ნათქვამია: „...მტკული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“, ხოლო დასასრულს გადამწერის შესახებ აღნიშნულია: „ამა წიგნსა სწერდა გიორგი, განათუ გარდა გიორგი“.

ამ ცნობის მიხედვით თხზულება ეკუთვნის საქართველოს მეფეს გიორგის, მაგრამ რომელი გიორგია? XI თუ XII? ამის გამორკვევა ძნელდება. აქ ერთ გარემოებას შეიძლება მივაქციოთ ყურადღება: ჩვენ მიერ განხილულ თხზულებას ხელნაწერში თან მოსდევს იაკობ შემოქმედელის გალექსილი „მაჰმედისა და ქრისტიანეთ გაბაასება“, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „თავი დასაწყისი უსჯულოს მაჰმედისა და ქრისტიანეთ გაბაასებისა, ლექსად ნათქვამი შემოქმედელისა იაკობისაგან, ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფისა შაჰნაოზისათა, აცხოვნე მტკმელი და ხელი მიუმართე, ღმერთო, მწერალსა ამას.“ აქედან ჩანს, რომ თხზულების გალექსვა იაკობისათვის შეუკვეთია გიორგი XI, ვახტანგ V, შაჰნავაზად წოდებულის-ძეს. ერთ კრებულში ამ თხზულებების და ისიც ერთიმეორის გვერდით მოთავსება, აგრეთვე ნაწარმოების ენისა და სტილის არქაულობის გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ „სულისა და ხორცის გაბაასება“ გიორგი XI ეკუთვნოდეს. მით უმეტეს, რომ გიორგი XI მწიგნობარი და ლიტერატურით დაინტერესებული მეფე ყოფილა.

არც თხზულების დაწერის თარიღის შესახებ გვაქვს ზუსტი ცნობა, თხზულების დასასრულს აღნიშნულია: „დასრულდა ივლისის ხუთს.“ ჩვენთვის კი საინტერესო იყო თხზულების დაწერის არა თვე და რიცხვი, არამედ წელი, რომელიც ავტორის ვინაობის გარკვევაში მოგვეშველებოდა.

პროფ. ექ. თაყაიშვილის გამოკვლევით თხზულება გადაწერილია 1787 წ. მოსკოვში გიორგი ავალიშვილის მიერ.¹

თხზულების ავტორი, ჩანს, ღრმა მორწმუნეა, მას სწამს ცოდვების მონანიების შესაძლებლობა და იმქვეყნიური სასუფეველის არსებობა. მწერლის ასეთი განწყობილება ღრმად არის გამოხატული თხზულებაში. მიუხედავად ამისა, თხზულება ყურადღებას იქცევს თავისი შედარებით დახვეწილი სტილითა და ენით. მწერალი აქა-იქ თავისი შეხედულების დასადასტურებლად იყენებს მხატვრული შედარების ხერხსა და იგაჟებს.

მაგალითად. სული სხეულს ეუბნება: „მარტივად სახმარ ვარ შენდა, თბეო ჩემო, ვითარცა მეთეთათვის სიბრძნე, ვეზირთათვის კჳუა, მხედართათვის სიმხნე, მონაზონთათვის სიმშვიდე, ჳაბუჯთათვის აბჳარი“. ამის მსგავსი შედარებები აქ ბევრი იგვხვდება, მაგრამ ჩვენ ამით დავკმაყოფილდებით.

გოჩა დადიანი

გოჩასა და სოფლის ბაბაასება

აკად. ს. ჳანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში ინახება ერთი, დღემდე გამოუქვეყნებელი თხზულება, რომელიც „გოჩასა და სოფლის ბაასის“ სახელწოდებით არის ცნობილი.² თხზულების ავტორია გოჩა. ქართულ ლიტერატურაში ცნობილია რამდენიმე გოჩა: გოჩა ბატონიშვილი³ და გოჩა თრიალეთელი.⁴ ზემოთ დასახელებული თხზულების ავტორი არც გოჩა ბატონიშვილი არის და არც გოჩა თრიალეთელი. დოც. ტ. რუხაძეს გამორკვეული აქვს, რომ თხზულების ავტორი გოჩა დადიანია. დოც. ტ. რუხაძე წერს: „გოჩასა და სოფლის ბაასის“ ავტორია არა XVI საუკუნის გოჩა ბატონიშვილი, არამედ XVIII საუკუნის მოღვაწე, გელათში შეკედლებული ბერი დადიანი, გოდერძყოფილი, გოჩა ჳაატას-ძე დადიანი.“⁵

¹) E. Такашвили. Описание... т. II, стр. 278.

²) ხელნაწერი. H 496.

³) ბ. ჳიციანიძე. ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე. გვ. 25-26.

⁴) მისივე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები XVII-XVIII საუკუნეებში, გვ. 18-19.

⁵) დოც. ტ. რუხაძის გამოუქვეყნებელი შრომა: „გოჩა და მისი ლექსები ქართულ მწერლობაში“; გვ. 14. ხსენებული შრომათ სარგებლობისათვის დოც. ტ. რუხაძეს დიდ მადლობას მოვასხენებთ.

მართლაც, თხზულების პროზით შესავალში, სადაც ავტორის ბიოგრაფიული ცნობებია გადმოცემული, ნათქვამია: „იყო ერთი ობოლი ყრმა. ტანად მოკლე და სახელად ერქო გოდერძი, პაატა ბრწყინვალე თავადი დადიანისა ძე დადიანოვი.“ გოდერძის დედ-მამა ადრე გარდაცვლილა, ამიტომ ის 12 წლის პასაკში ბერად შემდგარა „უდაბნოსა გელათიისა წმინდა გიორგიისა ეკლესიასა შინა“, სადაც 12 წელი დაუყვია. აქვე აღნიშნულია: „რადგანაც ტანით მოკლე რყო ეს გოდერძი, მას დაარქვეს ბერებმა გოჩა.“ 24 წლისა როცა შესრულდებულა გოჩა, ბერების რჩევით, მას გადაუწყვეტია ცოლის შერთვა.

შესავლის დასასრულს თხზულების დაწერის მიზეზიც არის დასახელებული. იქ გარკვევით არის მითითებული, რომ „გოჩამ უთხრა ცოლსა: მე მანამდინ ვერ გიზამ ქმრობასა, ვიდრე მე და შენ ერთი ლექსი არ გვაეკეთოთ. წყობა ეს იყოს ჩვენი, რომ შენ გინდა კაცად გამოდი. გინდ სოფლად, რომ სოფელი ქალზედ აშენებულა. და აწ დაიწყეს.“

ამის შემდეგ მოყვანილია თვით ტექსტი თხზულებისა, რომელიც გაბაასებას წარმოადგენს. ბაასში ჩაბმული არიან გოჩა და სოფელი.

თხზულება შედგება 36 პასუხისაგან. ბაასს იწყებს გოჩა. ის თავის პირველ სიტყვაშივე თავისთავს არიგებს:

„ნუ ემოყვრები სოფელსა, თავს ეუბნება გოჩაო,

არ გახსომს, მამა მოგიკლა, ობლად რომ დარჩი ბეჩაო“.

გოჩას ამ სიტყვებს სათანადო პასუხს აძლევს სოფელი. რომელიც მოხდენილად ამქდავენებს ადამიანის უსაზღვრო სიყვარულს სიცოცხლისადმი:

„ათასი წლით, რომ გაცოცხლო, კაცო. მაინც მე მემდური.

მატუსალაც არ მიმადლის, მე ვარ ასრე უბედური“.

შემდეგ გოჩა ცდილობს ყველასათვის ნათელი გახადოს წუთისოფლის ვერაგობა, დაუნდობლობა და გაუტანლობა. ის სოფელს ასეთი სიტყვებით მიმართავს:

„სოფელო, ქირვეული ხარ, შენ გქირვებია ქაჯია,

მამას რომ შეილსა მოუქლავ, ცოლზე რალად ქნას ხარჯია,

დღეს ვიშობი და ხვალ მომქლავ, ნეტამც მშობელს რა

ხარჯი აქვს,

არ გაიკითხავ გლახაკსა, აწ რომ შეიქმნას აჯია.“

გარდა ამისა, გოჩას აზრით, წუთისოფელი უადრესად დიდი მტარვალაია. რომელსაც თავდავიწყებამდე უყვარს ადამიანის სისხლი:

„დღეშიათას კაცს რომ მოქლავ, რატომ იმას არ სჯერდები;

მაგრამ ქაცის სისხლი გიყვარს, არ ისმენ და გაჭინდები“.

ვერაგი წუთისოფელი უდანაშაულო ბავშვებსაც არ ინდობს თურმე; ამიტომ გოჩა ხაზგასმით მიუთითებს:

„როდის გაგინა საწყალმან, ყმაწვილს რომ მოჰკლავ, უნდილსა“. გოჩა, შეიცნობს რა წუთისოფლის დიდ ბოროტებას, ცდილობა მასთან ყოველგვარი კავშირი გასწყვიტოს, მაგრამ გრძნობს, რომ ეს მისთვის მოუხერხებელია:

„უცდილობ, გაგექცე, წყეულო, მაგრამ ვერსიდ გაგეყრები“. ნაღვლიანად მიმართავს გოჩა სოფელს. გოჩას ეს სიტყვები სოფელს სასაცილოდაც არ ყოფნის. ის გრძნობს თავის ძალას და გოჩას ძველ ამბავს მოაგონებს:

„მატუსალაც კი გამექცა, ეჭი სამას დღის ხავალი.

ჰგონებდა, თუ დამემალა, გზა დამიკარგა ნავალი,

თავს წავადექი, ეგონა, სხვა მგზავრი ეარ, ვინმე მავალი.“

ამიტომ წუთისოფელი გოჩას კატეგორიულად სთხოვს:

რას ლაებობ, კარზედ გადგივარ, მომეცი ჩემი ბეგარა.“

გოჩა კიდევ არ ცხრება, ცდილობს სოფელს დაუმტკიცოს. რომ ის თავის სიტყვებით არა მარტო თავის აზრს გამოხატავს, არამედ მთელი ერისას:

„მე შენ მაგინებ, სოფელო, ყოველი ერი შენ გმობენ,

სიცრულით, მოღალატობით. მუხანათობით ანბობენ.“

წუთისოფელი ერთ ადგილას გაკვირვებას გამოთქვამს, თუ რატომ ვერ ახერხებს ადამიანი ამქვეყნიური ცხოვრების მოწესრიგებას მაშინ, როცა ადამიანი კარგად შეიარაღებულია თვალით, ენით, ყურით, ხელითა და ფეხით. ამიტომ ის გოჩას ასე მიმართავს:

„მე რა გიყო მისა მეტი. თვალს მოგცემ და ენა-ყურსა,

ხელს მოგცემ და ფეხს საეალად. ემსგავსები რატომ ყრუსა,

ხალი წინ გიდგას საეალად, ჩავარდები რატომ თხრილსა.“

როგორც ჩანს, ადამიანის ცხოვრების მოუწესრიგებლობაში სოფელი ბრალს თვით ადამიანს სდებს, მაგრამ ამის საპასუხოდ გოჩა მოსწრებულად შენიშნავს:

„შენთან კაცს ჰკუა რას არგებს, კაცი ხარ სისხლის მხვრე-

ტელი,

კაცს მოჰკლავ, ძვალს მიწას აჰმეე. მატლი გეყავს ძვლისა

მკენეტელი.“

სოფელი ამ ბრალდებას არ ლებულობს. მისი ღრმა რწმენით, ამ ქვეყნად გამეფებული ავკაცობისა და ბოროტების წყარო თვით ადამიანია. ის თავისი უზნეო საქციელით ღმერთს აიძულებს, სამაგიერო მიუზღოს ჩადენილი დანაშაულისათვის:

„სიღარიბეს მე მამბრალეებ, კაცმა ჰკუაე გაგიშინჯოს,

კაცი უნდა მუშა იყოს, სამუშაო შემოთაჯოს,

შენ ქურდობ და გზაზედ დახვალ, იარები სადა საჯოს,

აქსა საქმეს ავი მოსდევს, რა ჰქნას ღმერთმან, არ დასაჯოს?“

მომდევნო პასუხში გოჩა დამნაშავედ მაინც სოფელს თვლის და თავის აზრს ასე ასაბუთებს:

„შენ მაქნევიანებ, სოფელო, რასაც ავსა მე რომ ვშვრებდი, ტკბილი ხარ და გემრიელი, სიტკბოებით ვერ გეშვებდი“.

მომდევნო სტროფებიდან ჩანს, რომ გოჩა თანდათან გრძნობს თავისი საბრძოლო პოზიციის სისუსტეს. ის ვერ პოულობს პასუხისმართვის შესაფერის სიტყვებს, ამიტომ გაცხარებული წამოიძახებს სოფლის მიმართ:

„ნეტამც შენი თავი მომცა ჩაკუნჭული ხალათშია, თავს მოკრული გადაგაგდო დაუყონებლივ ზღვაშია.“

მაგრამ თავის სიძლიერეში დარწმუნებული სოფელი ყურადღებას არ აქცევს გოჩას მუქარას, ის გულდაჩერებით მიუგვებს:

„შენ ჩემს დაჭირვას აპირებ, თვითონ შევეხარ დაქირული, ასე გავხდი, იმ სოფლისა მოგანატრო თვალთა გული.“

ბოლო სტროფებში გოჩა კვლავ ლაპარაკობს სოფლის ვერაგობისა და გაუტანლობის შესახებ. ამქვეყნად გამეფებული ბოროტების მიზეზადაც სოფელს ასახელებს. საერთოდ, გოჩას უკანასკნელი სიტყვები ახალს არაფერს შატებს მის საბრძოლო მდგომარეობას.

სოფელს კი ახალ-ახალი არგუმენტი მოჰყავს გოჩას დასამარცხებლად. ჯერ ერთი, ამჟღავნებს გოჩასა და საერთოდ კაცის თვალთმაქცობას და მიუთითებს: „შენ სიბერეს არა სჯერხარ, წვერზედ იღებ ინა ბანმას“. გარდა ამისა, ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთ წყაროდ ის შემთვრალეობას თვლის.

„სიმთვრალითა რასაც ავს იქ, მე მებრალეებ ღვინის შესმას, ერთხელ ავს იქ, იმას ინან, მეორეჯერ რატომ იქ მას?“

ამიტომ სოფელი გოჩას ასე მოძღვრავს:

„ღვთის მადლმა, გიჯობს, დაბერდი, თევზი სჭამო და ყველია. ყმაწვილობას დაეთხოვე, საქმე ჰქენ აწინდელია.“

უკანასკნელ პასუხში გოჩა სოფელს მოაგონებს ადამისა და ევას ცთუნების ამბავს, მაგრამ სოფელი ამ ბრალდებას არ ღებულობს.

„აღამ რომ სცდა, რას მებრალეებ, რას ვერიე მე მასშია, მე ადამსა ვერ ვიცნობდი, არც მინახავს ჟამშია, ქალმა ქმარი მოატყუოს, ჩააგდოს ჭირის ჟამშია.“

როგორც შინაარსის მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, თხზულება გაბაასებას წარმოადგენს. მართალია, თხზულებაში მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლემიკა არ წარმოებს პირადი უპირატესობის დამტკიცების მიზნით, მაგრამ აქ მაინც არის მოცემული კამათი ერთი გარკვეული საკითხის ირგვლივ, სახელდობრ—ვინ არის დამნაშავე ადამიანის ცხოვრების მოუწესრიგებლობაში, თვით ადამიანი, თუ წუთისოფელი. ამ თემაზე, როგორც ვიცით, თხზულება დაწერილი აქვს არჩილს. არჩილის „კაცისა და სოფლის გაბაასებასა“ და ზემოთ განხილულ თხზულებას შორის მსგავსება დიდია, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. რაკი არჩილის თხზულებას გაბაასების ერთ-ერთ ნიმუშად ვთვლით, ეს გვაძლევს უფლებას გოჩა დადიანის თხზულებაც გაბაასებათა რკალში მოვაქციოთ და ჩვენი კვლევა-ძიების საგნად გავხადოთ.

თხზულება, როგორც დავინახეთ, XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მეტად პოპულარულ თემას ეხება. ამ შემთხვევაში გოჩას ნოვატორობას ვერ მივაკუთვნებთ. პირიქით, ის არჩილის ეპიგონის როლში გამოდის. მხოლოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს თემა იმდროინდელი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობის გამო იტაცებდა როგორც დიდ, ისე პატარა პოეტებს. თხზულება დაწერილია 1705 წლის 25 დეკემბერს. თხზულებას სათაურის მაგიერ აწერია: „წელსა ათას შვიდსა ხუთსა, დეკემბრის კე-სა დღეს“. ეს თარიღი მიწერილი აქვს აგრეთვე თხზულების პირველი გვერდის აშინას: „ჩ-ღ-ე წელსა ქრისტეშობის კე-ს“.

ინტერესს ამ თემისადმი, უდავოდ, აძლიერებდა არჩილის „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, სადაც საკითხის სრული ანალიზია მოცემული. აქ არჩილის გავლენა აშკარაა. გავლენა შეინიშნება საკითხის დასმისა და ცალკეული მომენტის მოტივაციაში: 1. თემა ორივე პოეტისათვის ერთი და იგივეა, რომლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. 2. მოქმედ პირებად ორივე თხზულებაში გამოყვანილი არიან კაცი (გოჩა) და სოფელი. 3. თხზულებაში გოჩა სოფელს თითქმის ისეთი უარყოფითი თვისებებით ახასიათებს, როგორც ეს არჩილის თხზულებაში გვხვდება. 4. ასევე, თხზულებებში გამოყვანილი სოფლის პასუხები ძლიერ ჰგავს ერთმანეთს.¹ 5. გოჩას თხზულებაშიც არ არის დავიწყებული ადამ და ევას შესახებ არსებული ცნობილი ბიბლიური ამბავი. ცხადია, რომ გოჩას თავისი თხზულება არჩილის „გაბაასების“ უშუალო გავლენით დაუწერია, მაგრამ ეპიგონი თავის წინამორბედს არათუ გვერდში არ შეგვიძლია ამოვუყენოთ, არამედ ის არჩილს შორიდან თვალს ვერ უსწორებს. მართლაც, ეს პატარა, შინა-არსითა და ფორმით ღარიბი, პროვინციალიზმებით დატვირთული ლექსი როგორ შეედრება არჩილის ბევრი საინტერესო იდეით სავსე და მოცულობითაც დიდ თხზულებას.

თხზულება დაცულია რამდენიმე ხელნაწერში.² უფრო სრული სახით ის მოღწეულია H 496 ხელნაწერში,³ თუმცა თხზულების შესავალს აქაც აკლია მე-5 და მე-6 გვერდი, ხოლო S 1085-სა და ცენტრარქივის № 167 დაცულ ხელნაწერებს აკლია პროზაული შესავალი, რომელიც H 496-ში მოიპოვება. სამაგიეროდ, ცენტრარქივის № 167-ში თხზულების ტექსტის წინ მოყვანილია ერთი სტროფი:

¹) ციტატებით შრომის მეტისმეტად გადატვირთვის აცილების მიზნით თხზულებიდან პარალელური ადგილები არ მოვკვავს.

²) ხელნაწერები: H 496, S 1085, A 1161, A 1632, ცენტრარქივისა № 167.

³) აღწერილია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, ტ. I, თბილისი, 1946 გვ. 358.

„გოჩიანი ესე არს წიგნ აღწერილი ნუსხურ ხელად, ვინც იკითხამს, გაახარებს. აქ ამყოფებს გულში მრთელად, აქ სიცოცხლეს მოუმატებს, იქ ამყოფებს შეურცხვენლად, პაზრი არის კეთილ თქმული გონებისა გასამხელად“.

ასევე, ამავე ხელნაწერში თხზულების დასასრულიდან მესამე სტროფის წინ ჩამატებულია ერთი სტროფი. სადაც სოფლის გამობამდურვა არის მოკემული.

* * *

ჩვენ მიერ განხილული „გაბაასებანი“ დაწერილია 16-მარცლოვანი რუსთველური შიირით. ლექსის სხვა ზომა აქ გამოყენებული არ არის. ამ შემთხვევაში რუსთაველის გავლენა ძლიერ დიდია, მაგრამ ლექსის ეს ზომა, რომელიც მისმა ფუძემდებელმა განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, „გაბაასებებში“ მეტად სქემატურია. მას აკლია რუსთველისებური მოქნილობა, რიტმულობა და სინარნარე. თვით სალექსო ზომაც ზოგიერთ თხზულებაში არ არის დაცული. როგორც ჩანს, რუსთველურ შიირს XVII—XVIII საუკუნეების პოეზიაში ახასიათებდა დაქვეითებისა და დაკნინების ნიშნები. ამ დროს უკვე დღის წესრიგში იდგა ახალი ზომების ძიების საკითხი, რომელიც წარმატებით გადაჭრეს ეპიტანგ VI და დავურამიშვილმა.

გაბაასებათა ავტორები რითმის ოსტატებიც ვერ არიან; მათ თხზულებებში ხშირად გვხვდება ერთმარცლოვანი, ლარიბი რითმები, რომლებიც შიირისათვის შეუფერებელია. ლარიბი რითმები განსაკუთრებით ბევრია არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ (მაგალითად, სტროფები: 58, 78, 84. 145, 318 და სხვ.)

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენი კვლევა-ძიების შედეგი დასკვნის სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. გაბაასება ქართულ ლიტერატურაში ხალხური ზეპირსიტყვიერი წარმოშობისაა, მაგრამ შემდეგ მან ხალხურიდან გზა ლიტერატურისაკენ გაიკაფა. ამ პროცესს, ვფიქრობთ, ხელი შეუწყო ზოგიერთმა ბიბლიურმა და პოლემიკური ხასიათის თხზულებამ, რომლებიც ჩვენში ლიტერატურის განვითარების პირველ პერიოდში იყო ცნობილი.

2. გაბაასებამ XVI-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში დიდი პოპულარობა მოიპოვა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ გაბაასებაში ადვილად ხერხდებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებისა და აზრების დაპირისპირება, ხოლო „დაპირისპირებული აზრების შეჯახება წარმოადგენს ქვეშაირიტების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებას“ (საქ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი).

3. ქართულ ლიტერატურაში გაბაასების ჟანრის თხზულებები ღრმა იდეური შინაარსის შემცველი და ეპოქის სულიერი თუ სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველია. მათში მოკამათე მხარეების კარგი და ცუდი თვისებები მკვეთრად არის გამოვლინებული, რაც თავის მხრივ მკითხველ საზოგადოებას მოვლენებში სწორი ორიენტაციის საშუალებას აძლევდა.

უცხოელი პოეტების მიერ კი გაბაასებანი, უმეტეს შემთხვევაში, იწერებოდა ავტორების ან მკითხველთა გართობის მიზნით (მუნაზარეები, ტენცონები).

4. თითქმის ყველა ქართულ გაბაასებაში, რომლებიც ზოგჯერ რამდენიმე ასეული სტროფისაგან შედგება, მოცემულია ავტორთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური, კლასობრივი, მორალურ-დიდაქტიკური შეხედულებანი, ძლიერი პატრიოტული განწყობილებანი და სხვა პროგრესული იდეები. უცხოურ ლიტერატურაში, პირიქით, გაბაასების ჟანრის თხზულებებში ასახულია ადამიანთა სასიყვარულო განწყობილება ან ძლიერი ვიწრო, პიროვნული ხასიათის კამათი პირადი უპირატესობის დამტკიცების მიზნით, ან კიდევ ბაასი წარმოებს მხოლოდ თეოლოგიურ და მისტიკური ხასიათის საკითხებზე.

5. გაბაასების სპეციფიკური თვისება (მოვლენების დაპირისპირება) არჩილს აძლევდა იმის საშუალებას, რომ ორი ეპოქა—XII და XVII საუკუნეები—ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. ასეთი დაპირისპირებით კი არჩილი ფიქრობდა, თანამედროვე ქართველებში გაეძლიერებინა სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების დიადი გრძნობა.

6. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გაბაასების ჟანრის თხზულებებში პირველად არაა მოცემული ძველი ლიტერატურული შეხედულებების გადაფასების ცდა. აქვეა პირველად აზრი გამოთქმული უცხოური წარმოშობის თემატიკის უარყოფისა და ლიტერატურაში ეროვნულ თემატიკაზე მუშაობის დანერგვის შესახებ (არჩილი, თეიმურაზ მეორე).

7. ბევრ გაბაასებაში ასახულია საქართველოს ბუნების უადრესად ლამაზი და მიმზიდველი სურათები, XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრების წესები. ამ ჟანრის თხზულებებში მოცემულია ეროვნული თემატიკის დამუშავების პირველი ცდები.

8. გაბაასების ჟანრი ქართულ ლიტერატურაში თემატიკის მიხედვით მეტად მრავალფეროვანია; აქ გვხვდება ისეთი თხზულებები, რომლებშიც წარმოდგენილია ორი პოეტის მკაცრი ლიტერატურული დისპუტი, ერთი მხრივ, და უპირატესობის დამტკიცების მიზნით ხილთა ბაასი, მეორე მხრივ. აქვე გვხვდება სჯა-ბაასი ადამიანისა და სიცოცხლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზედაც.

სხვა ქვეყნების ლიტერატურაში კი გაბაასებათა თემატიკა ერთობ შეზღუდულ და დარიბია.

9. ქართულ გაბაასებებში, წინააღმდეგ სხვა ხალხთა ლიტერატურაში ცნობილ გაბაასებისა, კამათის დასკვნა არ გამოაქვს დამსწრეთა გარკვეულ ჯგუფს ან მსაჯულს, რომელიც ზოგჯერ თხზულებაში ძლიერ შექებულია, მაგ., მუნაზარეებში. ქართული გაბაასების ავტორები საცილობელი საკითხის გადაწყვეტას მკითხველებს ანდობენ, თვითონ კი ცდილობენ ნეიტრალიტეტი დაიცვან. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებდა საზოგადოების ინტერესს გაბაასების ჟანრის თხზულებებისა და მასში დასმული საცილობელი საკითხებისადმი.

10. გაბაასების ჟანრის თხზულებანი არც მაღალ მხატვრულ ღირსებებს არიან მოკლებულნი: მათ შორის გვხვდება ისეთი თხზულებები, რომლებშიაც ასახული ბუნების სილამაზე, ბაასში ჩაბმულ პირთა ლირიკული განწყობილების გამომხატველი სტროფები თანამედროვე მკითხველსაც ხიბლავს. გაბაასებათა ავტორები ხშირად იყენებენ მხატვრული მეტყველების სხვადასხვა ხერხს, ზოგჯერ მათ მიერ შექმნილი მხატვრული სახე ინტერესს მოკლებული დღესაც არ არის.

ტრადიციის მიხედვით ქართული გაბაასებანი დაწერილია ლექსად.¹ სალექსო ზომად ავტორების მიერ გამოყენებულია რუსთველური შაირი, მაგრამ აქ ამ ზომას დაქვეითების ნიშნები ემჩნევა.

ამგვარად, ქართულ გაბაასებათა სპეციფიკური თვისებების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს უცნოურ ლიტერატურაში

¹) გარდა ერთი შემთხვევისა, ასეთია: გიორგი მეფის „თბრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას“, რომელიც პროზას წარმოადგენს.

ცნობილ გაბაასებებთან შედარებით მათ დიდი უპირატესობა მივა-
ნიჭოთ და გაბაასება ვალიაროთ ჩვენი ძველი ლიტერატურის ერთ-
ერთ უაღრესად განვითარებულ და მდიდარ ქანრად.

იფიქრობთ, წინამდებარე შრომაში განხილული საკითხები
ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ „ქართველი ხალხი თავისი
ისტორიის მთელ მანძილზე მხარს უსწორებდა მოწინავე ქვეყნების
კულტურას. ქართული კულტურა აღმოცენებულია ქართველი ხალ-
ხის წიაღში, ასახავს მის ცხოვრებაში მომხდარ პროცესებს, გამო-
ხატავს ხალხის გულისთქმას და მისწრაფებებს, ამიტომაც იგი
ქართული. მას ქმნიდა და ქმნის ქართველი ხალხი, და ყოველგვარი
ლაპარაკი სესხებაზე, გადმოღებაზე, გადმორგვაზე არა მარტო
უმეცრებაა, სიბეცია, არამედ ანტიპატრიოტული საქმეც არის“,¹



¹) ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის
წინააღმდეგ. გახ. „კომუნისტი“, 1949. 11 მაისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

83-

შესავალი	3
თავი I. გაბაასება თაიხებურებანი, მისი აღმოცენების მიზეზები და საწყისები ქართულ ხალხურ ხეპირისტიკვიერებასა და ძველ ქართულ ლიტერატურაში	5
თავი II. გაბაასება შუა საუკუნეების უცხოურ ლიტერატურაში (მოკლე ექსკურსი)	17
თავი III. გაბაასება XVI—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში .	29
1. თეიმურაზ პირველი	
ა) შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა	30
ბ) გაბაასება ღვინისა და ბაგისა	35
გ) ვარდ-ბულბულდანი	37
დ) შამი-ფარვანიანი	44
2. არჩილი	59
—ა) გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა	60
ბ) გაბაასება კაცისა და სოფლისა .	117
3. თეიმურაზ მეორე	
ა) სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება	137
ბ) გაბაასება რუსთველთან	145
4. ღვინოთ გურამიშვილი	149
ა) სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა	150
ბ) კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პკუბა, ერთმანერთის ძვირის ხსენება	154
5. პომბი ძალი მანან	
ა) მანანსაგან ციების ბაასი	162
6. ხილთა ბაასი	165
7. ბიორბი მუჟი	
ა) თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ .	175
8. გოჩა ღაღინი	
ა) გოჩასა და სოფლის გაბაასება .	179
დასკვნა .	184

რედაქტორი პროფ. ალ. ხარამიძე.

კორექტორი თ. დიდძე.

ტექნიკური რედაქტორი
და გამომშვები კ. ჩხარტიშვილი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1952 წლის 17 მარტს. ემ 01004. შეკვეთის № 4638.
ქალაქის ზომა 60 X 92, 12 ნაბეჭდი ფორმა, 11,8 საავტორო ფორმა, 11,9
საალრიცხო-საგამომცემლო ფორმა. ტირაჟი 2500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფმრეწველობის,
გამომცემლობათა და წიგნით ვაჭრობის სამმართველოს ბათუმის სტამბა-
ლითოგრაფია, ლუქსემბურგის ქუჩა 22.